მერაბ ხმალაძე

შობადობა საქართველოში:
ეთნიკური და რეგიონული ასპექტები

შობადობა საქართველოში:

ეთნიკური და რეგიონული ასპექტები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

მერაბ ხმალაძე

შობადობა საქართველოში: ეთნიკური და რეგიონული ასპექტები

თბილისი
2025

წარმოდგენილი მონოგრაფია შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრაზე. მასში განხილულია დემოგრაფიული სტატისტიკის აქტუალური და პრობლემური თემა - შობადობა და მისი ეთნიკური და რეგიონული ასპექტები. გამოყენებულმა უხვმა სტატისტიკურმა ინფორმაციამ, ეთნიკურ-რეგიონული ასპექტების გარდა, მოვლენის მრავალმხრივი შესწავლის საშუალება მოგვცა, რის საფუძველზეც მივიღეთ რიგი მეცნიერული და პრაქტიკული სიახლეები და ახლებურად შევაფასეთ უკვე ჩამოყალიბებული შეხედულებები. იმავდროულად, უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში შობადობასთან დაკავშირებული რიგი საკითხებისა მონოგრაფიაში პირველადაა განხილული.

მონოგრაფია დიდ დახმარებას გაუწევს როგორც მეცნიერ, ისე პრაქტიკოს სტატისტიკოსებსა და დემოგრაფებს, სოციოლოგებს, აგრეთვე აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას. ნაშრომი შეიძლება გამოყენებულ იქნეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე დემოგრაფიული სტატისტიკის, რეგიონული დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის და მოსახლეობის სტატისტიკის კურსების სწავლებისას.

სამეცნიერო რედაქტორი - პროფესორი სიმონ გელაშვილი
რეცენზენტები: ასოცირებული პროფესორი
მარინე (მაია) მინდორაშვილი
ასოცირებული პროფესორი თამაზ ზუბიაშვილი

საავტორო უფლებები დაცულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2025

ISBN 978-9941-36-405-1

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 7

თავი 1. შობადობა საბჭოთამდელ და საბჭოთა საქართველოში..... 9
1.1. შობადობა XIX საუკუნესა და XX საუკუნის პირველ ნახევარში.... 9
1.2. შობადობა 1959 -1990-იან წლებში 30
1.3. შობადობის ეთნიკური ასპექტები..... 35
1.4. დაბადებულთა განაწილება მამის და დედის დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური ნიშნების მიხედვით (ასაკი, ქორწინებითი მდგომარეობა, განათლება, შრომის ხასიათი)..... 39

თავი 2. შობადობა პოსტსაბჭოთა საქართველოში 46
2.1. შობადობის დონე და დინამიკა 46
2.2. შობადობის დონის საინდექსო ანალიზი 54
2.3. საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის რეპროდუქციული და ქორწინებითი განწყობა..... 58

თავი 3. შობადობის რეგიონული ასპექტები 91
3.1. შობადობა რეგიონების მიხედვით 1995-2020 წლებში..... 91
3.2. შობადობა საქართველოში მუნიციპალიტეტების მიხედვით 95
აჭარის რეგიონი 97
გურიის რეგიონი 99
იმერეთის რეგიონი 100
კახეთის რეგიონი 102
მცხეთა-მთიანეთის რეგიონი..... 104
რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონი 104
სამეგრელოს და ზემო სვანეთის რეგიონი 105
სამცხე-ჯავახეთის რეგიონი..... 105
ქვემო ქართლის რეგიონი 107
შიდა ქართლის რეგიონი 111
3.3. შობადობის სხვა მახასიათებლები რეგიონების მიხედვით 111

თავი 4. საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით 118
4.1. საქართველოს რეგიონების მოსახლეობა მე-19 საუკუნეში 118
4.2. საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა მე-20 საუკუნის დასაწყისიდან 1959 წლის ჩათვლით 124

4.4. საქართველოს ისტორიული კუთხეების მოსახლეობა 1970-1989 წლებში 131
4.5. საქართველოს მოსახლეობის განაწილება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით 1995-2020 წლებში 134
4.6. ნასოფლარები, გაუკაცრიელებული, პატარა და დიდი სოფლები საქართველოს რეგიონების მიხედვით 139
4.6.1. ნასოფლარები 139
4.6.2. გაუკაცრიელებული სოფლები 140
4.6.3. პატარა სოფლები 143
4.6.4. დიდი სოფლები 145

თავი 5. თბილისის დემოგრაფია 147
5.1. შობადობის დონე და დინამიკა 147
5.2. თბილისის მოსახლეობა საბჭოთამდელ და საბჭოთა პერიოდში 150
5.3. თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობა პოსტსაბჭოთა საქართველოში 154

დ ა ს კ ვ ნ ა 157
საბჭოთამდელი და საბჭოთა საქართველო 157
პოსტსაბჭოთა საქართველო 159
სტუდენტთა რეპროდუქციული და ქორწინებითი განწყობა 161
შობადობა რეგიონების მიხედვით 164
მოსახლეობის რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით 165

გამოყენებული ლიტერატურა 166

დანართი 169

შ ე ს ა ვ ა ლ ი

შობადობა მოსახლეობის ზრდის მთავარ კომპონენტს წარმოადგენს. მასზე დამოკიდებულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობა და ქვეყნის დემოგრაფიული უსაფრთხოება. ისტორიულად, შობადობის დონე საქართველოში ევროპის რიგ და მეზობელ ქვეყნებთან შედარებით დაბალი იყო, მაგრამ უფრო დაბალი იყო მოკვდაობის დონე, რის შედეგად მოსახლეობის ბუნებრივი მატებით საქართველო მათ არ ჩამორჩებოდა. საქართველოს მოსახლეობას ახასიათებდა აღწარმოების უფრო ეკონომიური რეჟიმი.

საქართველოში შობადობის სტატისტიკური მონაცემები გაგვაჩნია მე-19 საუკუნის პირველი ნახევრიდან, ხოლო ამავე საუკუნის მეორე ნახევრიდან ინფორმაცია შედარებით სრული და საიმედო ხდება, რაც ამ პერიოდისთვის შობადობის დონის მეცნიერული შესწავლის საშუალებას იძლევა. სტატისტიკური ინფორმაცია დემოგრაფიული პროცესების შესახებ საკმაოდ ღარიბია მე-20 საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევრამდე. საიმედო და დეტალური სტატისტიკა დემოგრაფიული პროცესების შესახებ გაგვაჩნია მოსახლეობის 1959 წლის აღწერის შემდეგ, როდესაც დაიწყო დემოგრაფიული მაჩვენებლების სისტემატური გაანგარიშება და გამოქვეყნება სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში.

არსებული სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზე შობადობის დონე და დინამიკა შესწავლილია მე-19 საუკუნის 20-იანი წლებიდან დღემდე, ისტორიული ეტაპების შესაბამისად. აღნიშნული ეტაპები შეიძლება დავყოთ სამ პერიოდად: საბჭოთამდელი, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდი, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან სოციალურ-ეკონომიკური იდეოლოგიით და მისგან გამომდინარე სტატისტიკური მიდგომებით, რაც გათვალისწინებულია კვლევის პროცესში.

შობადობის მკვეთრი შემცირება საქართველოში დაიწყო 1960-იანი წლებიდან. შობადობის შემცირების პირობებში გაიზარდა დაბადებულებში პირველი და მეორე, იმავდროულად შემცირდა მესამე და მეტი რიგის ბავშვების ხვედრიწილი. შობადობის დონე გაიზარდა 15-24 და შემცირდა 25-49 წლის ასაკობრივ ჯგუფებში. შემცირდა დედების საშუალო ასაკი ბავშვის დაბადებისას. შობადობის დონე უფრო მეტად შემცირდებოდა, რომ არა ეროვნული ფაქტორის გავლენა.

შობადობის დონის შემცირების მიუხედავად, საბჭოთა ეპოქის დასასრულს შობადობის დონე საქართველოში უზრუნველყოფდა მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას. პოსტსაბჭოთა საქართველოში

წარმოშობილ საყოველთაო კრიზისს მოჰყვა დემოგრაფიული კრიზისი, რომელიც გამოიხატა შობადობის კატასტროფულ შემცირებაში შეკვეცილი აღწარმოების დონემდე და მოსახლეობის არნახულ ემიგრაციაში, რომელიც თავისთავად კიდევ უფრო ამცირებდა შობადობის დონეს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის დისბალანსის საშუალებით-.პრობლემისაქტუალობიდანგამომდინარე,მიზნად დავისახეთ შობადობისრაოდენობრივ-სტატისტიკური შესწავლა ისტორიულ ჭრილში. მოცემულ საკითხს ამა თუ იმ კუთხით შეეხო ქართველ მეცნიერთა არაერთი თაობა, რომელთა ნაშრომებსაც შევხვდებით ტექსტში. ჩვენი მიზანი იყო ამ კუთხით გაწეული ჩვენი მრავალი წლის შრომის სისტემატიზაცია, პოსტსაბჭოთა პერიოდში შობადობის არაორდინარული ტენდენციების გამოვლენა-ანალიზი. ნაშრომი ეყრდნობა სტატისტიკურ ინფორმაციას და კვლევის სტატისტიკურ მეთოდებს. აქ შევხვდებით ისეთ საკითხებს, რომელიც ჩვენს მიერ პირველადაა შესწავლილი საქართველოში. მაგალითად, შობადობის შესწავლა განათლების, შრომის ხასიათის, ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით, დაბადებულთა განაწილება კაცების ასაკის მიხედვით, შობადობის დონეები მუნიციპალიტეტების მიხედვით. კვლევა მთლიანად, სტუდენტების რეპროდუქციული განწყობის ანალიზის გარდა, ეყრდნობა ოფიციალურ სტატისტიკურ ინფორმაციას.

დაბადებულთა რეგისტრაცია ეროვნების მიხედვით სტატისტიკური აღრიცხვის პროგრამიდან 1990-იანი წლების შემდეგ ამოღებულია და შობადობის შესწავლა ამ კუთხით შეუძლებელია. სამაგიეროდ, დღევანდელი სტატისტიკა შობადობის და მოკვდაობის რეგიონულ ჭრილში დეტალური შესწავლის საშუალებას იძლევა. რამდენადაც შობადობა ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობის ძირითადი კომპონენტია, საჭიროდ ჩავთვალეთ ქვეყნის და მისი რეგიონების, მათ შორის თბილისის, მოსახლეობის რიცხოვნობის სტატისტიკური ანალიზი.

თავი 1. შობადობა საბჭოთამდელ და საბჭოთა საქართველოში

1.1. შობადობა XIX საუკუნესა და XX საუკუნის პირველ ნახევარში

წარსულში, საუკუნეების განმავლობაში, შობადობის დონე განისაზღვრებოდა ქალის ბიოლოგიური შესაძლებლობებით და დაქვრივების დონით[1]. ბავშვთაშობის საშუალო ბიოლოგიურ შესაძლებლობად, ე. ი. ნაყოფიერებად, მიჩნეულია 10-12 ცოცხლადდაბადება ან 12-15 ფეხმძიმობა მთელი ფერტილური პერიოდის მანძილზე[2].

ვარაუდობენ, რომ თუ ნაყოფიერების გამოვლენის საუკეთესო პირობები შეიქმნება, შობადობის ზოგადმა კოეფიციენტმა შეიძლება 100-105‰ მიაღწიოს, თუმცა, დღემდე შემჩნეული არაა, რომ რომელიმე ქვეყანაში შობადობის დონეს 60-70‰-სთვის გადაეჭარბებინოს. აღსანიშნავია, რომ რამდენადაც ნაყოფიერების დონე განისაზღვრება ადამიანის ჯანმრთელობის დონით, არავითარი საფუძველი არ გვაქვს ვამტკიცოთ ნაყოფიერების მაღალი დონის არსებობა წარსულში დღევანდელთან შედარებით. სხვა საკითხია ნაყოფიერების უფრო სრული რეალიზაციისთვის საჭირო პირობების არსებობა წარსულში, რაც შობადობის მაღალ დონეს განსაზღვრავდა.

უპირველეს ყოვლისა, შობადობის მაღალი დონე წარმოადგენდა რეაქციას მოკვდაობის და, კერძოდ, ბავშვთა მოკვდაობის მაღალ დონეზე. ღარიბ მოსახლეობაზე რაღა უნდა ითქვას, როდესაც ცნობილია, რომ **იოჰან სებასტიან ბახს (1685-1750)** ჰყავდა 20 შვილი, რომელთაგან ცოცხალი დარჩა მხოლოდ 10. ინგლისის **დედოფალ ანას (1665-1714)** ეყოლა 17 შვილი, რომელთაგან მხოლოდ ერთმა ვაჟიშვილმა გადააბიჯა ერთ წელს და ისიც 17 წლის ასაკში გარდაიცვალა. შობადობის მაღალი დონის მიუხედავად, მოუსავლიანობა, ომები, შიმშილი, ეპიდემიები, იწვევდა ისეთ მაღალ მოკვდაობას, რომ შობადობის შედეგი მინიმუმამდე დაჰყავდა. განსაკუთრებით მრავალი ადამიანის სიცოცხლე

---

[1] ამ პროცესის თანამედროვე გაგებით, შობადობის რეგულირება იწყება მე-18 საუკუნის დასასრულს. პირველად ის გავრცელდა საფრანგეთში. შემდეგ, თანდათანობით, უმთავრესად მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, გავრცელდა სხვა ქვეყნებშიც.

[2] Демографический энциклопедический словарь. Москва, 1985, с. 329.

ეწირებოდა ეპიდემიებს. შავი ჭირის ეპიდემიამ ევროპაში 1348-1350 წწ. შეიწირა 25-30 მილიონი ადამიანი, ე. ი. იმდროინდელი მოსახლეობის დაახლოებით 30%. მთელი მოსახლეობის, მათ შორის ბავშვთა და, განსაკუთრებით, ჩვილთა მოკვდაობა ასევე მაღალი რჩება მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც. მე-19 საუკუნის მიწურულს მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი ევროპის ქვეყნების უმეტესობაში 22-25‰-ს აღემატებოდა, ხოლო რუსეთის ევროპულ ნაწილში, უნგრეთში, სერბეთში, სლოვაკეთში 40-50,0‰-ს ფარგლებში მერყეობდა. ამავე პერიოდში, ჩვილთა მოკვდაობა 116,0‰-დან (ნორვეგიაში) მერყეობდა 372,2‰-მდე (ბავარიაში).ამავე წლებში თბილისის გუბერნიაში ეს მაჩვენებელი აღწევდა 221,6‰-ს. 1890-იან წლებში ევროპის ქვეყნებში ყოველი 100 დაბადებულიდან 5 წლის ასაკამდე ჩათვლით ვერ აღწევდა: ნორვეგიასა და ირლანდიაში 20-მდე, ბელგიაში, ინგლისში, შოტლანდიაში, ელზას-ლოტარინგიაში, შვეიცარიაში, შვედეთში 20-30-მდე, იტალიაში, ავსტრიაში, სლოვაკეთში, პრუსიაში, ბავარიაში, საქსონიაში, ტიურინგიაში, ბადენში, ევროპულ რუსეთში 30-42-მდე. შედარებისთვის აღვნიშნავთ, რომ თბილისის გუბერნიაში აღნიშნული მაჩვენებელი 19-ს არ აღემატებოდა[3], რაც იმ დროისათვის საქართველოში შობადობის შედარებით დაბალი დონის არსებობის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენდა.

სავარაუდოდ, მე-XIX საუკუნის ბოლოსათვის მშობლების საშუალო ასაკი 30 წელს აღწევდა. ამასთან აღმოჩნდა, რომ რუსეთის ევროპულ ნაწილში 30 წლამდე ვერ აღწევდა დაბადებულთა 53,0%, საფრანგეთში, შვეიცარიაში, შვედეთში, ნორვეგიაში, დანიაში, ირლანდიაში, ისლანდიაში 40-45,0%-მდე, ხოლო დანარჩენ ქვეყნებში იგი 50-60 და ზოგან 65,0%-ს აღემატებოდა. თბილისის გუბერნიაში 1875-1879 წლებში ყოველი 100 გარდაცვლილიდან 57% იყო 30 წლამდე ასაკში[4]. ამ მაჩვენებლიდან ჩანს, რომ თუ მშობლებს უნდოდათ გაეზარდათ შვილების გარკვეული რაოდენობა, საჭირო იყო მასზე სულ ცოტა ორჯერ მეტი გაეჩინათ. აქ ლაპარაკია მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარზე და, რა თქმა უნდა, წინა პერიოდში პროპორციაც უარესი იქნებოდა.

დემოგრაფიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ წარსულში ოჯახები იყვნენ არა იმდენად მრავალშვილიანები, თუმცა ბევრ შვილს აჩენდნენ, ხოლო ოჯახის საშუალო ზომა დიდად არ განსხვავდებოდა თანამედროვე ოჯახისაგან[5]. ა. ვიშნევსკის აზრით, შედარებით ახლო პერიოდამდე მრავალშვილიანი ოჯახები დიდ იშვიათობას წარმოად-

---

[3] Сборник сведений о Кавказе. Т. IX, Тифлис, 1885, с. 365, 375, 385.
[4] Сборник сведений о Кавказе. Т. IX, Тифлис, 1885, с. 378
[5] А. Я. Кваша. Популярная Демография. М., 1977, с. 10.

გენდნენ. ყოველთვის ეჩვენებოდათ, რომ წარსულში მოსახლეობა ცხოვრობდა ოქროს დემოგრაფიულ საუკუნეში, ოჯახები იყვნენ მრავალშვილიანები და მხოლოდ უახლოეს დროში, „ჩვენს დროში“, ადამიანები ,,გაფუჭდნენ“, რამაც მიგვიყვანა მცირეშვილიანობამდე. მასვე მოჰყავს მრავალი მონაცემი იმის შესახებ, რომ XIV-XVIII საუკუნეებში ევროპის ქვეყნებში გავრცელებული იყო საშუალოდ 1-2 შვილიანი ოჯახი[6]. შობადობის მაღალი დონე და შვილების დიდი რიცხვის ყოლა ოჯახში საჭირო იყო მშობლების სიბერის უზრუნველსაყოფად. მაღალ შობადობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ოჯახის ეკონომიკური ფუნქცია. წარსულის ოჯახები წარმოადგენდნენ როგორც მომხმარებელ, ისე მწარმოებელ ოჯახებს. საწარმოო ფუნქცია გულისხმობდა მწარმოებელი კოლექტივის არსებობას, რომლის როლშიც ოჯახის წევრები გამოდიოდნენ. აღნიშნულ კოლექტივში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდათ ბავშვებს, რომლების შრომაც აგრარული მეურნეობის პირობებში ფართოდ გამოიყენებოდა. მოგვიანებით ბავშვების შრომის ფართოდ გამოყენებას ადგილი ჰქონდა აგრეთვე მანუფაქტურებში და, საერთოდ, კაპიტალიზმის განვითარების საწყის ეტაპზე. იგი ბავშვთა სამუშაო ძალის მკაცრი ექსპლუატაციის სახეს ატარებდა.

რამდენადაც შობადობის მაღალი დონე წარმოადგენდა რეაქციას მოკვდაობის მაღალ დონეზე, ამ უკანასკნელის შემცირებას მოჰყვა შობადობის შემცირება. თავისთავად, მოკვდაობის დონის შემცირება გამოიწვია საზოგადოების პროგრესმა. ჯერ ერთი, ეკონომიკის განვითარებამ კაპიტალიზმის ეპოქაში ევროპის სახელმწიფოებს საშუალება მისცა ეროვნული შემოსავლიდან გარკვეული სახსრები გამოეყოთ ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისთვის. ვაქცინებისა და აცრების მასობრივად გავრცელებამ, რომელიც დაამუშავა ინგლისელმა ინჟინერმა **ედვარდ ჯენნერმა (1749-1823),** გამოიწვია მასობრივი ეპიდემიებით გამოწვეული მოკვდაობის მკვეთრი შემცირება. უკვე 1890 წლიდან ევროპაში ყვავილის ეპიდემია მინიმუმამდე შემცირდა. მსოფლიოში ყვავილის ბოლო შემთხვევა გაეროს მიერ დაფიქსირდა 1980 წელს. ამ მიმართულებით დადებითი როლი ითამაშა ქალაქების სანიტარულმა მოწყობამაც.

სოფლის მეურნეობის განვითარებამ და მოსავლიანობის ზრდამ მოხსნა მასობრივი შიმშილობის საფრთხე. ამ საკითხში განსაკუთრებული როლი ითამაშა ევროპაში

---

[6] А.Г.Вишневский. Демографическая революция. М., 1976, с.217-219.

ამერიკიდან შემოტანილი მაღალმოსავლიანი კულტურების გავრცელებამ[7]. მე-20 საუკუნის მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ფრანგი ისტორიკოსის ფ. ბროდელის აზრით, ამ ახალ კულტურებს კარი პირველად გაუღეს ღარიბმა ოჯახებმა, ხოლო დემოგრაფიულმა ზრდამ ისინი აუცილებლობად აქცია. ამასთან, აღნიშნავს იგი, თუ მსოფლიოს მოსახლეობამ შეძლო ზრდა, ხომ არ მოხდა ეს გარკვეულწილად სურსათის წარმოების მატების ხარჯზე, ახალი კულტურების საშუალებით?[8] დიდ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით, ფ. ბროდელი ასკვნის, რომ ევროპაში მე-XVIII საუკუნეში კვების საკითხში მოხდა ნამდვილი რევოლუცია (თუმცა მის დამთავრებას დასჭირდა დაახლოებით ორი საუკუნე)[9].

ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევით, „სიმინდის კულტურა სამეგრელოში მე-XVII საუკუნის დამდეგში უნდა იყოს შემოსული. ამ საუკუნის პირველი ნახევრისათვის სიმინდს სასოფლო მეურნეობაში იქაც კი მცირედი მნიშვნელობა ჰქონია და მხოლოდ მეორე ნახევრიდან თანდათან დასავლეთ საქართველოში ამ მცენარეს ფართო ასპარეზი დაუპყრია, აღმ. საქართველოში - კი მე-XVIII საუკუნის პირველ ნახევრამდეც მიწისმოქმედის ყურადღება ვერ დაუმსახურებია“.[10] ივ. ჯავახიშვილისავე გამოკვლევით, საქართველოში, მე-XIII-XV საუკუნეებში, იტალიიდან გავრცელებულა კომბოსტოს ერთ-ერთი სახესხვაობა, ხოლო ლობიო პირველად გავრცელდა სამეგრელოში მაინც, თუ დასავლეთ საქართველოში არა, მე-XVII საუკუნეში, ხოლო მე-XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ლობიოს მოყვანა მთელ საქართველოში იყო გავრცელებული[11].

---

7 სიმინდი ესპანეთში შემოიტანეს მე-XVI საუკუნის 20-იან წლებში. შემდეგ იგი გავრცელდა საფრანგეთში, იტალიაში, უნგრეთში. აქედან მან შეაღწია ბალკანეთში, უკრაინაში, მცირე აზიაში და ჩრდილოეთ აფრიკაში. სიმინდის ნათესებს ყველა ამ ქვეყნისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. კარტოფილი ევროპაში გავრცელდა XVI საუკუნის ბოლოს (1588 წ.) ჯერ ირლანდიაში, შემდეგ საფრანგეთში, გერმანიაში და სხვ. ამერიკის კონტინენტს უნდა უმადლოდეს მსოფლიო ისეთ კულტურებს, როგორიცაა: კარტოფილი, სიმინდი, გოგრა, პამიდორი, კაკაო, ლობიო, ბამბეული და სხვა, დაახლოებით 40-მდე სახეობის სასარგებლო მცენარეულობას. იხ: В. Виргинскии. Очерки истории науки и техники XVI-XIX веков. М., 1984, с. 48-49.

8 Ф. Бродель. Материальная цивилизация, Экономика и капитализм XV-XVIII вв. Пер. с французского. Т. I. М., 1986, с. 180.

9 Ф. Бродель. Указ. Соч. ... с. 188.

10 იხ.: ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგნი პირველი, ტფილისი, 1930, გვ. 362-363.

11 ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგნი მეორე. ტფილისი, 1934, გვ. 117.

საზოგადოებრივმა პროგრესმა, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის განვითარებამ, შვილების, როგორც მშობლების სიბერის უზრუნველყოფის გარანტის როლი, მინიმუმამდე შეამცირა. შეიცვალა ოჯახის ფუნქცია. მისმა მწარმოებლურმა ფუნქციამ გარკვეულად დაკარგა მნიშვნელობა და გაიზარდა მომხმარებლის ფუნქცია. წარმოების ტექნიკური აღჭურვილობის ზრდამ შეზღუდა ბავშვთა არაკვალიფიციური შრომის გამოყენების სფერო და ბავშვი ოჯახში მწარმოებლიდან მომხმარებლად იქცა. ამასთან ერთად, ევროპის ქვეყნებში პროგრესული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ზეწოლით უკვე 1900-იანი წლებიდან კანონით აიკრძალა 14 წლამდე ასაკის ბავშვთა შრომა. ბავშვებმა მიიღეს ბავშვობა. ამის შედეგად ოჯახში ბავშვთაშობის შეზღუდვამ სხვებთან ერთად ეკონომიკური გამართლებაც ჰპოვა.

მსოფლიოში დემოგრაფიული განვითარების შედეგად მრავალშვილიანობიდან საშუალოშვილიანობაზე გადასვლა კანონზომიერი მოვლენაა. მაგრამ ახლა მრავალ ქვეყანაში უკვე მიმდინარეობს გადასვლა მცირეშვილიან (1-2 შვილით) ოჯახებზე, რაც დეპოპულაციის საფრთხეს ქმნის. აღნიშნულ დინამიკას განაპირობებს შობადობაზე მოქმედი მრავალი ფაქტორი, რომელთაგან ზოგიერთი მეტად ამოუცნობი, წინააღმდეგობით სავსე ბუნებით ხასიათდება, თუმცა, ერთი შეხედვით საკმაოდ მარტივად ასახსნელი ჩანს.

ზემოაღნიშნული, პირველ რიგში, შეეხება შობადობის დონისა და მატერიალური კეთილდღეობის ურთიერთკავშირს. საბჭოთა დემოგრაფიულ ლიტერატურაში გავრცელებული იყო უტოპიური შეხედულება[12], რომ სოციალიზმი უზრუნველყოფს კაპიტალიზმთან შედარებით ხალხის კეთილდღეობის განუხრელ ზრდას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს შობადობის მაღალ დონეს კაპიტალიზმთან შედარებით. ამ თეორიამ კრახი განიცადა 1960-იანი წლებიდან შობადობის სისტემატური შემცირების შედეგად. ამასთან, როგორც საზღვარგარეთ, ისე საბჭოთა კავშირში ჩატარებული გამოკვლევებით აღმოჩნდა, რომ ოჯახში შვილების რაოდენობა მით უფრო ნაკლებია, რაც უფრო მაღალია ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფა. ამას დემოგრაფები უწოდებენ „უკუდამოკიდებულების პარადოქსს“. არაფრით არ შეიძლება დავამტკიცოთ, აღნიშნავდა ა. ა. ბოიარსკი, რომ თუ ადამიანები იწყებენ უკეთეს ცხოვრებას, სარგებლობენ უკეთესი საცხოვრებლით, უკეთესი კვებით და სხვა პირობებით, ამან აუცილებლად უნდა მიგვიყვანოს შობადობის შემცირებამდე. ლიტერატურაში არსებული ასეთი ცდები ატარებენ წმინდა სპეკულაციურ ხასიათს. კეთილდეობის ზრდა თავისთავად არ

[12] Вопросы марксистско-ленинской теории народонаселения. М., МГУ, 1969, с. 55.

იწვევს შობადობის შემცირებას[13]. საბჭოთა (რუსმა) დემოგრაფებმა სცადეს ამ პარადოქსის ახსნა. მართალია, იზრდება მატერიალური კეთილდღეობა, მაგრამ იზრდება უფრო დაბალი ტემპებით, ვიდრე მოთხოვნილებები. შესაბამისად, იზრდება სხვაობა მოთხოვნილებებსა და მათ დაკმაყოფილებას შორის, რაც ხელს უწყობს შობადობის შემცირებას[14]. ასეთ კონცეფციას შეიძლება დავეთანხმოთ, რომ არა შემდეგი გარემოება: ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, სადაც მოთხოვნილება და მისი დაკმაყოფილება მაქსიმალურად უახლოვდება ერთმანეთს, რატომაა შობადობა დაბალი?

შობადობის დონეზე მოქმედებს აგრეთვე შემდეგი ფაქტორები: ურბანიზაცია, სოციალური კუთვნილება, ქალის დასაქმება საზოგადოებრივი შრომით, განათლების დონე, ეთნიკური და რელიგიური კუთვნილება. დღეისათვის შობადობის დონეზე მოქმედი ფაქტორთა კომპლექსი განაპირობებს შობადობის დონის შემცირებას. ამასთან, არ გვაქვს ჩამოყალიბებული თეორია შობადობის ზრდის ფაქტორების შესახებ. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ მცირდება არა „ბავშვების ყოლის მოთხოვნილება“ საერთოდ, არამედ მოთხოვნილება მათ შედარებით დიდ რიცხვზე. „ბავშვების ყოლის მოთხოვნილებას“ სრულიად აკმაყოფილებს ოჯახში საშუალოდ ორი და ერთი შვილიც კი. სწორედ აქ წამოიჭრება წინაამდეგობა ოჯახსა და საზოგადოებას შორის, რამდენადაც ერთ და ორშვილიანი საშუალო ოჯახი ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას.

საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების ისტორიული ანალიზი უკავშირდება მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მიმდინარე სტატისტიკის არსებობას. წარსულში, როგორც ევროპის ქვეყნებში, ისე საქართველოში, მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის აღრიცხვას აწარმოებდა „საეკლესიო სტატისტიკა“. ქ. თბილისის მოსახლეობის შობადობისა და მოკვდაობის შესახებ სტატისტიკური მასალები საქართველოში პირველად გამოქვეყნდა 1845 წელს[15]. აღნიშნულმა თარიღმა საქართველოს დემოგრაფიული სტატისტიკის ისტორიაში უნდა დაიკავოს თავისი ღირსეული ადგილი. სტატისტიკური მონაცემები მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შესახებ მთელი 1845-1860 წლების განმავლობა-

---

[13] А. Я. Боярский. Население и методы его изучения. М., 1975, с. 25.

[14] А.И.Антонов. Социология рождаемости. М.,1980,с.13-25; Б.Ц.Урланис. Динамика рождаемости в СССР. В кн.: „Изучение воспроизводства населения и трудовых ресурсов“. М., „Наука “, 1976, с. 27-28.

[15] Кавказский календарь на 1846 г. Тифлис, 1845, с. 152. პროფ. ა. თოთაძის მონაცემებით, პირველი სტატისტიკური მასალა საქართველოში მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შესახებ 1847 წლით თარიღდება. იხ.: ა. თოთაძე. საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი. თბ., 1993, გვ. 18.

ში ქვეყნდებოდა მხოლოდ ქ. თბილისზე. 1860 წლიდან ქვეყნდება მასალები თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების მიხედვით. კავკასიის კალენდარი, რომელიც ყოველწლიურად გამოდიოდა 1845-1917 წლებში, იმდროინდელი სტატისტიკის ერთ-ერთი მიმართულების - „სახელმწიფოსმცოდნეობის“ - ტიპური წარმომადგენელია. იგი სახელმწიფოს მდგომარეობის მახასიათებელ მრავალ მონაცემთან ერთად, მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მონაცემებსაც შეიცავს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით. დადებითია ის, რომ მასში გამოქვეყნებულია საქართველოს დემოგრაფიული ისტორიის შესასწავლი უნიკალური მასალა. უარყოფითი კი ისაა, რომ რიგ შემთხვევებში იგრძნობა შობადობისა და მოკვდაობის აღურიცხაობა, ხოლო ხშირად გამოქვეყნებული მასალა წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. მაგალითად, სხვადასხვა კრებულში გამოქვეყნებული ერთი და იგივე წლის მონაცემები ერთმანეთისგან განსხვავდება. კერძოდ, 1914 და 1915 წლების კავკასიის კალენდარში გამოქვეყნდა 1914 წლის მონაცემები კავკასიის მოსახლეობის შობადობისა და მოკვდაობის შესახებ გუბერნიების მიხედვით, სადაც არცერთი მონაცემი ერთმანეთს არ ემთხვევა. ეს მონაცემები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

ცხრილი 1

ბუნებრივი მოძრაობა სამხრეთ კავკასიის გუბერნიებში 1914 წელს[16]

	1914 წლის კალენდრით		1915 წლის კალენდრით	
	დაიბადა	გარდაიცვალა	დაიბადა	გარდაიცვალა
თბილისის გუბერნია	43211	23131	44306	24338
ქუთაისის გუბერნია	24485	12201	23530	13352
ბაქოს გუბერნია	21122	15108	20322	14405
ერევნის გუბერნია	31898	17160	36238	23500

ამიტომ, აღნიშნული მონაცემებით კვლევის ობიექტის დახასიათება, მათი წინასწარი კრიტიკული ანალიზის გარეშე არ შეიძლება. კავკასიის კალენდარი საქართველოს ისტორიული დემოგრაფიის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. განსაკუთრებით უნდა

აღვნიშნოთ ამ კრებულის რედაქტორების - ნ. ზეიდლიცისა და ე. კონდრატენკოს ღვაწლი, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში, მე-XIX-

[16] Кавказский календарь на 1915 г. Тифлис, 1914. С. 215-217. Кавказский календарь на 1916 г. Тифлис, 1915. С. 38-39.

საუკუნის ბოლო მეოთხედსა და მე-XX საუკუნის დასაწყისში, ხელმძღვანელობდნენ კრებულის გამოცემას.

ცხადია, რომ გამოქვეყნებული მასალები ასახავდა მაშინდელი საეკლესიო სტატისტიკის ნაკლოვანებებს. ჯერ ერთი, საქართველოსა და ამიერკავკასიაში მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შემთხვევების რეგისტრაციას 1873 წლამდე აწარმოებდა მხოლოდ ქრისტიანული ეკლესია. რუსეთის იმპერატორის 1873 წლის 5 აპრილის (ძვ. სტ.) ბრძანებულებით შექმნილ ამიერკავკასიის მუსულმანური სამღვდელოების მმართველობას დაეკისრა ჩანაწერების წარმოება ამიერკავკასიის მუსულმანურ მოსახლეობაშიც. მეორე, ეკლესიების მიერ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შემთხვევების აღრიცხვა სამეტრიკო წიგნებით საქართველოში გრძელდებოდა 1921 წლამდე, საქართველოს გასაბჭოებამდე. ისე როგორც ყველგან, „საეკლესიო სტატისტიკის“ ნაკლს საქართველოშიც წარმოადგენდა ბუნებრივი მოძრაობის შემთხვევების არასრული აღრიცხვა. ეკლესია აღრიცხავდა არა დაბადებისა და გარდაცვალების, არამედ ნათლობისა და გარდაცვალებულისთვის წესის აგების ფაქტს. აღნიშნული გარემოების გამო აღრიცხვის გარეშე რჩებოდა მკვდრადდაბადების, ნათლობამდე გარდაცვალების და არაქრისტიანული წესით დაკრძალვის შემთხვევები. ასეთი მდგომარეობა დაფიქსირებულია იმდროინდელ ლიტერატურაშიც, სადაც აღნიშნულია, რომ კავკასიაში ყველაზე კარგი ცნობები მიღებულია ლუთერანული და მართლმადიდებელი სასულიერო წოდებისგან, ნაკლებად ზუსტი - სომეხ და შემდეგ მუსულმანური სასულიერო წოდებისგან. რუსმა სექტანტებმა (მოლოკნები, დუხობორები და სხვა) არ წარმოადგინეს არავითარი ჩანაწერები დაბადების, სიკვდილისა და ქორწინების შემთხვევების შესახებ. უკანასკნელი მდგომარეობა საშუალებას არ იძლევა შედგეს ზუსტი სურათი ამიერკავკასიის სოფლის რუსი მოსახლეობის მოძრაობის შესახებ, რომელიც შედგება მხოლოდ სექტანტებისგან. გარდა ამისა, აღნიშნულ უზუსტობას ხელს უწყობდა ხარვეზები სტატისტიკური ორგანოების საქმიანობაში, ხშირი ომები და მოსახლეობის მიგრაციის მაღალი ინტენსივობა.[17] დარწმუნებული ვართ, რომ სრულად აღირიცხებოდა ქორწინების შემთხვევები, რამდენადაც არსებული საზოგადოებრივი ინსტიტუტი ქორწინების მკაცრ რეგლამენტაციას აწესებდა. დემოგრაფიული შემთხვევების საეკლესიო აღრიცხვის პირველი საკანონმდებლო რეგლამენტირება მოხდა 1563 წელს ტრიდენ-

[17] Сборник сведений о Кавказе. Т. IX, Тифлис, 1885. წინასიტყვაობა ეკუთვნის კავკასიის სტატისტიკური კომიტეტის მთავარ რედაქტორს ნ. ზეიდლიცს, რომელიც ტომის რედაქტორიცაა.

ტის საეკლესიო კრებაზე. ამასთან, შვედეთმა 1686 წლის საეკლესიო კანონით პირველმა შემოიღო საეკლესიო სამეტრიკო სამრევლო წიგნები. „მეტრ“ ბერძნულად ნიშნავს ზომას. გადატანითი მნიშვნელობით, სამეტრიკო წიგნი არის დემოგრაფიული პროცესების გაზომვის, აღრიცხვის წიგნი. საქართველოში, დიდი ხნის განმავლობაში, ხალხი დაბადების მოწმობას „მეტრიკას“ უწოდებდა.

უინტერესო არ იქნება შევეხოთ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შემთხვევების აღრიცხვის პროგრამას. ამ მიზნით ჩვენ მოვიპოვეთ მასალები თელავის მაზრის 1901 წლის სამეტრიკო წიგნიდან, რომელიც ინახებოდა ქ. თელავის მმაჩის განყოფილების არქივში. სამეტრიკო წიგნის თანახმად, დაბადებულისთვის აღირიცხებოდა: სქესი, დაბადების თვე დადღე, ნათლისღების თვე და დღე, მშობლების წოდება, სახელი, მამის სახელი და სარწმუნოება, მიმრქმელთა წოდება, სახელი, მამის სახელი და გვარი. გარდაცვალებულისთვის აღირიცხებოდა: სქესი, ასაკი, გარდაცვალებისა და დაკრძალვის თარიღი, წოდება, გვარი დასახელი, სიკვდილის მიზეზი. სიკვდილის მიზეზებიდან უფრო ხშირად რეგისტრირებულია: ანთება, გაციება, ჭლექი, ხუნაგი, სიბერით სიკვდილი. სიბერით გარდაცვლილად, როგორც მასალებიდან ჩანს, თვლიდნენ გარდაცვლილებს 80 წლის და უფროს ასაკში. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რაოდენ „ზუსტი“ იქნებოდა გარდაცვალების მიზეზების დადგენა მღვდლების მიერ, რომლებიც აწარმოებდნენ სამეტრიკო წიგნებს. ქორწინების რეგისტრაციის პროგრამა მოიცავდა ქორწინების თვეს და დღეს, წოდებას, გვარს, სახელს, მამის სახელს, ქორწინება პირველია თუ მეორე, მექორწინეთა ასაკს. განქორწინების შემთხვევის რეგისტრაციის ფაქტი არ შეგვხვედრია. ქორწინების შეწყვეტა, როგორც ჩანს, ხდებოდა ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში. ჩვენი საერთო შეფასებით, მე-XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-XX საუკუნის დასაწყისის სტატისტიკა საქართველოში უფრო სცოდავდა აღრიცხვის სიზუსტის და მასალების დამუშავების პროგრამის, ვიდრე აღრიცხვის პროგრამის სრულყოფის საკითხში.

საქართველოს ისტორიული დემოგრაფიის ძეგლებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას

იმსახურებს „ცნობების კრებული კავკასიის შესახებ“, ტომი 9, თბილისი, 1885. ამ კრებულში მოთავსებულია 446-გვერდიანი ნაშრომი - „მოსახლეობის მოძრაობა ამიერკავკასიის მხარეში“, თბილისის გუბერნია.[18] მასში მოცემულია მასალები 1875-1879 წლების სამეტრიკო წიგნებიდან.

[18] Сборник сведений о Кавказе. Т. IX, Тифлис, 1885.

ამ სტატისტიკური მასალის დამუშავება და ანალიზი ეკუთვნის ა. ნადეჟდინს, რომელიც მსახურობდა კავკასიის სტატისტიკურ კომიტეტში. მუშაობაში მას ეხმარებოდნენ ქართული, სომხური და თათრული ენის მცოდნე მთარგმნელები. ა. ნადეჟდინმა ჩინებულად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას და ქართულ ისტორიულ დემოგრაფიას დაუტოვა მე-XIX საუკუნის მეორე ნახევრის დემოგრაფიული პროცესების ამსახველი ბრწყინვალე სტატისტიკური მასალა და, იმავდროულად, ანალიზიც, რომლის მსგავსი ჩვენ, არც მანამდე და არც მის შემდეგ, თვით მე-XX საუკუნის 70-იან წლებამდე, საქართველოში არ მოგვეპოვებოდა. მხოლოდ 1968 წელს გამოვიდა ვ. ჯაოშვილის ფუნდამენტური მონოგრაფია - „საქართველოს მოსახლეობა“ (რუსულ ენაზე). საკადრისი უნდა მივუგოთ ა. ნადეჟდინს, რომელიც, ვ. პრისელკოვთან, ე. კონდრატენკოსთან და ნ. ზეიდლიცთან ერთად, საქართველოში მეცნიერული დემოგრაფიული გამოკვლევების პიონერებად გვევლინებიან. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ საქართველოში დემოგრაფიული მეცნიერების განვითარებაში ვ. პრისელკოვის ღვაწლი. რაც შეეხება ა. ნადეჟდინის ნაშრომს, მასში განხილულია მოსახლეობის რიცხოვნობა, ბუნებრივი, მიგრაციული მოძრაობა და ქორწინება სქესობრივ-ასაკობრივ, ეროვნულ და ტერიტორიულ ჭრილში. ამასთან, მასალების დამუშავების პროგრამა მეტად შინაარსიანი და, იმავდროულად, დეტალურიცაა. ა. ნადეჟდინის აღნიშნულ ნაშრომსა და კავკასიის კალენდრის მნიშვნელობას ხაზი იმიტომ გავუსვით, რომ ისინი წარმოადგენენ ძირითად წყაროს საქართველოში დემოგრაფიული პროცესების შესასწავლად მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში. კავკასიის კალენდრის ყველაზე ადრეული მონაცემებით, 1845 წელს თბილისში დაიბადა 1010 ბავშვი, ხოლო მოსახლეობა დაახლოებით 55 000-ს შეადგენდა[19]; 1849 წელს თბილისში დაიბადა 4940 ბავშვი, მოსახლეობამ კი მიაღწია დაახლოებით 50 000 კაცს[20]. გაანგარიშებით გამოდის, რომ შობადობის ზოგადმა კოეფიციენტმა თბილისში 1845 წელს 18,4‰, 1849 წელს კი 98,9‰ შეადგინა. შესაძლებელია რაღაც 5 წელიწადში შობადობის ასეთი გაზრდა? ან ასეთი საწყისი დაბალი დონე? მოსახლეობის რიცხვი შეიძლება მეტ-ნაკლებად სანდოდ ჩავთვალოთ. რა თქმა უნდა, სახეზეა არასრული სტატისტიკა. არასწორი აღრიცხვის კიდევ ერთი კონკრეტული ფაქტის შესახებ: გარკვეული პერიოდის მანძილზე მოსახლეობის

[19] Кавказский календарь на 1847 г. Тифлис, 1846, с. 156.
[20] Кавказский календарь на 1852 г. Тифлис, 1851, с. 454.

ბუნებრივი მოძრაობის შესახებ მონაცემებს საპოლიციო უწყება იძლეოდა. ამის შესახებ კავკასიის სტატისტიკური კომიტეტის მთავარი რედაქტორი ნ. ზეიდლიცი წერდა: ჩვენს სტატისტიკურ ცხრილში მოთავსებული მოსახლეობის ციფრები აღებულია კამერალური აღწერებიდან. ამ ციფრებს საპოლიციო ხელისუფლების მიერ მოწოდებულ ციფრებთან შედარებით უპირატესობას ვანიჭებთ, რადგან მათი ციფრები მეტნაკლებად მკითხაობაა[21]. მოგვიანებით საანალიზოდ დაიწყეს სამეტრიკო წიგნებიდან მოპოვებული მასალით სარგებლობა, რომელიც უფრო სანდოდ ითვლებოდა. ნ. ზეიდლიცის ცნობით, საქართველოში მოსახლეობის მოძრაობის პირველი ანალიზი სამეტრიკო ჩანაწერებზე დაყრდნობით - ეკუთვნის ე. ი. კონდრატენკოს, რომელმაც გააანალიზა გურჯაანის[22] და თბილისის გუბერნიების მოსახლეობა[23]. აღნიშნული გამოკვლევით, 1877 წელს შობადობის ზოგადი კოეფიციენტი სოფელ გურჯაანში 41,0‰-ს აღწევდა.

საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების ისტორიის შესწავლას ვიწყებდით 1850-იანი წლებიდან. ვ. ჯაოშვილის შრომების შედეგად, ისტორიის ამ სამანმა მთელი 30 წლით უკან გადაიწია. კერძოდ, მის მიერ აღმოჩენილი ერთი საარქივო დოკუმენტის თანახმად, შესაძლებელი გახდა შობადობის ზოგადი კოეფიციენტის გამოთვლა ქ. თბილისში 1820-იან წლებში, რომელმაც მისივე მონაცემებით, 40,0‰ შეადგინა, რაც საშუალებას გვაძლევს ვილაპარაკოთ ბავშვთაშობის შიგაოჯახურ რეგულირებაზე არა უგვიანეს XIX საუკუნის პირველი მეოთხედიდან (ევროპის ქვეყნების ანალოგიურ მონაცემებთან შედარების საფუძველზე). ვ. ჯაოშვილის გამოთვლით, შობადობის მაჩვენებელმა1827-1833 წლებისათვის[24] 27,0‰ შეადგინა, ხოლო ო. ევეცკის მონაცემებით (1830-იანი წლებისთვის) იგი 34,4‰-ს ტოლი იყო.[25] ჩვენი გამოთვლებით, 1844-1855 წლებში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი ქ. თბილისში 39,0‰-ს აღწევდა[26], რაც იმის დამადასტურებელია, რომ აღნიშნული

---

21 Сборник сведений о Кавказе. Т. IX. Тифлис, 1885. შესავალი.

22 Сборник сведений о Кавказе. Т. IV . Тифлис, 1878. შესავალი.

23 Сборник сведений о Кавказе. Т. VII. Тифлис, 1880. ამ კრებულის VI ტომში არის მონაცემები თბილისის მოსახლეობაზე 1876 წლის ერთდღიანი აღწერით. სულ 1871-1885 წლებში გამოვიდა ამ კრებულის 9 ტომი.

24 ვ. ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში. თბ., 1984. გვ. 74.

25 იქვე.

26 გაანგარიშებულია: Кавказский календарь на 1846 г. с.152; Кавказский календарь на 1847 г., с.156; Кавказский календарь на 1850 г. с. 91; Кавказский календарь на 1852 г. с. 454; Кавказский календарь на 1853 г., с. 392; Кавказский календарь на 1854 г. с.

მაჩვენებელი თბილისის გუბერნიასა და მთლიანად საქართველოში ოდნავ უფრო მეტი უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, შობადობის დონის მაჩვენებლად საქართველოში მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში 40,0‰ უნდა ვივარაუდოთ.

1850-იანი წლების შემდგომ თბილისის გუბერნიის მოსახლეობის შობადობის შესახებ კავკასიის კალენდარში მონაცემები გამოაქვეყნა ვ. პრისელკოვმა. მონაცემები იმითაცაა სანდო, რომ იგი ეკუთვნის 7 წელს (1857-1863 წწ.) და მათ საფუძველზე გაანგარიშებული საშუალო კოეფიციენტები გარკვეულად დაზღვეულია შემთხვევითი ვარიაციისგან. ამ გამოთვლებით, თბილისის გუბერნიაში შობადობა 1857-1863 წწ. აღწევდა 37,3‰-ს; მათ შორის: ქ. თბილისში - 42,7‰, თბილისის მაზრაში - 37,9‰, გორის მაზრაში - 41,8‰, თელავის მაზრაში - 36,6‰, სიღნაღის მაზრაში - 20,8‰, ელისავეტოპოლის მაზრაში - 47,6‰, მთიულეთის ოლქში - 31,3‰ და თიანეთის ოლქში - 18,4‰[27]. ქართველი დემოგრაფებიდან ვ. პრისელკოვის აღნიშნულ ნაშრომს ვ. ჯაოშვილმა[28] პირველმა მიაქცია ყურადღება. ვ. პრისელკოვის ხსენებული ნაშრომიდან ჩანს, რომ საქართველოში თვით 1860-იანი წლების დასაწყისისთვის შობადობის დონე შემცირების ტენდენციას არ ამჟღავნებს და იმყოფება დაახლოებით 40,0‰ ფარგლებში. საკმაოდ საინტერესოა ვ. პრისელკოვის მიერ შობადობაზე მოქმედი ფაქტორების დახასიათება. მისი აზრით, თბილისის გუბერნიაში შობადობის ასეთი განსხვავებულობის მიზეზებია: კლიმატი, ცივილიზაცია, მოსახლეობის სიმჭიდროვე, ზნე-ჩვეულებები, წყობილება და სხვ. თბილისისა და ელისავეტოპოლის მაზრებში, აღნიშნავს იგი, წლიური ტემპერატურა თიანეთის ოკრუგთან შედარებით მაღალია, ტერიტორია უფრო დასახლებულია, უფრო განვითარებულია მრეწველობა და გამრავლება უფრო სწრაფად უნდა ხდებოდეს. დაბადებულთა რიცხვის ყველაზე დიდი მიზეზია ნაყოფიერი მიწების რაოდენობა: სადაც მიწას შეუძლია გამოკვებოს მეტი მცხოვრებლები, იქ უფრო მჭიდროდ ცხოვრობენ და, რა თქმა უნდა, ურთიერთობა სქესთა შორის მოსახერხებელია და ხშირი, ხოლო საკვების სიიაფე ზრდის საშუალებას იძლევა.[29]

299,539; Кавказский календарь на 1855 г., с. 539; Кавказский календарь на 1856 г. с. 516; Кавказский календарь на 1857 г. с. 412.

27 В. Приселков. Приращение населения и смертность в Тифлисской губернии. См.: Кавказский календарь на1865 г. , Тифлис. 1864, с. 102-103.*

28 В. Джаошвили. Население Грузии. Тб., 1968, с. 15-16.

29 Кавказский календарь на 1865 г. Тифлис.1864, с. 105-107.

აღნიშნული მსჯელობიდან გამოვყოფთ საკითხს, სადაც ვ. პრისელკოვი წერს შობადობაზე მიწის ნაყოფიერების გავლენის შესახებ. საქმე ისაა, რომ მიწის ნაყოფიერება, ასევე, დასამუშავებელი მიწების ფართობი ერთ მცხოვრებზე, შეიძლება ზემოქმედებს დემოგრაფიულ პროცესებზე, მაგრამ საქართველოში შობადობის დაბალი დონე მეზობელ რუსეთთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან შედარებით, ისტორიულად განპირობებული იყო აგრეთვე აგრარული ურთიერთობების თავისებურებით. კონკრეტული მონაცემებით, რუსეთში 1861-1865 წწ. შობადობა აღწევდა 50,7‰[30], ქუთაისის გუბერნიაში (დასახლებული მხოლოდ ქართველებით) 1864 წელს 24,2‰, იმავე წელს ერევნის გუბერნიაში ამ მაჩვენებელმა შეადგინა 35,4‰, ხოლო ბაქოს გუბერნიაში - 49,7‰[31].

საქმე ისაა, რომ რუსეთში, აზერბაიჯანსა და სომხეთში გავრცელებული იყო სათემო მიწათსარგებლობა, რაც გულისხმობდა მიწის პერიოდულ გადანაწილებას ოჯახის წევრების რიცხვის პირდაპირპროპორციულად, რომელიც, რა თქმა უნდა, ოჯახის ზრდის მნიშვნელოვან სტიმულს წარმოადგენდა. საქართველოში კი გავრცელებული იყო მიწათსარგებლობის საეზოვე სისტემა, რომელიც მიწის პერიოდულ გადანაწილებას გამორიცხავდა და ოჯახში შვილების რიცხვის შეზღუდვას იწვევდა. ამ საკითხს პირველად მიაქცია ყურადღება რუსმა დემოგრაფმა რ. სიფმანმა.[32] ამასთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ შობადობის დაბალ დონეში გარკვეულ როლს ასრულებდა და ახლაც ასრულებს საქართველოს მცირემიწიანობა. ყოველგვარი კომენტარების გარეშე მოვიტანთ 1920-იანი წლების მონაცემებს:

ერთ მეურნეობაზე მოდის (დესეტინობით) კულტურული მიწები და კარმიდამო[33]

	სულ	მ. შ. სახნავი
აზერბაიჯანი	5,6	5,0
სომხეთი	3,2	3,0
საქართველო	2,6	2,0

გრაფიკი 1. ერთ მეურნეობაზე კულტურული მიწები და კარმიდამო (დესეტინა)

[30] М.С. Бедный. Продолжительность жизни. М., 1967, с. 24.
[31] В.Ш. Джаошвили. Население Грузии. Тб., 1968, с. 16.
[32] Р.И.Сифман. Рождаемость в селах Закавказья с начала XX века до великой отечественной войны. В кн.: Проблемы демографической статистики. М., 1966, с. 184-185.
[33] საქართველოს სახალხო მეურნეობა 1924-1925 წლებში. თბილისი, 1926, გვ. 15.



ზედმეტი არ იქნება ვაჩვენოთ, რომ მე-XIX საუკუნეში და მე-XX საუკუნის დასაწყისში შობადობის დონე რუსეთში აღემატებოდა საქართველოსას, ვიდრე 1917 წლის რევოლუციის შემდეგ არ მოხდა აგრარულ ურთიერთობათა ძირეული გარდაქმნები, რის შემდეგ წინა პლანზე გამოვიდა შობადობის დონეზე მოქმედი სხვა ფაქტორები.[34] მიწათსარგებლობის საეზოვე სისტემას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. ქართველი ისტორიკოსები აღნიშნავენ რომ „IV საუკუნისათვის თემური მიწათმფლობელობის რღვევის ტენდენციები ქართლში საკმაოდ შორს იყო წასული და შემდეგშიც განუხრელად ღრმავდებოდა. ქართლი ოდითგანვე განვითარებული მიწათმოქმედებისა და ინტენსიური სამეურნეო დარგების ქვეყანა იყო, რამაც დააჩქარა აქ საერთოსათემო მიწა-წყლის გადასვლა მეთემეთა კერძო საკუთრებაში. ვენახხილიანის გამშენებელი მიწის მუშა, ბუნებრივია, ადვილად ვეღარ შეელეოდა თავის ნაჭირნახულევს და მეთემეთა შორის მისი პერიოდული გადანაწილების წინააღმედეგი იქნებოდა. ამ დარგების განვითარების ინტერესებიც ხომ თავისი შრომით უაღრესად დაინტერესებული და გამოცდილი მეურნეობით უზრუნველყოფას მოითხოვდა. ამის გამოა, რომ კერძო საკუთრება მიწაზე, შეიძლება ითქვას, თავდაპირველად

[34] ამიტომ სრულიად სამართლიანია ნ. ადეიშვილის მიერ ბ. კოტრიკაძის შეხედულების კრიტიკა, თითქოს XIX საუკუნის საქართველო ძირითადად იმეორებდა რუსეთის სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ განვითა რებას. იხ.: Н. Адеишвили. Эволюция рождаемости в Грузии. Материалы Международной конференции. Актуальные проблемы развития демографических процессов в Грузии. Тб., 1990, с. 58.

სწორედ ბაღ-ვენახებზე გაჩნდა და შემდეგ სახნავ-სათეს მიწებზედაც გავრცელდა“[35].

მე-19 საუკუნის 60-იანი წლების შემდეგ შობადობის ზოგადი კოეფიციენტი საქართველოში შემდეგ დინამიკას ამჟღავნებს.[36]

ცხრილი 2

შობადობის ზოგადი კოეფიციენტები საქართველოში 1861-1915 წლებში

წლები	კოეფიციენტი	წლები	კოეფიციენტი
1861-1865	40,237	1896-1900	30,9
1876-1880	37,3	1901-1905	30,7
1881-1885	33,5	1906-1910	30,3
1886-1990	32,3	1911-1913	28,1
1891-1895	32,0	1914-1915	31,538

გრაფიკი 2. შობადობის ზოგადი კოეფიციენტები საქართველოში 1861-1895 წლებში



---

35 საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II, თბ., 1973. გვ. 112.

36 შედგენილია: გ. ფირცხალავა. საქართველოში დემოგრაფიული გადასვლისა და მისი თავისებურების შესახებ. ჟ. ეკონომიკა. №8-9. 1993, გვ. 22; Б. В. Котрикадзе, А. Б. Синельников. Рождаемость в Грузиннской ССР: Тенденции и пути регулирования. Тб., 1990, с. 10; პ. გუგუშვილი. საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების საკითხები. თბ. 1973, გვ. 179.

37 თბილისის გუბერნია. 1861-1895 წლების მონაცემები გამოთვლილია ბ. კოტრიკაძის, ხოლო 1896-1913 წლების - პ. გუგუშვილის მიერ.

38 Г. Пирцхалава. Уровень, структура и факторы рождаемости в Грузии. Экономика, Т. I, Тб., 1969, с. 404.

საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ ბ. კოტრიკაძის მიერ 1876-1880 წლებისათვის და ჩვენს მიერ 1875-1880 წლებისათვის გამოთვლილი შობადობის ზოგადი კოეფიციენტები პრაქტიკულად ერთმანეთს ემთხვევა და, შესაბამისად, შეადგენს 37,3 და 36,8‰-ს.[39]

შობადობის შემცირება საქართველოში იწყება 1865 წლიდან, რომელიც უფრო გამოიკვეთა1880 წელს. კერძოდ, შობადობის ზოგადი კოეფიციენტი 1865-1880 წლებში 40,2‰-დან შემცირდა 37,3‰-მდე, ე. ი. 7,2 პროცენტით, 1880-1900 წლებში 37,3‰-დან 30,9‰-მდე, ე. ი. 16,2 პროცენტით, ხოლო 1900-1913 წლებში 30,9‰-დან 28,1‰-მდე, ე. ი. 9,1 პროცენტით. ასეთი ტენდენცია, რა თქმა უნდა, საქართველოში რეფორმის შემდგომ პერიოდში კაპიტალიზმის განვითარების შედეგი იყო.[40] მთლიანად, ჩვენს მიერ განხილულ 1861-1913 წლებში, შობადობის დონე რუსეთში გაცილებით მაღალი იყო საქართველოსთან შედარებით. რუსეთის შობადობის ზოგადი კოეფიციენტი საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელს აღემატებოდა: 1861-1865 წლებში 1,3-ჯერ, 1881-1885 წლებში 1,5-ჯერ, 1896-1900 წლებში 1,6-ჯერ და 1911-1913 წლებში 1,6-ჯერ.[41] აღნიშნული ფაქტი იმის მაუწყებელია, რომ შობადობის შემცირება რუსეთში, რეფორმის შემდგომ პერიოდში, საქართველოსთან შედარებით, გაცილებით დაბალი ტემპებით მიმდინარეობდა. კერძოდ, 1861/1865 – 1911/1913 წლებში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი რუსეთში მხოლოდ 13,4%-ით შემცირდა, საქართველოში კი, 24,7%-ით.

პირველმა მსოფლიო ომმა საქართველოში გამოიწვია შობადობის შემცირება, რომელიც მკვეთრად არ იყო გამოხატული. კერძოდ, ლ. კარბელაშვილის გამოთვლით, შობადობა საქართველოში 1911-1913 წლებში 27,6‰-დან 1914-1915 წლებში შემცირდა 26,0‰-მდე, (საკმაოდ განსხვავდება გ. ფირცხალავას გამოთვლისგან) ანუ 5,8%-ით. შემცირების ეს ტემპი დაახლოებით ერთნაირია ქალაქისა და სოფლის მოსახლეობისთვის. შობადობის შემცირება განსაკუთრებით შეეტყო თბილისს, სადაც დაბადებულთა რიცხვი 1913-1917 წლებში 5 371-დან 4331-მდე, ე. ი. 19,4%-ით შემცირდა.[42]

---

[39] М. Н. Хмаладзе. Воспроизводство населения Грузии во второй половине XIX века. Тезисы Всесоюзной конференции – Историческая демография и современность. Донецк 14-16 мая 1991 г. Ч.П.М.Д. 1991, с. 42

[40] ვრცლადიხ.: ვ. ჯაოშვილი. საქართველოსმოსახლეობაXVIII-XXსაუკუნეში. თბ., 1984. გვ. 83-119.

[41] გამოანგარიშებულია: Б. Котрикадзе. Указ. соч., с. 10.

[42] ლ. კარბელაშვილი. ჩვენი მოსახლეობის ზრდის პრობლემა. ჟ. „საქართველოს ეკონომისტი“. 1928. №11-12.

ომის დამთავრების შემდეგ საყოველთაოდ ცნობილია, რომ, როგორც წესი, შობადობა იზრდება, ადგილი აქვს ომის დანაკარგების კომპენსაციას. სტატისტიკური ორგანოები შობადობის დონეს 1921 წლისათვის 37,9 ‰-ით განსაზღვრავენ.[43]მოცემული მონაცემი გაზვიადებული გვეჩვენება, რადგან შეუძლებელი იყო პირველ მსოფლიო ომგამოვლილ, ეკონომიკურად და პოლიტიკურად კრიზისში მყოფ ქვეყანაში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან პირველივე არასრულ წელს (1921 წლის თებერვლიდან) შობადობის დონე მომენტალურად, 1911-1913 წწ. 27,6‰-დან 1921 წელს გაზრდილიყო 37,9‰-მდე. შობადობის ასეთი დონე საქართველოში 1865 წლის შემდეგ აღარ შეინიშნებოდა. ამ მდგომარეობას გრძნობდნენ იმდროინდელი ქართველი მეცნიერები. მ. ყოჩიაშვილი 1927 წელს წერდა, რომ „განსაკუთრებით კატასტროფული ხასიათი მიიღო ჩვენი მოსახლეობის გამრავლების საქმემ საერთაშორისო ომის და რევოლუციის შემდეგ, ვიდრე 1922-23 წლამდე. ამ პერიოდში თითქოს ერთ წერტილზე იყო გაყინული მოსახლეობა, საერთო ზრდის კოეფიციენტი ვეღარ აღწევდა ერთ პროცენტსაც. კერძოდ, სოფლის მოსახლეობაში იგი თითქმის ნახევარ პროცენტამდეც კი ჩამოვიდა“. შეიძლება, წერს იგი, ასეთი ზრდა არასრული აღრიცხვის შედეგიც იყო, მაგრამ „აღნიშნული მეტად მცირე პროცენტი მოსახლეობის ზრდისა არ შეიძლება იქნეს უარყოფილი, მეორე მხრივ, ასევე დამარწმუნებელია ჩვენთვის ის გარკვეული და აშკარა ტენდენცია, რომელიც თავს იჩენს საქართველოს მოსახლეობის გამრავლების პროცესში დაახლოებით 1922-1923 წლიდან. ეს ტენდენციაა - ჩვენი მოსახლეობის გამრავლების გეზის შეტრიალება წაღმა და ზრდის ტემპის გაძლიერება. ამ საერთო ტენდენციის უარყოფაც შეუძლებელიან.[44] ასე, რომ საკომპენსაციო პერიოდი საქართველოში იწყება არა 1921 წელს, არამედ მოგვიანებით.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში შობადობის შემცირების კომპენსაცია მოხდა 1923 წლის შემდეგ. ამ თარიღთან ყველაზე ახლოსაა ლ. კარბელაშვილის მიერ გამოთვლილი შობადობისკოეფიციენტი1926 წელს 33,2‰, მათ შორის ქალაქად 25,3‰, სოფლად 35,5‰.[45]ლ. კარბელაშვილის აზრით, შობადობის ზრდას საქართველოში 1926 წლისთვის კომპენსაციასთან ერთად ხელი შეუწყო სახნავ-სათიბის გაზრდამ, რაც

---

43 Народное хозяйство Грузинской ССР за 60 лет. Тб., 1980, с.13.

44 მ. ყოჩიაშვილი. საქართველოს მოსახლეობის ზრდა უკანასკნელ წლებში ჟ. „საქართველოს ეკონომისტი“. 1927, №1-2. გვ. 174-175.

45 ლ. კარბელაშვილი. ჩვენი მოსახლეობის ზრდის პრობლება. ჟ. „საქართველოს ეკონომისტი“. 1928, №11-12. გვ. 85.

მოყვა მიწის რეფორმას.[46] მისივე მონაცემებით, 1917-1923 წლებში სახნავ-სათიბი ფართობი ერთ კომლზე (დესეტინობით) გაიზარდა:

	1917	1923	ზრდა 1917-1923 წწ., %
სახნავი	27,7	33,8	122,0
სათიბი	2,2	2,6	118,2
სულ	29,9	36,4	121,7

პირველი მსოფლიო ომის დანაკარგებისა და ომისშემდგომი კომპენსაციის პერიოდის შესახებ ვ. ჯაოშვილი აღნიშნავს, რომ 1914-1921 წლებში ბევრი პოტენციური ოჯახი არ შექმნილა და საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში დადგა ეგრეთ წოდებული „კომპენსაციის პერიოდი“ დემოგრაფიული სიტუაციისა, გაიზარდა ქორწინებათა აბსოლუტური და ხვედრითი რიცხვი. მეორეც, ზოგადი სოციალურ-კულტურული ატმოსფერო ხელს უწყობდა ოჯახში შვილების გაჩენას.[47] ასე, რომ შობადობის დონე 1921 წელს - 37,9‰ - უნდა მივაკუთვნოთ საბჭოთა სტატისტიკის პროპაგანდისტულ მიზნებს და არა დემოგრაფიულ რეალობას. მით უმეტეს, აღნიშნული მონაცემი პირველად გამოჩნდა საქართველოს გასაბჭოების 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სტატისტიკურ კრებულში.[48]

აღსანიშნავია, რომ შობადობა დასავლეთ საქართველოში დაბალი იყო აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით. ვ. ჯაოშვილის გამოთვლებით, 1915 წელს შობადობის კოეფიციენტი თბილისის გუბერნიაში 26,4‰, ქუთაისის გუბერნიაში 23,4‰, ხოლო ბუნებრივი მატების კოეფიციენტი კი, შესაბამისად, 10,8 და 9,7 პრომილეს[49] შეადგენდა. ვ. ჯაოშვილი ასეთი მდგომარეობის მხოლოდ ორ მიზეზს ასახელებს. იგი აღნიშნავს, რომ „როგორც მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ისე საბჭოთა პერიოდში, რაჭა-ლეჩხუმიდან, იმერეთიდან და გურია-სამეგრელოდან უფრო მეტი მიდიოდა მიგრანტები, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოდან. ეს გარემოება ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია დასავლეთ საქართველოს მეტწილ პროვინციებში უფრო დაბალი შობადობისა და ნელი ბუნებრივი მატებისა. ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოში ბევრად ნაკლებია მოსახლეობის ერთ სულზე ვარგისი მიწე-

---

46 ლ. კარბელაშვილი, იქვე, გვ. 87.

47 ვ. ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში. თბ., 1984, გვ. 121.

48 Народное хозяйство Грузинской ССР. К 60-летию Великого Октября. Юбилейный статистический ежегодник. Тб., 1977, с. 13.

49 ვ. ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში. თბ., 1984, გვ. 100-101

ბის ფართობები, ჭარბობს აგრეთვე მთაგორიანი რელიეფი, რაც განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების უფრო ნაკლებ შემოსავალს და, საბოლოოდ, ხელს უწყობს მოსახლეობის წასვლას სხვა ადგილებში.[50]

შობადობის დაბალ დონეს დასავლეთ საქართველოში განაპირობებდა ისეთი არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორიცაა დასავლეთ საქართველოში სოფლად კაპიტალისტური ურთიერთობების უფრო სწრაფი განვითარება აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით. ამასთან დაკავშირებით ი. ირემაშვილი 1918 წელს წერდა: „დასავლეთ საქართველოში ეკონომიური ცხოვრების განვითარებამ მოსპო ფეოდალური ურთიერთობა... იქ თანდათანი პროცესებით მიწა შეუმჩნევლათ ფასით ჩამოერთოთ მემამულეებს და კერძო საკუთრებათ გადავიდა სოფლის ხელში. იქ ადრევე დანაწილდა და დაქუცმაცდა მიწა, რამაც ხელი შეუწყო წვრილი და საშუალო მეურნეობების დამყარებას, მოქალაქეობრივი ცხოვრების განვითარებას, ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინებას, განათლების გავრცელებას, საზოგადოთ, კულტურულ წინსვლას. სულ სხვა სურათს ვხედავთ აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ბატონ-ყმური ნაშთები დიდ რევოლუციამდე (იგულისხმება 1917 წ. რევოლუცია. მ. ხ.) იყვნენ დარჩენილნი... ბატონ-ყმობა მხოლოდ ახლა გადავარდა აღმოსავლეთ საქართველოში... მხოლოდ ახლა გამოდის ის კაპიტალისტური ცხოვრების ასპარეზზე... ახლა იწყება აღმოსავლეთ საქართველოში მოქალაქეობრივი ცხოვრება, თავისუფალი ეკონომიური განვითარება, ახლა იდგამს ფეხს იქ სახალხო სწავლა-განათლება. ეკონომიური დაქვეითების გამო აღმოსავლეთ საქართველო ყოველმხრივ ჩამორჩენილია დასავლეთ საქართველოზე“.[51]

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის იმპერია სტატისტიკურ საქმიანობას ქართველებს ახლოს არ აკარებდა. ქართველი მეცნიერების სტატისტიკური ნაშრომები გამოჩნდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, რაშიც უდიდესი დამსახურება მიუძღვის 1918 წელს დაარსებულ ჟურნალს „საქართველოს ეკონომისტი“.

საკომპენსაციო პერიოდის შემდეგ შობადობა საქართველოში 1926-1939 წლებში იკლებს 33,2‰-დან 26,2‰-მდე.[52]შობადობის ზოგადი

---

[50] ვ. ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში. თბ., 1984, გვ. 173.

[51] ი. ირემაშვილი. სოფლის ეკონომიური მიმოხილვა. ჟ. „საქართველოს ეკონომისტი“, 20 დეკემბერი, 1918. №6. გვ. 8.

[52] Б. Котрикадзе. Указ. соч., с. 13.

კოეფიციენტი საქართველოში 1940 წელს 27,4‰,1950 წელს 23,5‰, ხოლო 1950-1960 წლებში 25,0‰-23,5‰-ის ფარგლებშია.

მოცემულ ნაშრომში გამოყენებული სტატისტიკური ინფორმაციიდან ჩანს, რომ მოსახლეობის აღწარმოების შესწავლის საკითხში საქართველოს დემოგრაფები ინფორმაციული უზრუნველყოფის თვალსაზრისით პირველ მსოფლიო ომამდე ეუკეთ იყვნენ უზრუნველყოფილნი, ვიდრე მის შემდეგ, თვით 1959 წლამდე. აღნიშნული მდგომარეობა განაპირობა: 1) პირველმა მსოფლიო ომმა, 2) საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბუნებრივი მოძრაობის რეგისტრაციის მოუწესრიგებლობამ, 3) საბჭოთა ეპოქისათვის დამახასიათებელმა სტატისტიკური მასალების გასაიდუმლოებამ, 4) მეორე მსოფლიო ომმა. ამის შედეგია, რომ 1960-იან წლებამდე საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების შესახებ არსებითად არაფერი არ დაწერილა.

აღნიშნული ინფორმაციული ვაკუუმის არსებობას ხედავდნენ და აღნიშნავდნენ კიდევაც იმდროინდელი ქართველი მეცნიერები. მ. ყოჩიაშვილი 1926 წელს წერდა: „საკითხი საქართველოს მოსახლეობის ზრდის და გამრავლების შესახებ ჯერ ისევ ხელუხლებელია სრულიად. შეუძლებელია ამ საკითხის მეცნიერული შესწავლა ამჟამად, რადგან საამისო მასალები და დასაყრდენი საფუძველი არ მოგვეპოვება ჯერ. არ გვაქვს ჩვენი მოსახლეობის ზრდის სწორი კოეფიციენტი და თუ დღემდე მაინც ვანგარიშობთ ხოლმე მოსახლეობას ამა თუ იმ წლისთვის, ეს გამოანგარიშებანი უფრო საორიენტაციოა, დამყარებული დაახლოვებითი და სავარაუდო ციფრებზე, ვიდრე ზედმიწევნით სწორი. სამწუხაროდ, მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის რეგისტრაციაც, რაც იგი საეკლესიო წესიდან სამოქალაქო სისტემაზე გადავიდა, იმდენად სუსტია და არასრული, რომ მისი ედეგების გამოყენება მოსახლეობის ზრდის პროცესების შესწავლის დროს ყოვლად შეუძლებელია“.[53]

ამის გამო იმდროინდელი ქართველი ეკონომისტები (მ. ყოჩიაშვილი, გ. გამყრელიძე) დიდ იმედებს ამყარებდნენ მოსახლეობის 1926 წლის აღწერაზე, რომელმაც უნდა მოგვცეს მტკიცე საფუძველი ჩვენი მოსახლეობის ევოლუციის და ჩვენი სინამდვილის მეცნიერული შესწავლისათვის,[54] თუმცა, ეს იმედები სრულად არ გამართლდა. ერთი წლის მოგვიანებით, 1927 წელს, იგივე მ. ყოჩიაშვილი წერდა: „მრავალჯერ ყოფილა აღნიშნული, რომ საკითხი ჩვენი ხალხის გამ-

---

[53] მ. ყოჩიაშვილი. 1926 წ. მოსახლეობის აღწერა. ჟ. „საქართველოს ეკონომისტი“, №3, 1926 წ., გვ. 5-6.

[54] მ. ყოჩიაშვილი. იგივე, გვ. 6; გ. გამყრელიძე. 1926 წლის მოსახლეობის აღწერა. ჟ. „საქართველოს ეკონომისტი“, №3. 1926 წ., გვ. 17.

რავლების და ზრდის შესახებ დაუმუშავებელი და შეუსწავლელია. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომეს საკითხი თავისთავად მეტად რთული საკითხია. მოსახლეობის გამრავლების პროცესები არ ეკუთვნის იმ მარტივი კატეგორიის მოვლენებს, რომლებიც წარმოადგენენ განსაზღვრული მიზეზების უშუალო შედეგს. ამ პროცესის წარმოშობასა, ხასიათსა და განვითარებაზე მოქმედებს მრავალი სხვადასხვა ხასიათის ფაქტორი (ბიოლოგიური, კლიმატური, ჰიგიენურ-სანიტარული, ეთნიური, სოციალური, ეკონომიური და სხვა). უკვე კომბინაცია ამ ფაქტორებისა და ხშირად კი ისეთი ფაქტორებიც, რომლის გამოცნობა, აღრიცხვა და შესწავლა მეცნიერების თანამედროვე მეთოდებით შეუძლებელი ხდება. ...მაგრამ მაინც მთავარ დამაბრკოლებელ მიზეზად საქართველოს მოსახლეობის ზრდის შესწავლის საქმეში უნდა ჩაითვალოს სტატისტიკური ცნობებისა და საჭირო მასალების სრული უქონლობა. ჩვენ არამც თუ არა გვაქვს მრავალი წლის მიმდინარე სტატისტიკური დაკვირვების შედეგები საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგში, რაც აუცილებელია მოსახლეობის დინამიური პროცესების შესასწავლად, არამედ დღემდე არ მოგვეპოვებოდა ძირითადი ცნობებიც კი მოსახლეობის რაოდენობისა და მისი შემადგენლობის შესახებ. ამ მხრივ **დიდ იმედებს ვამყარებდით** მოსახლეობის საკავშირო აღწერაზე[55] (იგულისხმება 1926 წლის აღწერა. მ. ხ.). ოდნავ მოგვიანებით, 1928 წელს იგივე აზრს იმეორებს ლ. კარბელაშვილი.[56]

ასეთივე იმედით იყვნენ ქართველი მეცნიერები თვით 1959 წლის აღწერამდე. ა. ხაჩიძე აღნიშნავდა რომ „ომის შემდგომი ხუთწლედების მანძილზე... სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოები ასე თუ ისე ახერხებდნენ მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის მიმდინარე აღრიცხვასა და... მცხოვრებთა საორიენტაციო რიცხვის გამოანგარიშებას. მაგრამ 1939 წლის აღწერის მასალების მოძველებისა და ომის მიერ გამოწვეული ცვლილებების გამო შეუძლებელია ისეთი ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლების დადგენა, როგორიც არის სქესი, ასაკი, მოსაქმეობა, განათლება, ეროვნება, დედა ენა და სხვ.“ ასეთმა მდგომარეობამ გამოიწვია გადაწყვეტილება 1959 წლის აღწერის ჩატარების შესახებ.[57] ეს სიტყვები ეკუთვნის კაცს, რომელიც ხელმძღვანელობდა საქართველოში მოსახლეობის 1959 წლის აღწერას და

---

[55] მ. ყოჩიაშვილი. საქართველოს მოსახლეობის ზრდა უკანასკნელ წლებში. ჟ. „საქართველოს ეკონომისტი“. 1927, № 1. გვ. 173.

[56] ლ. კარბელაშვილი. ჩვენი მოსახლეობის ზრდის პრობლემა. ჟ. „საქართველოს ეკონომისტი“. 1928, № 1, გვ. 80-81.

[57] ა. ხაჩიძე. მოსახლეობის 1959 წლის სრულიად საკავშირო აღწერა. ჟ. „საქართველოს ეკონომისტი“. 1958, № 6. გვ. 10-11.

წლების განმავლობაში იყო საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი (ახლა საქსტატი). სწორედ მოსახლეობის 1959 წლის აღწერის შემდეგ, მის მასალებზე დაყრდნობით, სისტემატურად გამოითვლება მოსახლეობის მახასიათებელი დეტალური დემოგრაფიული მაჩვენებლები, როგორც ზოგადად, ისე სქესის და ასაკის მიხედვით. ამიტომ განვაცალკევეთ შობადობის ანალიზი 1959 წლამდე და მის შემდეგ.

1.2. შობადობა 1959 -1990-იან წლებში

საქართველოში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი 1959 წლიდან განაგრძობს შემცირებას. 1959-1970 წლებში იგი 24,2‰- დან 19,2‰-მდე, ე. ი. 20,8%-ით შემცირდა. 1970-1979 წლებში შემცირდა 19,2‰-დან 17,9‰-მდე, ე. ი. 7,4%-ით; 1979-1989 წლებში მაჩვენებელი მცირდება 17,9‰-დან 16,7‰-მდე, ე.ი.6,8%-ით. მთლიანად1959-1989 წლებში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი 31,0%-ით შემცირდა.

1990-იანი წლებიდან საქართველოში დაწყებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი გამოვლინდა დემოგრაფიულ კრიზისშიც, კონკრეტულად შობადობის დონის შემდგომ შემცირებაში. შობადობის ზოგადმა კოეფიციენტმა შეადგინა: 1990 წელს 17,0‰; 1991 წელს 16,6‰; 1992 წელს 14,9‰; 1993 წელს 12,6‰. 1959 წლიდან მცირდება აგრეთვე დაბადებულთა აბსოლუტური რიცხვი. 1959 წელს საქართველოში დაიბადა 98,9 ათასი ბავშვი, 1970 წელს 90,2 ათასი, 1979 წელს 89,8 ათასი, 1989 წელს 91,1 ათასი, 1990 წელს 92,8 ათასი, 1991 წელს 89,1 ათასი, 1992 წელს 72,6 ათასი; 1993 წელს 61,6 ათასი. საანალიზო 1959-1989 წლებში შობადობის დონის დინამიკაში მოხდა რიგი ცვლილებები.

ცხრილი 3

შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები საქართველოში 1959-1989 წწ.(‰)

ასაკი	1959	1970	1979	1989	1989 წელი 1959 წ-თან, %
15-49 მათ შორის:	85,0	73,3	68,2	67,6	79,5
15-19	22,2	34,3,	43,7	58,8,	264,9
20-24	124,3	182,9	177,6	171,4	137,9
25-29	172,0	147,2	131,6	109,7	63,8
30-34	112.2	97,5	69,5	57,2	51,0
35-39	58,7	46,3	25,9	22,6	38,5
40-44	21,5	12,6	8,9	5,7	26,5
45-49	6,4	2,4	1,5	0,4	6,3

გრაფიკი 3. შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები საქართველოში 1959-1989 წლებში



შობადობის სპეციალური კოეფიციენტი 1959-1989 წლებში 17,4 პრომილით, ე. ი. 20,5%-ით შემცირდა. შემცირება უმთავრესად გამოიწვია შობადობის ასაკობრივი ინტენსივობის დაცემამ და მხოლოდ უმნიშვნელოდ ქალთა რეპროდუქციული კონტინგენტის ასაკობრივი სტრუქტურის გაუარესებამ. ჩვენს მიერ ჩატარებულმა საინდექსო ანალიზმა აჩვენა, რომ 1959-1989 წწ. შობადობის სპეციალური კოეფიციენტი შემცირდა 17,4‰-ით. აქედან 16,7‰, ე.ი. 96,0% მოდის შობადობის ასაკობრივი ინტენსივობის შემცირებაზე და მხოლოდ 0,7‰, ე.ი. 4,0% ქალების ასაკობრივი სტრუქტურის გაუარესებაზე. ასაკობრივი სტრუქტურის გაუარესება ძირითადად მოდის 15-24 წლის კონტინგენტზე. ამ ასაკის ქალების ხვედრი წილი რეპროდუქციულ კონტინგენტში 1959-1989 წლებში 34,2%-დან შემცირდა 28,3%-მდე. ესაა ასაკები, რომლებიც აღნიშნულ პერიოდში შობადობის ზრდით გამოირჩევიან და მათი ხვედრი წილის შემცირებას არ შეიძლებოდა უარყოფითი შედეგები არ გამოეწვია. თუ გადავალთ აბსოლუტურ სიდიდეებზე, განხილულ პერიოდში დაბადებულთა რიცხვი საქართველოში 7,7 ათასით შემცირდა, რომელთაგან 7,4 ათასი მოდის ბავშვთაშობის ინტენსივობის შემცირებაზე ხოლო 0,3 ათასი ასაკობრივი სტრუქტურის გაუარესების ხარჯზე. შობადობის სპეციალური კოეფიციენტის საერთო ინდექსმა 1959-1989 წლებში 0,796, შობადობის ასაკობრივი ინტენსივობის ინდექსმა 0,802 ხოლო ასაკობრივი სტრუქტურის ინდექსმა 0,993 შეადგინა. შობადობის

დონეზე მოქმედი ინტენსივობის და ასაკობრივი სტრუქტურის ფაქტორის გავლენა ცალკეული პერიოდების მიხედვით არაერთგვაროვანია.

ცხრილი 4

შობადობის დონის საინდექსო ანალიზი საქართველოში 1959-1989 წლებში

	შობადობის სპეციალური კოეფიციენტის ცვლილება. ‰ (+,-)	მათ შორის:		დაბადებულთა რიცხვის ცვლილება (ათასი) (+, -)	მათ შორის:	
		შობადობის ინტენსივობის ხარჯზე ‰ (+, -)	ასაკობრივი სტრუქტურის ხარჯზე ‰ (+,-)		შობადობის ინტენსივობის ხარჯზე (ათასი) (+,-)	ასაკობრივი სტრუქტურის ხარჯზე (ათასი) (+, -)
1959-1970	-11,7	+0,3	-12,0	-8,6	+0,4	-9,0
1970-1979	-5,1	-9,6	+4,5	-0,4	-5,8	+5,4
1979-1989	-0,6	-15,2	+14,6	+1,3	-18,2	+19,5
1959-1989	-17,4	-16,7	-0,7	-7,7	-7,4	-0,3

მოტანილი გაანგარიშებებიდან ჩანს, რომ შობადობის ასაკობრივი ინტენსივობა შობადობის დონის ზრდაზე დადებით გავლენას ახდენს მხოლოდ1959-1970 წწ-ში, 1970 წლიდან კი უარყოფითს. ასაკობრივი სტრუქტურა კი პირიქით შობადობის დონეზე უარყოფით გავლენას ახდენს მხოლოდ 1959-1970 წწ-ში, ამის შემდეგ კი დადებითს. 1959-1970 წწ. იმდენად მნიშვნელოვანია საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ისტორიაში, რომ საჭიროდ ვთვლით მასზე განსაკუთრებულად შევჩერდეთ.

აღნიშნულ პერიოდზე მოდის საქართველოში შობადობის დონის ყველაზე მკვეთრი შემცირება. კერძოდ, 1959-1970 წლებში შობადობის სპეციალური კოეფიციენტი შემცირდა 13,8%-ით, 1970-1979 წლებში 7,0%-ით, ხოლო 1979-1989 წლებში მხოლოდ 0,9%-ით. შობადობის დონის საერთო შემცირების ფონზე გაიზარდა შობადობა 15-24 წლის ასაკში. კერძოდ15-19 წლის ასაკში შობადობის მატება ტოლია 54,5%-ის, 20-24 წლის ასაკში კი 47,1%-ის. ამის შედეგად 1959-1970 წლებში დაბადე-

ბულთა რიცხვი საქართველოში კი არ უნდა შემცირებულიყო, არამედ უნდა გაიზრდილიყო 400-ით,რომ არა ასაკობრივი სტრუქტურის გაუარესება. საქმე ისაა, რომ 1970 წელს მშობელთა ძირითადი კონტიგენტი, 25-29 წლის მოსახლეობა დაბადებულია მეორე მსოფლიო ომის(1940-1945) წლებში და საკმაოდ მცირერიცხოვანია. ამ ასაკის ქალების ხვედრიწილი რეპროდუქციული ასაკის ქალების რიცხვში 1959-1970 წლებში 17,0%-დან 12,4%-მდე შემცირდა. მშობლების მეორე ძირითადი 20-24 წლის კონტინგენტი დაბადებული იყო ომის შემდგომ, 1946-1950 წლებში და ასევე მცირერიცხოვანია რამდენადაც საქართველოში შობადობის ომის შემდგომ კომპენსაციას რაიმე რეალური შედეგი არ მოუცია. შესაბამისად, 20-24 წლის ქალების ხვედრი წილი რეპროდუქციულ ასაკში1959-1970 წლებში 19,0%-დან 12,8%-მდე შემცირდა. ასაკობრივი სტრუქტურის ასეთმა გაუარესებამ გამოიწვია შობადობის სპეციალური კოეფიციენტის შემცირება აღნიშნულ პერიოდში 12,0‰-ით.

რაც შეეხება 1970-1979 წლებს შობადობის მაჩვენებელი 15-19 წლის გარდა, ყველა ასაკში შემცირდა და რომ არა ასაკობრივი სტრუქტურის გაუმჯობესება, შობადობის სპეციალური კოეფიციენტი1979 წელს 68,2‰ ნაცვლად იქნებოდა 63,7‰, ხოლო დაბადებულთა რიცხვი 89,8 ათასის ნაცვლად 84,4 ათასი. ასევე 1979-1989 წლებში, რომ არა ასაკობრივი სტრუქტურის გაუმჯობესება, შობადობის სპეციალური კოეფიციენტი 1989 წელს 67,6‰-ს ნაცვლად შემცირდებოდა 53,0‰-მდე, ხოლო დაბადებულთა რიცხვი იქნებოდა არა 91,1 ათასი, არამედ 71,6 ათასი. შობადობის სპეციალური კოეფიციენტების დინამიკაზე თითოეული ფაქტორის გავლენა ვლინდება საინდექსო ანალიზის საშუალებით.

ასაკობრივი სტრუქტურის დადებითი გავლენა შობადობის სპეციალური კოეფიციენტის დინამიკაზე 1970-1989 წლებში ნათლად ჩანს ცხრილის მასალებიდანაც. კერძოდ, 1970-1979 წლებში ასაკობრივი სტრუქტურის შედეგად შობადობის სპეციალური კოეფიციენტი 6,1%-ით, ხოლო 1979-1989 წლებში 21,4%-ით იმატებს, მაგრამ ასაკობრივი შობადობის შემცირების უარყოფითი გავლენა გაცილებით ძლიერია, რაც შობადობის სპეციალური კოეფიციენტის ინდექსის შემცირებას იწვევს.

ფაქტია, რომ შობადობის პოტენციურ და ფაქტობრივ დონეებს შორის არის განსხვავება, რომელიც წარმოადგენს შობადობის შეზღუდვას. შობადობის დონის შეზღუდვის ხარისხის დასადგენად დემოგრაფიაში არსებობს ორი მეთოდი: 1) ამერიკელი დემოგრაფის გ.კოულის[58] და 2) რუსი დემოგრაფის ვ.ბორისოვის[59].

---

[58] იხ.: Курс демографии. М., 1985, с. 78; აღნიშნული მეთოდები გადმოცემულია: მ. ხმალაძე. დემოგრაფია, თბ., გვ. 271-275.

[59] В. А. Борисов. Перспективы рождаемости. М., 1973, с. 49-58.

ცხრილი 5

შობადობის სპეციალური კოეფიციენტების ფაქტორული საინდექსო ანალიზი 1959-1989 წლებში

წლები	საერთო ინდექსი	მათ შორის:	
		შობადობის ასაკობრივი ინტენსივობის ცვლილების ხარჯზე	ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილების ხარჯზე
1959-1970	0,862	1,004	0,859
1970-1979	0,930	0,877	1,061
1979-1989	0,991	0,816	1,214
1959-1989	0,795	0,802	0,992

გ. კოულის მეთოდთან შედარებით ვ.ბორისოვის მეთოდი უკეთესია, რადგან ჰუტერიტების პირობებში ჩაყენებული სხვა მოსახლეობა საეჭვოა, გამოამჟღავნებს თუ არა პუტერიტების შობადობის დონეს. ამიტომ ქვემოთმოტანილ ცხრილში შობადობის შეზღუდვის ხარისხის მაჩვენებლები გამოთვლილია ვ.ბორისოვის მეთოდით.

ცხრილი 6

შობადობის დონის შეზღუდვის ხარისხის დადგენა საქართველოში 1959-1989 წლებში

წლები	ფაქტობრივი ზოგადი კოეფიციენტი	ჰიპოთეზური ზოგადი კოეფიციენტი	სხვაობა ჰიპოთეზურსა დაფაქტობრივს შორის.	შობადობის ჰიპოთეზური დონის რეალიზაციის ხარისხი $\%\% \frac{\text{ფაქ}}{\text{ჰიპ}} \cdot 100$
1959[2]	23,8	49,7	25,9	47,9
1970[2]	19,0	46,5	27,5	40,9
1979	17,9	42,7	24,8	41,9
1989	16,7	46,1	29,4	36,2

როგორც ჩანს, 1959 წელს შობადობის პოტენციალის რეალიზაციის ხარისხი საქართველოში 47,9%-ს აღწევდა. ამის შემდეგ მაჩვენებელი მცირდება და 1989 წელს შეადგინა 36,2%.

1.3. შობადობის ეთნიკური ასპექტები

ისეთ მრავალეროვან ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, გვერდს ვერ ავუვლით შობადობის ეროვნულ ასპექტებს. 1959-1989 წლებში შობადობის შესახებ მონაცემები გაგვაჩნდა შემდეგი ეროვნებების მიხედვით: რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, უზბეკები, ყაზახები, ქართველები, აზერბაიჯანელები, ლიტველები, მოლდაველები, ლატვიელები, ყირგიზები, ტაჯიკები, სომხები, თურქმენები, ესტონელები, თათრები, ებრაელები, გერმანელები, პოლონელები. აქედან, დაბადებულთა სტატისტიკური ერთობლიობა რაოდენობის და შესაბამისად საიმედოობის თვალსაზრისით, საშუალებას იძლევა გამოვთვალოთ შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები ქართველების, სომხების, რუსების, აზერბაიჯანელების, ოსებისა და აფხაზების მიმართ. შობადობის კანონზომიერებების ეთნიკური მხარის დასახასიათებლად ჩვენ მოგვაქვს მხოლოდ ყველაზე ზუსტი მაჩვენებელი, შობადობის ჯამური კოეფიციენტი. ეთნიკურ ჭრილში ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი კოეფიციენტები, აგრეთვე შობადობის სპეციალური და ასაკობრივი კოეფიციენტები მოტანილია დანართში (იხ. დანართი, ცხრილი 1-12).

ცხრილი 7

შობადობის ჯამური კოეფიციენტები საქართველოში ცალკეული ეროვნებების მიხედვით 1959-1989 წლებში

ეროვნებები[60]	1959	1970	1979	1989	%% $\frac{1989}{1959}$
ქართველები	2,534	2,558	2,233	2,015	79,5
სომხები	2,734	2,782	2,352	2,395	87,6
რუსები	1,846	1,778	1,706	1,604	86,9
აზერბაიჯანელები	7,139	4,796	3,520	2,986	41,8
ოსები	3,302	3,203	2,846	X	-
აფხაზები	2,974	2,863	2,230	X	-

[60] ცხრილში ეროვნებები განლაგებულია მათი რიცხოვნობის კლების შესაბამისად. X - მონაცემები არ დამუშავებულა.

გრაფიკი 4. შობადობის ჯამური კოეფიციენტები საქართველოში ცალკეული ეროვნებების მიხედვით, 1959-1989 წლებში



განსხვავებები ეროვნებების შობადობის დონეებში განსაკუთრებით თვალშისაცემია 1959 წელს. ამ პერიოდში აზერბაიჯანელების შობადობა ქართველების შობადობას აღემატებოდა 2,8-ჯერ, სომხებისას 2,6-ჯერ, რუსებისას 3,9-ჯერ, ოსებისას 2,2-ჯერ და აფხაზებისას 2,4-ჯერ. 1959-1989 წლებში შობადობა ყველა ეროვნებაში შემცირდა, განსაკუთრებით აზერბაიჯანელებში. 1989 წლისთვის შობადობის ჯამური კოეფიციენტი ქართველებში (2,015) არ აკმაყოფილებს მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების (2,16) მოთხოვნებს, ხოლო რუსებში მთელი განხილული პერიოდის მანძილზე მოსახლეობის აღწარმოება შეკვეცილი რეჟიმისაა. 1989 წელს საქართველოს რუს მოსახლეობაში მოკვდაობამ (13,3‰) პირველად გადააჭარბა შობადობას (11,3‰) და ბუნებრივი მატების კოეფიციენტი (-2‰) უარყოფითი სიდიდისაა. ქართველი და რუსი მოსახლეობის შობადობის დაბალი დონის შედეგად 1989 წლისთვის საქართველოს მოსახლეობის შობადობის ჯამური კოეფიციენტი (2,136) არ აკმაყოფილებს მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების რეჟიმის მოთხოვნებს. ბუნებრივია ისმის კითხვა, შობადობის დონეები სხვადასხვა ეროვნების მიხედვით უახლოვდება ერთმანეთს თუ სცილდება? ე. ი., სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადგილი აქვს თუ არა საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნებების შობადობის დო-

ნეების გამოთანაბრებას, თუ პირიქით? 1959-1989 წლებში ადგილი ჰქონდა სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობაში შობადობის დონეების გამოთანაბრებას რადგან შობადობის ვარიაციის წრფივმა კოეფიციენტმა 1959 წელს 42,5%, ხოლო 1989 წელს 16,6%[61], ე. ი. 2,6-ჯერ ნაკლები შეადგინა. 1959 წელს ვარიაციის ყველაზე დიდი ხვედრიწილი, ანუ 69,0%, მოდიოდა აზერბაიჯანელებზე, 11,2% სომხებზე, 11,2% რუსებზე, 8,6% ქართველებზე. 1989 წელს აზერბაიჯანელებზე მოდიოდა ჯამური კოეფიციენტის ვარიაციის 31,8%, სომხებზე 19,9%, რუსებზე 19,9%, ქართველებზე 28,4%. მოტანილი მონაცემებიდან შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: ვარიაციის საერთო დონის შემცირების პირობებში მცირდება აზერბაიჯანელების და იზრდება დანარჩენი ეროვნებების როლი.

ფაქტია, რომ ეროვნული ფაქტორი საქართველოში ზრდის შობადობას. ჩვენი გამოთვლებით, 1989 წელს შობადობის სპეციალური კოეფიციენტი ქართველებში 64,1‰, ხოლო არაქართველებში 76,9‰-ს ტოლია. აქ ჩვენ უბრალოდ სტატისტიკურად ვაჩვენეთ ის, რაც ისედაც ცხადია. მაგრამ საქართველოს ეთნიკური დემოგრაფიისათვის უინტერესო არ უნდა იყოს საკითხი შერეული ქორწინებების დემოგრაფიული შედეგების შესახებ. მოსახლეობის 1970, 1979 და 1989 წლების აღწერის მონაცემებით, საქართველოში ოჯახების ეთნიკური სტრუქტურა შემდეგ სურათს იძლევა.

ცხრილი 8

საქართველოში ოჯახების ეთნიკური შემადგენლობა 1970-1989 წლებში
(ათასი ოჯახი)

	1970	1979	1989	პროცენტულად		
				1970	1979	1989
სულ ოჯახები	1073,9	1150,8	1243,7	100,0	100,0	100,0
ოჯახები, სადაც ყველა წევრი ერთი ეროვნებისაა	966,7	1030,7	1092,3	90,0	89,6	87,8
ოჯახები, სადაც წევრები სხვადასხვა ეროვნებას ეკუთვნიან	107,2	120,1	151,4	10,0	10,4	12,2

როგორც ჩანს, 1970-1989 წლებში შეიმჩნევა შერეული ოჯახების ხვედრიწილის ზრდის სუსტი ტენდენცია. რაც შეეხება შერეული ქორწინებით დაბადებულ ბავშვებს მათი ხვედრი წილი დაბადებულთა საერ-

[61] ვარიაცია ოსებში და აფხაზებში აღებულია 1979 წლის დონეზე.

თი რიცხვში 1970წელს 8,4%, 1979 წელს 10,4% და 1989 წელს 9,2% შეადგენდა, რაც შერეული ოჯახების ხვედრიწილზე დაბალი იყო. ასეთი თანაფარდობა შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ შერეული ქორწინებები შობადობის სტიმულირების ფაქტორს არ წარმოადგენს. თბილისში ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ „საშუალოდ, ბავშვთა სასურველი რაოდენობა ერთეროვნულ ოჯახებში რამდენადმე მაღალია, ვიდრე შერეულ ოჯახებში.“[62] ასევე, თბილისში 1986 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ „ერთეროვნულ ქორწინებაში მყოფმა ქალებმა დაასახელეს საშუალოდ იდეალურად, სასურველად და მოსალოდნელად ბავშვების მეტი რაოდენობა, ვიდრე შერეულ ქორწინებაში მყოფმა ქალებმა“[63]. ამავე კვლევის მიხედვით, „ერთეროვნულ ქორწინებაში მყოფ ქალებს ფაქტიურად ჰყავთ ბავშვების რამდენადმე მეტი რაოდენობა, ვიდრე შერეულ ქორწინებაში მყოფთ (შესაბამისად 1,39 და 1,30)[64]. მაგრამ რაც მთავარია, მოსახლეობის აღწარმოების თვალსაზრისით უარყოფითი ფაქტორია, რომ „ერთეროვნულ ქორწინებაში მყოფი როგორც ქალები, ისევე მამაკაცები ქორწინდებიან რამდენადმე უფრო გვიან, ვიდრე შერეულ ქორწინებაში მყოფები (შესაბამისად, ქალები 21,61 და 21,38, კაცები 25,32 და 25,09 წელი). საკითხის კიდევ უფრო დასაზუსტებლად ჩვენ გამოვთვალეთ შობადობის მაჩვენებლები ერთეროვნულ და შერეულ ყოველ 1000 ოჯახზე გაანგარიშებით.

ცხრილი 9

დაბადებულთა რიცხვი ყოველ 1000 ოჯახზე გაანგარიშებით 1970-1989 წლებში

წლები	ყველა ოჯახზე	აქედან:	
		ერთეროვნულ ოჯახებზე	შერეულ ოჯახებზე
1970	83,0	85,4	70,9
1979	78,0	78,1	77,4
1989	73,2	75,7	55,5

საერთო სურათი ცხადია: შერეული ქორწინებები საქართველოში შობადობის დონის შემამცირებელ ფაქტორს წარმოადგენდა. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად ფაქტობრივი გამოთანაბრებისა 1979 წელს, 1989 წლისთვის ყოველ 1000 შერეულ ეროვნულ ოჯახზე მოდიოდა 20 ბავშვით ნაკლები, ვიდრე ერთეროვნულ ოჯახზე.

---

62 ზ. გოქაძე. ერთეროვნული და შერეული ქორწინება. თბ., 1992. გვ. 59

63 გ. წულაძე. ზ. გოქაძე. რეპროდუქციული ქცევის ზოგიერთი თავისებურება ერთეროვნულ და შერეულ ქორწინებაში. წიგნში; სოციოლოგიისა და დემოგრაფიის პრობლემები. თბ., 1990, გვ. 110-111.

64 იქვე, გვ. 111.

შობადობის შემცირებას საქართველოში 1959-1989 წლებში თან ახლავს რიგი სტრუქტურული ცვლილებები: დაბადებულთა საერთო რიცხვში მცირდება მესამე და მეტი რიგის ბავშვების ხვედრიწილი,რომელიც 1959-1989 წლებში 35,8%-დან 19,5%-მდე შემცირდა. განსახილველ პერიოდში 15-29 წლის ქალების მიერ დაბადებული ბავშვების ხვედრიწილი 65,9%-დან გაიზარდა 80,7%-მდე. დედების საშუალო ასაკი ბავშვის დაბადებისას 1959-1989 წლებში 28-დან 25,1 წლამდე შემცირდა, რაც „დედობის გაახალგაზრდავების“ სახელით არის ცნობილი.

1.4. დაბადებულთა განაწილება მამის და დედის დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური ნიშნების მიხედვით (ასაკი, ქორწინებითი მდგომარეობა, განათლება, შრომის ხასიათი)

დაბადებულთა განაწილებას და ანალიზს მამრობითი სქესის მოსახლეობის მიხედვით შესაბამისი სტატისტიკური მასალების უქონლობის გამო, ქართულ დემოგრაფიაში არ ხდებოდა. 1989 წლის აღწერის და მიმდინარე სტატისტიკის მასალებმა აღნიშნული საკითხის შესწავლის საშუალება მოგვცა.

ქალებისა და კაცების რეპროდუქციულობის რეალიზაციის თავისებურება ისაა, რომ შობადობის გამოთვლა ქალების მიხედვით 49 წლის შემდეგ აღარ ხდება. რამდენადაც 49 წლის და უფროსი ასაკის ქალებისგან დაბადებული ბავშვების რიცხვს სტატისტიკური მნიშვნელობა აღარ აქვს. კერძოდ, 1989 წელს 49 წლის და უფროსი ასაკის ქალებში ბავშვის დაბადების მხოლოდ ერთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, მაშინ როდესაც წარსულში ასეთი ფაქტები საკმაო ხშირი იყო. მაგალითად, 1959 წელს 49 წელზე უფროსი ასაკის ქალებს ეყოლათ 639 ბავშვი, 1960 წელს 605, 1965 წელს 189, 1970 წელს 58, 1975 წელს კი მხოლოდ 10.

კაცების რეპროდუქციული ასაკი მთელი 10 წლით აღემატება ქალებისას და 15-59 წელს შეადგენს. უფროს ასაკში მამობის უფრო მეტ შემთხვევებს აქვს ადგილი, ვიდრე დედობისას. კერძოდ, 55-59 წლის ყოველ 1000 კაცზე მოდის ორჯერ მეტი დაბადებული, ვიდრე 45-49 წლის 1000 ქალზე. 1989 წელს „შობადობის“ ჯამური კოეფიციენტი კაცებში ქალებთან შედარებით მაღალია 106,0%-ით(2,263 : 2,136-ზე).

ცალკეული ასაკების მიხედვით ადგილი აქვს შემდეგ სურათს(იხ-.ცხრილი 10): ქორწინების დონე 15-19 წლის ქალებში 4,9-ჯერ მაღალია ამავე ასაკის კაცების ქორწინების დონეზე, ხოლო შობადობა 9,5-

ჯერ.20-24 წლის ასაკში ქალების ქორწინების დონე 2-ჯერ ხოლო შობადობა 1,9-ჯერ აღემატება შესაბამის მაჩვენებლებს კაცებში. 25 წლის შემდგომ ასაკებში დაბადებულთა რიცხვი ყოველ 1000 ქალზე დაბალია შესაბამისი ასაკის კაცების მაჩვენებლებზე და ამასთან ასაკის ზრდის პარალელურად სხვაობა სწრაფად იზრდება. კერძოდ, 25-29 წლის ასაკობრივ ჯგუფებში დაბადებულთა რიცხვი ყოველ 1000 ქალზე კაცების ანალოგიური მაჩვენებლის 70,0% შეადგენს, 30-34 წლის ასაკში 54,0%, 35-39 წლის ასაკში 40,0%, 40-44 წლის ასაკში 21,0% და 45-49 წლის ასაკში მხოლოდ 5,0%. მცირედი განსხვავებებით ანალოგიური თანაფარდობაა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობაში. საერთოდ კი შობადობის ჯამური კოეფიციენტი, გამოთვლილი კაცების მიმართ ქალებისას აღემატება და ეს ხდება ქალაქის მოსახლეობის ხარჯზე. კერძოდ ბავშვების რიცხვი ერთ კაცზე გაანგარიშებით ქალაქად 12,9%-ით აღემატება შესაბამის მაჩვენებელს ქალებში, ხოლო სოფლად პირიქით ქალების მაჩვენებელი მცირედით 1,5%-ით მაგრამ მაინც ჭარბობს კაცების ანალოგიურ მაჩვენებელს. შედეგად,

ჯამური კოეფიციენტი კაცებში 5,9%-ით ჭარბობს ქალების ანალოგიურ მაჩვენებელს.

ცხრილი 10

დაბადებულთა განაწილება მამისა და დედის ასაკის მიხედვით 1989 წელს (‰)

ასაკი	დაბადებულთა განაწილება მამის ასაკის მიხედვით			დაბადებულთა განაწილება დედის ასაკის მიხედვით		
	სულ	მათ შორის:		სულ	მათ შორის:	
		ქალაქად	სოფლად		ქალაქად	სოფლად
15-5965 მათ შორის:	58,9	56,8	61,4	67,6	61,3	77,0
15-19	6,2	6,4	6,8	58,8	51,3	68,1
20-24	91,0	88,8	93,4	171,4	149,7	200,5
25-29	156,1	146,6	167,4	109,7	103,2	119,3
30-34	106,7	105,2	108,7	57,2	57,7	56,5
35-39	56,4	56,5	56,2	22,6	23,4	21,2
40-44	26,0	27,1	24,3	5,7	5,9	5,2
45-49	7,7	7,7	7,7	0,4	0,4	0,5
50-54	2,8	2,9	2,6			
55-59	0,8	0,7	0,9			
ჯამური კოეფიციენტი	2,263	2,210	2,340	2,136	1,957	2,376
შობადობის ბრუტო კოეფიციენტი	1,176	1,149	1,217	1,025	0,960	1,159

[65] ქალებისთვის 15-49 წელი.

გრაფიკი 5. შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტების განაწილება დედის ასაკის მიხედვით, 1989 წელი



შემდგომი ანალიზით აღმოჩნდა, რომ თუ „შობადობის“ ჯამური კოეფიციენტი კაცებში 5,9%-ით აღემატება ანალოგიურ მაჩვენებელს ქალებში, ქორწინების „შობადობის“ ჯამური კოეფიციენტი კაცებში უკვე 12,0%-ით აღემატება ანალოგიურ მაჩვენებელს ქალებში.

აღნიშნული მეტობა ქალაქში 12,9, ხოლო სოფელში 1,5%-ის ტოლია.

გრაფიკი 6. შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტების განაწილება მამისა და დედის ასაკის მიხედვით1989 წელს (%)



კოეფიციენტების განაწილება ქორწინებაში მყოფი ქალების და კაცების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა (იხ. ცხრილი 11).

ქორწინების შობადობა ქალებში მხოლოდ 15-19 წლის ასაკობრივ ჯგუფში ჭარბობს კაცების ანალოგიურ მაჩვენებელს. დაბადებულთა მაქსიმუმი კაცებში აღწევს 25-29 წლის ასაკში ქალებში კი 20-24 წლის ასაკში. რაც შეეხება „ქორწინების შობადობას“, მისი მაქსიმუმი კაცებში აღწევს 20-24 წლის, ხოლო ქალებში 15-19 წლის ასაკში.

ცხრილი 11

„შობადობის“ ასაკობრივი კოეფიციენტები ქორწინებაში მყოფი კაცებისა და ქალებისმიხედვით1989 წ. (პრომილებში)

	კაცების მიხედვით			ქალების მიხედვით		
	სულ	მათ შორის:		სულ	მათ შორის:	
		ქალაქად	სოფლად		ქალაქად	სოფლად
15-59 მათ შორის:	71,9	69,7	74,5	85,0	80,6	93,0
15-19	160,1	158,0	163,0	266,4	267,1	265,6
20-24	275,8	274,2	277,6	256,4	246,5	267,2
25-29	205,4	194,6	218,2	131,2	127,3	136,2
30-34	108,2	107,1	109,6	62,6	64,6	59,7
35-39	52,7	52,9	52,3	23,4	24,6	21,6
40-44	23,5	24,6	21,9	6,0	6,2	5,7
45-49	6,9	7,0	6,8	0,3	0,4	0,4
50-54	2,4	2,6	2,3			
55-59	0,7	0,6	0,8			
ჯამური კოეფიციენტი	4,179	4,108	4,263	3,730	3,683	3,782
შობადობის ბრუტო კოეფიციენტი	2,005	1,972	2,046	1,940	1,768	1,815

ანალიზმა ქალაქისა და სოფლის მიხედვით გვიჩვენა, რომ: 1) შობადობის დონეები ქორწინებაში მყოფ (ქალაქისა და სოფლის) მოსახლეობაში (კაცებისა და ქალების) უფრო ერთგვაროვანია, ვიდრე მთლიანად მოსახლეობაში; 2) შობადობის დონეები უფრო უახლოვდება ერთმანეთს ქალაქსა და სოფელში მცხოვრებ კაცებში, ვიდრე ქალებში. ფაქტია,რომ კაცების რეპროდუქციული განწყობა საქართველოში მოითხოვს ცალკე სოციოლოგიურ-დემოგრაფიულ გამოკვლევას ქალებისგან განსხვავებული ანკეტით.

ცხრილი 12

შობადობის დონეების თანაფარდობა სოფლისა და ქალაქის მიხედვით 1989 წელს(%% სოფელი ქალაქთან)

ასაკი	ქორწინებისა და ქორწინების გარეშე შობადობა ერთად		ქორწინების შობადობა	
	კაცებში	ქალებში	კაცებში	ქალებში
15-59 მათ შორის:	108.1	125,6	106,9	115,4
15-19	106,3	132,7	103,2	99,4
20-24	105,2	133,9	101,2	108,4
25-29	114,2	115,6	112,1	107,0
30-34	103,3	97,9	102,3	92,4
35-39	99,5	90,6	98,9	87,8
40-44	89,7	88,1	89,0	91,9
45-49	100,0	125,1	97,0	100,0
50-54	89,6		88,5	
55-59	128,6		133,3	
ჯამური კოეფიციენტი	105,9	121,4	103,8	102,7

ჩვენს ხელთ არსებულმა სტატისტიკურმა ინფორმაციამ საშუალება მოგვცა გამოგვეთვალა შობადობის მაჩვენებლები მოსახლეობის განათლების დონის მიხედვით 1989 წელს, გენდერულ ჭრილში.

ცხრილი 13

შობადობის ჯამური კოეფიციენტები განათლების დონის მიხედვით 1989 წ.[66]

	სულ	უმაღლესი	დაუმთავრებელი უმაღლესი	საშუალო სპეციალური	საშუალო ზოგადი
კაცებში	2,263	2,255	1,841	1,788	2,836
ქალებში	2,136	1,680	1,598	1,859	2,796
კაცები % ქალებთან	105,9	134,2	115,2	96,2	101,4

[66] შობადობის ასაკობრივი მაჩვენებლები იხ.; დანართი, ცხრილი 8-9, 10.

გრაფიკი 7. შობადობის ჯამური კოეფიციენტები განათლების დონისმიხედვით 1989 წელს



აღმოჩნდა, რომ დაბადებულთა რიცხვი ერთ კაცზე გაანგარიშებით 5,9%-ით მეტია ქალების ანალოგიურ მაჩვენებელზე. ამასთან, მეტობა ყველაზე მეტად გამოკვეთილია უმაღლესი განათლების და შემდეგ დაუმთავრებელი უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობაში. ზოგადი საშუალო განათლების მქონე კაცებში მაჩვენებელი მხოლოდ 1,4%-ითაა მეტი ქალებზე, ხოლო საშუალო სპეციალური განათლების მქონე კაცებში მაჩვენებელი რამდენიმე პროცენტით ნაკლებიცაა ქალების ანალოგიურ მაჩვენებელზე. როგორც კაცებში, ისე ქალებში, შობადობის დონე ფორმირდება ძირითადში ზოგადი საშუალო განათლების მქონე მოსახლეობის ხარჯზე, რამდენადაც შობადობა ასეთი განათლების მიხედვით მეტია საშუალო ჯამობრივ კოეფიციენტთან შედარებით კაცებში 25,3%-ით, ხოლო ქალებში 30,9%-ით. საინტერესოა, განათლების დონე შობადობის დონის დიფერენციაციაზე კაცებში უფრო მოქმედებს, თუ ქალებში? აღმოჩნდა, რომ განათლების შედეგად შობადობა უფრო დიფერენცირებულია ქალებში. კერძოდ, ვარიაციის წრფივი კოეფიციენტი განათლების მიხედვით 1989 წელს კაცებში 16,3-ს, ხოლო ქალებში 22,6%-ს შეადგენდა.

საინტერესო შედეგებს იძლევა შობადობოს დონის ანალიზი ქალებისა და კაცების მიხედვით შრომის ხასიათთან კავშირში.დაბადებულთა საშუალო რიცხვი ერთ კაცზე გაანგარიშებით ყალიბდება დასაქმებული კაცების, ქალებში კი დაუსაქმებელი ქალების ხარჯზე.აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებული განსხვავება შობადობის დონეში შეინიშნე-

ბა უპირატესად გონებრივი შრომით დასაქმებულ კაცებსა და ქალებს შორის, სადაც მაჩვენებელი კაცებში 32,9%-ით მეტია. ამასთან, შობადობა დაუსაქმებელ ქალებში 23,2%-ით მეტია კაცების ანალოგიურ მაჩვენებელზე.

ცხრილი 14

შობადობის ჯამური კოეფიციენტები საქართველოში შრომის ხასიათის მიხედვით 1989 წ.[67]

	საქართველოში, სულ	დასაქმებული მოსახლეობა	მათ შორის:		დაუსაქმებელი მოსახლეობა
			დასაქმებულნი უპირატესად გონებრივი შრომით	დასაქმებულნი უპირატესად ფიზიკური შრომით	
კაცებში	2,263	2,570	2,604	2,586	1,965
ქალებში	2,136	2,130	1,960	2,190	2,420
კაცები ქალებთან, %	105,9	120,6	132,9	118,1	81,2

ეს იმის შედეგია, რომ შობადობა დაუსაქმებელ ქალებში ჭარბობს შობადობას დასაქმებულებში, კაცებში კი პირიქით. რაც შეეხება შრომის ხასიათს,შობადობის ჯამური კოეფიციენტი ფიზიკური შრომით დასაქმებულ ქალებში 11,7%-ით მეტია გონებრივი შრომით დასაქმებული ქალების ანალოგიურ მაჩვენებელზე. კაცებში გონებრივი და ფიზიკური შრომით დასაქმებულ ერთ კაცზე საშუალოდ მოდის ერთი და იგივე რაოდენობის ბავშვი. ეს ფაქტი უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ შრომის ხასიათი კაცების რეპროდუქციული ქცევის დიფერენციაციაზე გავლენას ვერ ახდენს. სამაგიეროდ, მაღალია კაცების მიმართ თვითონ დასაქმებისა და დაუსაქმებლობის ფაქტორის გავლენა. ამ ფაქტორის შედეგად, შობადობის ჯამური კოეფიციენტის ვარიაციის წრფივმა კოეფიციენტმა კაცებში 33,9% შეადგინა, მაშინ როდესაც ქალებში მხოლოდ 7,0%, ე. ი. 4,8-ჯერ ნაკლები.

[67] ასაკობრივი მაჩვენებლები იხილეთ დანართში, ცხრილი 16-18

თავი 2. შობადობა პოსტსაბჭოთა საქართველოში

2.1. შობადობის დონე და დინამიკა

დემოგრაფიული ვითარება პოსტსაბჭოთა საქართველოში მკვეთრად გაუარესდა, რაც ლოგიკურად მოჰყვა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ განვითარებულ უარყოფით სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ შედეგებს. მოსალოდნელი ნეგატიური ტენდენციების შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით 1990-იანი წლების დასაწყისში. მოვიტანთ სრულ ციტატას. „საქართველოში 1990 წლის შემდგომმა სოციალურ-ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა და ეროვნებათაშორის ურთიერთობების კრიზისმა რადიკალურად გააუარესა ამ დროისათვის ისედაც არასასურველი დემოგრაფიული მდგომარეობა. 1993 წლისთვის შობადობის ზოგადი კოეფიციენტი 12,6‰, მოკვდაობის - 10,1‰, ხოლო ბუნებრივი მატება 2,5‰-მდე დაეცა. აღნიშნული მდგომარეობა ქვეყნის დემოგრაფიულ მომავალს კიდევ უფრო გააუარესებს. ასეთი პესიმიზმის საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების შემოსვლა და დამკვიდრება საქართველოში მოასწავებს დასაქმების დონის შემცირებას, რამდენადაც დასაქმებაში ძირითადი აქცენტი გადატანილი იქნება სამუშაო ძალის ხარისხობრივ და არა რაოდენობრივ მხარეზე. სამუშაო ძალის რაოდენობრივ მხარეზე მოთხოვნის შემცირება კი ნიშნავს შობადობის შემცირების კიდევ ერთი მძლავრი ფაქტორის ამოქმედებას. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდს შეიძლება ისეთი მძიმე დემოგრაფიული შედეგები არ მოჰყოლოდა, ის რომ მომხდარიყო არა ასეთ კრიზისულ, არამედ ნორმალურ პირობებში, თანდათანობით, ახლის მშენებლობის და იმავდროულად ძველის ნგრევის პირობებში. ამიტომ საქართველოს გადასვლა საბაზრო ეკონომიკაზე აუარესებს მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმს. რამდენადაც დიდხანს გაგრძელდება ეს პროცესი, მით უფრო გაუარესდება მდგომარეობა, ხოლო საკომპენსაციო მექანიზმის ამოქმედება შესაძლო ეფექტს ვეღარ მოიტანს. ამის შედეგად დემოგრაფიული გადასვლა დაჩქარდება, რასაც მოჰყვება საქართველოს მოსახლეობის ნაადრევი სტაბილიზაცია მოსახლეობის ნაკლები რიცხოვნობით, ვიდრე ის ნორმალური დემოგრაფიული განვითარების პირობებში მოხდებოდა. ამიტომ მომავალში საზოგადოებას დასჭირდება უდიდესი ძალისხმევა

მოსახლეობის დეფორმირებული აღწარმოების რეჟიმის გამოსწორებისათვის.[68]

საქართველოს მოსახლეობის 1990 წლის სტაციონარული მოდელის თანახმად (მოდელი გულისხმობდა მოსახლეობის 1990 წლის აღწარმოების რეჟიმის უცვლელად შენარჩუნებას), საქართველოს მოსახლეობა შეწყვეტდა ზრდას და სტაციონარული გახდებოდა 2015 წელს 6 798,3 ათასი მცხოვრებით. რეალობა აღმოჩნდა გაცილებით უარესი. საქართველოს მოსახლეობამ 1992 წლიდან დაიწყო შემცირება შობადობის შემცირების და საქართველოს ისტორიაში მოსახლეობის მანამდე არნახული ემიგრაციის ნაკადების გამო. ამის შედეგად საქართველოს მოსახლეობამ 2015 წელს შეადგინა არა 6 798,3 არამედ 3721,9 ათასი, ანუ თითქმის 2-ჯერ ნაკლები.

შობადობის სტატისტიკა პოსტსაბჭოთა საქართველოში გვაქვს 1994 წლიდან საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. ამასთან დაბადებულის სტატისტიკური აღრიცხვის პროგრამა საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდში გარკვეულად განსხვავდება. კერძოდ შობადობის მიმდინარე პოსტსაბჭოთა სტატისტიკა აღარ აღრიცხავს დაბადებულის მშობლების ეროვნებას და შრომის ხასიათს. ქვემოთ მოგვაქვს მონაცემები საქართველოში დაბადებულთა რიცხოვნობის და შობადობის ზოგადი კოეფიციენტების შესახებ 1990-1994 წლებში.[69]

წლები	დაბადებულთა რიცხვი, ათასი	შობადობის ზოგადი კოეფიციენტი, პრომილე
1990	92,8	17,1
1991	89,1	16,3
1992	72,6	13,4
1993	61,6	12,0
1994	57,3	11,8
საშუალოდ 1990-1994	74,7	14,1

1991 წლიდან როგორც დაბადებულთა რიცხვი, ისე შობადობის კოეფიციენტი ყოველწლიურად კატასტროფულად მცირდება. 1994 წელს

[68] მერაბ ხმალაძე. საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებები და ეკონომიკური შედეგები. სადოქტორო დისერტაცია. თბ., 1995, გვ. 5.

[69] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2006. თბ., 2007, გვ. 26. 29. მოიცავს საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიას.

1990 წელთან შედარებით შობადობის დონე 31,0%-ით ხოლო დაბადებულთა რიცხვი 38,3%-ით შემცირდა. შობადობის კოეფიციენტი 1990-1994 წლებში მოსახლეობის არა თუ გაფართოებულ, არამედ მარტივი აღწარმოების მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებს. სახეზე გვაქვს მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოება.

დაბადებულთა რიცხვი და შობადობის დონე საქართველოში 1994/95 წლების შემდეგაც განაგრძობდა შემცირებას და საქართველოს სტატისტიკურ ისტორიაში ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია 2002 წელს, როდესაც დაიბადა 45,1 ათასი ბავშვი ხოლო შობადობის ზოგადი კოეფიციენტი 11,3‰-მდე დაეცა. 2002 წლის შემდეგ შობადობის დონე თანდათანობით იზრდება და 2009-2017 წლებში აკმაყოფილებს მოსახლეობის მარტივი აღწარმოების მოთხოვნებს, რის შემდეგაც ისევ შემცირდა შეკვეცილი აღწარმოების დონეზე. შობადობის დონის დინამიკაზე უფრო ნათელ წარმოდგენას იძლევა შობადობის კოეფიციენტები ხუთწლიანი ინტერვალებით.

ცხრილი 15

შობადობის საშუალოწლიური ზოგადი კოეფიციენტები საქართველოში 1995-2020 წლებში ქალაქ-სოფლის მიხედვით[70]

	სულ საქართველოში	მათ შორის		% % ქალაქი სოფელთან
		ქალაქად	სოფლად	
1995-1999	12,1	13,8	10,2	135,3
2000-2004	11,6	14,1	8,4	170,0
2005-2009	13,0	16,2	8,7	186,2
2010-2014	14,3	14,6	13,9	105,0
2015-2019	14,4	14,4	14,4	100,0
2020	12,5	12,7	12,2	104,1

[70] ცხრილი გაანგარიშებულია საქსტატის მონაცემების - „დემოგრაფიული ვითარება საქართველოში“ - მიხედვით, 2019. თბ., 2020, გვ. 36. იხ.: www.geostat.ge

გრაფიკი 8. შობადობის საშუალოწლიური ზოგადი კოეფიციენტები საქართველოში
1995-2020 წლებში ქალაქ-სოფლის მიხედვით



შობადობის საშუალოწლიური კოეფიციენტების დინამიკა გვიჩვენებს, რომ შობადობის დონის გარკვეული ზრდა შეიმჩნევა 2010 წლიდან, რომელიც 2010-2019 წლებში აკმაყოფილებს მოსახლეობის მარტივი აღწარმოების მოთხოვნებს. თუმცა, არ შეიძლება 2010-2019 წლები ჩაითვალოს საკომპენსაციო პერიოდად, რამდენადაც შობადობის დონე ამ წლებში ოდნავადაც ვერ უახლოვდება შობადობის 1990-იანი წლების დონეს. ცალკე აღნიშვნის ღირსია შობადობის დონის მკვეთრი დაცემა 2019-2020 წლებში კორონავირუსის ეპიდემიის შედეგად. კერძოდ, 2019 წელს საქართველოში დაიბადა 48,3 ხოლო 2020 წელს 46,5 ათასი ბავშვი. შობადობის კოეფიციენტი 13,0‰-დან შემცირდა 12,5‰-მდე.

როგორც ზემოთმოტანილი ცხრილიდან ჩანს, 1990-იანი წლების შემდეგ სახეზე გვაქვს საქართველოს დემოგრაფიულ ისტორიაში არსებული უპრეცედენტო მდგომარეობა. კერძოდ, 1995 წლიდან დაწყებული (ერთი-ორი წლის გარდა), შობადობის დონე ქალაქად აღემატება სოფლის მოსახლეობის შობადობის დონეს. საქართველოს მოსახლეობის შობადობის სტატისტიკაში შობადობის დონის კოეფიციენტები ქალაქის და სოფლის მიხედვით გაგვაჩნია 1940 წელს და 1950 წლიდან ყოველწლიურად, მაგრამ არცერთ წელს სოფელთან შედარებით ქალაქში შობადობის ზოგადი კოეფიციენტის არათუ მეტობა, არამედ ტოლობაც არ ფიქსირდება.

აღნიშნულ პერიოდში სოფელთან შედარებით ქალაქად შობადობის კოეფიციენტის მეტობა შეიძლება ავხსნათ ორი გარემოებით: 1. სოფლად შიგა და გარე მიგრაციის შედეგად მოსახლეობის ასაკობრი-

ვი სტრუქტურის გაუარესებით, რაც აისახა ახალგაზრდობის ხვედრიწილის შემცირებაში. შედეგად, ქალაქის მოსახლეობაში აღმოჩნდა სოფელთან შედარებით უფრო ახალგაზრდა ასაკობრივი სტრუქტურა, რამაც განაპირობა შობადობის უფრო მაღალი კოეფიციენტი; 2. როგორც ჩანს, 1990-იანი წლების შემდგომმა საყოველთაო კრიზისმა გაცილებით უარყოფითი გავლენა იქონია სოფელზე, ვიდრე ქალაქზე.

პოსტსაბჭოთა პერიოდში არსებითი ცვლილებები განიცადა შობადობის ასაკობრივმა მაჩვენებლებმა, რომელიც ასახულია ცხრილ 16-ში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ შობადობის სპეციალური კოეფიციენტი ზოგად კოეფიციენტთან შედარებით უფრო ზუსტად ასახავს შობადობის დონეს, რამდენადაც მის სიდიდეზე ასაკობრივი სტრუქტურა მოქმედებს მხოლოდ რეპროდუქციული ასაკის ფარგლებში.

1990-იანი წლების შემდეგ შობადობის სპეციალური კოეფიციენტი მკვეთრად კლებულობს და 1989-2005 წლებში 67,6‰-დან მცირდება 39,7‰-მდე, ე. ი. 27,9‰-ით, ანუ 41,3 პროცენტით). 2005 წლის შემდეგ მაჩვენებელი იზრდება და 2005-2015 წლებში 39,7-დან აღწევს 58,2‰-მდე, რის შემდეგაც ის თანდათანობით მცირდება და 2020 წელს 49,4‰ გახდა.

ცხრილი 16

შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები საქართველოში1989-2020 წლებში (დაბადებულთა რიცხვი შესაბამისი ასაკის 1000 ქალზე)[71]

	15-49	მათ შორის							შობადობის ჯამური კოეფიციენტი
		15-19	20-24	25-29	30-34	35-39	40-44	45-49	
1989	67,6	58,8	171,4	109,7	57,2	22,6	5,7	0,4	2,13
1995	41,7	65,7	116,0	67,9	42,7	16,9	4,3	0,3	1,57
2000	40,1	43,7	120,6	80,8	46,3	20,5	5,3	0,5	1,59
2005	39,7	45,1	111,7	86,3	49,9	20,8	4,8	0,3	1,59
2010	50,2	52,2	132,6	111,0	67,0	29,1	6,8	0,3	1,99
2015	58,2	48,4	144,1	128,0	87,7	41,5	10,6	0,7	2,30
2019	50,8	29,4	112,1	121,3	81,2	44,6	12,4	1,5	2,01
2020	49,4	27,3	103,3	121,8	81,6	44,4	13,3	1,7	1,97

[71] დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 2019, თბ., 2020 გვ. 38; დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 2020. თბ., 2021, გვ. 31.

შესაბამისად, პოსტსაბჭოთა საქართველოსთვის დამახასია თებელია შობადობის დონის ცვლილების სამი ტალღა: 2005 წლამდე შემცირება, 2005-2015 წლებში ზრდა და 2015-2020 წლებში ისევ შემცირება. მაშასადამე, ტენდენცია მკვეთრად არასტაბილურია.

გრაფიკი 9. შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები საქართველოში,1989 წელი



გრაფიკი 10. შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები საქართველოში 2020 წელს



შობადობის სპეციალური კოეფიციენტის სიდიდე მნიშვნელოვნად განპირობებულია შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტების დონით. ამასთან ეს უკანასკნელი პოსტსაბჭოთა

პერიოდში არაორდინარული „ქცევით“ გამოირჩევა, რაც მანამდე მას არ ახასიათებდა. საქმე ისაა, რომ საბჭოთა საქართველოში შობა-

დობის საერთო დონის შემცირების პარალელურად, იზრდება შობადობა ახალგაზრდა, 15-24 წლის ასაკებში და მცირდება 25 წლის და უფროსი ასაკის ქალებში. შესაბამისად, შობადობის შემცირების ძირითადი მიზეზი საბჭოთა საქართველოში იყო შობადობის შემცირება 25 წლის და უფროსი ასაკის ქალებში.

რაში მდგომარეობს შობადობის დინამიკის არაორდინარულობა პოსტსაბჭოთა საქართველოში?

1) თუ მხედველობაში არ მივიღებთ შობადობის ზრდას 15-19 წლის ასაკში 1989-1995 წლებში, ახალგაზრდა ასაკებში შობადობის დონის ზრდას შობადობის საერთო დონის შემცირების პირობებში ადგილი აღარ აქვს. როგორც ჩანს, შობადობის ზრდას ახალგაზრდა ასაკებში ადგილი აქვს შობადობის შემცირების პირობებში გარკვეულ დონემდე, რომლის შემდეგაც შობადობის შემდგომი შემცირება იწვევს შობადობის შემცირებას ახალგაზრდა ასაკებშიც. ასეთ ვითარებას აქვს ადგილი საქართველოში. საკმარისია ვაჩვენოთ, რომ 1989-2020 წლებში შობადობის დონე 15-19 წლის ასაკის ქალებში შემცირდა 2,2-ჯერ, ხოლო 20-24 წლის ასაკისაში 1,7-ჯერ.

2) პოსტსაბჭოთა პერიოდში შობადობის შემცირების პარალელურად იზრდება შობადობის დონე 25 წლის და უფროსი ასაკის ქალებში, რაც საბჭოთა პერიოდში არ დაფიქსირებულა. კერძოდ, 1989-2020 წლებში შობადობის დონე გაიზარდა ასაკების მიხედვით:

25 - 29 წელი - 111,0%-ით;
30 - 34 წელი - 142,7%-ით;
35 – 39 წელი - 196,5%-ით;
40 – 44 წელი - 233,3%-ით;
45 – 49 წელი - 425,0%-ით.

2000 წლიდან დაწყებული, შობადობის დონემ 30-34 წლის ასაკში გადააჭარბა შესაბამის მაჩვენებელს 15-19 წლის ასაკში, რასაც მანამდე ადგილი არ ჰქონია. ამასთან, მეტობა წლების მიხედვით იზრდება და შეადგენს: 2000 წელს 105,9%, 2005 წ. 110,6%, 2010 წ. 128,4%, 2015 წ. 181,2% და 2020 წ. 300,0%, ე. ი. 3-ჯერ მეტს. ასეთი პარადოქსული დინამიკა შობადობაში, როდესაც მისი დონე ქალების ასაკის ზრდასთან ერთად მკვეთრად იზრდება, აქამდე საქართველოს დემოგრაფიულ სტატისტიკას არ დაუფიქსირებია და, მით უმეტეს, მისი ახსნა სტატისტიკური მეთოდებით შეუძლებელია. ვთვლით, რომ ამ ფენომენის ახსნა უნდა მოხდეს მოსახლეობის დემოგრაფიული განწყობის ფართომასშტაბიანი და კომპლექსური სტატისტიკურ-დემოგრაფიულ-სოციოლოგიური გამოკვლევის ჩატარების საფუძველზე.

3) დასკვნის სახით: 1990-იან წლებამდე შობადობის დონის შემცირებას საქართველოში ძირითადად განაპირობებდა შობადობის შემცირება 25 წლის და უფროსი ასაკის ქალებში. პოსტსაბჭოთა საქართველოში პირიქით, შობადობის დონის შემცირებას განაპირობებს შობადობის დონის შემცირება ახალგაზრდა, 15-24 წლის ასაკის ქალებში. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შეიცვალა ცხოვრების სტანდარტი. **საბჭოთა პერიოდში ახალგაზრდა ასაკებში ხდებოდა ბავშვების სასურველი რიცხვის ყოლა, ხოლო შემდგომი დრო ეთმობოდა დასაქმებას და კარიერას. დღეისათვის, მკაცრი კონკურენციის პირობებში, განათლებას, დასაქმებას და კარიერას ეთმობა ენერგიული ახალგაზრდა ასაკი, ხოლო შვილიანობას - უფროსი ასაკი, რაც შობადობის შემცირების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.**

შობადობის დონის ყველაზე ზუსტ საზომს წარმოადგენს შობადობის ჯამური კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს ქალის მიერ დაბადებული ბავშვების საშუალო რიცხვს მთელი რეპროდუქციული პერიოდის განმავლობაში შობადობის მოცემული წლის დონის შენარჩუნების პირობებში. შობადობის ჯამური კოეფიციენტი იმეორებს შობადობის სპეციალური კოეფიციენტის დინამიკას. ცნობილია, რომ მოსახლეობის მარტივი აღწარმოების უზრუნველსაყოფად საჭიროა შობადობის ჯამური კოეფიციენტი იყოს 2,1-ის ტოლი.[72] აღნიშნული მაჩვენებლის სიდიდე პოსტსაბჭოთა საქართველოში 2,1-ს აღემატებოდა მხოლოდ 2014-2018 წლებში და შეესაბამებოდა მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების რეჟიმს. დანარჩენ წლებში აღნიშნული მაჩვენებელი 2,1-ზე ნაკლები იყო და შეესაბამებოდა მოსახლეობის აღწარმოების შეკვეცილ რეჟიმს.

შობადობის და მოკვდაობის დონეები აყალიბებს მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმს, რომელიც სტატისტიკურად გაიზომება მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტით.

აღნიშნული კოეფიციენტი გვიჩვენებს თუ დაბადებული გოგონების რიცხვიდან მოკვდაობის მოცემული წლის დონის პირობებში საშუალოდ რამდენი მიაღწევს დედის იმ ასაკს, რა ასაკშიც იყო დედა მათი დაბადებისას. კოეფიციენტის სიდიდე 1 შეეესაბამება მოსახლეობის მარტივი აღწარმოების რეჟიმს, რაც ნიშნავს, რომ მშობლების თაობას ცვლის რაოდენობრივად მათი თანაბარი შვილების თაობა. 1-ზე ნაკლები კოეფიციენტი შეესაბამება მოსახლეობის შეკვეცილ, ხოლო 1-ზე მეტი გაფართოებული აღწარმოების რეჟიმს. პოსტსაბჭოთა საქართველოში ნეტო კოეფიციენტის სიდიდე გაფართოებული აღწარმოების რეჟიმს შეესაბამებოდა მხოლოდ 2014-2018 წლებში, ხოლო დანარჩენში შეკვეცილს.[73]

---

[72] მერაბ ხმალაძე. დემოგრაფია. თბ., 2009, გვ. 256.

[73] დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 2019. ტბ., 2020, გვ. 38.

2.2. შობადობის დონის საინდექსო ანალიზი

შობადობის დონეზე და მის ცვლილებაზე (ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს შობადობის სპეციალური კოეფიციენტი) მოქმედებს ორი მთავარი ფაქტორი: შობადობის დონე (ინტენსივობა) ცალკეულ ასაკებში და რეპროდუქციული ასაკის ქალების ასაკობრივი სტრუქტურა. თუ ამ უკანასკნელში გაზარდა მაღალი შობადობის მქონე ასაკის ქალების ხვედრიწილი, მხოლოდ ეს გაზრდის ორი პერიოდისთვის შობადობის დონეს და პირიქით. სტატისტიკაში ეს ცნობილია სტრუქტურული ძვრების სახელით.

ინდექსები საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ შობადობის სპეციალური კოეფიციენტის და დაბადებულთა აბსოლუტური რიცხვის ცვლილება შობადობის ასაკობრივი ინტენსივობის(კოეფიციენტების) და რეპროდუქციული (15-49) კონტიგენტის ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილების შედეგად.

ჩვენ ზემოთ განვიხილეთ შობადობის დონის და მისი ასაკობრივი დიფერენციაციის დინამიკა. მონაცემები რეპროდუქციული ასაკის ქალების ასაკობრივი სტრუქტურის შესახებ მოგვყავს ქვემოთ.

ცხრილი 17

რეპროდუქციული ასაკის ქალების ასაკობრივი სტრუქტურა საქართველოში 1995-2020 წლებში[74]

	აბსოლუტურად, ათასი					
	1995	2000	2005	2010	2015	2020
15-19	181,4	160,9	153,6	131,2	105,6	96,3
20-24	177,8	150,5	147,8	145,5	124,4	102,4
25-29	187,3	147,8	139,4	139,3	138,6	118,9
30-34	175,6	146,4	137,6	132,2	133,8	135,3
35-39	173,4	158,8	138,7	130,5	126,8	129,7
40-44	156,5	163,1	156,9	130,7	124,2	121,7
45-49	151,9	145,7	151,6	148,5	123,9	118,8
15-49	1203,9	1073,2	1025,6	957,9	877,3	823,1
% მო-სახ-ში	25,8	26,3	26,3	25,3	23,5	22,1

[74] ცხრილი შედგენილია საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით.

	პროცენტულად					
	1995	2000	2005	2010	2015	2020
15-19	15,0	15,0	15,0	13,7	12,0	11,7
20-24	14,8	14,0	14,0	15,2	14,2	12,4
25-29	15,6	13,8	13,6	14,5	15,8	14,4
30-34	14,6	13,6	13,4	13,8	15,3	16,4
35-39	14,4	14,8	13,5	13,6	14,5	15,8
40-44	13,0	15,2	15,3	13,6	14,2	14,8
45-49	12,6	13,6	14,8	15,6	14,0	14,5
15-49	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0
% მო-სახ-ში						

მოცემული ცხრილის ანალიზით შეიძლება რამდენიმე საგულისხმო დასკვნის გაკეთება: 1) პოსტსაბჭოთა პერიოდში მცირდება რეპროდუქციული ასაკის ქალების რიცხოვნობა. კერძოდ, 1995-2020 წლებში აღნიშნული კონტინგენტის რიცხოვნობა 380,8 ათასით ე. ი. საშუალოდ წლიურად 15,9 ათასით მცირდებოდა, რაც, ცხადია, ამ პერიოდში მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის შემცირებით არის გამოწვეული; 2) რეპროდუქციული კონტინგენტის ასაკობრივი სტრუქტურა 1995-2015 წლებში პრაქტიკულად უცვლელია. რაც ვიზუალურად თვალში საცემია, 2015-2020 წლებში უმნიშვნელოდ მცირდება 15-29 წლის და იზრდება 30-45 წლის ქალების ხვედრი წილი.ასე რომ განხილულ პერიოდში უშუალოდ რეპროდუქციული ასაკის ქალების ასაკობრივი სტრუქტურის ანალიზით შეუძლებელია დადგინდეს მისი გავლენა შობადობის დონის დინამიკაზე. აღნიშნულ საკითხს ნათელს ფენს ჩვენს მიერ ჩატარებული შობადობის დონის საინდექსო ანალიზი, რომლის შედეგებიც მოგვაქვს ქვემოთ, ცხრილში 18.

ცხრილი 18

შობადობის დონის საინდექსო ანალიზი საქართველოში1989-2020 წლებში

	შობადობის სპეციალური კოეფიციენტის ცვლილება ‰ (+-)	მათ შორის:		დაბადებულთა რიცხვის ცვლილება (ათასი,+-)	მათ შორის	
		შობადობის ინტენსივობის ხარჯზე ‰ (+-)	ასაკობრივი სტრუქტურის ხარჯზე ‰ (+-)		შობადობის ინტენსივობის ხარჯზე (ათასი,+-)	ასაკობრივი სტრუქტურის ხარჯზე (ათასი,+-)
1989-1995	-25,9	-22,0	-3,9	-34,6	-29,4	-5,2
1995-2000	-1,6	-4,4	+2,8	-8,3	-12,1	+3,8
2000-2005	-0,4	-5,1	+4,7	-2,1	-10,1	+8,0
2005-2015	+10,5	+4,1	+6,4	+9,1	+3,5	+5,6
2010-2015	+8,0	0,0	+7,9	+4,1	0,0	+4,1
2015-2020	-8,8	-15,1	+6,3	-12,8	-19,2	+6,4
1989-2020	-18,2	-8,3	-9,9	-44,6	-67,4	+22,8

ცხრილში მოცემული გაანგარიშებების საილუსტრაციოდ დამატებით მოვიტანთ მონაცემებს დაბადებულთა რიცხოვნობის შესახებ შესაბამის წლებში (ათასი დაბადებული):

წლები	1989	1995	2000	2005	2010	2015	2020
დაბადებული	91,1	56.5	48,2	46,1	55,2	69,3	46,5

როგორც ცხრილში და მის შემდეგ მოტანილი მონაცემები გვიჩვენებს, დაბადებულთა რიცხვის და შობადობის სპეციალური კოეფიციენტის ზრდას საქართველოში მთელი პოსტსაბჭოთა პერიოდიდან ადგილი აქვს 2005-2015 წლებში, რაც შეიძლება მისი წინა პერიოდის, ანუ 1995-2005 წლებში უკიდურესად დაბალი შობადობის კომპენსაციად ჩაითვალოს. შობადობის ისეთი დაბალი დონე, როგორიც საქართველოში დაფიქსირდა 1995-2005 წლებში, ქვეყანას არ ჰქონია შობადობის სტატისტიკური აღრიცხვის ისტორიაში. უფრო მეტი, 2000-2007 წლებში საქართველო ხასიათდებოდა უარყოფითი ბუნებრივი მატებით, რაც

ასევე არ ახსოვს საქართველოს სტატისტიკურ ისტორიას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მეორე მსოფლიო ომის წლებს, რომლის მონაცემებიც არ დეკლარირდება. 2000-2007 წლებს ჩვენ ვუწოდეთ „დემოგრაფიულად უნაყოფო წლები“ საქართველოს ისტორიაში.[75]

მოტანილი გაანგარიშებებიდან ჩანს, რომ განხილულ 1989-2020 წლებში (1989-1995 წლების გარდა) საქართველოს მოსახლეობის რეპროდუქციული ასაკობრივი სტრუქტურა შობადობაზე დადებით გავლენას ახდენს, ხოლო შობადობის ინტენსივობა - მხოლოდ 2005-2010 წლებში. უფრო მარტივად რომ ავხსნათ, ჩვენ ვაკეთებთ პირობით გაანგარიშებას: რამდენი ბავშვი დაიბადებოდა მოცემულ წელს, გასული წლის ასაკობრივი შობადობის და მოცემული წლის ასაკობრივი სტრუქტურის პირობებში და პირიქით, რამდენი ბავშვი დაიბადებოდა მოცემულ წელს მოცემული წლის ასაკობრივი შობადობის და გასული წლის ასაკობრივი სტრუქტურის პირობებში. ამიტომ შობადობის ინდექსში იცვლება ასაკობრივი შობადობა, ასაკობრივი სტრუქტურის ინდექსში ასაკობრივი სტრუქტურა.

საინდექსო ანალიზის შესაძლებლობები ავხსნათ 1989-2020 წლების მაგალითზე. დაბადებულთა რიცხვი მოცემულ პერიოდში შემცირდა 44,6 ათასით. მაგრამ ის შობადობის შემცირების შედეგად შემცირდებოდა არა 44,6 ათასით, არამედ 67,4 ათასით, რომ არა ასაკობრივი სტრუქტურის დადებითი გავლენა, რომლის შედეგადაც დაბადებულთა რიცხვი გაიზარდა 22,8 ათასით. შესაბამისად, დაბადებულთა რიცხვის საერთო შემცირება (44,6 ათასი) მოცემული ორი ფაქტორის ურთიერთქმედების შედეგია:

44,6 = -67,4 + 22,8.

დაბადებულთა რიცხვის შემცირება 1989-2020 წლებში 67,4 ათასით ნიშნავს კიდევ იმას, რომ 2020 წელს რომ არა ასაკობრივი სტრუქტურის დადებითი გავლენა, დაიბადებოდა 23,7 (91,1-67,4) და არა 46,5 ათასი ბავშვი, ხოლო ამ წელს გარდაცვლილი 50,5 ათასის პირობებში მივიღებდით 26,8 ათას უარყოფით ბუნებრივ მატებას. 23,7-50,5=-26,8. ქვემოთ მოგვყავს ინდექსები, რომელიც ასევე ადასტურებს პოსტსაბჭოთა პერიოდში შობადობაზე რეპროდუქციული ასაკის ქალების ასაკობრივი სტრუქტურის დადებით გავლენას.

[75] მერაბ ხმალაძე, დემოგრაფია. თბ., 2009, გვ. 2012

ცხრილი 19

შობადობის სპეციალური კოეფიციენტების ფაქტორული საინდექსოანალიზი (1989-2020 წლები)

წლები	ინდექსის ცვლილება სულ	მათ შორის:	
		შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტების ცვლილების ხარჯზე	ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილების ხარჯზე
1989-1995	0,616	0,654	0,942
1995-2000	0,961	0,901	1,067
2000-2005	0,990	0,886	1,117
2005-2010	1,263	1,088	1,161
2010-2015	1,159	1,002	1,157
2015-2020	0,849	0,766	1,108
1989-2020	0,731	0,855	0,855

2.3. საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის რეპროდუქციული და ქორწინებითი განწყობა

რეპროდუქციული განწყობა არის ცალკეული პიროვნების ან პიროვნებათა ჯგუფის დამოკიდებულება შვილიანობის, რაც იგივეა, ოჯახში ბავშვების ამა თუ იმ რიცხვის ყოლის შესახებ. სტატისტიკურ ერთობლიობაში ეს ნიშნავს დამოკიდებულებას შობადობის, როგორც დემოგრაფიული პროცესის მიმართ. ამ მიზნით, 2019 წელს თსუ ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრაზე ჩატარდა საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული განწყობის კვლევა (იხ.: საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული განწყობა. თბ., 1920). აღნიშნული კვლევის ერთ ნაწილს შეადგენდა სტუდენტთა რეპროდუქციული და ქორწინებითი განწყობა, რომელიც შესრულებული იქნა უშუალოდ ჩვენს მიერ.

ოფიციალური სტატისტიკით, დღეისათვის საქართველოში ცოცხლადშობილი ბავშვებიდან სტუდენტური ასაკის ქალების კონტინგენტის (20-34 წელი) მიერ დაბადებული ბავშვების ხვედრი წილი დაბადებული

ბავშვების 80,0% შეადგენს. ამით ჩვენ გვინდა კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი სტუდენტთა ასაკობრივი კონტინგენტის და თვით სტუდენტი ახალგაზრდობის როლს საქართველოს მოსახლეობის აღწარმოებაში, რომელიც დღეისათვის მეტად სავალალო მდგომარეობაში იმყოფება.

მოსახლეობის რეპროდუქციული განწყობის შესწავლისას გამოიყენება შობადობის პერსპექტივის შემდეგი მახასიათებელები: ბავშთა იდეალური, სასურველი და მოსალოდნელი რიცხვი. იდეალურ რიცხვში იგულისხმება ოჯახისთვის ზოგადად, იდეალად მიჩნეული რიცხვი. სასურველში - იგულისხმება პიროვნებისთვის სასურველი, რამდენიც სურს მას რომ იყოლიოს. მოსალოდნელი რიცხვი, რომელსაც კვლევის ანკეტაში ვუწოდეთ ბავშვთა დაგეგმილი რიცხვი, უფრო უახლოვდება რეალობას, მაგრამ ის არ ასახავს ბავშვთა იმ ფაქტობრივ რიცხვს, რომელიც სინამდვილეში ეყოლება ადამიანს. რეპროდუქციული განწყობის და ქცევის ყველა კვლევამ აჩვენა, რომ ბავშვთა ყველაზე მეტი რიცხვია - იდეალური, შემდეგ მოდის სასურველი და შემდეგ მოსალოდნელი რიცხვი. აღნიშნული მაჩვენებლები წარმოადგენენ შობადობის დონის ორიენტირებს პერსპექტივაში და დიდ როლს თამაშობენ დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებაში.

კვლევის გამარტივების მიზნით, ოჯახში ბავშვთა იდეალური რიცხვის დაფიქსირებაზე არ შევჩერდით. რაც შეეხება სასურველი და მოსალოდნელი ბავშვების რიცხვს, მივიღეთ შემდეგი სურათი: სტუდენტების და, საერთოდ, მოსახლეობის შვილიანობაზე მოქმედებს რიგი სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული და სხვა ფაქტორები, რომელთაგან ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა შემდეგი: სქესი, ასაკი, დაბადების ადგილი, ქორწინების სტატუსი, ეროვნება, შემოსავალი და რელიგიურობა. შესაბამისი სტატისტიკური გამოთვლების დახმარებით შევეცადეთ დაგვედგინა კავშირი აღნიშნულ ფაქტორებსა და ოჯახში ბავშვებს სასურველ და მოსალოდნელ რიცხვს შორის.

სქესი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ყველა დემოგრაფიული პროცესის მიმდინარეობას. სქესი წარმოადგენს ადამიანის უმთავრეს ბიოლოგიურ ნიშანს, რომელსაც დემოგრაფიული პროცესების კვლევისას დიდი ყურადღება ექცევა, ეს იქნება შობადობის, მოკვდაობის, მიგრაციის თუ ქორწინება-განქორწინების კვლევა. შესაბამისად, ისტორიულად მოსახლეობის აღწერების და მოსახლეობის მიმდინარე სტატისტიკის პროგრამებში, ასევე შერჩევით კვლევებში, სქესის დაფიქსირება სავალდებულოა. ჯერ კიდევ XVIII საუკუნის ფრანგი დემოგრაფი მოხო (ზოგან მოო) წერდა: „მთავარი განსხვავება, რომელიც არსებობს კა-

ცობრიობაში, ესაა სქესი. ის აყალიბებს საწყისს, ყველა დროისათვის უცვლელს, აძლევს ადამიანს ცნობილ სხეულის აგებულებას, მანერებს, ფიზიკურ სიძლიერეს, ავადმყოფობებს, ფორმას, ხასიათს, სულიერ თვისებებს, გულს, გემოვნებას, ზნეობას, უფლებებს, პრივილეგიებს, მოვალეობებს, რომლებიც არსებითად განასხვავებენ კაცებს და ქალებს.“[76] ჩვენი კვლევით, ბავშვების სასურველი და მოსალოდნელი რიცხვის განაწილება სქესის მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა:

ცხრილი 20

ბავშვების სასურველი რიცხვის განაწილება რესპონდენტების სქესის მიხედვით, %

	ბავშვების სასურველი რიცხვი					სულ	ბავშვების საშუალო რიცხვი
	1	2	3	4	5 +		
ქალები	4,6	26,0	44,4	18,2	6,8	100,0	2,97
კაცები	4,2	27,7	41,7	19,4	7,0	100,0	2,97
სულ	4,5	26,5	43,6	18,6	6,8	100.0	2,97

ცხრილი 21

ბავშვების მოსალოდნელი რიცხვის განაწილება რესპონდენტების სქესის მიხედვით, %

	ბავშვების მოსალოდნელი რიცხვი					სულ	ბავშვების საშუალო რიცხვი
	1	2	3	4	5 +		
ქალები	5,3	31,6	42,6	15,4	5,1	100,0	2,83
კაცები	5,8	33,4	40,0	16,0	4,8	100,0	2,81
სულ	5,4	32,1	41,9	15,6	5,0	100.0	2,83

ბავშვების სასურველი და მოსალოდნელი რიცხვის განაწილების გრაფიკი რესპონდენტების სქესის მიხედვით შემდეგი სახისაა:

[76] М.Б. Птуха , Очерки по истории статистики XVII – XVIII веков. М., 1945, с. 242-243

გრაფიკი11. ბავშვების სასურველი და მოსალოდნელი რიცხვის განაწილება რესპონდენტების სქესის მიხედვით *



** აქ და ქვემოთ ყველა გრაფიკი აგებულია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.*

როგორც მთლიანად გამოკითხული კონტინგენტისათვის, მათ შორის ქალებისა და კაცებისათვის, ბავშვთა სასურველი რიცხვი 2,97-ს შეადგენს, რაც სრულიად აკმაყოფილებს მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების მოთხოვნებს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მაჩვენებელი, როგორც წესი, კაცებში საშუალოდ შედარებით მეტია. ჩვენს შემთხვევაში, კაცების უფრო მეტ რიცხოვნობას სურს ორი და ხუთი შვილი.

ჩვენი კვლევის მიხედვით, ბავშვების მოსალოდნელი საშუალო რიცხვი სასურველზე დაბალია და შეადგენს 2,83, რაც ასევე აკმაყოფილებს მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების მოთხოვნებს. ქალებისათვის ბავშვების მოსალოდნელი საშუალო რიცხვია 2,83 და ის მცირედით მეტია კაცების ანალოგიურ მაჩვენებელზე - 2,81. გამოკითხულთა ორიენტაცია მიმართულია მეორე და მესამე შვილზე, კერძოდ: სასურველი ბავშვების შემთხვევაში მეორე და მესამე ბავშვი სასურველად დაასახელა გამოკითხულთა 70,1%-მა, ხოლო მოსალოდნელი - 74, 0%-მა.

სქესთან ერთად, ასაკი ასევე წარმოადგენს მნიშვნელოვან დემოგრაფიულ მახასიათებელს, რომლის რეგისტრაციაც სავალდებულოა როგორც მოსახლეობის აღწერაში, ისე მოსახლეობის მიმდინარე სტატისტიკის წარმოებისა და შერჩევითი დემოგრაფიული კვლევების ჩატარებისას. ასაკი არის დროის ხანგძლივობა ადამიანის დაბადებიდან მისი სიცოცხლის გარკვეულ მომენტამდე. ასაკი წარმოადგენს მნიშვნელოვან დემოგ-

რაფიულ კატეგორიას. მისი ბუნების შესახებ არ არსებობს ერთგვაროვანი აზრი. დემოგრაფების ერთი ნაწილი თვლის, რომ ადამიანის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი - ასაკი ბიოლოგიური პარამეტრია და ასახავს ადამიანის ბიოლოგიურ მდგომარეობას, მაგრამ აქვს პირველხარისხოვანი სოციალური მნიშვნელობა. მეორე ნაწილის აზრით, რამდენადაც ინდივიდის ყოფიერება სოციალური ყოფიერებაა, ამიტომ ყოფიერების ხანრძლივობის დამახასიათებელი პარამეტრი, ინდივიდის ასაკი, უპირველეს ყოვლისა, სოციალური კატეგორიაა. შეიძლება ითქვას, რომ სოციალური ყოფიერების ამსახველი პარამეტრი, ინდივიდის ასაკი, ესაა დრო, რომელიც ობიექტურად არსებობს. ასე, რომ ასაკი უპირველეს ყოვლისა, სოციალური პარამეტრი არ არის. **ასაკის, როგორც დემოგრაფიული კატეგორიის თავისებურება ისაა, რომ ის ერთდროულად ბიოსოციალური ბუნებისაა.**[77]

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობის შესწავლა დემოგრაფიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს, რამდენადაც მოსახლეობის ასაკობრივ შემადგენლობას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს დემოგრაფიულ კვლევებში. დემოგრაფიული პროცესების დეტალური ანალიზი ეყრდნობა მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ბაზაზე აგებულ მაჩვენებლებს, რამდენადაც ყველა დემოგრაფიული მოვლენა იცვლება ასაკის ზრდასთან ერთად. ასაკი წარმოადგენს დემოგრაფიული მოვლენების მთავარ კოორდინატორს.[78]

იმის მიუხედავად, რომ სტუდენტი ახალგაზრდობა ფაქტობრივად ერთი თაობაა, მათ

რეპროდუქციულ განწყობაში, ასაკის მიხედვით, გამოიკვეთა მნიშვნელოვანი განსხვავებები, რომელიც ასახულია ქვემოთ მოტანილ ცხრილებში.

ცხრილი 22

ბავშვების სასურველი რიცხვის განაწილება რესპონდენტების ასაკის მიხედვით, %

	ბავშვების სასურველი რიცხვი					სულ	ბავშვების საშუალო რიცხვი
	1	2	3	4	5 +		
<19	6,8	30,8	4,6	19,5	8,3	100,0	2,92
20-24	3,8	24,2	47,4	18,8	5,8	100,0	2,88
25-29	2,7	21,6	45,9	18,9	109	100,0	31,4
30>	0	55,6	44,4	0	0	100.0	2,44
სულ	4,4	26,5	43,6	18,6	6,9	100,0	2,97

[77] მერაბ ხმალაძე, დემოგრაფია, თბ., 2009, გვ. 143

[78] მერაბ ხმალაძე, იქვე, გვ. 143-144.

ცხრილი 23

ბავშვების მოსალოდნელი რიცხვის განაწილება რესპონდენტებისასაკის მიხედვით, %

	ბავშვების მოსალოდნელი რიცხვი					სულ	ბავშვების საშუალო რიცხვი
	1	2	3	4	5 +		
<19	6,0	39,8	30,8	14,3	9,1	100,0	2,80
20-24	5,6	27,8	46,8	16,9	2,9	100,0	2,84
25-29	2,9	28,6	45,7	14,3	8,5	100,0	2,97
30>	0	66,7	33,3	0	0	100,0	2,33
სულ	5,4	32,1	41,9	15,6	5,0	100.0	2,83

ბავშვების სასურველი და მოსალოდნელი რიცხვის განაწილების გრაფიკები რესპონდენტების ასაკის მიხედვით შემდეგი სახისაა:

გრაფიკი 12. ბავშვების სასურველი რიცხვის განაწილება რესპონდენტთა ასაკის მიხედვით, %



გრაფიკი 13. ბავშვების მოსალოდნელი რიცხვის განაწილება რესპონდენტების ასაკის მიხედვით, %



აღმოჩნდა, რომ ყველა ასაკობრივ ჯგუფში ბავშვების საშუალო სასურველი რიცხვი აღემატება მოსალოდნელს. ამასთან, ასაკის ზრდასთან ერთად, კერძოდ, 19-დან 24 წლის ჩათვლით, მაჩვენებლები მცირდება, ხოლო 25-29 წლის ასაკობრივი ჯგუფისთვის იზრდება, რის შემდეგაც ისევ მცირდება. კერძოდ, ბავშვების საშუალო სასურველი რიცხვი 20-24 წლის ასაკში 2,88-დან 25-59 წლის ჯგუფში 3,14-მდე, ე. ი. 9,0%-ით იზრდება, ხოლო მოსალოდნელი რიცხვი კი - 2,84-დან 2,97-მდე, ე. ი. 6%-ით მცირდება; ფაქტობრივად ორჯერ ნაკლებად, ვიდრე სასურველი რიცხვი.

რესპონდენტთა ორიენტაციები მიმართულია ორ და სამ შვილიან ოჯახზე. 30 წელს გადაცილებული რესპონდენტებისათვის, მათი ასაკიდან გამომდინარე, სურთ და გეგმავენ მხოლოდ ორი და სამი შვილის ყოლას. ჩვენი კვლევით, ორი და სამი შვილი სასურველად და მოსალოდნელად მიიჩნია 30 წლის და უფროსი ასაკის სტუდენტების 100,0 პროცენტმა. იმის მიუხედავად, რომ პირველი ბავშვის გაჩენას, როგორც წესი, წინ არაფერი ეღობება, მათი წილი ბავშვების როგორც სასურველ, ისე მოსალოდნელ რიცხვში, ყველა ფაქტორის მიხედვით 4,4-დან 5,5%-ის ფარგლებში მერყეობს. მაგრამ რეპროდუქციული განწყობა და განწყობის რეალიზება, ე. ი. ქცევა, არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც თვისებრივად, ისე რაოდენობრივად, რასაც ნათლად აჩვენებს ქვემოთ მოტანილი ცხრილი.

ცხრილი 24

ბავშვების საშუალო სასურველი, მოსალოდნელი და ფაქტობრივი რიცხვის განაწილება დაბადების რიგითობის მიხედვით, %

	ბავშვების მოსალოდნელი რიცხვი					სულ	ბავშვების საშუალო რიცხვი
	1	2	3	4	5 +		
ბავშვების რიცხვი ჩვენი კვლევით:							
სასურველი	4,4	26,5	43,6	18,6	6,9	100,0	2,97
მოსალოდნელი	5,4	32,1	41,9	15,6	5,0	100,0	2,83
ფაქტობრივი - საქსტატის მონაცემებით, 2018 წელს	37,9	38,2	18,3	4,1	1,5	100,0	2,1

აშკარად ჩანს დიდი განსხვავება შვილიანობის საშუალო სასურველ/მოსალოდნელ და ფაქტობრივ რიცხვს შორის. მართალია, აღნიშნული ერთობლიობები ერთმანეთისაგან განსხვავდება (სტუდენტები და მთელი მოსახლეობა) და შედარების მკაცრი სტატისტიკური მეთოდოლოგიის თანახმად, ისინი მთლად შესადარისი არ არის, მაგრამ არსებითად ასახავს განსხვავებას რეპროდუქციულ განწყობასა და რეპროდუქციულ ქცევას შორის.

კონკრეტული ანალიზით, ერთი ბავშვი სურს რესპონდენტთა 4,4/5,4%-ს, ხოლო დაბადებულებში პირველი ბავშვების წილი აღწევს 37,9%-ს, ე. ი. 6,9-ჯერ მეტს. თუ გავასაშუალებთ ბავშვების საშუალო და მოსალოდნელ რიცხვს, მივიღებთ: პირველი ბავშვების წილს 4,9%, მეორეს 29,3%, მესამეს 42,8%, მეოთხეს 17,1%, მეხუთე და მეტს 8,5%. თუ შევადარებთ ჩვენი კვლევით მიღებულ და საქსტატის ოფიციალურ მონაცემებს, აღმოჩნდება შემდეგი თანაფარდობა: პირველი და მეორე რიგის ბავშვების წილი 34,2 პროცენტი 38,1%-თან, მესამე და მეოთხე რიგის ბავშვები 30,0% - 11,2%-თან; მეხუთე და მეტი რიგის ბავშვები 8,5%-1,5%-თან. აქედან შეიძლება გავაკეთოთ ერთმნიშვნელოვანი დასკვნა, რომ სტუდენტთა რეპროდუქციული ორიენტაციები მიმართულია უფრო მაღალი რიგის (მეორე და მესამე) ბავშვების გაჩენისაკენ, ხოლო რეალობაში დაბადებულთა 2/3-ზე მეტი, ანუ 76.1% მოდის პირველ და მეორე ბავშვზე. აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთხელ მიგვითითებს იმაზე, რომ ფაქტობრივი დემოგრაფიული სიტუაცია და დემოგრაფიული განწყობა ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულია.

დღეისათვის, რამდენადაც ჯერ კიდევ არსებობს განსხვავებები ქალაქის და სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ და ყოფიერებით სფეროში, ის არ შეიძლება არ აისახოს სტუდენტთა რეპროდუქ-

ციულ განწყობაზეც, რაც დაადასტურა ჩვენმა კვლევამ. მოცემული საკითხის შესასწავლად რესპონდენტები დაიყო დაბადების ადგილის მიხედვით: დაბადებულები სოფლად და დაბადებულები ქალაქად. საქსტატის 2019 წლის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 58,7% ცხოვრობდა ქალაქად, 41,3% - სოფლად. მაგრამ, როგორც ჩვენმა კვლევამ აჩვენა, გამოკითხული სტუდენტების მხოლოდ 25,4%-ია დაბადებული სოფლად, ხოლო 74,6% - ქალაქად, რაც არ არის პროპორციული ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის განაწილებასთან. აღნიშნული მონაცემები საყურადღებოა იმითაც, რომ მათში ჩანს სოფლისა და ქალაქის მოსახლეობაში არსებული ერთ-ერთი სოციალური უთანასწორობა, რაც გამოწვეულია განათლებისადმი ხელმისაწვდომობაში.

სტუდენტთა რეპროდუქციული განწყობის მახასიათებლები მოცემულია ქვემოთ მოტანილ 25 და 26 ცხრილებში.

ცხრილი 25

ბავშვების სასურველი რიცხვის განაწილება რესპონდენტების დაბადების ადგილის მიხედვით, %

	ბავშვების სასურველი რიცხვი					სულ	ბავშვების საშუალო რიცხვი
	1	2	3	4	5 +		
სოფელი	0,8	27,9	43,4	23,0	4,9	100,0	3,03
ქალაქი	5,7	26,0	43,7	17,2	7,4	100.0	2,95
სულ	4,4	26,5	43,6	18,6	6,9	100,0	2,97

ცხრილი 26

ბავშვების მოსალოდნელი რიცხვის განაწილება რესპონდენტების დაბადების ადგილის მიხედვით, %

	ბავშვების მოსალოდნელი რიცხვი					სულ	ბავშვების საშუალო რიცხვი
	1	2	3	4	5 +		
სოფელი	2,5	30,8	46,7	17,5	2,5	100,0	2,87
ქალაქი	6,5	32,6	40,2	15,0	5,7	100.0	2,81
სულ	5,4	32,1	41,9	15,6	5,0	100,0	2,83

გრაფიკი 14. ბავშვების სასურველი და მოსალოდნელი რიცხვის განაწილება რესპონდენტების დაბადების ადგილის მიხედვით



ბავშვების საშუალო სასურველი რიცხვი აღემატება მოსალოდ-ნელს როგორც სოფლად, ისექალაქად. ამასთან, ქალაქთან შედარე-ბით მაღალია სოფლად ბავშვების როგორც საშუალოსასურველი (3,03:2,87), ისე მოსალოდნელი (2,95:2,81) რიცხვი. განსაკუთრებით დი-დია სხვაობა პირველი ბავშვის ხვედრითი წილის შემთხვევაში. ქალა-ქის მაჩვენებელი სასურველი ბავშვების შემთხვევაში რამდენჯერმე აღემატება სოფლისას, როგორც 5,7 - 0,8%-თან, ხოლო მოსალოდნელი რიცხვის შემთხვევაში - როგორც 6,5-2,5%-თან.

ჩვენმა კვლევამ ასევე აჩვენა სტუდენტთა რეპროდუქციული გან-წყობის დიფერენციაცია ქორწინების სტატუსის მიხედვით, რაც აისახა ქვემოთ მოტანილ ცხრილებში 27-28.

ცხრილი 27

ბავშვების სასურველი რიცხვის განაწილება ქორწინების სტატუსის მიხედვით, %

	ბავშვების სასურველი რიცხვი					სულ	ბავშვების საშუალო რიცხვი
	1	2	3	4	5 +		
დაქორწინებული	0	33,3	50,0	11,1	5,6	100,0	2,89
დაუქორწინებელი	4,6	26,0	43,1	19,4	6,9	100.0	2,98
სულ	4,3	26,6	43,6	18,7	6,8	100,0	2,97

ცხრილი 28

ბავშვების მოსალოდნელი რიცხვის განაწილება ქორწინების სტატუსის მიხედვით, %

	ბავშვების მოსალოდნელი რიცხვი					სულ	ბავშვების საშუალო რიცხვი
	1	2	3	4	5 +		
დაქორწინებული	2,8	38,8	47,2	8,3	2,8	100,0	2,68
დაუქორწინებელი	5,7	31,4	41,4	16,3	5,2	100.0	2,84
სულ	5,4	32,0	41,8	15,7	5,1	100,0	2,83

ბავშვების სასურველი და მოსალოდნელი რიცხვის განაწილების გრაფიკი რესპონდენტების ქორწინების სტატუსის მიხედვით შემდეგი სახისაა:

გრაფიკი 15. ბავშვების სასურველი და მოსალოდნელი რიცხვის განაწილება რესპონდენტების ქორწინების სტატუსის მიხედვით.



აქამდე განხილული ფაქტორების მიხედვით, რეპროდუქციული განწყობა განსხვავდება ასევე ქორწინების სტატუსის მიხედვით. ბავშვების სასურველი რიცხვი, პირველი და მეორე ბავშვების გარდა, აღემატება მოსალოდნელს. მთლიანობაში კი - ბავშვების საშუალო სასურველი რიცხვი აღემატება მოსალოდნელს. აღნიშნული მეტობა უფრო გამოკვეთილია დაქორწინებულებში (2,89 - 2,68 = 0,21), ვიდრე დაუქორწინებლებში (2,98 -2,84 = 0,4). დაქორწინებულებში, დაუქორწინებლებთან შედარებით, მეტი სხვაობა შეიძლება ავხსნათ იმით, რომ დაქორწინებულებს, ყოველ შემთხვევაში, მათ გარკვეულ ნაწილს უკვე

ჰყავთ შვილები და უკეთ ერკვევიან შვილების გაზრდა/აღზრდასთან დაკავშირებულ პრობლემებში. ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ კიდევ ერთი გარემოება: შვილების როგორც საშუალო სასურველი, ისე მოსალოდნელი რიცხვი დაქორწინებულებში მაღალია დაუქორწინებლებზე, სასურველის შემთხვევაში - 3,1%-ით (2,98 : 2,89), ხოლო მოსალოდნელის შემთხვევაში კი - 6,0%-ით (2,84 : 2,68).

შობადობის დონეზე საქართველოში დადებით გავლენას ახდენდა მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, რამდენადაც ქართველებთან შედარებით (რუსების გარდა) დანარჩენ ეროვნებებში შობადობის დონე მაღალი იყო. შობადობის დონეების გამოთვლა შესაძლებელია მხოლოდ მოსახლეობის აღწერების მონაცემებზე დაყრდნობით, რამდენადაც ინფორმაციას მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შესახებ გვაძლევს მხოლოდ მოსახლეობის აღწერები. საბჭოთა სტატისტიკა იძლეოდა მონაცემებს დაბადებულთა ეროვნული შემადგენლობის მიხედვითაც, რაც მოსახლეობის აღწერის მასალებზე დაყრდნობით შობადობის დონეების ეროვნულ ჭრილში გამოთვლის საშუალებას იძლეოდა. 1995 წლიდან, პირადობის მოწმობიდან ეროვნების ამოღების შემდეგ, ინფორმაცია დაბადებულის ეროვნული კუთვნილების შესახებ ასევე ამოღებული იქნა „დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობიდან“. მის ნაცვლად შეტანილია ინფორმაცია დაბადებულის მოქალაქეობის შესახებ. ასე, რომ შობადობის დონე ეროვნულ ჭრილში შეიძლება გამოვთვალოთ მხოლოდ საბჭოთა სტატისტიკის მონაცემების საფუძველზე, რაც მოტანილია თავი 1.3-ში.

სტუდენტ ახალგაზრდობაში ეროვნებების მიხედვით რეპროდუქციული განწყობა ასახულია ქვემოთ მოტანილ ცხრილებში. მონაცემები საიმედოობის უზრუნველსაყოფად დამუშავდა ყველაზე მრავალრიცხოვანი რესპონდენტების მიხედვით.

ცხრილი 29

ბავშვების სასურველი რიცხვის განაწილება ეროვნების მიხედვით, %

	ბავშვების სასურველი რიცხვი					სულ	ბავშვების საშუალო რიცხვი
	1	2	3	4	5 +		
სომხები	3,4	25,0	50,0	14,3	7,3	100,0	2,97
ქართველები	4,6	26,2	43,5	18,9	6,8	100.0	2,97
სულ	4,4	26,5	43,6	18,6	6,9	100,0	2,97

ცხრილი 30

ბავშვების მოსალოდნელი რიცხვის განაწილება ეროვნების მიხედვით, %

	ბავშვების მოსალოდნელი რიცხვი					სულ	ბავშვების საშუალო რიცხვი
	1	2	3	4	5 +		
სომხები	3,4	35,7	39,3	14,3	7,3	100,0	2,86
ქართველები	5,6	31,2	42,4	15,9	4,9	100.0	2,83
სულ	5,4	32,1	41,9	15,6	5,0	100,0	2,83

ბავშვების სასურველი და მოსალოდნელი რიცხვის გრაფიკები რესპონდენტების ეროვნების მიხედვით შემდეგი სახისაა:

გრაფიკი 16. ბავშვების სასურველი და მოსალოდნელი რიცხვი რესპონდენტების ეროვნების მიხედვით



ცხრილებში მოტანილი გამოთვლები საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

- ბავშვების საშუალო სასურველი რიცხვი ყველა ეროვნებაში აღემატება მოსალოდნელს;
- ქართველი და სომეხი რესპონდენტების ბავშვების საშუალო სასურველი რიცხვი ერთმანეთს ემთხვევა და შეადგენს 2,97. სომეხი ეროვნების რესპონდენტების ბავშვების საშუალო მოსალოდნელი რიცხვი (2,86), უმნიშვნელოდ აღემატება ქართველების შესაბამის მაჩვენებელს (2,83), რაც უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქართველი და სომეხი ეროვნების რესპონდენტების რეპროდუქციული განწყობა ფაქტობრივად იდენტურია და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათში შობადობის დონეებიც თანაბარი იქნება.

- აზერბაიჯანელ მოსახლეობაში შობადობის დონე ტრადიციულად მაღალი იყო და დღესაც მაღალია, მაგრამ აღნიშნულის სტატისტიკური ინტერპრეტაცია ჩვენი კვლევის შედეგად ვერ მოხერხდა, რადგან გამოკითხვის ანკეტა შეავსო აზერბაიჯანელი ეროვნების მხოლოდ 15-მა სტუდენტმა. ეს კი არასაკმარისი სტატისტიკური ერთობლიობაა მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნების გასაკეთებლად. საზოგადოდ კი, შობადობა აზერბაიჯანელ მოსახლეობაში დადებითად იმოქმედებს მთელ ქვეყანაში შობადობის საერთო დონეზე.

- შობადობის დონის ფორმირება ჩვენ ქვეყანაში ხდება ქართველი მოსახლეობის მიერ, რომლის ხვედრითი წილი 86,8%-ის ტოლია. მთლიანობაში, ქართველი (86,8%), სომეხი (4,5%) და აზერბაიჯანელი მოსახლეობის (6,3%) ხვედრიწილი საქართველოს მოსახლეობის 97,6% შეადგენს. საქართველო, შეიძლება ითქვას, პოსტსაბჭოთა პერიოდში პრაქტიკულად იქცა მონოეთნიკურ ქვეყნად.

ყველა ეროვნების თუ სოციალური ჯგუფის შვილიანობაზე საყოველთაოდ მოქმედი ფაქტორია მატერიალური მდგომარეობა, რომელიც კვლევაში დავახასიათეთ ოჯახის შემოსავლით. მიღებული შედეგები მოთავსებულია ქვემოთ მოტანილ ცხრილებში.

ცხრილი 31

ბავშვების სასურველი რიცხვის განაწილება რესპონდენტების შემოსავლის მიხედვით, %%

	ბავშვების სასურველი რიცხვი					სულ	ბავშვების საშუალო რიცხვი
	1	2	3	4	5 +		
დაბალშემოსავლიანი	5,7	23,6	45,3	18,9	6,5	100,0	2,98
საშუალოშემოსავლიანი	3,7	27,4	42,9	18,9	7,1	100.0	2,98
მაღალშემოსავლიანი	20,0	20,0	50,0	10,0	0	100,0	2,5
სულ	4,5	26,4	43,6	18,7	6,8	100,0	2,97

ცხრილი 32

ბავშვების მოსალოდნელი რიცხვის განაწილება რესპონდენტების შემოსავლის მიხედვით, %%

	ბავშვების მოსალოდნელი რიცხვი					სულ	ბავშვების საშუალო რიცხვი
	1	2	3	4	5 +		
დაბალშემოსავლიანი	7,8	31,1	43,9	16,5	0,7	100,0	2,71
საშუალოშემოსავლიანი	4,6	32,4	41,0	15,6	6,4	100.0	2,87
მაღალშემოსავლიანი	10,0	30,0	50,0	10,0	0	100,0	2,5
სულ	5,5	32,0	41,8	15,7	5,0	100,0	2,83

გრაფიკი 17. ბავშვების სასურველი და მოსალოდნელი რიცხვის განაწილება რესპონდენტების შემოსავლის მიხედვით



კვლევის შედეგების ანალიზამდე საჭიროდ ჩავთვალეთ მოვიტანოთ დამატებითი

ინფორმაცია მატერიალური მდგომარეობის და შობადობის დონეებს შორის კავშირის შესახებ, რომელიც დემოგრაფიაში ერთ-ერთ წინააღმდეგობრივ საკითხს წარმოადგენს. აღნიშნული კავშირი XIX საუკუნის მიწურულის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით აღმოაჩინა ცნობილმა ფრანგმა სტატისტიკოსმა და დემოგრაფმა **ჟაკ ბერტილიონმა** (ფრანგი სტატისტიკოსის აშილ გიიარის მეცნიერულ ბრუნვაში ტერმინ ,,დემოგრაფიისნ შემომტანის შვილიშვილი). მე-19 საუკუნის ბოლოს ჟაკ ბერტილიონი იყო პარიზის სტატისტიკური სამსახურის ხელმძღვანელი. მან პარიზის, ბერლინის და ვენის კვარტალები დააჯგუფა ცხოვრების დონის მიხედვით და გამოთვალა მათში შობადობის კოეფიციენტი 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით. ჟაკ ბერტილიონმა მიიღო შემდეგი შედეგები:

შობადობისა და ცხოვრების დონის ურთიერთკავშირი. პრომილებში

კვარტალები / ქალაქები	ძალიან ღარიბი	ღარიბი	შეძლებული	ძალიან შეძლებული	მდიდარი	ძალიან მდიდარი
პარიზი, 1866-1898	14,0	12,9	11,1	9,9	9,4	6,9
ბერლინი, 1886-1995	22,5	20,6	19,5	17,8	14,6	12,2
ვენა, 1891-1897	20,0	16,4	15,5	15,3	10,7	7,1

წყარო: *Курс демографии, М., 1985, с. 292.*

ასე აღმოაჩინა ჟაკ ბერტილიონმა უკუკავშირი ცხოვრების დონესა და შობადობას შორის. კერძოდ, ცხოვრების დონის ზრდის პარალელურად მცირდება შობადობის დონე, რაც უცვლელია ყველა დროში და ყველა ქვეყანაში. მოცემული საკითხი წინააღმდეგობრივი იმიტომ არის, რომ ძალიან რთულია ვამტკიცოთ, თუ რატომ უნდა შემცირდეს შობადობა ცხოვრების დონის ზრდასთან ერთად.

ჩვენი კვლევის შედეგები გადაიხარა საყოველთაოდ არსებული კანონზმიერებისგან. კერძოდ, შემოსავლების ზრდის კვალობაზე პარალელურად არ მცირდება ბავშვების არც სასურველი და არც მოსალოდნელი რიცხვი. ერთადერთი კანონზომიერება ისაა, რომ შვილიანობის მაჩვენებლები ყველაზე დაბალი აღმოჩნდა მაღალშემოსავლიან რესპონდენტებში.

ჩვენმა კვლევამ ასევე აჩვენა, რომ საქმე გვაქვს ახალ რეალობასთან, კერძოდ: ბავშვების

საშუალო სასურველი რიცხვი ერთი და იგივეა დაბალი და საშუალო შემოსავლიანი რესპონდენტებისათვის, ხოლო ბავშვების საშუალო მოსალოდნელი რიცხვი შემოსავლის ზრდასთან ერთად არა თუ მცირდება, არამედ იზრდება. კონკრეტულად, ბავშვების საშუალო მოსალოდნელი რიცხვი საშუალო შემოსავლიან რესპონდენტებში არათუ ნაკლები, არამედ მეტიცაა დაბალშემოსავლიანი რესპონდენტების ანალოგიურ მაჩვენებელზე 6,0%-ით (2,87 : 2,71 = 106,0%).

დემოგრაფიული და მათ შორის რეპროდუქციული განწყობის ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს რელიგიურობა. ჩვენმა კვლევამ დაადგინა მნიშვნელოვანი განსხვავებები რეპროდუქციულ განწყობაში რელიგიურ და არარელიგიურ რესპონდენტებს შორის, რომლებიც ასახულია ქვემოთ მოტანილ ცხრილებში

ცხრილი 34.

ბავშვების სასურველი რიცხვის განაწილება რესპონდენტების რელიგიურობის მიხედვით, %

	ბავშვების სასურველი რიცხვი					სულ	ბავშვების საშუალო რიცხვი
	1	2	3	4	5 +		
რელიგიური	3,2	25,2	45,4	19,6	6,6	100,0	3,01
არარელეგიური	9,6	31,9	37,2	14,9	6,4	100.0	2,77
სულ	4,5	26,5	43,7	18,7	6,6	100,0	2,97

ცხრილი 35

ბავშვების მოსალოდნელი რიცხვის განაწილება რესპონდენტენტების რელიგიურობის მიხედვით, %

	ბავშვების მოსალოდნელი რიცხვი					სულ	ბავშვების საშუალო რიცხვი
	1	2	3	4	5 +		
რელიგიური	4,3	29,9	44,2	17,3	4,3	100,0	2,87
არარელიგიური	10,1	41,6	32,6	9,0	6,7	100.0	2,61
სულ	5,4	32,2	42,0	15,6	4,8	100,0	2,83

ბავშვების სასურველი და მოსალოდნელი რიცხვის გრაფიკი რეს-პონდენტების რელიგიურობის მიხედვით შემდეგი სახისაა:

გრაფიკი 18. ბავშვების სასურველი რიცხვი რესპონდენტების რელიგიურობის მიხედვით, %%



გრაფიკი 19. ბავშვების მოსალოდნელი რიცხვი რესპონდენტების რელიგიურობის მიხედვით, %%



კვლევის შედეგად აშკარად გამოიკვეთა შვილიანობის მაღალი ორიენტაციები რელიგიურ სტუდენტებში არარელიგიურებთან შედარებით. ბავშვბის სასურველი საშუალო რიცხვი რელიგიურ სტუდენტებში შეადგენს 3,01, არარელიგიურებში - 2,77. ბავშვების მოსალოდნელი რიცხვი, შესაბამისად, 2,87 და 2,61. რიგით პირველი და მეორე ბავშვები გაცილებით მეტი უნდათ არარელიგიურ რესპონდენტებს რელიგიურ რესპონდენტებთან შედარებით, ხოლო მაღალი რიგის - მესამე და მეოთხე ბავშვები გაცილებით მეტი უნდათ რელიგიურ სტუდენტებს. ეს გასაგებიცაა, რადგან დადგენილია, რომ შობადობის დაბალი დონის შემთხვევაში მაღალია პირველი და მეორე ბავშვების ხვედრი წილი და დაბალია, მესამე და მაღალი რიგის ბავშვების ხვედრი წილი. მაღალი შობადობის დონის პირობებში პირიქით. როგორც ცხრილში მოტანილი გაანგარიშებიდან ჩანს, პირველი და მეორე სასურველი ბავშვების ხვედრი წილი რელიგიურ რესპონდენტებში ტოლია 28,4%-ის, არარელიგიურში - 41,5%-ის. საპირისპიროდ, მესამე და მეოთხე ბავშვი სურთ რელიგიურების 65,0% და არარელიგიურების მხოლოდ 52,1%.

ანალოგიური მდგომარეობაა ბავშვების მოსალოდნელი რიცხვის შემთხვევაში. პირველი და მეორე ბავშვის ყოლას გეგმავს რელიგიური რეპონდენტების 34,2%, და არარელიგიურების - 51,7%. აღნიშნულის საპირისპიროდ, მესამე და მეოთხე ბავშვის ყოლას გეგმავს რელიგიურების 61,5%, ხოლო არარელიგიურების - 41,6%. როგორც ვხედავთ, განსხვავებები რეპროდუქციულ განწყობაში რელიგიურობის ნიშნით თვალშისაცემია.

აისახება თუ არა მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობა საქართველოში შობადობის დონეზე? საქართველოში გავრცელებული

ძირითადი რელიგიებია: ქრისტიანობა და ისლამი. მოსახლეობის 2014 წლის აღწერით, საქართველოს მოსახლეობის 83,4% არის მართლმადიდებელი ქრისტიანი, 10,7% - მაჰმადიანი მუსლიმი. მთლიანობაში, 2014 წლის აღწერით, საქართველოს მოსახლეობის 98,14% არის მორწმუნე. ჩვენი კვლევით, მორწმუნე აღმოჩნდა რესპონდენტთა 78, 7%.

ისლამის მიმდევარი მოსახლეობა ყოველთვის გამოირჩეოდა და გამოირჩევა შობადობის მაღალი დონით. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ შობადობის ყველაზე მაღალი დონით საქართველოშო ხასიათდება აჭარა და ქვემო ქართლი, სადაც მუსლიმანური მოსახლეობა მნიშნელოვან ნაწილს შეადგენს, კერძოდ: 2014 წლის აღწერით, აჭარის 334 ათასი მცხოვრებიდან მუსლიმურ რელიგიას აღიარებდა 132,9 ათასი, ანუ 38,9%, ხოლო ქვემო ქართლის 424 ათასი მცხოვრებიდან - 182,2 ათასი, ანუ 43,0%. ფაქტობრივად, ანალოგიური შედეგი მიიღო პროფესორმა მ. ტუხაშვილმა, რომელმაც დაადგინა, რომ ქვემო ქართლში მცხოვრები 424 ათასი კაციდან 177 ათასი, ანუ 41,8% აზერბაიჯანელია, რა თქმა უნდა, ისლამის მიმდევარი.[79]

რეპროდუქციული განწყობისა და შობადობის ეროვნულ-რელიგიურ ასპექტში განხილვის შემდეგ, მართალია, გარკვეული სიფრთხილით, მაგრამ შეიძლება დავასკვნათ: **საქართველოში შობადობის დონეზე ეროვნულთან შედარებით გაცილებით ძლიერ ზეგავლენას ახდენს რელიგიური ფაქტორი.**

საერთოდ, ორშვილიანი ოჯახი უზრუნველყოფს მოსახლეობის მარტივ აღწარმოებას, ხოლო ორზე მეტი გაფართოებულს. ჩვენი კვლევის შედეგებით, საქართველოს დემოგრაფიული მომავალი უიმედოდ არ გამოიყურება. მიღებული შედეგები წინა ანალოგიურ კვლევებზე უკეთესია. მაგალითად, ნ. მენაბდიშვილის კვლევით, ოჯახში ბავშვთა სასურველი რიცხვი სტუდენტი ქალიშვილებისათვის არის 2,5, სტუდენტი ვაჟებისთვის - 2,7.[80] ოჯახში შვილების რიცხვი უფრო მეტი უნდათ მამაკაცებს, ვიდრე ქალებს. დემოგრაფიის ინსტიტუტის 2004-2005 წლების კვლევით, სტუდენტი ვაჟებისთვის ოჯახში ბავშვების საშუალო სასურველმა რიცხვმა შეადგინა 2,6, ხოლო მოსალოდნელი - 2,44. ქალიშვილებისთვის აღნიშნულმა მაჩვენებლებმა შეადგინა, შესაბამისად, 2,6 და 2.4.[81]

---

[79] მ. ტუხაშვილი. ქვემო ქართლის მოსახლეობა: პოლიეთნიკურობიდან ბიეთნიკურობისაკენ. იხ: მიგრაცია, 8, 217, გვ. 145-146.

[80] ნ. მენაბდიშვილი. სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული ორიენტაციები (თბილისის მაგალითზე). საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი. თბ.: 2004, გვ. 10.

[81] სტუდენტი ახალგაზრდების დემოგრაფიული ქცევა. თბ., 2005. დანართი, ცხრილი 2,3, 4 ხელნაწერის უფლებით.

მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის ცვლილებების საზომია დემოგრაფიული თაობის ხანგრძლივობა წლებში. ეს ის საშუალო პერიოდია, რომლის გავლის შემდეგაც დღეს დაბადებულ თაობას შეეძინება შემდეგი თაობა. დღევანდელ პირობებში დემოგრაფიული თაობის ხანგრძლივობა საქართველოში 25-27 წლის ფარგლებში მერყეობს. შესაბამისად, დემოგრაფიული პროცესები თაობიდან თაობამდე იცვლება, რადგან მარტივად რომ ვთქვათ, იცვლება ცხოვრებისეული პირობები და შესაბამისად -ორიენტაციები. თაობების მიხედვით შობადობის დონის დინამიკის დასადგენად გამოკითხვის ანკეტაში შევიტანეთ შემდეგი კითხვები: რამდენი ბავშვი იყოლიეს თქვენმა მშობლებმა და რამდენი იყოლიეს თქვენმა პაპა-ბებიებმა (დედის მხრიდან და მამის მხრიდან). მასალების დამუშავების შემდეგმივიღეთ საინტერესეო შედეგები, რომელიც ასახულია ქვემოთ მოტანილ ცხრილში.

ცხრილი 36.

შვილების რიცხვი რესპონდენტების მშობლებისა და მათი პაპა-ბებიების ოჯახებში, %%

	ბავშვების რიცხვი რესპონდენტთა:			საშუალოდ პაპა-ბებიების ოჯახში
	მშობლების ოჯახში	პაპა-ბებიების ოჯახში დედის მხრიდან	პაპა-ბებიების ოჯახში მამის მხრიდან	
ორი	10,0	5,1	3,9	4,5
სამი	54,7	32,4	34,3	33,4
ოთხი	28,8	36,3	34.1	35.2
ხუთი და მეტი	5,7	24,8	26,6	25,7
სულ	99,2	98,6	98,8	98,7
პასუხის გარეშე	0,8	1,4	1,2	1,3
სულ	100,0	100,0	100,0	100,0
ბავშვების საშუალო რიცხვი	3,3	3,82	3,85	3,83

ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ მშობლების ოჯახში შვილიანობა თავმოყრილია მესამე და მეოთხე ბავშვების გარშემო, ხოლო პაპა-ბებიების ოჯახებში განაწილება ბავშვების რიგითობის მიხედვით გაცილებით თანაბარია. საკმარისია აღვნიშნოთ ორი ფაქტი:

1) ორი ბავშვი ყავდა რესპონდენტთა 10%-ის მშობლებს, ხოლო პაპა-ბებიების ოჯახების მხოლოდ 4,5%-ს, ე. ი. ორჯერ და მეტად ნაკლებს.

2) ხუთი და მეტი ბავშვი ყავდათ მშობლების თაობის მხოლოდ 5,7%-ს, ხოლო პაპა-ბებიების (საშუალოდ ორივე მხრიდან) თაობის

ოჯახების 25,7%. ყოველივე ეს მეტყველებს იმაზე, რომ პაპა-ბებიების თაობა გაცილებით მრავალშვილიანი იყო შვილების თაობასთან შედარებით, რაც ნათლად დაადასტურა ჩვენმა შემდგომმა გამოთვლებმა, რომლის თანახმადაც, როგორც ცხრილი 2-დან ჩანს (ცხრილში მოცემულია მონაცემები საშუალოდ ერთ ოჯახზე, უკეთესი აღქმისთვის გადავიყვანოთ 100 ოჯახზე), პაპა-ბებიების 100 ოჯახში დედის მხრიდან დაიბადა 382 ბავშვი, მამის მხრიდან - 385. მათი შვილების, ე. ი. რესპონდენტების მშობლების ყოველ 100 ოჯახში დაიბადა 330 ბავშვი. უკვე ორ თაობას შორის შვილიანობაში დიდი განსხვავებაა: პაპა-ბებიებს ყოველ 100 ოჯახში 55 ბავშვით მეტი ყავდათ (385-330), ვიდრე მათ შვილებს, ე. ი. გამოკითხული სტუდენტების მშობლებს.

რაც შეეხება მესამე თაობას - გამოკითხულ სტუდენტებს, უკვე მოსალოდნელი, ე. ი. დაგეგმილი ბავშვების რიცხვი შეადგენს ყოველ 100 გამოკითხულზე 300-ს, რაც 30 ბავშვით ნაკლებია მათი მშობლების შვილების ფაქტობრივ რიცხვზე (330 – 300). ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მომავალში, როგორც რეალობა და პრაქტიკა გვიჩვენებს, ბავშვების ფაქტობრივი რიცხვი მნიშვნელოვნად ნაკლები იქნება მოსალოდნელი (დაგეგმილი) ბავშვების რიცხვზე.

რესპონდენტები ბავშვების რიცხვს გეგმავენ რიგი ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც მოტანილია ქვემოთ ცხრილში.

ცხრილი 37

სტუდენტების მიერ შვილიანობის დაგეგმვისასგათვალისწინებული ფაქტორები, %%

ფაქტორები	ბავშვების რიცხვი						
	1	2	3	4	5+	არ უპასუხა	სულ
სწავლის დასრულება	5,4	30,2	39,5	14,9	4,5	5,5	100,0
დასაქმება	5,6	30,7	39,3	14,9	4,5	5,0	100,0
მშობლების დახმარება	5,2	29,9	40,0	14,9	5,0	5,0	100,0
შემოსავალი	5,2	29,8	39,9	15,7	4,5	4,9	100,0
ჯანმრთელობა	5,4	29,7	39,8	15,3	4,9	4,9	100,0
ბინა	5,6	29,8	39,1	15,3	4,7	5,5	100,0
სკოლამდელი დაწესებულებები	5,3	29,7	40,1	15,0	4,6	5,3	100,0
კარიერა	5,5	30,4	39,9	14,0	4,9	4,9	100,0
სხვა ფაქტორები	6,9	30,7	38,6	13,4	5,5	5.5	100,0

შვილიანობის დაგეგმვისას გათვალისწინებული ფაქტორების შეფასებაში სტუდენტებმა

გამოიჩინეს საოცარი ერთსულოვნება. როგორც წესი, პირველი შვილის გაჩენას წინ არაფერი ეღობება. შესაბამისად, გათვალისწინებული ფაქტორებიდან მასზე მიუთითებს გამოკითხულთა დაახლოებით მხოლოდ 5,5%. ძირითადი აქცენტი გადატანილია ორ შვილზე, რომელზეც მოდის ფატორების დაახლოებით 30,0% და სამ შვილზე, რომელზეც მოდის ფაქტორების დაახლოებით 40,0%. ფაქტია, რომ ბავშვთა როგორც სასურველი, ისე დაგეგმილი რიცხვის შემთხვევაში საქართველოს სტუდენტობას ორიენტაცია აღებული აქვს სამ-შვილიან ოჯახზე. მეოთხე შვილზე მოდის ფაქტორების დაახლოებით 15, ხოლო 5 დამეტ შვილზე 5,0%-ზე ოდნავ მეტი.

ჩვენი კვლევით დადგენილი იქნა რეპროდუქციულ განწყობასა და შობადობის დონეზე მოქმედი ხელშემშლელი და მასტიმულირებელი ფაქტორები. თითოეულ ფაქტორს მნიშვნელობის მიხედვით მიენიჭა ქულა 1- დან 5-მდე.

ცხრილი 38

ბავშვთა ყოლის ხელშემშლელი ფაქტორები

ფაქტორები	ქულები პროცენტებში					სულ	საშუალო ქულა
	1	2	3	4	5		
სწავლა	10,5	13,6	20,7	19,8	35,4	100,0	3,56
შემოსავალი	6,4	6,4	7,6	18,9	60,7	100,0	4,21
ჯანმრთელობის მდგომარეობა	6,1	6,1	5,7	17,9	64,2	100,0	4,27
საბინაო პირობები	5,6	7,0	12,4	25,0	50,0	100,0	4,07
სკოლამდელი დაწესებულებების უკმარისობა	16,6	19,0	28,9	16,5	19,0	100,0	3,03
კარიერა	10,2	15,3	24,8	25,9	23,8	100,0	3,38
გადატვირთული სამუშაო გრაფიკი	7,9	12,4	19,1	25,6	35,0	100,0	3,67
პესიმისტური განწყობა მომავლისადმი	11,4	13,2	16,7	22,1	36,6	100,0	3,62

ბავშვის ყოლის ხელშემშლელ ფაქტორებს გამოკითხულთა უდიდესი უმრავლესობა 4 და 5 ქულით აფასებს. ყველაზე ხელშემშლელ ფაქტორებად დასახელდა შემოსავალი, ჯამრთელობა და საბინაო პირობები. ჩვენს მიერ გამოთვლილი იქნა შობადობის ხელშემშლელი ფაქტორების საშუალო ქულები, რომლებიც კლებადობის მიხედვით შემდეგნაირად დალაგდა: ჯამრთელობა - 4,27, შემოსავალი - 4,21, საბინაო პირობები - 4,07, გადატვირთული სამუშაო გრაფიკი - 3,67, პესიმისტური განწყობა მომავლისადმი - 3,62, სწავლა - 3,56, კარიერა - 3,38, სკოლამდელი დაწესებულების უკმარისობა - 3,03.

გრაფიკი 20. შობადობის ხელშემშლელი ფაქტორების საშუალო ქულები



საინტერესო სურათი მივიღეთ იმის გათვალისწინებით, თუ როგორია განსხვავებები მთლიანად ქულებს შორის თითოეული ფაქტორის მიხედვით. აღნიშნული განსხვავებები შევაფასეთ ვარიაციის წრფივი კოეფიციენტით. შეხედულებათა განსხავებებში ყველაზე მაღალი ვარიაციით ხასიათდება ჯანმრთელობა - 88,4%, შემდეგ მოდის შემოსავალი - 80,4%, ბინა - 70%, გადატვირთული სამუშაო გრაფიკი - 41,2%, სწავლა - 32,2%, კარიერა 29,0%. ყველაზე ნაკლები განსხვავებები დაფიქსირდა სკოლამდელი დაწესებულებების უკმარისობაზე შეხედულებებში - 17,8%. როგორც ვხედავთ, სტუდენტთა შეხედულებები შობადობის შემზღუდველ ფაქტორებზე რადიკალურად არაერთგვაროვანია, რომელიც უპრიანი იქნება გათვალისწინებული იქნეს შესაბამისი დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებისას. ამასთანავე, სამწუხაროდ გამოკითხულთა მხოლოდ 61,0%-მა აღნიშნა, რომ ნარკოტიკების მოხმარება

ამცირებს შვილიანობას, 39%-ის აზრით კი, ნარკოტიკების მოხმარება შვილიანობაზე ზეგავლენას არ ახდენს. აღნიშნული შეხედულებები საჭიროებს საზოგადოების სერიოზულ დაფიქრებას.

რაც შეეხება შობადობის მასტიმულირებელ ფაქტორებს, შეფასებები შემდეგნაირად განაწილდა:

ცხრილი 39

ბავშვების ყოლის მასტიმულრებელი ფაქტორები

ფაქტორები	ქულები პროცენტებში					სულ	საშუალო ქულა
	1	2	3	4	5		
სწავლის დასრულება	9,3	7,3	12,8	14,8	55,8	100,0	3,83
დასაქმება	5,4	6,7	7,1	14,4	66,4	100,0	4,3
მშობლების დახმარება	10,9	16,5	24,7	23,4	24,5	100,0	3,34
შემოსავალი	5,6	4,9	6,0	18,6	64,9	100,0	4,32
ჯანმრთელობის მდგომარეობა	6,9	4,3	2,8	12,9	73,1	100,0	3,66
საბინაო პირობები	6,7	5,1	7,6	21,3	59,3	100,0	4,2
სკოლამდელი დაწესებულების ხელმისაწვდომობა	12,5	15,2	20,6	22,9	28,8	100,0	3,4
კარიერა	8,6	10,5	19,3	24,1	37,5	100,0	3,6

მასტიმულირებელი ფაქტორებიდან, როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, ყველაზე დაბალი შეფასება მიეცა მშობლების დახმარებას და სკოლამდელი დაწესებულებების ხელმისაწვდომობას. დანარჩენ ფაქტორებს მიეცა ყველაზე მაღალი (5 ქულა) შეფასება.

შობადობის მასტიმულირებელი ფაქტორების მიხედვით გამოვთვალეთ შეფასებების საშუალო ქულები. კლებადობის მიხედვით ისინი შემდეგი თანმიმდევრობით დალაგდა: შემოსავალი - 4,32, დასაქმება - 4,3, საბინაო პირობები - 4,2, სწავლის დასრულება - 3,83, ჯანმრთელობის მდგომარეობა - 3,66, კარიერა - 3,6, სკოლამდელი დაწესებულებების ხელმისაწვდომობა - 3,4, მშობლების დახმარება - 3,34.

გრაფიკი 21. შობადობის მასტიმულირებელი ფაქტორების საშუალო ქულები



შობადობის ხელშემშლელი ფაქტორებიდან რეიტინგში პირველ ადგილზეა ჯანმრთელობა (იგულისხმება სუსტი ჯანმრთელობა), ხოლო ბოლოზე სკოლამდელი დაწესებულებების უკმარისობა. მასტიმულირებელი ფაქტორებიდან პირველ ადგილზეა შემოსავალი, ბოლოზე - მშობლების დახმარება (ცოტა არ იყოს, უცნაურია).

შეხედულებათა ვარიაცია, რანჟირებული კლებადობის მიხედვით, შემდეგნაირია: დასაქმება - 92,8%, შემოსავალი - 89, 8%, საბინაო პირობები - 81,2%, სწავლის დასრულება - 71, 6%, კარიერა - 43,2%, მშობლების დახმარება - 25,2%, სკოლამდელი დაწესებულებების ხელმისაწვდომობა - 5%.

საქართველოს სტუდენტობას ორიენტაცია აღებული აქვს სამ-შვილიან ოჯახზე და მათი დაახლოებით 70,0% შობადობის ყველა დადებით ფაქტორს განიხილავს სამ შვილთან მიმართებაში. მეორე ადგილზეა ორშვილიანი ოჯახი. ამასთანავე, არ შეიძლება შეშფოთება არ გამოიწვიოს იმ ფაქტმა, რომ სტუდენტების 5% არცერთი შვილის გაჩენას არ გეგმავს. ჩვენმა კვლევამ გაითვალისწინა იმ გარემოცვის შესწავლაც, რომლებიც ზემოქმედებენ რეპროდუქციული განწყობის ფორმირებაზე. შვილის ყოლაზე ოჯახის წევრის გავლენა დააფიქსირა გამოკითხულთა 95,0%-მა. შემდეგ მოდის მოძღვარი - 68,6%,

დემოგრაფიული პოლიტიკა - 68,6%, მეგობრის აზრი - 68,8%, მედიის გავლენა - 69,1%.

კვლევისას საჭიროდ ჩავთვალეთ გამოკვლევის ანკეტაში შეგვეტანა კითხვა: ახდენს თუ არა ნარკოტიკები ზეგავლენას შობადობაზე? მივიღეთ არა თუ ***შემაშფოთებელი, არამედ სამწუხარო*** **პასუხი.** კერძოდ: 2452 გამოკითხულიდან მხოლოდ 1482-მა, ე. ი. 60%-მა უპასუხა, რომ ნარკოტიკების მოხმარება შეამცირებს შობადობას. დანარჩენმა 40-მა პროცენტმა აღნიშნა, რომ ზეგავლენას არ მოახდენს. ფაქტობრივად ეს ნიშნავს, რომ საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის მთელი 40,0%, რა თქმა უნდა, არ არის მომხმარებელი, მაგრამ როგორც ჩანს, ლოიალურადაა განწყობილი ნარკოტიკების მომხმარებელთა მიმართ. სამწუხაროდ, გამოკითხვის შედეგები განსხვავებული დასკვნის გაკეთების საშუალებას არ იძლევა.

ჩვენი კვლევის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა დაგვედგინა კავშირი დაბადებულ ბავშვებსა და ოჯახის იურიდიულ ფორმას შორის. ამ მიზნით დასმული იყო კითხვა: „თქვენი აზრით, ბავშვი უნდა გაჩნდეს“:

- რეგისტრირებული ქორწინებით შექმნილ ოჯახში;
- ჯვარდაწერილ და სხვა რაიმე რელიგიური წესით დაკავშირებული წყვილების ოჯახში;
- თავისუფალ ურთიერთობაში მყოფ წყვილებში.

მეორე და მესამე კითხვა ფაქტობრივად ასახავს მშობლების არარეგისტრირებულ ქორწინებაში ბავშვის დაბადებას, ხოლო მესამე კითხვა ასახავს ქორწინების გარეშე დაბადებას. მოცემულ კითხვას პასუხი გასცა 2390 რესპონდენტმა. შედეგად მივიღეთ, რომ მათმა 66%-მა მხარი დაუჭირა ბავშვების გაჩენას რეგისტრირებული ქორწინებით შექმნილ ოჯახში, ხოლო 34% მხარს უჭერს ბავშვების გაჩენას არარეგისტრირებული ქორწინებით შექმნილ ოჯახში. აღნიშნული განაწილება აბსოლუტური სიზუსტით ემთხვევა საქსტატის 2020 წლის ოფიციალურ მონაცემებს. განსხვავებაა არარეგისტრირებული ქორწინების დიფერენციაციაში. ჩვენი კვლევით, ამ ფორმის მხარდამჭერთა 34,0% შემდეგნაირად ნაწილდება: ბავშვი უნდა გაჩნდეს ჯვარდაწერილი და სხვა რაიმე რელიგიური წესით დაკავშირებული წყვილების ოჯახში - 27,0%. აღნიშნული მუხლი საქსტატის მასალებში ფორმულირებულია როგორც ცოცხლადდაბადებულები, რეგისტრირებულნი მშობელთა ერთობლივი განცხადებით.

ჩვენი კვლევით, ბავშვის გაჩენას თავისუფალ ურთიერთობაში მყოფ წყვილებში (ე. ი. ქორწინების გარეშე დაბადებას) მხარი დაუჭირა გამოკითხულთა 7,0%-მა. აღნიშნული კატეგორია, საქსტატის მონაცემებით, ფორმულირებულია როგორც რეგისტრირებული ცოცხლად დაბადებულები მხოლოდ დედის განცხადებით.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური გვაძლევს ინფორმაციას ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობის შესახებ, მშობლების ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით. საქსტატის 2018 წლის მონაცემებით, 51138 ცოცხლად დაბადებულთაგან 33 760, ანუ 66% დაბადებულია რეგისტრირებულ ქორწინებაში, არარეგისტრირებულ ქორწინებაში კი 17375 (34%). არარეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებულებს მიეკუთვნება: მშობელთა ერთობლივი განცხადებით დარეგისტრირებულნი და ქორწინების გარეშე დაბადებულები. ქორწინების გარეშე დაბადებულები დარეგისტრირებულნი არიან მხოლოდ დედის განცხადებით. ერთობლივი განცხადება ნიშნავს, რომ ცოლ-ქმარი ან საეკლესიო ქორწინებაში იმყოფება, ან თავისუფალ ურთიერთობაში.

არარეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებულებიდან მშობელთა ერთობლივი განცხადებით დარეგისტრირებულია 16 068 ბავშვი, ხოლო მხოლოდ დედის განცხადებით - 1307. ეს უკანასკნელნი ითვლებიან ქორწინების გარეშე დაბადებულებად და შეადგენენ დაბადებულთა საერთო რიცხვის 2,6%. ეს მაჩვენებელი არცერთი ქვეყნის მაჩვენებელზე მეტი არ არის. ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მოცემული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მცირდება, კერძოდ: 1990 წელს ქორწინების გარეშე დაბადებულთა ხვედრითი წილი 6 პროცენტს შეადგენდა.[82] შემდგომ პერიოდში მაჩვენებლებმა შეადგინა: 1995 წ. 3,9%, 2000 წ. 4,4%, 2005 წ. 6,1%, 2010 წ. 4,0 %. 2011 წლიდან კი ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად მცირდება.[83]

წლები	**მაჩვენებლები (%)**	**წლები**	**მაჩვენებლები (%)**
2011	2,9	2015	2,3
2012	2,5	2016	2,4
2013	2,4	2017	2,9
2014	2,3	2020	2,6

2004-2005 წლებში დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტში ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევაში, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კითხვა დაისვა შემდეგი ფორმულირებით:[84]

---

82 მერაბ ხმალაძე, დემოგრაფია, თბ., 2009 გვ. 218

83 www.geostat.ge

84 სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული ქცევა. თბ., 2005, გვ. 45-47 (ხელნაწერის უფლებით).

1. ქორწინების რეგისტრაცია აუცილებელია მხოლოდ იურიდიული ფორმით;
2. ქორწინება აუცილებელია მხოლოდ საეკლესიო ფორმით;
3. ქორწინება აუცილებელია ორივე ფორმით (როგორც იურიდიული, ისე საეკლესიო);
4. ქორწინების რეგისტრაცია არ არის აუცილებელი არცერთი ფორმით.

გამოკითხული მამაკაცების 81,9% დასაშვებად მიიჩნევდა ქორწინების ორივე ფორმას (როგორც იურიდიულს, ასევე საეკლესიოს). ქალებში აღნიშნული მაჩვენებელი 8,2%-ით მაღალი იყო და 90,1%-ს შეადგენდა. ორივე სქესის რესპონდენტთა აზრით, ქორწინების საეკლესიო ფორმის მომხრეთა წილი აღემატებოდა ქორწინების იურიდიული ფორმის მსურველთა წილს. აღსანიშნავია, რომ მამაკაცთა 2,9%-ის აზრით, ქორწინება არ არის აუცილებელი არცერთი ფორმით; იგივე მაჩვენებელი ქალებს შორის ერთ პროცენტზე ნაკლები იყო (იხ. გრაფიკი 22).

გრაფიკი 22. გამოკითხულთა განაწილება ქორწინების რეგისტრაციის ფორმისადმი დამოკიდებულების მიხედვით, % კაცები



გრაფიკი 23. გამოკითხულთა განაწილება ქორწინების რეგისტრაციის ფორმისადმი დამოკიდებულების მიხედვით, % ქალები



წყარო: *გრაფიკი აგებულია 2005 წელს ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.*

ქორწინების მხოლოდ საეკლესიო ფორმას თბილისში დაბადებულ კაცებს შორის უფრო მეტი მხარდამჭერი ჰყავდა (14,9%), ვიდრე სხვა ქალაქებში და სოფლებში (11,1%). რაც შეეხება „სუსტი სქესის“ წარმომადგენლებს, აღნიშნული ნიშნით ანალიზმა მცირე განსხვავება აჩვენა. აღსანიშნავია, რომ დაბადების ადგილის მიუხედავად, ორივე სქესის მიხედვით რესპონდენტების დიდი უმრავლესობა მხარს უჭერდა ქორწინების ორივე ფორმას (როგორც იურიდიულად, ისე საეკლესიო წესით რეგისტრირებულს).

გამოკითხულ კაცებში და ქალებში ქორწინების მხოლოდ საეკლესიო ფორმის მსურველთა ყველაზე მაღალი წილი კარგი მატერიალური მდგომარეობის მქონე რესპონდენტებში აღინიშნა, შესაბამისად 17,4 და 8,1%. კაცებს შორის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების პირდაპირ პროპორციულად მატულობდა მათი წილი, ვინც თვლიდა, რომ ქორწინება არ არის აუცილებელი არცერთი ფორმით. საგულისხმო ფაქტია, რომ აღნიშნულ აზრს იზიარებდა იმ მამაკაცთა და ქალი რესპონდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებსაც ცუდი საბინაო პირობები გააჩნდათ (შესაბამისად 11,1 და 6,7%).

ქორწინების რეგისტრაციის მხოლოდ რელიგიური ფორმის მომხრეთა ყველაზე მაღალი წილი დაფიქსირდა იმ მამაკაც რესპონდენტთა შორის, რომლებიც ერთშვილიან ოჯახში აღიზარდნენ (6,3%). აღსანიშნავია, რომ ასევე საგრძნობი იყო აღნიშნული წილი მსგავს ოჯა-

ხებში აღზრდილ ქალებს შორის (3,9%). ორივე სქესის მიხედვით, რაც მეტი იყო ბებია-ბაბუების ოჯახში ბავშვების რაოდენობა, მით უფრო მცირდებიდა მხოლოდ საეკლესიო ქორწინების ფორმის მომხრეთა წილი.

ჩვენი კვლევის შემდეგ მიზანს შეადგენდა სტუდენტობის ქორწინებითი განწყობის და შვილიანობასთან მისი კავშირის დადგენა. ქორწინების საუკეთესო ასაკად 19 წლამდე დაასახელა სტუდენტობის მხოლოდ 1,0%-მა, 20-24 წელი - 23,0%-მა, 25-29 წელი - 69,6%-მა და 30-34 წელის - 6,3%-მა. როგორც ვხედავთ, ქორწინების საუკეთესო ასაკად ყველაზე მეტმა - 69,6%-მა დაასახელა 25-29 წელი, მეორე ადგილზე დასახელდა 23,0%-ით 20-24 წელი. ამ ასაკებზე მოდის დაბადებულთა ყველაზე მაღალი პროცენტი. კერძოდ, 2018 წელს 20-24 წლის ასაკზე მოდის დაბადებულთა 25,0%, ხოლო 25-29 წელზე 32,4%, ორივეზე ერთად 57,4%. აღნიშნული ტენდენცია მეტ-ნაკლებად ფიქსირდება ყოველ წელს. ჩვენი გამოთვლებით, სტუდენტებისთვის ქორწინების საშუალო საუკეთესო ასაკმა შეადგინა 26 წელი. 2004-2005 წლების კვლევით, აღნიშნულმა ასაკმა ქალებისათვის შეადგინა 22, ხოლო კაცებისათვის 25,5 წელი. მოვიტანოთ საქსტატის მონაცემებს აღნიშნულ საკითხზე ქვეყნის მასშტაბით.

ცხრილი 40

დაქორწინებულთა განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით, 2018 წელი

ასაკი	აბსოლუტური სიდიდეები		პროცენტობით	
	კაცები	ქალები	კაცები	ქალები
<19	326	2054	1,4	8,8
20-24	4559	6739	19,6	29,0
25-29	6796	5875	29,3	25,3
30-34	4395	3367	18,9	14,5
35>	7127	5167	30,8	22,4
სულ	23 202	23 202	100,0	100,0

ცხადად ჩანს, რომ ახალგაზრდა, ანუ 25 წლამდე ასაკის ქალები გაცილებით მეტია გათხოვილი (37,8%), ვიდრე ამავე ასაკის კაცები (21,0%). ეს გამოწვეულია იმით, რომ ქალები ცოლად მიყვებიან (ტრადიციულად) თავისზე ასაკით უფროს მამაკაცებს. აღნიშნული დასტურდება დაქორწინებულთა საშუალო ასაკითაც. კერძოდ, საქსტატის მონაცემებით, 2018 წელს კაცებისა და ქალების ქორწინების საშუალო ასაკი შეადგენდა: ყველა ქორწინებისას 32 და 29 წელს, პირველი ქორ-

წინებისას 30,4 და 27,7 წელს, განმეორებითი ქორწინებისას 41,5 და 38,2 წელს. ანალოგიურ მდგომარეობას, მეტ-ნაკლები სხვაობით, ადგილი აქვს ყოველთვის. როგორც ვხედავთ, სტუდენტებისთვის საშუალო საქორწინო ასაკი შედარებით ნაკლებია, 26 წელი, მაგრამ რეალურ ცხვორებაში ის შედარებით მაღალია.

კვლევამ საშუალება მოგვცა ერთმანეთისთვის დაგვეკავშირებინა ქორწინების საუკეთესო ასაკი პირველი ბავშვის ყოლისთვის საუკეთესო დროსთან. ანკეტების დამუშავების შემდეგ მივიღეთ შემდგი შედეგები:

ცხრილი 41

საუკეთესო ასაკი ქორწინებისთვის და საუკეთესო დრო პირველი ბავშვის ყოლისთვის

საუკეთესო ასაკი ქორწინებისთვის	საუკეთესო დრო პირველი ბავშვის ყოლისთვის, %				
	პირველი წლის განმავლობაში	ერთი წლის შემდეგ	ორი წლის შემდეგ	სამი და მეტი წლის შემდეგ	სულ
20-24	34,1	26,1	14,2	8,9	23,3
25-29	60,0	70,7	79,2	66,7	70.3
30-34	5,9	3,2	6,6	24,4	6,4
სულ	100,0	100,0	100,0	100,0	100,0

ის, ვინც ქორწინების საუკეთესო ასაკად დაასახელა 20-24 წელი, პირველი ბავშვის ყოლა სურს მოკლე ვადებში პირველი წლის განმავლობაში და ერთი წლის შემდეგ, ანუ ორ წლამდე, 26,1%-ს. 25-29 წლის ასაკის რესპონდენტებისთვის მაქსიმუმი მოდის პერიოდზე - ერთი წლის შემდეგ და ორი წლის შემდეგ, ე. ი. სამ წლამდე, 30-34 წლის რესპონდენტებისათვის ყველაზე მისაღები ვადაა სამი და მეტი წელი. საერთოდ კი, პირველი ბავშვის ყოლისთვის 2452 გამოკითხულიდან საუკეთესო დრო დააფიქსირა: პირველი წლის განმავლობაში 17,5%-მა, ერთი წლის შემდეგ 51,4%-მა, ორი წლის შემდეგ 21,8%-მა, სამი და მეტი წლის შემდეგ 9,2%-მა.

ქორწინების საუკეთესო ასაკთან დაკავშირებით მოცემულ ცხრილზე დაყრდნობით გამოვთვალეთ ***პირველი ბავშვის ყოლის საშუალო ასაკი, რამაც 26,2 წელი შეადგინა.***

ქორწინებიდან პირველი ბავშვის დაბადებამდე პერიოდს დემოგრაფიაში პროტოგენეტიკური ინტერვალი ეწოდება. აღნიშნული ინტერვალი ასახავს ბავშვთა შობის რეგულირების პროცესს და როგორც წესი, არ შეადგენს 9 თვეზე ნაკლებს. ამასთან, რაც მეტია აღნიშნული ინ-

ტერვალი, მით მეტად ხდება პირველი ბავშვის დაბადების გადავადება, რაც შესაბამისად მიგვითითებს შობადობის შემცირების ტენდენციაზე. ჩვენს კვლევაში აღნიშნული ტენდენცია მკაფიოდ გამოიკვეთა. ასევე, დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის 2004-2005 წლების კვლევაში პროტოგენეტიკური ინტერვალის ანალიზმა სქესობრივ ჭრილში აჩვენა, რომ კაცებს შორის პირველი ბავშვის ყოლას ქორწინებიდან პირველ წელს მხარს უჭედა 37,5%, ხოლო ქალების - 22, 7%. ორივე სქესის მიხედვით პროტოგენეტიკური ინტერვალის ხანგრძლივობის ზრდასთან ერთად უკუპროპორციულად მცირდებოდა გამოკითხულთა პასუხების ხვედრითი წილი. როგორც კაცებში, ისე ქალებში პირველი ბავშვის ყოლის ყველაზე გავრცელებული პასუხი იყო - ქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ.[85]

პროტოგენეტიკური ინტერვალის საკითხი 2004-205 წლების კვლევაში საკმაოდ დეტალურად იქნა შესწავლილი. მოვიტანოთ ზოგიერთი შედეგი:

- კაცებში პროტოგენეტიკური ინტერვალების სიდიდე აღმოჩნდა პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაში მათ მატერიალურ მდგომარეობასთან. აღსანიშნავია, რომ ქორწინებიდან პირველივე წელს ბავშვის ყოლას ამჯობინებდა ცუდი მატერიალური მდგომარეობის მქონე კაცების უმრავლესობა. ანალოგიური ტენდენცია დაფიქსირდა გამოკითხულ ქალებშიც.[86]
- რესპონდენტთა პასუხების ანალიზმა (ორივე სქესის მიხედვით) ოჯახის საბინაო პირობებთან დაკავშირებით გვიჩვენა, რომ ძირითადად დაცული იყო ის პროპორციები, რომლებიც ოჯახის მატერიალურ მდგომარეობათა კავშირში დაფიქსირდა.[87]
- ეკლესიის მრევლის წევრებისათვის (როგორც კაცებისათვის, ისე ქალებისათვის) იდეალური პროტოგენეტიკური ინტერვალი შედარებით დაბალი იყო მათგან განსხვავებით, ვინც არ იყო არცერთი ეკლესიის მრევლის წევრი.[88]

სამწუხაროდ, ჩვენს კვლევაში არ დასმულა საკითხი უკანასკნელი ბავშვის ყოლის საშუალო ასაკის შესახებ. 2004-2005 წლების კვლევით, ამ ასაკმა ქალებში შეადგინა 34,5, კაცებში 34 წელი.[89]

---

[85] სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული ქცევა. თბ., 2005, გვ. 30 (ხელნაწერის უფლებით).
[86] იქვე, გვ. 31.
[87] იქვე, გვ. 32.
[88] იქვე, გვ. 33.
[89] იქვე, გვ. 35.

საქსტატის მონაცემებით, 2010-2018 წლებში დედის საშუალო ასაკი ბავშვის დაბადებისას მერყეობდა 26-28 წლების ინტერვალში, ხოლო დედის საშუალო ასაკი პირველი ბავშვის დაბადებისას - 24-25,6 წლების ინტერვალში.[90]ჩვენი კვლევით ასევე დადგენილი იქნა კავშირი ქორწინებისთვის საუკეთესო ასაკსა და შობადობის ფაქტორებს შორის.

ცხრილი 42

საუკეთესო ასაკი ქორწინებისთვის და შობადობის ფაქტორები

საუკეთესო ასაკი ქორწინებისთვის	შობადობის ფაქტორები				
	სწავლის დასრულება	დასაქმება	მშობლების დახმარება	შემოსავალი	ჯანმრთელობა
20-24	23,1	22,9	22,3	22,6	22,6
25-29	70,2	70,4	71,2	70,8	70,8
30-34	6,7	6,7	6,6	6,6	6,6
სულ	100,0	100,0	100,0	100,0	100,0

შობადობის ფაქტორს - სწავლის დასრულება - პასუხი გასცა 2312 რესპონდენტმა, დასაქმებას 2312-მა, მშობლების დახმარებას 2207-მა, შემოსავალს 2327-მა, ჯანმრთელობას 2322-მა. ყველა ფაქტორს გამოეხმაურა ერთი და იგივე რაოდენობის რესპონდენტი მშობლების დახმარების გარდა, რომელიც დაახლოებით 100-ით ნაკლებია და ასეთ მრავალრიცხოვან პასუხებში შეიძლება მხედველობაში არც მივიღოთ.

კავშირი ქორწინების საუკეთესო ასაკსა და შობადობის ფაქტორებს შორის სტუდენტთა ყველა ასაკობროვი ჯგუფისთვის პრაქტიკულად ერთი და იგივეა. განსაკუთრებით გამოკვეთილია ქორწინებისათვის საუკეთესო საშუალო ასაკი, რომელიც აბსოლუტურად ერთი და იგივეა შობადობის ყველა ჩამოთვლილი ფაქტორისათვის - 26,2 წელი. აღნიშნული მდგომარეობა შეიძლება აიხსნას შემდეგი მიზეზით: საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობა აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში არის აბსოლუტურად ერთგვაროვანი შეხედულების.

[90] www.geostat.ge

თავი 3. შობადობის რეგიონული ასპექტები

3.1. შობადობა რეგიონების მიხედვით 1995-2020 წლებში

შობადობის შესწავლა რეგიონების მიხედვით საბჭოთა პერიოდში ისევე როგორც საერთოდ რეგიონული დემოგრაფიულ-სტატისტიკური კვლევა აქტუალური არ იყო, რამდენადაც საბჭოთა მეცნიერებას „რეგიონის რეგიონი“ არ აინტერესებდა. მეორე, მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის „საბჭოთა“ მასალების დამუშავება რეგიონულ ჭრილში არადამაკმაყოფილებელი იყო, ის მხოლოდ რაიონების მიხედვით ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი კოეფიციენტების გამოთვლის საშუალებას იძლეოდა. ისტორიული მხარეების(და არა დღევანდელი რეგიონების) მიხედვით მაჩვენებლების მიღება შეიძლებოდა მხოლოდ რაიონების შეჯამებით. რეგიონული დემოგრაფიული პროცესების საფუძვლიანი კვლევა დაიწყო პოსტსაბჭოთა პერიოდში. ამ კუთხით პრიორიტეტი ეკუთვნით: ა. თოთაძეს, ვ. ლორთქიფანიძეს, ა. ბაკურაძეს, ე. მენაბდიშვილს, ნ. კოპალეიშვილს, ნ. ახალაიას, ი. იაშვილს.

შობადობის დონის დინამიკა საქართველოში რეგიონების მიხედვით განხილულ პერიოდში წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. შობადობის ზოგადი კოეფიციენტი 1995-2005 წლებში ყველგან მცირდება სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის გარდა, სადაც მაჩვენებლის უმნიშვნელო ზრდას აქვს ადგილი. შიდა ქართლში მაჩვენებელი პრაქტიკულად უცვლელია. 1995-2005 წლებში შობადობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდე მხოლოდ აჭარაში აკმაყოფილებდა მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების მოთხოვნებს და ისიც მხოლოდ 1995 წლისთვის.

მომდევნო 2005-2015 წლებში 1990-იანი წლების კრიზისის გავლენა დემოგრაფიულ პროცესებზე სუსტდება რაც აისახა შობადობის მაჩვენებლის ზრდაზე მთლიანად საქართველოსა და მის ყველა რეგიონში. 2015-2020 წლებში შობადობის შემცირება როგორც ქვეყნის, ისე მის რეგიონებში შედეგია 2020 წლის პანდემიის. მოცემულ საკითხზე შევჩერდებით ოდნავ მოგვიანებით. ქვემოთ მოგვაქვს შობადობის დონის და დინამიკის მახასიათებელი სტატისტიკური მაჩვენებლები 1995-2020 წლებში.

ცხრილი 43

შობადობის ზოგადი კოეფიციენტები საქართველოში რეგიონების მიხედვით 1995-2020 წლებში

	1995	2000	2005	2010	2015	2020
საქართველო, მ.შ.	12,1	11,8	11,8	14,6	15,9	12,5
აჭარა	14,7	13,4	12,3	16,0	18,6	15,9
გურია	13,3	10,4	9,8	12,4	13,8	10,0
იმერეთი	13,8	11,0	10,4	13,9	16,1	12,1
კახეთი	12,1	10,8	10,8	13,0	16,4	12,3
მცხეთა მთიანეთი	13,5	10,9	11,6	14,5	13,6	10,9
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	11,2	9,3	6,6	8,5	11,5	8,9
სამეგრელო ზემო სვანეთი	13,2	10,4	9,7	11,8	15,1	10,6
სამცხე-ჯავახეთი	11,1	11,5	12,0	14,1	14,2	12,6
ქვემო ქართლი	11,2	13,8	13,6	16,3	16,3	12,7
შიდა ქართლი	11,0	12,2	11,0	14,3	15,8	11,9

გრაფიკი 24. შობადობის ზოგადი კოეფიციენტები საქართველოში რეგიონების მიხედვით 1995-2020 წლებში



შობადობის ზოგადი კოეფიციენტების დინამიკა მოცემული ქვემოთ ცხრილ 44-ში.

ცხრილი 44

შობადობის ზოგადი კოეფიციენტების დინამიკა საქართველოში 1995-2020 წლებში რეგიონების მიხედვით (პროცენტებში)

	1995-2005	2005-2015	2015-2020	1995-2020
საქართველო, მ.შ.	97,5	134,7	78,6	103,3
აჭარა	83,7	151,2	85,5	108,2
გურია	73,7	140,8	72,5	75,2
იმერეთი	75,4	154,8	75,2	87,7
კახეთი	89,3	151,9	75,0	101,7
მცხეთა მთიანეთი	85,9	117,2	80,1	80,7
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	58,9	174,2	77,4	79,5
სამეგრელო ზემო სვანეთი	73,5	155,7	70,2	80,3
სამცხე-ჯავახეთი	108,1	118,3	88,7	113,5
ქვემო ქართლი	121,4	119,9	77,9	113,4
შიდა ქართლი	100,0,	143,6	75,0	108,2

შობადობა 1995-2005 წლებში ყველაზე მეტად, 41,5%-ით, შემცირდა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში. უფრო ნაკლებად, 25-26,0%-ით, მცირდება მაჩვენებელი გურიაში, იმერეთში და სამეგრელო ზემო სვანეთში. ყველაზე ნაკლებად, 10-16,0%-ით, შემცირდა შობადობია აჭარაში, კახეთში და მცხეთა მთიანეთში. შობადობის დონე უცვლელი დარჩა შიდა ქართლში, ხოლო მის ზრდას ადგილი აქვს სამცხე-ჯავახეთში 108,1%-ით და ქვემო ქართლში - 121,4%-ით.

განხილული 1995-2020 წლებიდან 2005-2015 წლები საქართველოში წარმოადგენს „საკომპენსაციო პერიოდს“. წინა, 1995-2005 წლებში შემცირების შემდეგ შობადობა გაიზარდა საქართელოს ყველა რეგიონში რითაც გამოჩნდა სტატისტიკაში კარგად ცნობილი - „შესადარი დაბალი საბაზისო დონის ეფექტი“. საქმე ისაა, რომ რაც უფრო დაბალია შესადარ, საბაზისო წელს მოვლენის დონე, მისი მცირედი აბსოლუტური მატებაც კი მაღალი ზრდის ტემპებს იძლევა. მოცემული ფაქტით კარგად სარგებლობდა საბჭოთა სტატისტიკა, რადგან მოვლენების დაბალ დონესთან შედარებით მცირეოდენი ზრდაც კი ზრდის მაღალ ტემპებს იძლეოდა ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით და ეს ზრდა სოციალიზმის კაპიტალიზმთან შედარებით უდავო უპირატესობის დასადასტურებლად გამოიყენებოდა.

მაგრამ დავუბრუნდეთ საკომპენსაციო 2005-2015 წლებს. ამ წლებში შობადობის დონე ყველაზე მეტად 174,2%-ითგაიზარდა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, რადგანაც შობადობამ მოცემულ რეგიონში 2005 წელს რეგიონებს შორის ყველაზე დაბალ ნიშნულს, 6,6%0მიაღწია. შესაბამისად, კოეფიციენტის ყველაზე დაბალი ზრდა, 118-120,0% და-

ფიქსირდა სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში, რომლებიც 2005 წელს შობადობის შედარებით მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდებოდნენ.

2015-2020 წლებში შობადობის დონე „კოვიდის“ შედეგად საქართველოში მნიშვნელოვნად, 21,4%-ით შემცირდა, ხოლო ზოგიერთ რეგიონში შემცირებამ უფრო მეტ მასშტაბებს მიაღწია. მაგალითად მაჩვენებელი შემცირდა: სამეგრელო ზემო სვანეთში 29,8%-ით, გურიაში 27,5%-ით, შიდა ქართლში, კახეთში, გურიაში და იმერეთში 25-27,0%-ით. რეგიონებიდან შობადობა ყველაზე ნაკლებად შემცირდა: სამცხე--ჯავახეთსა (11,3%) და აჭარაში (14,5%). 2020 წელს შობადობის დონე დაუბრუნდა 1995 წლის დონეს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის უმნიშვნელო,3,3%-ით მატებას ქვეყნების მასშტაბით, რომელიც მივიღეთ რიგ რეგიონებში მაჩვენებლის ზრდის, ხოლო რიგ რეგიონებში მისი შემცირების დაბალანსებით.

შობადობის მახასიათებელი რეგიონული მაჩვენებლებიდან შეიძლება გაკეთდეს ცალსახა დასკვნა რომ შობადობის მაღალი დონით ყოვეთვის გამოირჩეოდა აჭარა რომელიც როგორც ჩანს, მისი მოსახლეობის კონფესიური შემადგენლობით უნდა აიხსნას.

კოვიდეპიდემიით შობადობის შემცირება ნათლად ჩანს 2019-2020 წლების მონაცემების შედარებით. მოცემულ წლებში საქართვლოში დაიბადა 1776 ბავშვით ნაკლები. მათ შორის თბილისში 751, ქვემო ქართლში 315, სამეგრელო ზემო სვანეთში 187, იმერეთში 167, აჭარაში 104, გურიაში 99, შიდა ქართლში 72, კახეთში 44, რაჭა-ლეჩხუმში 25, მცხეთა-მთიანეთში 20. გამონაკლისია სამცხე-ჯავახეთი სადაც დაიბადა 8 ბავშვით მეტი.

შობადობის დონის დინამიკის ანალიზისას საჭიროა პასუხი გაეცეს კითხვას: განხილულ 1995-2020 წლებში მიმდინარეობდა რეგიონებს შორის შობადობის დონეების გამოთანაბრება თუ პირიქით? ამ მიზნით ჩვენს მიერ გამოთვლილი იქნა რეგიონთაშორის შობადობის ვარიაციის წრფივი კოეფიციენტები წლების მიხედვით. შედეგები მოგვყავს ქვემოთ.

წლები	1995	2000	2005	2010	2015	2020
ვარიაციის წრფივი კოეფიციენტი (%)	9,8	10,4	12,8	13,6	9,6	11,6

ცხადია, არ შეიძლება კატეგორიულად ვამტკიცოთ არსებულ კანონზომიერების არსებობაზე, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ნათლად

ჩანს ტენდენცია: 1995 წლიდან 2010 წლამდე, შობადობის ზრდის პარალელურად იზრდება ვარიაციის მაჩვენებელი, რაც მიგვითითებს შობადობის დონის რეგიონთაშორის დიფერენციაციის გაღრმავებაზე, ხოლო 2010-2020 წლებში ვარიაციის მაჩვენებლის შემცირება მიუთითებს შობადობის დონის შემცირების პარალელურად შობადობის რეგიონთაშორისი დონეების გამოთანაბრებაზე.

3.2. შობადობა საქართველოში მუნიციპალიტეტების მიხედვით

პოსტსაბჭოთა საქართველოს დემოგრაფიული სტატისტიკა საშუალებას გვაძლევს გამოვთვალოთ და გავაანალიზოთ შობადობის დონეები საქართველოში არა მხოლოდ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების, არამედ მათში შემავალი მუნიციპალიტეტების მიხედვითაც. ქვემოთ მოგვაქვს ჩვენს მიერ გამოთვლილი შობადობის ზოგადი კოეფიციენტები 1995-2020 წლებისთვის.

ცხრილი 45
შობადობის ზოგადი კოეფიციენტები საქართველოშიმუნიციპალიტეტების
მიხედვით 1995-2020 წლებში

	1995	2000	2005	2010	2015	2020	პროცენტულად			
							1995-2005	2005-2015	2015-2020	1995-2020
აჭარა	14,7	13,4	12,3	16,0	18,6	15,9	83,7	151,2	85,5	108,2
ბათუმი	12,2	15,6	12,2	13,3	19,2	18,0	100,0	157,4	93,8	147,5
ქედა	15,1	15,1	12,4	18,1	17,4	12,4	82,1	140,3	71,3	82,1
ქობულეთი	12,3	9,5	12,3	16,6	17,3	14,3	100,0	140,7	82,7	116,3
შუახევი	25,4	18,6	12,4	18,4	17,3	10,3	48,8	139,5	59,5	40,6
ხელვაჩაური	16,6	10,6	12,3	17,9	19,4	15,7	74,1	157,7	80,9	94,6
ხულო	19,6	17,9	12,4	18,5	18,9	12,2	63,3	152,4	64,6	62,2
გურია	13,3	10,4	9,8	12,4	13,8	10,0	73,7	140,8	72,5	75,2
ლანჩხუთი	13,7	8,7	9,1	12,3	13,5	9,4	66,4	148,4	69,6	68,6
ოზურგეთი	13,2	11,5	10,6	12,4	14,2	9,9	80,3	134,0	69,7	75,0
ჩოხატაური	12,9	9,5	8,0	12,2	12,9	11,1	62,0	161,3	86,0	86,0
იმერეთი	13,8	11,0	10,4	13,9	16,1	12,1	75,4	154,8	75,2	87,7
ქუთაისი	15,4	15,5	12,9	14,3	18,2	14,5	83,8	141,1	79,7	94,2
ბაღდათი	12,1	8,8	8,8	13,7	16,7	11,5	72,7	189,8	68,9	95,0
ვანი	10,8	6,7	8,7	13,7	16,1	10,0	80,6	185,1	62,1	92,6

ზესტაფონი	14,7	11,3	9,8	13,8	15,9	11,1	66,7	162,2	69,8	75,5
თერჯოლა	14,4	9,1	8,5	13,7	15,1	10,9	59,0	177,6	72,2	75,7
სამტრედია	13,4	8,9	10,7	13,9	15,5	10,7	79,9	144,9	69,0	80,0
საჩხერე	15,6	11,8	8,7	13,7	16,4	11,9	55,8	188,5	72,6	76,3
ტყიბული	10,3	7,7	10,5	14,0	12,9	10,7	101,9	122,9	82,9	103,9
წყალტუბო	11,7	6,3	9,1	13,8	12,9	11,2	77,8	141,8	86,8	95,7
ქიათურა	12,7	11,1	9,4	13,8	17,6	11,8	74,0	187,2	67,0	92,9
ხარაგაული	14,9	8,3	8,4	13,7	16,6	12,4	56,4	197,6	74,7	83,2
ხონი	12,0	9,2	9,9	13,9	13,6	10,2	82,5	137,4	75,0	85,0
კახეთი	12,1	10,8	10,8	13,0	16,4	12,3	89,3	151,9	75,0	101,7
ახმეტა	14,5	12,1	10,8	13,0	19,2	13,2	74,5	177,8	68,8	91,0
გურჯაანი	10,1	9,8	9,8	13,0	15,0	10,9	97,0	153,1	72,7	107,9
დედოფლის-წყარო	10,0	13,2	11,4	13,2	16,3	11,0	114,0	143,0	67,5	110,0
თელავი	12,2	10,8	12,1	13,1	10,7	12,7	99,2	88,4	118,7	104,1
ლაგოდეხი	14,3	12,8	9,8	12,9	16,8	14,4	68,5	171,4	85,7	100,0
საგარეჯო	13,4	11,4	10,7	13,0	18,2	13,6	80,0	170,0	74,7	101,5
სიღნაღი	11,0	8,2	10,6	13,1	14,0	10,5	96,4	132,1	75,0	95,5
ყვარელი	11,5	8,9	11,2	13,0	16,4	11,1	97,4	146,4	67,7	96,5
მცხეთა მთიანეთი	13,5	10,9	11,6	14,5	13,6	10,9	85,9	117,2	80,1	80,7
ახალგორი	1,9	6,7	12,3	-	-	-	-	-	-	-
დუშეთი	14,8	12,4	12,4	14,7	12,5	9,4	83,8	100,0	75,2	63,5
თიანეთი	14,4	7,4	12,1	14,8	14,4	8,2	84,0	119,0	56,9	56,9
მცხეთა	14,1	11,7	10,9	14,4	10,8	10,2	77,3	100,0	94,4	72,3
ყაზბეგი	10,7	7,7	12,5	14,6	19,5	13,4	116,8	156,0	68,7	125,2
რაჭა-ლეჩხუმი ქვემო-სვანეთი	11,2	9,3	6,6	8,5	11,5	8,9	58,9	174,2	77,4	79,5
ამბროლაური	7,7	7,8	6,2	8,3	8,8	8,4	80,5	141,9	95,5	109,1
ლენტეხი	16,9	9,6	6,7	8,5	9,0	11,7	39,6	134,3	130,0,	69,2
ონი	9,1	8,6	8,7	10,0	9,3	8,6	95,6	106,9	92,5	94,5
ცაგერი	13,4	11,9	5,7	7,8	12,7	8,4	42,5	222,8	66,1	62,7
სამეგრელო ზემო სვანეთი	13,2	10,4	9,7	11,8	15,1	10,6	73,5	155,7	70,2	80,3
ქ.ფოთი	12,9	10,1	14,3	12,2	14,2	9,5	110,9	100,0	66,9	73,6
აბაშა	11,8	7,6	8,2	11,7	10,2	10,7	69,5	124,4	104,9	90,7
ზუგდიდი	14,0	8,6	9,9	11,9	16,7	11,1	70,7	168,7	66,5	79,3
მარტვილი	12,1	10,3	7,4	11,6	14,4	10,1	61,2	194,6	70,1	83,5
მესტია	17,6	13,7	7,9	11,6	19,8	18,3	44,9	250,6	92,4	104,0
სენაკი	13,1	11,7	10,9	11,9	16,1	9,9	83,2	147,7	61,5	75,6
ჩხოროწყუ	11,6	13,3	7,7	11,6	14,7	9,9	66,4	190,9	67,3	85,3
წალენჯიხა	14,7	15,9	9,0	11,7	14,7	10,5	61,2	163,3	71,4	71,4
ხობი	13,7	11,0	7,5	11,6	13,5	9,3	54,7	180,0	68,9	67,9

ცხრილი 45-ის გაგრძელება

	1995	2000	2005	2010	2015	2020	პროცენტულად			
							1995-2005	2005-2015	2015-2020	1995-2020
სამცხე-ჯავახეთი	11,1	11,5	12,0	14,1	14,2	12,6	108,1	118,3	88,7	113,5
ადიგენი	22,3	14,0	11,0	14,0	16,5	13,0	49,3	150,0	78,8	58,3
ასპინძა	17,1	11,9	11,6	14,0	17,4	15,0	67,8	150,0	86,2	87,7
ახალქალაქი	1,8	4,9	11,3	14,1	13,6	13,3	-	120,4	97,8	-
ახალციხე	13,2	14,2	12,8	14,0	13,6	10,8	97,0	106,3	79,4	81,8
ბორჯომი	14,9	14,5	13,3	14,1	14,6	11,5	89,3	109,8	78,8	77,2
ნინოწმინდა	13,2	15,0	11,4	14,1	12,9	14,2	86,4	113,2	110,1	107,6
ქვემო ქართლი	11,2	13,8	13,6	16,3	16,3	12,7	121,4	119,8	77,9	113,4
რუსთავი	12,3	15,5	19,4	15,7	16,1	11,5	157,7	83,0	71,4	93,5
ბოლნისი	12,7	15,8	12,2	16,5	15,9	11,8	96,1	130,3	74,2	92,9
გარდაბანი	12,4	11,5	10,9	16,5	17,4	12,8	87,9	159,6	73,6	103,2
დმანისი	12,1	15,0	10,9	16,7	15,3	15,1	90,1	140,4	98,7	124,8
თეთრიწყარო	9,2	9,5	12,3	16,5	11,9	10,3	133,7	96,7	86,6	112,0
მარნეული	11,3	15,5	11,6	16,4	18,6	14,9	102,7	160,3	80,1	131,9
წალკა	3,3	7,1	10,9	16,5	14,9	11,7	-	136,7	78,5	-
შიდა ქართლი	12,9	12,2	11,1	14,3	15,8	11,9	86,0	142,3	75,3	92,2
გორი	12,2	14,4	10,9	14,3	16,3	12,3	89,3	149,5	75,5	100,0
კასპი	13,9	8,7	10,6	14,3	13,7	10,5	76,3	129,2	76,6	75,5
ქარელი	10,2	8,8	10,0	14,3	16,8	11,6	98,0	168,0	69,0	113,7
ხაშური	16,3	12,1	12,9	14,3	15,3	10,8	79,1	118,6	70,6	66,3

შობადობის დონეები საქართველოში გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება არა მხოლოდ რეგიონების, არამედ რეგიონებში შემავალი მუნიციპალიტეტების მიხედვითაც. დემოგრაფიული პროცესები რეგიონულ ჭრილში შეისწავლა ანზორ თოთაძემ, რომელმაც ნაშრომები მიუძღვნა აჭარის, გურიის, კახეთის და თბილისის მოსახლეობას ისტორიულ ჭრილში.[91]

რეგიონების მოსახლეობის შობადობას მუნიციპალიტეტების მიხედვით განვიხილავთ რეგიონების ოფიციალურად მიღებული (ქართული ანბანის მიხედვით) თანმიმდევრობით.

აჭარის რეგიონი

აჭარა თურქეთის მრავალსაუკუნოვანი ბატონობის შემდეგ დედასამშობლოს დაუბრუნდა 1878 წელს რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ. სტატისტიკური მონაცემები აჭარის შესახებ გაგვაჩ-

[91] ა. თოთაძე. აჭარის მოსახლეობა. თბ., 2012, ა. თოთაძე. გურიის მოსახლეობა, თბ., 2014, ა. თოთაძე. კახეთის მოსახლეობა, თბ., 2014, ა. თოთაძე. თბილისის მოსახლეობა, თბ., 2017.

ნია მე-19 საუკუნის დასასრულიდან. პროფესორ ა. თოთაძის გამოთვლებით, 1894-1898 წლებში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი აჭარაში შეადგენდა 21,2‰და მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ქუთაისის 27,8‰ და თბილისის 34,5‰, გუბერნიების ანალოგიურ მაჩვენებლებს.[92] როგორც ა. თოთაძე აღნიშნავს, „სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის შობადობის მონაცემების ანალიზი ერთ მეტად საგულისხმო ფაქტზე მიგვითითებს. რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, განსაკუთრებით მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან შობადობის დონე მაჰმადიანურ მოსახლეობაში საგრძნობლად მაღალია ქრისტიანულ მოსახლეობასთან შედარებით, მაშინ როდესაც მე-19 საუკუნეში პირუკუ მოვლენას ჰქონდა ადგილი. იმ ოკრუგებსა და გუბერნიებში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა მაჰმადიანურ რელიგიას აღიარებდა, გაცილებით დაბალი იყო შობადობა იმ გუბერნიებთან შედარებით, რომელთა მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ქრისტიანული რელიგიის მიმდევარი იყო... მე-20 საუკუნეში შობადობის დონეზე მოქმედი ფაქტორები თანდათან გამოთანაბრდა და ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი გახდა რელიგიური აღმსარებლობა“.[93] შობადობის დონე მაჰმადიანური რელიგიის მიმდევრებში მაღალია ქრისტიანული რელიგიის მიმდევრებთან შედარებით.

საბჭოთა აღწერები არ ითვალისწინებდა მოსახლეობის რელიგიურ-კონფესიური შემადგენლობის შესწავლას. მოსახლეობის რელიგიური კუთვნილება საქართველოში რუსეთის იმპერიის 1897 წლის აღწერის შემდეგ პირველად დაფიქსირდა დამოუკიდებელი საქართველოს მოსახლეობის 2002 და 2014 წლების მოსახლეობის აღწერებში. ფაქტია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ აჭარის მუსულმანი მოსახლეობის ნაწილი დაუბრუნდა წინაპართა ქრისტიანულ რელიგიას მაგრამ მოსახლეობის 2014 წლის აღწერით საქართველოს მოსახლეობის 10,7 და აჭარის მოსახლეობის 39,8% მუსულმანური რელიგიის აღმსარებელია.

აჭარისა და საქართველოს მოსახლეობის შობადობის ზოგადი კოეფიციენტები გაგვაჩნია 1940 წლისთვის, ხოლო 1950 წლიდან ყოველწლიურად. 1940 წლისთვის შობადობის დონეები აჭარასა და მთლიანად საქართველოში პრაქტიკულად თანაბარი იყო: 28,2 და 28,4‰. შობადობის ზოგადი კოეფიციენტი აჭარაში მცირედით, 0,4‰-ით ჩამორჩებოდა საქართველოს შესაბამის მაჩვენებელს. 1950 და შემდგომი წლების შობადობის სტატისტიკა მკვეთრად საწინააღმდეგო სურათს

[92] ა. თოთაძე. აჭარის მოსახლეობა. თბ., 2012, გვ. 51.
[93] ა. თოთაძე. აჭარის მოსახლეობა. თბ., 2012, გვ. 52.

იძლევა. შობადობის დონე აჭარაში მნიშვნელოვნად აღემატება საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელს. კერძოდ, 1950-1980 წლებში შობადობის მაჩვენებელი აჭარაში 3,7-4,0‰-ით აღემატებოდა საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელს, 1980-1990-იან წლებში - 3,6‰-ით, 1995-2020 წლებში - საშუალოდ 2,0‰-ით.

ფაქტია, რომ ისტორიულად, შობადობის შემცირების კვალობაზე მცირდება განსხვავებები საქართველოს და მისი რეგიონის - აჭარის შობადობის დონეებს შორის. შობადობის დონე განსაკუთრების შემცირდა აჭარაში. კერძოდ, 1980-1990 წლებში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი 21,3‰-დან[94] 1995 წლისთვის 14,7‰-მდე შემცირდა და აკმაყოფილებდა მხოლოდ მოსახლეობის მარტივი აღწარმოების მოთხოვნებს. 1995 წლიდან აჭარის და მისი ყველა მუნიციპალიტეტისათვის გამოთვლილი გვაქვს შობადობის მაჩვენებლები 2020 წლის ჩათვლით. 1995 წელს აჭარის მუნიციპალიტეტებიდან შობადობის ყველაზე დაბალი დონით გამოირჩევა ბათუმი და ქობულეთი. შემდეგ ზრდადობის მიხედვით მოდის ქედა, ხელვაჩაური, ხულო და ყველაზე მაღალი შობადობა 25,4‰ დაფიქსირდა შუახევში. შობადობის დონით 1995 წელს შუახევი პირველ ადგილს იკავებს საქართველოს მუნიციპალიტეტებს შორის. 1995-2005 წლებში ბათუმის გარდა შობადობა მცირდება ყველა მუნიციპალიტეტში, განსაკუთრებით შუახევში, სადაც შობადობა ორჯერ და მეტად შემცირდა. 1995-2005 წლების შობადობის შემცირებას 2005-2015 წლებში მოჰყვა მისი საკომპენსაციო ზრდა. 2015 წლის შობადობის დონემ 1995 წლის დონეს გადააჭარბა ყველა მუნიციპალიტეტში, შუახევის და ხულოს გარდა. 2005-2015 წლებში შობადობის ზრდას 2015-2020 წლებში მოჰყვა შობადობის შემდგომი შემცირება ყველა მუნიციპალიტეტში, განსაკუთრებით შუახევში, რომელსაც მოჰყვება ხულო და ქედა. განხილულ პერიოდში შობადობა ყველაზე ნაკლებად შემცირდა ბათუმში (6,2%-ით), ხოლო ყველაზე მეტადშუახევში - 39,5%-ით.

გურიის რეგიონი

გურიის რეგიონის შობადობის შესახებ წარსულში წარმოდგენას გვაძლევს ა.თოთაძის მიერ 1894-1898 წლისთვის გამოთვლილი შობადობის დონე ოზურგეთის მაზრაში, რომელმაც შეადგინა 37,6‰. ამავე წლებში მოკვდაობა 16,7‰, ხოლო ბუნებრივი მატება 20,9‰ ტოლია, რითაც ის საქართველოს ყველა მაზრის შესაბამის მაჩვენებელს აღე-

[94] ა. თოთაძე. აჭარის მოსახლეობა. თბ., 2012, გვ. 66.

მატებოდა.[95] ა.თოთაძის მიერ მოტანილ დაბადებულთა აბსოლუტურ რიცხვსა და მოსახლეობის აღწერების მონაცემებზე დაყრდნობით ჩვენს მიერ გაანგარიშებული შობადობის ზოგადი კოეფიციენტი ჩოხატაურში შეადგენდა: 1970-1979 წლებში 14,9‰ ხოლო ა.თოთაძის გაანგარიშებით 1980-1989 წლებში 15,1‰, ლანჩხუთში შესაბამისად 16,3‰ და 15,1‰, ხოლო ოზურგეთში (იმდროინდელ მახარაძეში) 1970-1979 წლებში 18,3‰, ხოლო 1980-1989 წლებში 16,5‰.[96]

ცხადია 1990-იანი წლების შემდგომმა კრიზისმა უარყოფითად იმოქმედა გურიის მოსახლეობის შობადობაზე, რომლის დონეც 1995 წლისთვის 13,3‰-მდე დაეცა და უზრუნველყოფდა მოსახლეობის შეკვეცილ აღწარმოებას. ანალოგიური მდგომარეობა იყო გურიის ყველა რაიონში არა მხოლოდ 1995, არამედ დანარჩენ წლებშიც. შობადობის დინამიკა იმეორებს ტალღისებურ ტრაექტორიას: 1995-2005 წლები მნიშვნელოვანი შემცირება, 2005-2015 წლები ზრდა, 2015-2020 წლები მნიშვნელოვანი შემცირება 27,5%-ით.

იმერეთის რეგიონი

იმერეთის რეგიონის დემოგრაფიულ შესწავლას მიძღვნილი აქვს ა. ბაკურაძის საკანდიდატო დისერტაცია,[97] სადაც სხვა საკითხებთან ერთად კომპლექსურად, ისტორიულ ჭრილში, პირველადაა გამოთვლილი და გაანალიზებული იმერეთის მოსახლეობის აღწარმოების საკითხები 1850-2000 წლების პერიოდში. ასეთი ნაშრომი იმერეთის შესახებ მეორე არ გვაქვს. მაჩვენებლები გამოთვლილია ქალაქ-სოფლის ჭრილში. ა. ბაკურაძის გამოთვლით, 1850-1865 წლებში შობადობის დონე იმერეთში 40,0‰ ტოლი იყო. ამდენივეა მაჩვენებელი ამ წელს მთლიანად საქართველოში. 1884 წლისთვის შობადობის კოეფიციენტი იმერეთში შემცირდა 29, ხოლო საქართველოში 33,4‰-მდე. 1896/97-1914/15 წლებში შობადობის დონე იმერეთში შემცირდა 26,4-დან 25,1‰-მდე, ხოლო საქართველოში უფრო მეტად 30,6-დან 21,7‰-მდე. აქედან დასკვნა: მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში შობადობის დონე-

---

95 ა. თოთაძე, გურიის მოსახლეობა, თბ., 2014, გვ. 72, 78.

96 გაანგარიშებულია: ა. თოთაძე, გურიის მოსახლეობა. თბ., 2014, გვ. 77. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები. თბ., 2003, გვ. 57. Численность, состав и движение населения Грузинской ССР. Тб., 1981, с. 31.

97 აკაკი ბაკურაძე. იმერეთის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის, შემადგენლობისა და ბუნებრივი მოძრაობის დინამიკა მე-19 და მე-20 საუკუნეებში (ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი) საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი., 2004.

ები იმერეთსა და საქართველოში თანაბარი იყო, მეორე ნახევარში შობადობა იმერეთში ჩამორჩებოდა საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელს, ხოლო მე-20 საუკუნის დასაწყისში - აღემატებოდა მას. ა. ბაკურაძის გამოთვლებით მეორე მსოფლიო ომამდე, 1926-1940 წლებში შობადობა იმერეთში 30-30,5‰-ის ფარგლებშია. ყველ;აზე საინტერესო ისაა, რომ ა.ბაკურაძის გამოთვლილი შობადობის დონე 1945 წელს იმერეთში 13,2‰ და საქართველოში - 14,0‰ აღწევდა. ჩვენს მიერ გამოთვლილი შობადობის დონეები 1995 წელს იმერეთში 13,8, ხოლო საქართველოში 12,1‰ შეადგენდა. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში შობადობა 2000-2005 წლებში 11,8‰-მდე, ხოლო იმერეთში 10,4‰-მდე შემცირდა, **საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ - საქართველოს დემოგრაფიულ ვითარებას გაცილებით მძიმე და დიდი დარტყმა მიაყენა 1990-იანი წლების კრიზისმა, ვიდრე მეორე მსოფლიო ომმა.**

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ შობადობის დონერეგიონში პრაქტიკულად იმეორებს საქართველოს მოსახლეობის შობადობის დონის დინამიკას, ხოლო 1995 წლიდან შესაძლებელია მისი ანალიზი მუნიციპალიტეტების მიხედვითაც. შობადობა იმერეთში მთლიანად და მუნიციპალიტეტების მიხედვით ემთხვევა ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილ ტალღისებურ „კლება-მატება-კლება“ დინამიკას, თუმცა ხასიათდება რიგი თავისებურებებით. კერძოდ, შობადობის ვარიაცია იმერეთის მუნიციპალიტეტებში აღემატება ანალოგიურ მაჩვენებელს საქართველოს რეგიონებში. კერძოდ, ოსცილაციის კოეფიციენტი 1995 წელს იმერეთში ტოლია 37,0%, 2000 წელს 83,6%, 2005 წელს 43,3%, 2010 წელს 4,3%, 2015 წელს 32,9% და 2020 წელს 37,2%. მოცემული წლების შესაბამისი მაჩვენებლები საქართველოსთვის ტოლია: 30,6, 28,8, 33,1, 53,4, და 44,7 პროცენტის. აღნიშნული მიგვანიშნებს, რომ შობადობის დონეები გაცილებით ერთგვაროვანია იმერეთის, ვიდრე საქართველოს რეგიონების მიხედვით თუმცაიმერეთის რეგიონებშიც არსებობს განსხვავებები.

განსხვავებებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ შობადობა ქ. ქუთაისში მხოლოდ 2005 წელს ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების მოთხოვნებს. წლების მიხედვით, მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების მოთხოვნებს აკმაყოფილებს: 1995 წელს 4 მუნიციპალიტეტი: ქ. ქუთაისი, ზესტაფონი, თერჯოლა, ხარაგაული; 2000 წელს ქ. ქუთაისი; 2005 წელს არც ერთი; 2010 წელს ქ. ქუთაისი; 2015 წელს 9 მუნიციპალიტეტი: ქ. ქუთაისი, ბაღდათი, ვანი,

ზესტაფონი, თერჯოლა, სამტრედია, საჩხერე, ჭიათურა, ხარაგაული; 2020 წელს მხოლოდ ქ. ქუთაისი.

შობადობის დონე მარტივ აღწარმოებას უზრუნველყოფდა 2010 წელს ტყიბულში. დანარჩენ მუნიციპალიტეტებში ყოველ წელს შობადობის დონე შეესაბამებოდა მოსახლეობის მარტივი აღწარმოების მოთხოვნებს რის შედეგადაც მივიღეთ, რომ იმერეთში შობადობა მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების მოთხოვნებს აკმაყოფილებდა მხოლოდ 2015 წელს, მარტივი აღწარმოების მოთხოვნებს 2010 წელს, დანარჩენ წლებში შეკვეცილი აღწარმოების მოთხოვნებს.

კახეთის რეგიონი

პირველი მეტ-ნაკლებად სანდო მონაცემები კახეთის მოსახლეობის შობადობის შესახებ გაგვაჩნია 1865 წლის „კავკასიის კალენდარში“ 1857-1869 წლებში თბილისის გუბერნიის თელავის და სიღნაღის მაზრებისთვის.[98] საინტერესოა, რომ შობადობის დონე მოცემულ წყაროში იანგარიშება არა დაბადებულთა რიცხვის შეფარდებით მოსახლეობის რიცხოვნობასთან, არამედპირიქით და ვიღებთ მაჩვენებელს, თუ რამდენი მცხოვრები მოდის ერთდაბადებულზე. წლების მიხედვით, აღრიცხვის მოუწესრიგებლობის გამომაჩვენებლები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. მაგალითად, ერთ დაბადებულზე სიღნაღის რაიონში 1857 წელს მოდიოდა 64 მცხოვრები,1858 წელს 15, 1859 წელს 71 და ა. შ. შობადობის დონე და საერთოდ დემოგრაფიული მაჩვენებლები ასეთი ხერხით საქართველოსა და ევროპაში გამოითვლებოდა არაუგვიანეს XIX საუკუნის ბოლო მეოთხედამდე. ამის შემდეგ დამკვიდრდა პრომილური გამოსახულებები, დემოგრაფიული ფაქტების რიცხვი 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით. თუმცა, 1860-1880-იან წლებში ვხვდებით დემოგრაფიული ფაქტების გამოთვლის შემთხვევებს 100 და 1000 მცხოვრებზე ერთდროულად.[99] შემთხვევითი ფაქტორების გავლენის თავიდან ასაცილებლად ჩვენ გამოვთვალეთ შობადობის კოეფიციენტები საშუალოდ 7 წლის მიხედვით, 1857-1863 წლებისათვის. აღმოჩნდა, რომ თელავის მაზრაში ერთ დაბადებულზე მოდიოდა 27 მცხოვრები, სიღნაღის მაზრაზე 48. თუ 1000-ს გავყოფთ მოცემულ მონაცემებზე, მივიღებთ შობადობის კოეფიციენტს პრომილებში თელავის მაზრაში 37,0‰, ხოლო სიღნაღის მაზრაში 20,8‰.

---

[98] Кавказский календарь на 1865 год. Тифлис, 1864, с. 105.
[99] მერაბ ხმალაძე, დემოგრაფია. თბ., 2009, გვ. 254-255.

ა. ნადეჟდინს გაანგარიშებული აქვს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები 1875-1879 წლებში თბილისის გუბერნიის ქალაქის მოსახლეობისათვის მთლიანად და ცალკეულად სამაზრო ქალაქებისთვის (ახალქალაქი, ახალციხე, გორი, დუშეთი, თელავი, სიღნაღი) ქართველებსა და სომხებში საშუალოდ ყოველ 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით. შესაბამისად, შობადობის დონე თელავში ქართველებში აღმოჩნდა 59,0‰, სომხებში 42,0‰; სიღნაღში შესაბამისად 38,0‰ და16,0‰. მთლიანად თბილისის გუბერნიის ქალაქის მოსახლეობაში შობადობა შეადგენდა ქართველებში 46,0, ხოლო სომხებში 30,0‰. თბილისის გუბერნიის ქალაქებში შობადობის კოეფიციენტი აღწევდა 34,0‰.[100] იმავე ნადეჟდინის გამოთვლით, თელავის მაზრის სოფლის მოსახლეობაში შობადობა აღწევდა 43,5‰, ხოლო სიღნაღში 35,5‰.[101] ა. თოთაძის მიერ მოტანილი 1894-1898 წლების მონაცემებიდან ჩანს, რომ (თუ ვიმსჯელებთ სოფლის მოსახლეობით, რაცსრულიად რეალურია, რადგან 1897 წელს კახეთის მოსახლეობის 86,4% სოფლის მოსახლეობა შეადგენდა) შობადობის დონე კახეთში 1875-1879/1894-1898 წლებში მნიშვნელოვნად არის შემცირებული. კერძოდ, თელავის მაზრაში ის შემცირდა 43,5-დან 34,8‰-მდე, ხოლო სიღნაღის მაზრაში 35,5-დან 28,8 პრომილემდე.

როგორც ქართველი დემოგრაფები აღნიშნავენ, მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში დემოგრაფიული ვითარება საქართველოში ნორმალურად მიმდინარეობდა. 1926 წლის შემდეგ დემოგრაფიული ვითარება არ გაუარესებულა, ხოლო კახეთში უკეთესიც გახდა. მთლიანად საქართველოში და კახეთში 1950, 1960, 1970, 1980-იან წლებში შობადობის დონე უზრუნველყოფდა მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას. თვით საბჭოთა კავშირის დაშლის წინა წლებში კერძოდ 1980-1989 წლებში შობადობის დონე კახეთში მართალია 1960-იანი წლების შემდეგ პერიოდთან შედარებით შემცირდა 17,7‰-მდე.[102] მაგრამ მაინც უზრუნველყოფდა მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას. 1990-იანი წლებიდან დემოგრაფიული ვითარება კატასტროფულად გაუარესდა, რაც უპირველეს ყოვლისა, შობადობის კლებაში გამოისახა.

ჩვენს მიერ განხილულ 1995-2020 წლებში, მთლიანად კახეთის მოსახლეობის შობადობა გაფართოებული აღწარმოების მოთხოვნებს აკმაყოფლებდა მხოლოდ 2015 წელს როდესაც შობადობამ 16,4‰ შეადგინა. მანამდე (1995-2015 წლებში), შობადობა მხოლოდ 1995 წელს ორ

[100] А.С.Надеждин. Движение населения в закавказском Крае. Тифлисская губерния. Сборник сведений о Кавказе. Том IX , Тифлис, 1885, с. 128-129.

[101] А.С.Надеждин. Движение населения в закавказском Крае. Тифлисская губерния. Сборник сведений о Кавказе. Том IX , Тифлис, 1885, с. 237.

[102] ა.თოთაძე. კახეთის მოსახლეობა. თბ., 2014, გვ. 82-89.

მუნიციპალიტეტში აკმაყოფილებდა გაფართოებული აღწარმოების მოთხოვნებს:

ახმეტაში 14,5‰, და ლაგოდეხში -14,3‰.

2015 წლისთვის შობადობა იზრდება ყველა მუნიციპალიტეტში, თელავის და სიღნაღის გარდა და აკმაყოფილებდა მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების მოთხოვნებს. ამასთან, თელავის მუნიციპალიტეტი კიდევ ერთი თავისებურებითაც გამოირჩევა: ის საქართველოს იმ 4 მუნიციპალიტეტს შორის არის: ლენტეხი, აბაშა, ნინოწმინდა, თელავი, რომლებშიც შობადობის დონე 2015-2020 წლებში გაიზარდა, მაშინ, როდესაც ყველა დანარჩენში, ზოგან კი მნიშვნელოვნად შემცირდა. შობადობა კახეთში 1995-2020 წლებში აჭარასთან, სამცხე-ჯავახეთთან და ქვემო ქართლთან ერთადიზრდება, მაშინ როდესაც ყველა დანარჩენ რეგიონში ის მცირდება.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონი

1995 წლისათვის რეგიონის 5 მუნიციპალიტეტიდან შობადობა მხოლოდ დუშეთში აკმაყოფილებდა მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების მოთხოვნებს, 2000-2005 წლებში ყველა მუნიციპალიტეტში შობადობა შეკვეცილი აღწარმოების დონეზე იყო. საინტერესოა ის ფაქტი, რომ შობადობის დონე რეგიონში იზრდება 2005-2010 წლებში, ხოლო 2010-2015 წლებში სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, ის მცირდება. ამასთან, შობადობა მცხეთა-მთიანეთში მხოლოდ 2010 წელს პასუხობს მოსახლეობის გაფართოებული (ისიც მცირედ) აღწარმოების მოთხოვნებს, დანარჩენ წლებში - შეკვეცილს.

რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონი

აღნიშნული რეგიონი მთელი განხილული პერიოდის განმავლობაში ყველაზე დაბალი შობადობით გამოირჩევა. 2005 წლისთვის შობადობის კოეფიციენტი აქ 6,6‰-მდე დაეცა, რაც არც ერთ წელს არც ერთ რეგიონში არ შეიმჩნეოდა. უფრო მეტი, ამ წელს შობადობის დონე ცაგერში 5,7‰-მდე დაეცა, რაც ასევე უპრეცენდენტოდ დაბალია პოსტსაბჭოთა საქართველოს დემოგრაფიულ ისტორიაში. შობადობის ასეთი დაბალი დონის ფონზე ყურადღებას იქცევს შობადობის შედარებით მაღალი დონე ლენტეხში 1995 წლისთვის 16,9‰, რომელიც ასევე უპრეცედენტოდ მაღალია პოსტსაბჭოთა საქართველოში შობადობის მაღალი დონის მქონე მუნიციპალიტეტებთან ერთად. კიდევ ერთი თავისებურება მოცემული რეგიონისთვის: ამბროლაურის მუნიციპალიტეტი

მიეკუთვნება იმ გამონაკლის მუნიციპალიტეტების რიცხვს, რომლებშიც შობადობის დონე 1995-2020 წლებში გაიზარდა. აღნიშნულმა ზრდამ შეადგინა 109,1%.

სამეგრელოს და ზემო სვანეთის რეგიონი

შობადობა 1995-2010 წლებში როგორც რეგიონში, ისე მუნიციპალიტეტებში შეესაბამებოდა მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოების რეჟიმს. გამონაკლისს შეადგენდა 1995 წელს მესტია და წალენჯიხა, 2000 წელს წალენჯიხა, 2005 წელს ქ. ფოთი. 2015 წელი, რომელიც წინა პერიოდებთან შედარებით შობადობის დონის ზრდით ხასიათდებოდა, უზრუნველყოფდა მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას როგორც მთლიანად რეგიონის, ისე ცალკეული მუნიციპალიტეტების მიხედვით აბაშის და ხობის მუნიციპალიტეტების გარდა, სადაც მოსახლეობის შეკვეცილ აღწარმოებას ჰქონდა ადგილი. 2020 წლისთვის შობადობის შემცირებამ რეგონის და მისი მუნიციპალიტეტების შობადობა შეკვეცილი აღწარმოების რეჟიმს დაუქვემდებარა მესტიის მუნიციპალიტეტის გარდა, სადაც შობადობის ზოგადმა კოეფიციენტმა 18,3‰ შეადგინა და უზრუნველყოფდა მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას. კოეფიციენტის ეს სიდიდე, 18,3‰, 4,7‰-ით აღემატებოდა 2020 წელს მოსახლეობის მარტივი აღწარმოების უზრუნველსაყოფად საჭირო შობადობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდეს - 13,6‰.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი

სამცხე-ჯავახეთის დემოგრაფიული განვითარების პრობლემებს სპეციალური გამოკვლევები მიუძღვნა ვ.ლორთქიფანიძემ,[103] მათ შორის სადოქტორო დისერტაცია. პირველი მონაცემები სამცხე-ჯავახეთში შობადობის შესახებ გაგვაჩნია 1875-1879 წლებში, რომელიც მოტანილია ნ. ნადეჟდინის ზემოხსენებულ ნაშრომში. იმ დროისათვის სამცხე-ჯავახეთი წარმდგენილი იყო თბილისის გუბერნიაში ახალქალაქის და ახალციხის მაზრებით. ნ.ნადეჟდინის გამოთვლებით შობადობის ზოგადი კოეფიციენტი ახალქალაქში ქართველებში შეადგენდა 63,0, ხოლო სომხებში 71,0‰; ახალციხეში, შესაბამისად,51,0 და 28,0‰. ისე

[103] ვაჟა ლორთქიფანიძე. სამცხე-ჯავახეთი XIX-XX სს. დემოგრაფიული განვითარების პრობლემები. თბ., 1994. ვაჟა ლორთქიფანიძე. ისტორიული მესხეთი. დემოგრაფიული განვითარების პრობლემები. თბ., 1998. იგივე დასახელების სადოქტორო დისერტაცია.

კი, მთლიანად თბილისის გუბერნიაში შობადობის დონე ქართველებში აღემატებოდა სომხების ანალოგიურ მაჩვენებელს და შეადგენდა, შესაბამისად, ქართველებში 46,0, ხოლო სომხებში 30,0‰.[104] ვ. ლორთქიფანიძის კვლევით, რომელიც ეყრდნობა საარქივო მასალებს, შობადობის დონე სამცხე-ჯავახეთში 1875-1879 წლების შემდეგ იზრდება. 1892 წლისთვის შობადობის კოეფიციენტმა ახალქალაქის მაზრაში შეადგინა 50,4‰.[105]

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის სრულყოფილი სტატისტიკური შესწავლა ვერ ხერხდება, რადგან ოფიციალური სტსტისტიკური მონაცემები ამის საშუალებას არ იძლევა, აღნიშნავს ვ. ლორთქიფანიძე. ამიტომ მონაცემები მის მიერ გაანგარიშებულია 1970 წლიდან (ცხრილი 46). შობადობის დონე სამცხე-ჯავახეთში 1970-1991 წლებში არ შემცირებულა და აღემატებოდა საქართველოს შესაბამის მაჩვენებლებს. ამასთან, 1991 წელს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები ბევრად უკეთესია სომხებში, ვიდრე ქართველებში.[106]

როგორც ჩვენმა შემდგომმა გამოთვლებმა გვიჩვენა, 1991 წლის შემდეგ მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. ჯერ ერთი, შობადობის მკვეთრმა შემცირებამ პოსტსაბჭოთა პერიოდში წაშალა განსხვავებები საქართველოს და მესხეთ-ჯავახეთის მოსახლეობის შობადობის დონეებს შორის და მეორე, რეგიონის მუნიციპალიტეტებს შორის გამოიწვია მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები. მაგრამ მანამდე უნდა შევეხოთ შემდეგ გარემოებას.

ცხრილი 46

შობადობის ზოგადი კოეფიციენტები სამცხე-ჯავახეთში1970-1991 წლებში[107]

მუნიციპალიტეტები	1970	1980	1985	1991
ახალციხის	18,7	19,4	22,1	16,9
ასპინძის	23,7	21,5	26,5	24,1
ადიგენის	18,7	21,1	27,0	22,8
ახალქალაქის	23,7	24,9	27,5	20,7
ნინოწმინდის	21,8	25,3	29,9	24,8
საქართველო	19,2	17,7	18,7	17,4

[104] Сборник сведений о Кавказе. т. IX. Тифлис, 1885, с. 128.

[105] ვაჟა ლორთქიფანიძე. სამცხე-ჯავახეთი XIX-XX სს. დემოგრაფიული განვითარების პრობლემები. თბ., 1994, გვ. 53.

[106] ვაჟა ლორთქიფანიძე. ისტორიული მესხეთის დემოგრაფიული განვითარების პრობლემები. სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი. თბ., 1998, გვ. 38.

[107] ვაჟა ლორთქიფანიძე. ისტორიული მესხეთი. დემოგრაფიული განვითარების პრობლემები. თბ., 1998, გვ. 173.

1990-იანი წლების შემდეგ განვითარებული კრიზისული მოვლენები აისახა მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკაზეც, რაც ფაქტების არასრულ აღრიცხვაში ვლინდებოდა. მაგალითად, 1995 წელს ახალგორის რაიონში აღირიცხა 13 დაბადებული, ახალქალაქში 125, წალკაში 149. შესაბამისად, მათზე დაყრდნობით გაანგარიშებული სტატისტიკური მაჩვენებლები კრიტიკული შეფასების გარეშე მხედველობაში არ უნდა მივიღოთ. აღნიშნულ საკითხზე უკვე 1990-იან წლებში გაამახვილეს ყურადღება ქართველმა დემოგრაფებმა.

გარდამავალ 1990-იან, კერძოდ 1991-1995 წლებში, შობადობის დონე სამცხე-ჯავახეთში პრაქტიკულად 2-ჯერ, ანუ 20,9-დან 11,1‰-მდე შემცირდ.[108] მათ შორის მუნიციპალიტეტების მიხედვით: ახალციხეში 16,9-დან 13,2-მდე, ასპინძაში 24,1-დან 17,1-მდე, ადიგენში 22,8-დან 22,3-მდე, ნინოწმინდაში 24,8-დან 13,2-მდე და ახალქალაქში 20,7-დან 1,8‰-მდე. სწორედ ეს უკანასკნელი, შობადობის დონე ახალქალაქში 1995 წელს - 1,8‰, ექვგარეშე მიღებულია ამ წელს ახალქალაქში დაბადებულთა არასრული აღრიცხვით, რაზე დაყრდნობითაც სერიოზული დასკვნების გაკეთება არ შეიძლება.

თუ მთლიანობაში განვიხილავთ შობადობას სამცხე-ჯავახეთში 1995-2020 წლებში, აღმოჩნდება, რომ მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოება უზრუნველყოფილი იყო მხოლოდ 2015 წელს, რომელსაც უზრუნველყოფდა შობადობა ადიგენის, ასპინძის და ბორჯომის მუნიციპალიტეტებში. ახალქალაქის, ახალციხის და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტები შეკვეცილი აღწარმოებით ხასიათდებოდა.

აქვე მოვიტანთ ჩვენს მიერ გაანგარიშებულ შობადობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდეებს, რომელიც საჭიროა მოსახლეობის მარტივი აღწარმოების უზრუნველსაყოფად, წლების მიხედვით.

წლები	1995	2000	2005	2010	2015	2020
კოეფიციენტი პრომილებში	14,3	14,3	14,3	14,0	13,7	13,6

ქვემო ქართლის რეგიონი

ქვემო ქართლის რეგიონი მოსახლეობის რიცხოვნობით (434,2 ათასი) ჩამოუვარდება მხოლოდ თბილისს (1184,8 ათასი) და იმერეთს (487,0 ათასი). ქვემო ქართლი, აღნიშნულ რეგიონებთან ერთად, 2020 წელს შეადგენს საქართველოს მოსახლეობის 56,7%-ს და, შესაბამისად, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს დემოგრაფიულ

[108] ვაჟა ლორთქიფანიძე. ისტორიული მესხეთი... გვ. 172.

ვითარებაზე. თვითონ ქვემო ქართლის მოსახლეობის შობადობაზე დადებით გავლებას ახდენს მოსახლეობის კონფესიური შემადგენლობა, რომლის შესახებაც მონაცემები მოგვაქვს ქვემოთ (იხ. ცხრილი 47).

ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ არა მუსულმანური რელიგიის მიმდევრების მნიშვნელოვანი ხვედრიწილი აჭარაში (39,8%), ქვემო ქართლში (43,0%), ასევე გარკვეულად გურიაში (11,5%), კახეთში (12,1%) და სამცხე-ჯავახეთში სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის მიმდევრების 51,0%, შობადობის დონე საქართველოში შედარებით დაბალი იქნებოდა.

ცხრილი 47

მოსახლეობის განაწილება რეგიონებისა და აღმსარებლობის მიხედვით, 2014 წლის მოსახლეობის აღწერით

	სულ მოსახლეობა (ათასი)	მართლმადიდებელი	მუსულმანი	%		%			
				მართლმადიდებელი	მუსულმანი	სულ	მართლმადიდებელი	მუსულმანი	დანარჩენი
საქართველო	3713,8	3097,6	398,7	100,0	100,0	100,0	83,4	10,7	5,9
თბილისი	1108,7	1024,9	16,3	33,2	4,1	100,0	92,4	1,5	5,6
აჭარა	334,0	182,0	132,9	5,9	33,3	100,0	54,5	39,8	5,7
გურია	113,4	98,3	13,0	3,2	3,3	100,0	86,7	11,5	1,8
იმერეთი	533,9	527,5	0,9	17,0	0,2	100,0	98,8	0,2	1,0
კახეთი	318,6	273,2	38,7	8,8	9,7	100,0	85,8	12,1	2,1
მცხეთა-მთიანეთი	94,6	90,9	2,3	2,9	0,6	100,0	96,1	2,4	1,5
რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	32,1	31,8	0,0	1,0	0,0	100,0	100,0	0,0	0,0
სამეგრელო ზემო სვანეთი	330,8	326,1	0,8	10,5	0,2	100,0	98,6	0,2	1,2
სამცხე-ჯავახეთი	160,5	72,6	6,1	2,3	1,5	100,0	45,2	3,8	51,0
ქვემო ქართლი	424,0	217,7	182,2	7,0	45,7	100,0	52,5	43,0	4,5
შიდა ქართლი	263,4	252,5	5,7	8,2	1,4	100,0	95,9	2,2	1,9

გრაფიკი 25. საქართველოს მოსახლეობის განაწილება აღმსარებლობის მიხედვით (2014 წლის მოსახლეობის აღწერით)



გრაფიკი 26. აჭარის მოსახლეობის განაწილება აღმსარებლობის მიხედვით (2014 წლის მოსახლეობის აღწერით)



გრაფიკი 27. სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის განაწილება აღმსარებლობის მიხედვით (2014 წლის მოსახლეობის აღწერით)



გრაფიკი 28. ქვემო ქართლის მოსახლეობის განაწილება აღმსარებლობის მიხედვით (2014 წლის მოსახლეობის აღწერით)



შობადობის დონე ქვემო ქართლში 1995 წელს ყველა მუნიციპალიტეტის ჩათვლით აკმაყოფილებდა მხოლოდ მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოების მოთხოვნებს. ასე გრძელდებოდა 2000-2005 წლებში, თუმცა 2000 წლისთვის ქ. რუსთავში, ბოლნისში, დმანისსა და მარნეულში მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოება ფიქსირდებოდა. ეს უკანასკნელი 2005 წელს დაფიქსირდა მხოლოდ რუსთავში. 2010 წლიდან შობადობა მნიშვნელოვნად იზრდება და 2010 წელს მოსახლეობის

გაფართოებული აღწარმოების მოთხოვნებს აკმაყოფილებს ყველა მუნიციპალიტეტში, ხოლო 2015 წელს ყველგან თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გარდა. შობადობის დონე 2015-2020 წლებში როგორც ყველა რეგიონში, ისე ქვემო ქართლშიც მცირდება შეკვეცილი აღწარმოების დონემდე დმანისის გარდა, სადაც გაფართოებული აღწარმოებაა და ჩამორჩება მხოლოდ აჭარას.

შიდა ქართლის რეგიონი

რეგონი 255 ათასი მცხოვრებით იყოფა ოთხ მუნიციპალიტეტად: გორის, კასპის, ქარელის და ხაშურის. აქ მდებარეობს მოსახლეობით და ეკონომიკურ-პოლიტიკური სტატუსით მნიშვნელოვანი ქალაქი გორი. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, 95,9% მართლმადიდებელია. შობადობის დონით შიდა ქართლი 1995-2020 წლებში ჩამორჩება ქვემო ქართლს. 1995-2005 წლებში შობადობა ყველა მუნიციპალიტეტში შეესაბამებოდა მოსახლეობის შეკვეცილ აღწარმოებას გორის მუნიციპალიტეტის გარდა, სადაც 2000 წელს მოსახლეობის მარტივ აღწარმოებას ჰქონდა ადგილი. შობადობის ზრდამ 2010 და განსაკუთრებით 2015 წლებში უზრუნველყო მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოება ყველა მუნიციპალიტეტში კასპის გარდა, რომელშიც 2015 წელს მარტივ აღწარმოებას ჰქონდა ადგილი. შობადობის შემცირებამ 2020 წლისთვის ყველა მუნიციპალიტეტი დაიყვანა მოსახლეობის შეკვეცილ აღწარმოებაზე.

3.3. შობადობის სხვა მახასიათებლები რეგიონების მიხედვით

რეგიონული შობადობის სხვა მახასიათებლებში ვგულისხმობთ შობადობის შესწავლას პირველ რიგში რეგიონების ქალაქის და სოფლის მოსახლეობის მიხედვით (იხ. ცხრილი48).

შობადობის ანალიზი საქართველოს რეგიონების ქალაქ-სოფლის მიხედვით პოსტსაბჭოთა პერიოდში შეიძლება ორ ნაწილად გავყოთ. პირველი 1995-2005 და მეორე 2010-2020 წლები. პირველ პერიოდში შობადობის დონე რეგიონების ქალაქის მოსახლეობაში რიგ შემთხვევებში 2-3 და მეტჯერ აღემატება სოფლის მოსახლეობის დონეს. ასეთია, მაგალითად, 1995 წელს მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი. მცხეთა-მთიანეთში ქალაქის შობადობა სოფლისას აღემატე-

ბოდა 3,5-ჯერ, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში 5,6-ჯერ. 2000 წლისთვის შობადობის მაჩვენებელი რეგიონების ქალაქის მოსახლეობაში აღემატებოდა სოფლისას: გურიაში 2,4-ჯერ, იმერეთში 2,3-ჯერ, კახეთში 1,9-ჯერ, მცხეთა-მთიანეთში 2,8-ჯერ, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემოსვანეთში 3,3-ჯერ. 2005 წლისთვის ორჯერადი მეტობა შენარჩუნდა გურიაში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, ქვემო და შიდა ქართლში. რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში მეტობა აღწევდა 3,6-ს.

ცხრილი 48

შობადობის ზოგადი კოეფიციენტები საქართველოში რეგიონებისქალაქის და სოფლის მიხედვით 1995-2020 წლებში[109]

	ქალაქი						სოფელი					
	1995	2000	2005	2010	2015	2020	1995	2000	2005	2010	2015	2020
საქართველო	12,8	14,2	14,3	14,9	15,9	12,7	10,8	8,8	8,5	14,1	16,0	12,2
აჭარა	12,2	15,3	12,2	13,3	18,9	17,4	16,0	11,4	12,3	18,6	18,5	13,9
გურია	19,8	17,8	16,1	12,8	12,1	9,6	10,5	7,3	7,1	12,2	14,4	10,4
იმერეთი	16,7	15,2	12,8	14,1	16,8	12,9	10,4	6,6	7,9	13,5	15,3	11,4
კახეთი	17,0	17,1	20,1	13,5	14,4	11,3	10,7	8,8	7,9	12,8	16,9	12,5
მცხეთა მთიანეთი	28,3	20,3	18,4	15,1	14,5	9,0	8,2	7,3	8,8	14,4	13,4	9,9
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	32,7	20,8	14,8	14,1	14,1	10,3	5,8	6,2	4,1	6,7	10,8	8,5
სამეგრელო ზემო სვანეთი	15,2	13,0	14,3	12,0	15,8	11,3	11,7	8,4	6,3	11,4	14,6	10,1
სამცხე-ჯავახეთი	12,1	13,9	14,7	14,0	13,8	11,1	10,2	10,1	10,4	13,9	14,4	13,3
ქვემო ქართლი	12,6	19,4	19,5	15,7	16,0	11,6	9,8	10,0	9,4	16,7	17,2	13,5
შიდა ქართლი	17,5	16,9	15,3	14,3	14,3	10,9	9,8	8,7	8,3	14,4	16,7	12,3

[109] გაანგარიშებულია ჩვენს მიერ, საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით.

2010 წლიდან შობადობის დონეები რეგიონების ქალაქის და სოფლის მიხედვით გამოთანაბრდა. გამონაკლისს წარმოადგენს რაჭა--ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, რომელშიც ქალაქის მოსახლეობის შობადობა თვით 2020 წლამდე რამდენჯერმე აღემატებოდა სოფლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია აჭარა, სადაც შობადობა სოფლად სხვა რეგიონებისგან განსხვავებით2000 და 2020 წლის გარდა მნიშვნელოვნად აღემატებოდა შობადობას ქალაქში.

რა შიძლება იყოს შობადობის დონეების ასეთი თანაფარდობის რაიმე სავარაუდო მიზეზი. ვფიქრობთ, შობადობის ასეთი დაბალი დონე 1995-2010 წლებში რეგიონების სოფლის მოსახლეობაში გამოწვეულია 1990-იანი წლების შემდეგ ქალაქთან შედარებით სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი გაუარესებით.

შობადობის დონის შემცირება ტრადიციულად იწვევს სტრუქტურულ ცვლილებებს შობადობაში დაბადების რიგითობის მიხედვით-.კერძოდ, შობადობის შემცირების კვალობაზედაბადებულებში იზრდება რიგით პირველი, მეორე და მცირდება მესამე და მეტი რიგის დაბადებულების ხვედრიწილი. შესაბამის ცვლილებებს განიცდის შობადობის ზოგადი კოეფიციენტებიც დაბადების რიგითობის მიხედვით. ასეთ მდგომარეობას ადგილი ჰქონდა საქართველოში 1960-იანი წლების შემდეგ. კერძოდ, ამ წლებიდან დაიწყო შობადობის შემცირება საქართველოში.

პოსტსაბჭოთა სინამდვილეში აღნიშნული კანონზომიერება დაირღვა. კერძოდ, შობადობის უკიდურესმა შემცირებამ გამოიწვია უკუპროცესი, დაბადებულებში შემცირდა პირველი და გაიზარდა მეორე, მესამე და მეტი რიგის დაბადებულების ხვედრიწილი და შობადობის კოეფიციენტები რიგითობის მიხედვით (ცხრილი 49).

საბჭოთამდელ პერიოდთან შედარებით შემცირებული შობადობის პირობებში, 2003 წელს, პირველი ბავშვების ხვედრიწილი აღწევს 62,4% ხოლო 2005 წელს 58,6%. მაჩვენებლის ანალიზს 2005ლიდან ვიწყებთ იმის გამო, რომ რეგიონების მიხედვით მისიგაანგარიშებასაქსტატის მასალების მიხედვით შეგვიძლია 2005 წლიდან. ამ წლისთვის რიგ რეგიონებში როგორიცაა: აჭარა, კახეთი, მცხეთა-მთიანეთ, სამეგრელო-ზემო სვანეთი, სამცხე -ჯავახეთი, შიდა ქართლი, პირველი ბავშვების ხვედრიწილი 60,0%აღემატებოდა. მოცემული მაჩვენებელი 2020 წლისთვის ყველა რეგიონში საშუალოდ 20,0%-ით შემცირდა მაშინ როდესაც მეორე ბავშვების ხვედრიწილი საშუალოდ 5-6,0%- ით, ხოლო მესამე და მეტი ბავშვების შობადობის დონე საშუალოდ 12,0%-ით გაიზარდა.

ცხრილი 49

დაბადებულთა განაწილება რეგიონების და რიგითობის მიხედვთ საქართველოში 2005-2020 წლებში (პროცენტებში)[110]

	პირველი				მეორე				მესამე და მეტი			
	2005	2010	2015	2020	2005	2010	2015	2020	2005	2010	2015	2020
საქართვე-ლო	58,6	49,4	41,7	38,0	29,7	35,7	38,2	35,8	11,7	14,9	20,1	26,2
აჭარა	60,2	50,0	43,4	36,6	26,9	35,8	39,5	39,1	12,9	14,2	17,1	24,3
გურია	56,9	50,6	41,9	35,7	29,3	35,5	37,0	34,8	13,8	13,9	21,1	29,5
იმერეთი	54,0	51,4	40,7	38,1	33,7	35,7	39,8	35,5	12,3	12,9	19,5	26,4
კახეთი	62,8	50,6	41,2	33,0	27,7	35,2	36,5	36,1	9,5	14,2	22,3	30,9
მცხეთა-მთიანეთ	61,2	49,2	38,2	34,2	26,4	35,0	38,1	34,2	12,4	15,8	23,7	31,6
რაჭა-ლეჩხუ-მი და ქვემო სვანეთი	55,5	54,9	38,4	37,8	30,2	32,4	39,0	34,4	14,3	12,7	22,6	27,8
სამეგრე ლო - ზემო სვანეთი	64,6	52,0	42,9	33,8	25,0	35,5	38,8	38,5	10,4	12,5	18,3	27,7
სამცხე-ჯავახეთი	65,9	47,3	42,0	35,8	23,7	37,6	39,0	36,5	10,4	15,1	19,0	27,7
ქვემო ქართლი	55,4	47,4	40,4	37,3	30,2	35,9	36,4	33,1	14,4	16,7	23,2	29,6
შიდა ქართლი	60,9	49,8	39,4	34,8	28,8	35,1	40,3	36,6	10,3	15,1	20,3	28,6

ასეთმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა გავლენა იქონია შობა-დობის დონეზე დაბადების რიგითობის მიხედვით. ცხრილი 50.

ცხრილი 50

შობადობის ზოგადი კოეფიციენტის განაწილება დაბადების რიგითობის მიხედვთ საქართველოში 2005-2020 წლებში (პრომილებშხი)

	პირველი ბავშვი				მეორე ბავშვები				მესამე და მეტი			
	2005	2010	2015	2020	2005	2010	2015	2020	2005	2010	2015	2020
საქართვე-ლო	6,9	7,2	6,6	4,7	3,5	5,2	6,1	4,5	1,4	2,2	3,2	3,2
აჭარა	7,4	8,0	8,1	5,8	3,3	5,7	7,3	6,2	1,6	2,3	3,2	3,9
გურია	5,6	6,3	5,8	3,6	2,9	4,4	5,1	3,5	1,3	1,7	2,9	2,9
იმერეთი	5,6	7,1	6,6	4,6	3,5	5,0	6,4	4,3	1,3	1,8	3,1	3,2
კახეთი	6,8	6,6	6,8	4,0	3,0	4,6	6,0	4,5	1,2	1,8	3,6	3,8
მცხეთა-	7,1	7,1	5,2	3,4	3,1	5,1	5,2	3,4	1,4	2,3	3,2	3,2

[110] გაანგარიშებულია ჩვენს მიერ, საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით.

მთიანეთ												
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	3,7	4,7	4,4	3,4	2,0	2,8	4,5	3,0	1,0	1,0	2,6	2,5
სამეგრე-ლო- ზემო სვანეთი	6,3	6,1	6,5	3,6	2,4	4,2	5,8	4,1	1,0	1,5	2,8	2,9
სამცხე-ჯავახეთი	7,9	6,7	6,0	4,5	2,8	5,3	5,4	4,6	1,2	2,1	2,8	3,5
ქვემო ქართლი	7,5	7,7	6,6	4,7	4,1	5,9	5,9	4,2	2,0	2,7	3,8	3,8
შიდა ქართლი	6,8	7,1	6,2	4,0	3,2	5,0	6,4	4,3	1,1	2,2	3,2	3,6

მთლიანად საქართველოში 2005-2020 წლებში პირველ ბავშვების შობადობის კოეფიციენტი 2,2‰-ით, ე. ი. 31,9%-ით შემცირდა. ეს შემცირება ზოგიერთ რეგიონში უფრო დიდ მასშტაბებს აღწევდა. კერძოდ, გურიაში მან მიაღწია 35,7%-ს, კახეთში 41,2%-ს მცხეთა-მთიანეთში 52,1%-ს (შემცირებაა ორჯერ და მეტად), სამცხე-ჯავახეთში 43,0%-ს და ა. შ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იზრდება მეორე, მესამე და მეტი ბავშვების შობადობის კოეფიციენტები, განსაკუთრებით მესამე და მეტი ბავშვების. მესამე და მეტი ბავშვების შობადობა საქართველოში გაიზარდა 2,3-ჯერ. მათ შორის რეგიონების მიხედვით: ქვემო ქართლში 1,9-ჯერ, აჭარაში, გურიაში, იმერეთში, მცხეთა მთიანეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში 2,2-დან 2,8-ჯერ, კახეთში, სამეგრელო ზემო სვანეთში, სამცხე-ჯავახეთში და შიდა ქართლში 2,9-დან 3,3-ჯერ.

შობადობის ზრდას მესამე და მეტი რიგის ბავშვების მიხედვით მივყავართ ერთ საინტერესო ჰიპოთეზამდე: ხომ არ წარმოადგენს ის კომპენსაციას სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუარესების შედეგად პირველი ბავშვების დაბადების შეზღუდვის გამო? საბჭოთა დემოგრაფიულ ლიტერატურაში გავრცელებული აქსიომა, რომ პირველი ბავშვის დაბადებას წინ არაფერი ეღობებოდა, როგორც ჩანს, გარკვეულ პირობებში მცდარი აღმოჩნდა და „ვერ იმუშავან.

პოსტსაბჭოთა საქართველოს სტატისტიკა გვაძლევს ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის მახასიათებელი ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებლის გამოთვლის საშუალებას, როგორიცაა მკვდრადშობადობა.

ცხრილი 51

მკვდრადშობადობის დონე საქართველოს რეგიონებში 1995-2020 წლებში (მკვდრადშობილთა რიცხვი ყოველ 1000 დაბადებულზე მოცემული წლისთვის)

	1995	2000	2005	2010	2015	2020
საქართველო	11,6	18,2	16,0	11,8	9,9	8,8
თბილისი	16,0	31,6	14,5	10,0	8,5	7,7
აჭარა	9,5	25,2	23,8	11,1	11,1	7,1
გურია	6,8	12,5	9,3	15,9	14,8	8,4
იმერეთი	12,2	18,9	21,3	13,4	9,4	9,2
კახეთი	9,7	13,7	12,8	15,7	10,9	11,5
მცხეთამთიანეთი	11,5	2,4	8,7	12,6	11,7	4,3
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	4,7	2,3	18,9	6,5	8,2	15,4
სამეგრელო ზემო სვანეთი	5,1	2,8	12,8	15,3	8,4	11,3
სამცხე-ჯავახეთი	10,7	16,1	20,2	8,4	9,7	12,6
ქვემო ქართლი	7,8	6,7	6,7	8,4	10,8	8,0
შიდა ქართლი	12,0	13,2	30,8	16,5	12,6	11,3

მოცემულ ცხრილზე დაყრდნობით შეგვიძლია გავაკეთოთ არაპირდაპირი დასკვნა საქართველოში ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის გაუარესების შესახებ 1995-2005 წლებში, რომლის შედეგიც იყო მკვდრადშობადობის ზრდა და დასკვნა ჯანმრთელობის გაუმჯობესების შესახებ 2010-2020 წლებში, რასაც მოჰყვა მკვდრადშობადობის მაჩვენებლის შემცირება. ანალოგიური დასკვნები შეიძლება გავაკეთოთ ცალკეული რეგიონების მიხედვით, თუმცა ზოგიერთი, როგორიცაა: რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, ასევე სამცხე-ჯავახეთი მოცემულ სქემაში ვერ თავსდება, რამდენადაც 2010 წლის შემდეგ ამ რეგიონებში მკვდრადშობადობის ზრდას აქვს ადგილი.

მეცნიერულად საინტერესოდ ჩავთვალეთ შობადობის დონეების გამოთვლა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მიხედვით.

ცხრილი 52

შობადობის ზოგადი კოეფიციენტები აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში 1995-2020 წლებში

	საქართველო			აღმოსავლეთ საქართველო			დასავლეთ საქართველო		
	სულ	ქალაქად	სოფლად	სულ	ქალაქად	სოფლად	სულ	ქალაქად	სოფლად
1995	12,1	13,1	11,0	11,0	11,6	10,0	13,4	15,7	11,7
2000	11,8	14,3	8,8	12,1	13,8	9,2	11,1	14,9	8,2
2005	11,8	14,3	8,5	12,6	14,8	8,8	10,4	13,2	8,1
2010	14,6	14,9	14,1	15,2	15,5	14,5	13,5	13,3	13,6
2015	15,9	15,8	16,0	15,8	15,4	16,4	16,2	17,0	15,5
2020	12,5	12,8	12,0	12,5	12,3	12,9	12,6	13,9	11,4
1995-2020	13,1	14,2	11,7	13,2	13,9	12,0	12,9	14,7	11,4

განხილულ პერიოდში შობადობის დონეები აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის ფაქტობრივად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან რადგან, როგორც ჩანს, ამისათვის არანაირი საფუძველი არ არსებობს.

თავი 4. საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით

4.1. საქართველოს რეგიონების მოსახლეობა მე-19 საუკუნეში

რეგიონების მოსახლეობის რიცხოვნობა XIX საუკუნეში შესაძლებელია განვიხილოთ ისტორიული კუთხეების მიხედვით, როგორიცაა: აფხაზეთი, აჭარა, ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, რაჭა--ლეჩხუმი, სვანეთი, ფშავ-ხევსურეთი, მესხეთ-ჯავახეთი. ისტორიულად მხარეების საზღვრები ყოველთვის იცვლებოდა. შესაბამისად, ისტორიული მხარეებისაგან განსხვავდება საქართველოს თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. საზღვრების აღნიშნული ცვალებადობა ისტორიული კუთხეების მოსახლეობას გარკვეულწილად შეუსადარს ხდის. მე-19 საუკუნეში საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა აღრიცხულია მაზრების მიხედვით (რუსეთის იმპერიაში საქართველოს ადმინისტრაციული ერთეული - მაზრა), რის საფუძველზეც ისტორიკოსმა კ. ანთაძემ მოგვცა საქართველოს მოსახლეობის დაყოფა ისტორიული კუთხეების მიხედვით.

ცხრილი 53

საქართველოს მოსახლეობა 1832-1897 წლებში (შეიარაღებული ძალებისა და უცხო ქვეყნების ქვეშევრდომთა გარეშე)[111]

	მოსახლეობა (ათასი კაცი)					პროცენტობით					% % 1897-1832 წ-თან
	1832	1864	1873	1886	1897	1832	1864	1873	1886	1897	
ქართლ-კახეთი	352,7	484,2	555,4	669,2	744,5	37,0	37,2	38,6	40,6	39,9	211,1
მესხეთ-ჯავახეთი	63,5	94,3	105,2	119,8	137,6	6,7	7,2	7,3	7,3	7,4	216,7
იმერეთ-გურია	264,5	385,1	416,6	479,2	539,5	27,8	29,6	29,0	29,0	28,9	204,0
სამეგრელო-სვანეთი	150,3	206,4	227,9	259,1	285,0	15,8	15,9	15,8	15,7	15,2	189,6
აჭარა	30,0	42,0	50,0	52,1	64,9	3,2	3,2	3,5	3,2	3,5	216,3
აფხაზეთი	90,0	90,0	83,9	69,4	95,9	9,5	6,9	5,8	4,2	5,1	106,6
სულ	951,0	1302,0	1439,0	1648,8	1867,4	100	100	100	100	100	196,0

[111] კ. ანთაძე. საქართველოს მოსახლეობაXIX საუკუნეში. თბ., 1973, გვ. 164.

გრაფიკი 29. საქართველოს მოსახლეობა 1832 წელს (შეიარაღებული ძალებისა და უცხო ქვეყნების ქვეშევრდომთა გარეშე)



გრაფიკი 30. საქართველოს მოსახლეობა 1897 წელს (შეიარაღებული ძალებისა და უცხო ქვეყნების ქვეშევრდომთა გარეშე)



როგორც ცხრილ 53-ის მონაცემები გვიჩვენებს 1832-1897 წლებში საქართველოს ყველა

ისტორიული კუთხის მოსახლეობა სამეგრელო-სვანეთის და აფხა-ზეთის მოსახლეობის გარდა, ორ-ჯერ და მეტად გაიზარდა. რაც შეეხება

აფხაზეთს, მისი მოსახლეობა მხოლოდ 106,6 %-ით, ე. ი. 5,9 ათასით გაიზარდა. აღნიშნული ფაქტი მოითხოვს, რომ მასზე უფრო დეტალურად შევჩერდეთ.

მე-19 საუკუნეში აფხაზეთის მოსახლეობის ასეთი ნელი ზრდის მიზეზია აფხაზების რიცხოვნობის მკვეთრი შემცირება მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, რაც რუსეთის იმპერიის მიერ აფხაზი მოსახლეობის გენოციდის შედეგია. კერძოდ, 1864 წელს აფხაზეთში ცხოვრობდა 66, ხოლო 1886 წლის მოსახლეობის აღწერით, 35 ათასამდე კაცი. სრულიად რუსეთის 1897 წლის საყოველთაო აღწერით, აფხაზების რიცხოვნობა საქართველოში მხოლოდ 40 ათასს აღწევდა.[112]

აფხაზებისთვის განსაკუთრებით გამანადგურებელი იყო 1866-1886 წლები. 1866 წელს აფხაზეთის გლეხთა აჯანყების ჩახშობის შემდეგ რუსეთის იმპერიამ თურქეთში ძალდატანებით გადაასახლა 15 ათასი აფხაზი. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში, თურქეთისადმი სიმპატიის მიზეზით, 1877 წელს სოხუმის ოკრუგიდან თურქეთში იძულებით გადასახლდა 28,5 ათასი,[113] ხოლო 1878 წელს აჭარიდან 2,6 ათასამდე აფხაზი.[114] ასეთ გადასახლებას ეწოდა მუჰაჯირობა. რუსეთის იმპერიამ აფხაზები ჩარიცხა მტრული ერების სიაში. აფხაზებს აეკრძალათ არა თუ სოხუმში, არამედ სოხუმიდან გარკვეულ მანძილზე დასახლება და იარაღის ტარება. იმდროინდელი ქართული საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლები მკაცრად ილაშქრებდნენ მოძმე აფხაზების გადასახლების წინააღმდეგ.

აფხაზების და ასევე სხვა მთიელი ხალხების თურქეთში გადასახლებაში დაინტერესებული იყო როგორც რუსეთი, ისე თურქეთი. რუსეთს უნდოდა თავიდან მოეშორებინა თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხები, ხელში საიმედოდ ჩაეგდო კავკასიაში გეოსტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტერიტორიები და აეთვისებინა დემოგრაფიულად, დაესახლებინა აქ ყაზახ-რუსები და რუსეთის იმპერიის სხვა ხალხები. რუსეთი ასეც მოიქცა. მუჰაჯირობიდან თურქეთს თავისი სარგებელი ჰქონდა. მას უნდოდა შეევსო ხანგრძლივი ომებით შემცირებული მოსახლეობა. ასე ბანდა ხელი ხელს. ეს ურთიერთ ხელისბანვა გაგრძელდა შემდგომშიც, როდესაც საბჭოთა რუსეთმა 1920-იანი წლების დასაწყისში საქართველოს ისტორიული ტერიტორიები (საქართველოს ტერიტორიების 1/3) საჩუქრად მიართვა თურქეთს.

---

[112] კ. ანთაძე. საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში. თბ., 1973, გვ. 88.
[113] იქვე, გვ. 83, 138, 139.
[114] ვ. ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში. თბ., 1984, გვ. 89.

საქართველოს მოსახლეობა ინტენსიურად იზრდებოდა რუსეთთან შეერთების შემდეგ, რასაც განაპირობებდა ქვეყნის შედარებით მშვიდობიანი ცხოვრება და რუსეთის იმპერიის კოლონიზატორული პოლიტიკა, რაც საქართველოში სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობის ჩამოსახლებით მიმდინარეობდა. მისი მიზანი იყო ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურთან ერთად დემოგრაფიული ანექსია, ავტოქტონური, აბორიგენი მოსახლეობის ხვედრიწილის შემცირება. შედეგად, 1801-1897 წლებში საქართველოს მოსახლეობა 850 ათასიდან 1 867,4 ათასამდე, ე. ი. 2,2-ჯერ გაიზარდა, მათ შორის ქართველების 1,96-ჯერ, ხოლო დანარჩენი ეროვნებების 3,1-ჯერ. მე-19-ე საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში გამოჩნდნენ ეროვნებები, რომლებსაც მანამდე აქ მასობრივად არ უცხოვრიათ. მოსახლეობის 1832 წლის კამერალურმა აღწერამ აჩვენა, რომ საქართველოში უკვე ცხოვრობდა 500 რუსი, 7 300 ბერძენი და 1800 გერმანელი. იმავე საუკუნის ბოლოს, ანუ 1897 წელს, რუსი მოსახლეობის რიცხოვნობა გაიზარდა 76,4 ათასამდე, ე. ი. 153-ჯერ, ბერძნების 34,2 ათასამდე, ე. ი. 4,7-ჯერ, ხოლო გერმანელების 7,8 ათასამდე, ე. ი. 4,3-ჯერ. საქართველოში 1801 წელს აღრიცხული ეროვნებებიდან, როგორიცაა: სომხები, თათარ-თურქები, ოსები, აფხაზები და ებრაელები, ყველაზე სწრაფი ზრდით ხასიათდებოდნენ სომხები. ამ უკანასკნელთა რიცხოვნობამ 1801-1897 წლებში 40 ათასიდან მიაღწია 193,3 ათასს ე. ი. გაიზარდა 4,9-ჯერ.[115] ამის შედეგად ქართველების ხვედრიწილი 1801-1897 წლებში 78,8%-დან შემცირდა 70,4%-მდე.[116] ზოგიერთი მოსაზრებით (გამოთვლებით), 1800-1897 წლებში საქართველოს მოსახლეობა 675-დან გაიზარდა 1 929 ათასამდე, ხოლო ქართველების ხვედრიწილი 89,0%-დან შემცირდა 67.9%-მდე[117]

XIX საუკუნის საქართველოს და მისი რეგიონების მოსახლეობის რიცხოვნობა ასევე

შეფასებულია ცნობილი ქართველი მეცნიერის ვ. ჯაოშვილის მიერ. მისი და კ. ანთაძის შეფასებები ერთმანეთისაგან გარკვეულად განსხვავდება როგორც რაოდენობრივად, ისე საქართველოს ტერიტორიული დაყოფის ნიშნით. ვთვლით, რომ ვ. ჯაოშვილის მონაცემების მოტანა ინტერესმოკლებული არ იქნება (იხ. ცხრილი 54-55).

---

[115] კ. ანთაძე. საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში. თბ., 1973, გვ. 88-89.
[116] იქვე, გვ. 88-89.
[117] პ. გუგუშვილი. საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები. თბ., 1973. გვ. 16.

ცხრილი 54

საქართველოს მოსახლეობა 1800-1832 წლებში [118]

	მოსახლეობა (ათასი კაცი)		პროცენტულად		პროცენტულად 1832 წელი 1800 წელთან
	1800 წ.	1832 წ.	1800 წ.	1832 წ.	
ქართლ-კახეთი	320,9	359,4	40,9	40,3	112,0
იმერეთი	125,7	138,9	16,0	15,5	110,5
რაჭა	33,9	37,4	4,3	4,2	110,3
სამეგრელო და ლეჩხუმი	106,4	116,9	13,6	13,1	109,9
სვანეთი	12,0	12,5	1,5	1,4	104,1
გურია	31,0	34,0	4,0	3,8	109,7
აფხაზეთი	77,8	82,0	9,9	9,2	105,4
აჭარა	40,0	46,0	5,1	5,2	115,0
მესხეთ-ჯავახეთი	37,0	65,0	4,7	7,3	175,7
სულ	784,7	892,1	100,0	100,0	113,7

მოსახლეობის როგორც რიცხოვნობის, ისე ხვედრიწილით, პირველ ადგილზე დგას ქართლ-კახეთი, შემდეგ მოდის იმერეთი, სამეგრელო და ლეჩხუმი. ზრდის ტემპებით ყველას უსწრებს მესხეთ-ჯავახეთი. ეს იმის შედეგია, რომ 1828-1829 წლების რუსეთ- თურქეთის ომის შემდეგ ამ მხარეში თურქეთიდან გადმოსახლდა 25 ათასი სომეხი, რომლებსაც ომში რუსეთის მხარე ეჭირათ და ომის შემდეგ გამოექცნენ თურქების შურისძიებას.[119] თუმცა, იგივე მიზეზით შურისძიებას ვერ ასცდნენ პირველი მსოფლიო ომის დროს, რაც ისტორიაში სომხების გენოციდის სახელით შევიდა.

[118] ვ. ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა. თბ., 1996, გვ. 74.
[119] ვ. ლორთქიფანიძე. ისტორიული მესხეთი. დემოგრაფიული განვითარების პრობლემები. თბ., 1998, გვ. 146.

ცხრილი 55

საქართველოს მოსახლეობა 1865-1897 წლებში[120]

	მოსახლეობა (ათასი კაცი)			პროცენტულად			პროცენტულად 1897 წელი 1865 წელთან
	1865 წ.	1886 წ.	1897 წ.	1865 წ.	1886 წ.	1897 წ.	
ქართლ-კახეთი	507,6	652,8	784,0	39,4	39,8	40,8	154,5
მესხეთ-ჯავახეთი	86,8	122,6	141,5	6,7	7,5	7,4	163,0
იმერეთი	261,5	340,7	378,3	20,2	20,8	19,7	144,7
რაჭა	49,8	64,3	60,4	3,9	3,9	3,1	121,3
სამეგრელო, ლეჩხუმი და სვანეთი	196,8	259,9	277,8	15,3	15,8	14,5	141,2
გურია	59,0	75,8	90,3	4,6	4,6	4,7	153,1
აფხაზეთი	79,2	69,2	107,1	6,1	4,2	5,6	135,2
აჭარა	48,5	56,6	80,0	3,8	3,2	4,2	164,9
სულ	1 289,2	1 641,9	1 919,4	100,0	100,0	100,0	148,9

ცხრილებს შორის განსხვავება ისაა, რომ ვ. ჯაოშვილს 1800-1832 წლებში ერთად აქვს შეფასებული სამეგრელოს და ლეჩხუმის მოსახლეობა, 1865-1886 და 1897 წლებში კი - სამეგრელო, ლეჩხუმი დასვანეთი. 1800-1832 წლებში ცალკე აქვს გამოყოფილი სვანეთის მოსახლეობა.

1865-1897 წლებში საქართველოს ისტორიული კუთხეების მოსახლეობის რიცხოვნობის შედარებისას პრაქტიკულად იკვეთება იგივე სურათი, რაც 1800-1832 წლებში: მოსახლეობის რიცხოვნობით და ხვედრიწილით კვლავ პირველ ადგილზეა ქართლ-კახეთი, შემდეგ მოდის იმერეთი, სამეგრელო, ლეჩხუმი და სვანეთი, ხოლო ზრდის ტემპებით პირველ ადგილზეა აჭარა და შემდეგ მესხეთ-ჯავახეთი. აჭარის მოსახლეობის ასეთი ზრდა გამოიწვია 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ საქართველოს (აჭარის) ისტორიული კუთხეების: შავშეთის, იმერხევის, კოლა-არტაანისა და კლარჯეთის საქართველოსთან შემოერთებამ.

[120] ცხრილი შედგენილია: ვ. ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა. თბ., 1996, გვ. 91, 95.

4.2. საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა მე-20 საუკუნის დასაწყისიდან 1959 წლის ჩათვლით

მეოცე საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს მოსახლეობა განაგრძობდა ზრდას და 1913 წლისათვის მიაღწია 2,6 მლნ.ამ წელს აზერბაიჯანის მოსახლეობა 2,3, ხოლო სომხეთის 1,0 მლნ. შეადგენდა. სამხრეთ კავკასიაში საქართველო მოსახლეობის რიცხოვნობით პირველ ადგილზე იყო 1966 წლამდე, ვიდრე მას არ გაუსწრო აზერბაიჯანმა. კერძოდ, 1966 წელს აზერბაიჯანმა შეადგინა 4,6 მლნ, საქართველომ 4,5 და სომხეთმა 2,2 მლნ. მცხოვრები.

მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს მოსახლეობის ზრდა შეაფერხა პირველმა და მეორე მსოფლიო ომმა. პირველი მსოფლიო ომის განმავლობაში ქვეყანამ მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადა ომში დაღუპულების და შობადობის შემცირების შედეგად. 1913-1917 წლებში საქართველოს მოსახლეობა 263 ათასით (10,1%) შემცირდა.[121] ომამდელი 1913 წლის რიცხოვნობა საქართველომ აღიდგინა 1924-1925 წლებში. რაც შეეხება საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს 1921 წლის ანექსიას და ამის შედეგად გამოწვეულ პოლიტიკურ ემიგრაციას მას საქართველოს მოსახლეობის კლება მართალია არ გამოუწვევია მაგრამ მნიშვნელოვნად შეაფერხა მისი ზრდა. 1921-1922 წლებში საქართველოს მოსახლეობამ მოიმატა მხოლოდ 7 ათასი მცხოვრებით, რაც ყველაზე დაბალი საშუალოწლიური მაჩვენებელია XXსაუკუნის განმავლობაში 1993 წლამდე.[122]

1920-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება საქართველოს მოსახლეობის სწრაფი ზრდა რომელიც შეაფერხა მეორე მსოფლიო ომმა. 1926 და 1939 წლების მოსახლეობის აღწერებით, საქართველოს მოსახლეობა 2677,2 ათასიდან გაიზარდა 3540 ათასამდე, 862,8 ათასით, ე.ი. წლიურად 72 ათასი კაცით. მოსახლეობის ასეთი მატება საქართველოს არ ქონია მთელი XX საუკუნის მანძილზე. რამ განაპირობა მოსახლეობის ასეთი მატება?

1926-1939 წლებში საბჭოთა იმპერიის მიერ ინტენსიურად განხორციელდა XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის მიერ დაწყებული საქართველოს დემოგრაფიული ანექსია საქართველოსათვის „ინდუსტრიალიზა-

---

[121] გაანგარიშებულია: Численность, состав и движение населения Грузинской ССР. Тб., 1981, с. 11ю

[122] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2006. თბ., 2007, გვ. 18.

ციის განხორციელებაში გაწეული დახმარების“ სახით. აღნიშნული „დახმარება“ ხორციელდებოდა საქართველოში გარედან მოსახლეობის შემოყვანით. შედეგად, ქართველების ხვედრი წილი 1926-1939 წლებში 66,8%-დან შემცირდა 61,4%-მდე რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია საქართველოს ისტორიაში. მოვიტანთ ამ პერიოდთან დაკავშირებულ საბჭოთა ეკონომიკურ-დემოგრაფიული აზრის ისტორიაში გავრცელებულ ტიპურ შეხედულებას: ,,მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის ცვლილების ხასიათის მიხედვით მოკავშირე რესპუბლიკები შეიძლება გავყოთ ორ ჯგუფად: პირველი ჯგუფია რესპუბლიკები, რომლებიც მოსახლეობას იზიდავენ გარედან; მეორეა - რესპუბლიკები, რომლებიც აძლევენ თავისი მოსახლეობის ნაწილს ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პროცესში. პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან ამიერკავკასიის და შუა აზიის რესპუბლიკები, რომლებშიც მოსახლეობის მატების კოეფიციენტი მნიშვნელოვნად აღემატებოდა საშუალო საკავშირო მატების შეფარდებით სიდიდეებს.[123] იმ რესპუბლიკებში, რომლებიც იძლეოდნენ მოსახლეობას „ინდუსტრიალიზაციის და კოლექტივიზაციის პროცესში“, ინდუსტრიალიზაცია არ მიმდინარეობდა? პარადოქსია, რომ მოსახლეობას „აწვდიდნენ“ იმ რესპუბლიკებს, „რომლებშიც მოსახლეობის მატების კოეფიციენტი **მნიშვნელოვნად** აღემატებოდა საშუალო საკავშირო მატების შეფარდებით სიდიდეებს“. საბჭოთა იმპერიის ამ „ზომების“ შედეგი იყო არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ყაზახეთის და შუა აზიის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის ცვლილება, რის შედეგადაც, XX საუკუნის მიწურულშიც კი, ყაზახების ხვედრიწილი ყაზახეთში 30%-ის ფარგლებში მერყეობდა. ასეთივე ვითარება იყო ბალტიისპირეთში, სადაც აბორიგენი ეროვნებები უმცირესობაში აღმოჩნდნენ.ნუთუ საქართველო ისე იყო ჩამორჩენილი ინდუსტრიული განვითარების დონით, რომ გარედან ხალხის შემოსვლა იყო საჭირო ამ ჩამორჩენის დასაძლევად? არა, საქმე ასე არ იყო. ჩვენი გაანგარიშებით მივიღეთ შემდეგი სურათი (იხ. ცხრილი 56).

[123] А.И. Гозулов, М. Г. Григорянц. Население СССР. М.,1969, с. 30;

ცხრილი 56

საქართველოს და საბჭოთა კავშირის სამრეწველო განვითარების დონის მაჩვენებლები 1913-1950 წლებში[124]

წლები	მრეწველობის პროდუქცია ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით (მანეთებში)		პროცენტობით საქართველო საბჭოთა კავშირთან
	საბჭოთა კავშირი	საქართველო	
1913 რუსეთი	22,2	21,2	95,5
1921 რუსეთი	8,0	11,4	142,5
1928	30,8	24,6	79,9
1932	59,3	64,4	108,6
1937	126,8	126,6	99,8
1940	155,1	155,8	100,5
1950	291,8	250,3	85,8
1970	1548,6	1003,6	64,8

ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ საქართველო სამრეწველო განვითარების დონით არ ჩამორჩებოდა რუსეთსა და მთლიანად საბჭოთა კავშირს 1940 წლამდე, კერძოდ, ინდუსტრიალიზაციის განხორციელების პერიოდში. მეტიც, ამ მაჩვენებლით ის ცალკეულ წლებში უსწრებდა კიდეც საბჭოთა კავშირს. სამრეწველო განვითარების დონის ნამდვილი ჩამორჩენა საქართველოში სახეზე გვაქვს **სწორედ ინდუსტრიალიზაციის განხორციელების შემდეგ.** კერძოდ, საბჭოთა კავშირთან შედარებით, საქართველო მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, 1950 წელს აწარმოებდა 14,2%-ით, 1970 წელს კი 35,2%-ით ნაკლებ მრეწველობის პროდუქციას. ასე, რომ ინდუსტრიალიზაცია საქართველოს დემოგრაფიული ანექსიის კიდევ ერთი საშუალება იყო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეორე მსოფლიო ომმა შეაფერხა საქართველოს მოსახლეობის

რიცხოვნობის ზრდა. ომის დაწყების წინ, 1940 წელს, საქართველოს მოსახლეობა 3 612 ათასს შეადგენდა. ომში გაიწვიეს 700 ათასი მამაკაცი, რომელთაგან აღარ დაბრუნდა 400 ათასი. დემოგრაფიული

[124] მაჩვენებლები გაანგარიშებულია: Народное хозяйство Грузинской ССР. Тб., 1957, с. 35-37; Народное хозяйство Грузинкой ССР за 60 лет. Тб., 1980, с. 52-53; Народное хозяйство СССР в 1958 году. М., 1959, с. 7,135; Народное хозяйство СССР в 1987 г. М., 1988, с. 343; Население СССР. 1973, М., 1975, с. 7; Промышленностъ СССР. М., 1964, с. 36.

ისტორიის ეს ეტაპი ყველაზე მძიმე იყო საქართველოში უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე. ამ მხრივ, მეორე მსოფლიო ომის წლები თავისი შედეგებით შეიძლება შევადაროთ მხოლოდ მონღოლების, თურქებისა და სპარსელების ბარბაროსული შემოსევებით გამოწვეულ მოსახლეობის განადგურებას.[125] ომამდელი რიცხოვნობა საქართველომ აღიდგინა 1951-1952 წლებში. სამწუხაროდ, ამ წლებში ჩვენ არ გაგვაჩნია საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკა, ამიტომ შეუძლებელია სტატისტიკური სიზუსტით მისი როლის განსაზღვრა ომამდელი საქართველოს მოსახლეობის აღდგენაში. თუმცა, დასაბუთებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ომის პერიოდში შობადობის დონის შემცირების და მოკვდაობის ზრდის პირობებში შეუძლებელი იქნებოდა ომში დაღუპულთა რიცხოვნობის კომპენსაცია. ამასთან ცნობილია, რომ ომის პერიოდში საქართველოში ადგილი ჰქონდა ევაკუირებული მოსახლეობის ინტენსიურ შემოსვლას, რომელთა ნაწილი მუდმივ საცხოვრებლად დარჩა საქართველოში. სწორედ ამ უკანასკნელმა შეასრულა გარკვეული როლი ომამდელი საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის აღდგენაში. ამის შედეგად, 1939-1959 წლებში მოხდა რუსი მოსახლეობის ხვედრიწილის ზრდა 8,7%-დან 10,1%-მდე.

სხვა საბჭოთა რესპუბლიკებიდან მოსახლეობის შემოსვლა საქართველოში გრძელდებოდა 1950-იანი წლების მეორე ნახევრამდე. ამის შემდეგ მოსახლეობის შემოსვლა მცირდება, რის მიზეზიც, ქართველი მეცნიერების აზრით, არის ომამდელ პერიოდთან შედარებით სოფლის მოსახლეობის თითქმის ორ-ჯერ უფრო ინტენსიური გადასვლა ქალაქებში საცხოვრებლად, რითაც საქართველოს ქალაქები კმაყოფილდებოდა მუშახელით და სხვა რესპუბლიკებიდან მათი შემოსვლა აუცილებლობას აღარ წარმოადგენდა.[126] მეტიც, 1950-იანი წლებიდან საქართველოს ეკონომიკური განვითარების ჩამორჩენამ განაპირობა არაქართველი მოსახლეობის გადინება. მოსახლეობის გარემიგრაციული მოძრაობის შედეგად შეიცვალა საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. ქართველების ხვედრიწილი 1939-1959 წლებში 61,4%-იდან გაიზარდა 64,3%-მდე.

4.3. საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით მე-20 საუკუნის დასაწყისიდან 1959 წლის ჩათვლით

[125] ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა, თბ., 1996, გვ. 155.
[126] В.Ш. Джаошвили.Урбанизация Грузии. Тб., 1978, с. 134.

მოცემული პერიოდის მოსახლეობის რეგიონების მიხედვით შესწავლაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი ვ. ჯაოშვილს, მაგრამ 1914-1917 და 1926-1959 წლების საქართველოს რეგიონებად დაყოფა ერთმანეთისგან განსხვავდება, ამიტომ მათ მოვიტანთ განცალკევებულად, მით უმეტეს, რომ 1914-1917 წლები თავისი ისტორიული მნიშვნელობით განსხვავდება დანარჩენებისაგან, რადგან ემთხვევა პირველი მსოფლიო ომის წლებს. კავკასიის კალენდრის[127] და საქართველოს მოსახლეობის 1917 წლის აღწერის მასალებზე დაყრდნობით, ვ. ჯაოშვილი გვაწვდის შემდეგ ინფორმაციას:

ცხრილი 57

საქართველოს მოსახლეობა 1914 და 1917 წლებში[128]

	მოსახლეობა (ათასი კაცი)		პროცენტულად		სხვაობა 1914-1917 წწ.	
	1914	1917	1914	1917	ათასი კაცი, + -	% 1914 წელთან
ქართლ-კახეთი	1153,0	977,4	42,7	41,4	-175,6	-15,2
მესხეთ-ჯავახეთი	200,9	176,6	7,5	7,5	-24,3	-12,1
იმერეთი	490,5	450,9	18,2	19,1	-39,6	-8,1
რაჭა	88,8	84,6	3,3	3,6	-4,2	-4,7
სამეგრელო	286,4	267,6	10,6	11,4	-18,8	-6,6
ლეჩხუმი-	60,8	57,2	2,3	2,4	-3,6	-5,9
სვანეთი	111,4	119,5	4,1	5,1	8,1	7,3
გურია	194,9	148,6	7,2	6,3	-46,3	-23,8
აფხაზეთი	110,9	75,4	4,1	3,2	-35,5	-32,0
აჭარა						
საქართველო	2697,6	2357,8	100,0	100,0	-339,8	-12,6

აღსანიშნავია, რომ 1897-1914 წლებში, საქართველოს მოსახლეობა მნიშვნელოვნად, ანუ 1867,4 ათასიდან 2697,6 ათასამდე, ე. ი. 144,5%-ით გაიზარდა (წლიურად საშუალოდ 52 ათასით). ყველაზე მეტად, 95,9-დან 194,9 ათასამდე, ე. ი. 203,2%-ით (ორჯერ და მეტად) გაიზარდა აფხაზეთის მოსახლეობა.

[127] კავკასიის კალენდარი, სტატისტიკურ-ეკონომიკური ცნობარი, გამოდიოდა 1846-1917 წლებში ყოველწლიურად. მოიცავდა დემოგრაფიული სტატისტიკის მონაცემებსაც.

[128] ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა. თბ., 1996, გვ. 98.

ქვეყნის მოსახლეობის ზრდას ხელი შეუშალა პირველმა მსოფლიო ომმა, რომლის დროსაც მოსახლეობა ფრონტზე დანაკარგების და ომის წლებში(1914-1917) ბუნებრივი მატების შემცირების შედეგად 339,8 ათასით, ანუ 12,6%-ით შემცირდა. ყველაზე მეტად შემცირდა აფხაზეთის და აჭარის მოსახლეობა, 23,8 და 32,0%-ით. მოსახლეობა შემცირდა ყველა ისტორიულ კუთხეში, გურიის გარდა, რომლის მოსახლეობამ მოიმატა 8,1 ათასით, ე.ი. 7,3 %-ით. 1917 წლის შემდეგ, როგორც საქართველოს, ისე მისი რეგიონების მოსახლეობა იზრდება.

ცხრილი 58

საქართველოს ისტორიული კუთხეების მოსახლეობა 1926-1959 წლებში [129]

	მოსახლეობა (ათასი კაცი)			პროცენტულად			პროცენ-ტულად 1926-1959
	1926	1939	1959	1926	1939	1959	
საქართველო სულ	2677,2	3540,0	4044,0	100,0	100,0	100,0	151,1
თბილისი	294,0	519,2	703,0	11,0	14,7	17,4	239,1
აჭარა	132,0	200,1	245,3	4,9	5,6	6,0	185,8
აფხაზეთის ა. რ.	210,4	311,9	404,8	7,9	8,8	10,0	192,4
სვანეთი	18,8	27,1	31,0	0,7	0,8	0,8	164,9
ჯავახეთი	71,8	99,2	95,0	2,7	2,8	2,3	132,3
შიდა ქართლი	225,6	296,2	324,2	8,4	8,4	8,0	143,7
ქვემო ქართლი	201,4	263,6	371,0	7,5	7,5	9,2	184,2
მესხეთი	102,3	129,5	81,3	3,8	3,7	2,0	79,5
კახეთი	291,0	364,6	395,4	10,9	10,3	9,8	135,9
სამხრ.ოსეთის ა.რ.	87,7	106,1	96,8	3,3	3,0	2,4	110,4
იმერეთი	492,6	595,1	652,0	18,4	16,8	16,1	132,4
სამეგრელო	270,9	323,8	358,3	10,1	9,2	8,9	132,3
გურია	113,5	132,1	145,9	4,2	3,6	3,6	128,5
აღმოსავლეთ კავკასიონი	63,9	72,4	64,3	2,4	2,0	1,6	100,6
რაჭა-ლეჩხუმი	101,3	99,1	75,7	3,8	2,8	1,9	74,7

მოსახლეობის შესახებ მონაცემები 1926, 1939, 1959 წლებში აღებულია მოსახლეობის საბჭოთა აღწერებიდან. საქართველოს სტატისტიკაში 1926 წლიდან 1989 წლის ჩათვლით ჩნდება აფხაზეთის და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური რესპუბლიკები. „სამხრეთ ოსეთი“ 1990 წლიდან განიხილება შიდა ქართლის შემადგენლობაში, როგორც მისი ისტორიული ნაწილი, ხოლო 1989 წლის აღწერის შემდეგ რუსეთის

[129] ცხრილი შედგენილია: ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა. თბ. 1996 წ, გვ. 130, 166.

მიერ აფხაზეთის და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ოკუპაციის შემდეგ კი სტატისტიკური ინფორმაცია მათ შესახებ არ გაგვაჩნია.

როგორც ცხრილიდან ჩანს, 1926-1959 წლებში საქართველოს მოსახლეობა მნიშვნელოვნად, 151,1%-ით გაიზარდა. ზრდის ტემპების სიდიდის მიხედვით გამოირჩევიან: თბილისი (239,1%), აფხაზეთი (192,4%), აჭარა (185,8%), ქვემო ქართლი (184,2%). მოსახლეობის რიცხოვნობა შემცირდა ორ რეგიონში, მესხეთსა და რაჭა-ლეჩხუმში. ამ უკანასკნელში მოსახლეობა შემცირდა მიგრაციის შედეგად.

რაც შეეხება მესხეთის მოსახლეობას, მასზე განსაკუთრებით შევჩერდებით. მეორე მსოფლიო ომის დროს თურქეთისადმი სიმპატიის მიზეზით (ეს უკანასკნელი იყო გერმანიის მოკავშირე) მესხეთის მუსულმანი მოსახლეობის ნაწილი (მათ შორის ქართველებიც) გადაასახლეს შუა აზიაში. გადასახლებულები ისტორიაში შევიდნენ „თურქი მესხების“ სახელწოდებით. გადასახლებულების ზუსტი რიცხვი დღემდე სადავოა. ფაქტი ისაა, რომ მესხეთის მოსახლეობის რიცხოვნობა 1926-1939 წლებში 102,3 ათასიდან გაიზარდა 129,5 ათასამდე, ე.ი. 27,2 ათასით, ხოლო 1939-1959 წლებში შემცირდა 48,2 ათასით. ფაქტია, რომ შემცირება გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ არა მოსახლეობის ბუნებრივი მატება ომისშემდგომ, 1945-1959 წლებში.

დიდია ვახტანგ ჯაოშვილის ღვაწლი საქართველოს მოსახლეობის ისტორიული კუთხით შესწავლაში. მან პირველმა გაიანგარიშა აღმოსავლეთ კავკასიონის მთიანი მხარეების მოსახლეობის რიცხოვნობა 1886-1989 წლებში, ფაქტობრივად ერთი საუკუნის მანძილზე (იხ. ცხრილი 59).

როგორც ვხედავთ, ერთი საუკუნის მანძილზე აღმოსავლეთ კავკასიონის 286 სოფლიდან დარჩა 175 სოფელი, ხოლო მოსახლეობა განახევრდა. 1886 წელს თუშეთში არსებობდა 44, ხოლო 1989 წელს მხოლოდ 5 სოფელი 101 მცხოვრებით, რაც თუშეთის 1886 წლის მოსახლეობის მხოლოდ 2,5%-ია.

მთის მოსახლეობა განსაკუთრებით შემცირდა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში. მთის მოსახლეობის ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კეთილშობილური მიზნით საბჭოთა ხელისუფლება ყველანაირად ხელს უწყობდა (ზოგ შემთხვევაში იძულებით) მათ ჩამოსახლებას ბარში. ამ თემაზე იწერებოდა მოთხრობები, იქმნებოდა მხატვრული ფილმები და ა. შ. ამის შედეგად ცარიელდებოდა როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთ საქართველოს მთის სოფლები.

ცხრილი 59

აღმოსავლეთ კავკასიონის ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების მოსახლეობის დინამიკა, 1886-1989 წლებში[130]

	სოფლების რიცხვი				მოსახლეობის რიცხვი				მოსახლეობის კლება 1886-1989 წლებში	
	1886	1926	1959	1989	1886	1926	1959	1989	აბსოლუტური	%
ხევი	51	54	54	44	8843	8727	7976	6376	2467	27,9
მთიულეთი	90	87	86	76	9282	1048,3	8522	6822	2460	26,5
ხევსურეთი	53	49	44	24	4985	3589	2047	652	4333	87,8
ფშავი	48	35	33	26	5067	2259	1411	1127	3940	77,7
თუშეთი	44	31	22	5	4074	1618	513	101	3973	97,5
აღმოსავლეთ კავკასიონი	286	256	239	175	32251	26676	20499	15078	17178	53,5

დღეს საქართველოში მიმდინარეობს უკუპოლიტიკა - „მთას დაუბრუნდა მთიელი“. ამ პროცესის განსახორციელებლად სახელმწიფოს მიერ ტარდება რიგი ღონისძიებები, რომლებიც რა შედეგს მოიტანს, ან საერთოდ მოიტანს თუ არა სასურველ შედეგს, ვნახავთ მომავალში.

4.4. საქართველოს ისტორიული კუთხეების მოსახლეობა 1970-1989 წლებში

საქართველოს მოსახლეობა 1959 წლის შემდეგაც განაგრძობს ზრდას. ორიაღწერის შორის პერიოდში, კერძოდ 1959-1970 წლებში, მოსახლეობის რიცხოვნობა 4 044,0 ათასიდან 4 686,4 ათასამდე, ე.ი. 115,9%-ით გაიზარდა, ხოლო 1970-1989 წლებში კი 115,2%-ით. ამავე პერიოდში შეიცვალა რეგიონების მოსახლეობის რიცხოვნობა და შესაბამისად საქართველოს მოსახლეობის რეგიონული სტრუქტურა.

[130] ვ. ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა, თბ., 1996, გვ. 170.

ცხრილი 60

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა ისტორიული კუთხეების მიხედვით 1970-1989 წლებში[131]

	მოსახლეობა (ათასი კაცი)			პროცენტულად			1989 წელი 1970-თან, %
	1970	1979	1989	1970	1979	1989	
საქართველო, სულ	4686,4	4993,2	5400,8	100,0	100,0	100,0	115,2
თბილისი	891,9	1056,1	1246,9	19,0	21,2	23,1	139,8
აფხაზეთი	486,9	486,1	525,1	10,4	9,7	9,7	107,8
აჭარა	309,8	354,2	392,4	6,6	7,1	7,3	126,7
ქართლი	928,2	991,1	1091,3	19,8	19,8	20,2	117,6
კახეთი	416,0	429,8	441,0	8,9	8,6	8,2	106,0
იმერეთი	718,6	738,1	766,9	15,3	14,8	14,2	106,7
გურია	149,6	155,0	158,1	3,2	3,1	2,9	105,7
სამეგრელო	394,4	406,1	410,0	8,5	8,1	7,6	104,0
რაჭა-ლეჩხუმი	66,5	59,9	48,3	1,4	1,2	0,9	72,6
სვანეთი	31,3	30,6	26,1	0,7	0,6	0,5	83,4
ფშავ-ხევსურეთი	61,6	60,1	59,2	1,3	1,2	1,0	96,1
მესხეთ-ჯავახეთი	231,6	226,1	235,5	4,9	4,5	4,4	101,7

გრაფიკი 31. საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა ისტორიული კუთხეების მიხედვით 1989 წელს, პროცენტებში



[131] ცხრილი შედგენილია: Итоги всесоюзной переписи населения 1959 г. М., 1963, с. 134; Итоги всесоюзной переписи населения 1970 г. Т.IV, М., 1973, с. 252; საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობა. სტატისტიკური კრებული. თბ., 1991, გვ. 19.

განხილული პერიოდის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობა გაიზარდა 115,2%-ით. განსაკუთრებულად სწრაფად გაიზარდა თბილისი (139,8%), შემდეგ მოდის აჭარა (126,7%) და ქართლი (117,6%). სამეგრელოს, გურიის, კახეთის და იმერეთის მოსახლეობის ზრდის ტემპიმერყეობს 104,0%-დან 107,0%-ის ფარგლებში. მათ ოდნავ აღემატება აფხაზეთის მოსახლეობის ზრდა (107,8%), ხოლო მესხეთ-ჯავახეთის მოსახლეობა უმნიშვნელოდ, 101,7-ით იზრდება. დანარჩენი რეგიონების მოსახლეობის რიცხოვნობა მცირდება: ფშავ-ხევსურეთის 3,9%-ით, სვანეთის 16,6%-ით, ხოლო რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობა მნიშვნელოვნად 27,4%-ით.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ თბილისს, ყველაზე მრავალრიცხოვანი მოსახლეობა ყავს ქართლს. თბილისმა მოსახლეობის რიცხოვნობით იმერეთს გაასწრო 1970-იანი წლების მეორე ნახევარში, რაც დაფიქსირა მოსახლეობის 1979 წლის აღწერამ. ყველაზე მცირერიცხოვანი მოსახლეობა ყავს სვანეთს, რაჭა-ლეჩხუმს და ფშავ-ხევსურეთს.

განხილულ 1970-1989 წლებში შეიცვალა მოსახლეობის სტრუქტურა რეგიონების მიხედვით. კერძოდ, გაიზარდა თბილისის, აჭარის და ქართლის მოსახლეობის ხვედრიწილი, განსაკუთრებით თბილისის, 19,0-დან 23,1%-მდე. აჭარის მოსახლეობის ხვედრიწილი 6,6%-დან გაიზარდა 7,3%-მდე, ხოლო ქართლის 19,8%-დან 20,2%-მდე. დანარჩენი რეგიონების ხვედრიწილი შემცირდა: ფშავ-ხევსურეთის, სვანეთის და გურიის 0,2% - 0,3%-ით, მესხეთ-ჯავახეთის, რაჭა-ლეჩხუმის, კახეთისა და აფხაზეთის 0,5 – 0,7%-ით, ხოლო სამეგრელოს და იმერეთის 0,9 – 1,1%-ით.

თბილისის, აჭარის და ქართლის მოსახლეობის რიცხოვნობის და ხვედრიწილის ზრდა დანარჩენ რეგიონებთან შედარებით შეიძლება აიხსნას თბილისის მოსახლეობის მაღალი მიგრაციული მატებით, ხოლო აჭარასა და ქართლში შობადობის და მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაღალი დონით. ჩვენს ხელთ არსებულ 1980 წლის მონაცემებით, მოსახლეობის ბუნებრივი მატება 1 000 მცხოვრებზე გაანგარიშებით საქართველოში შეადგენდა 9,1აჭარაში 13,6ხოლო ქართლში 13,5.

აჭარაში შობადობის და მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაღალი დონე ტრადიციულად განპირობებულია აჭარის მოსახლეობის ნაწილის მუსულმანური აღმსარებლობით, ხოლო ქართლის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს მუსულმანი აზერბაიჯანული მოსახლეობა, რომელშიც შობადობა და ბუნებრივი მატება მაღალია სხვა რეგიონებთან შედარებით. განხილულ პერიოდში ქართლის ბუნებრივი

მატების საერთო დონეს დაბლა სწევს უპირატესად ქართველებით დასახლებული ხაშურის, კასპის და თეთრიწყაროს რაიონები, რომლებშიც ბუნებრივი მატება შესაბამისად შეადგენდა 8,2, 5,2 და 8,8. მაშინ როდესაც რაიონებში, სადაც მეტ-ნაკლებად წარმოდგენილია აზერბაიჯანული მოსახლეობა, ბუნებრივი მატება შეადგენს ქარელში 10,5, გორში 12,2, წალკაში 14,4 (წარმოდგენილია ბერძენი მოსახლეობაც), რუსთავში 14,5, გარდაბანში 16,2, დმანისში 18,3, მარნეულში 19,6, ბოლნისში 20,7. შედარებისათვის აღვნიშნავთ, რომ ქართლის ისეთ რაიონებში, როგორიცაა: დმანისი, მარნეული და ბოლნისი, 1980 წლისათვის მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტები საქართველოს საშუალო მაჩვენებელს 2-ჯერ და მეტად აღემატებოდა.

4.5. საქართველოს მოსახლეობის განაწილება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით 1995-2020 წლებში[132]

1990 წლის შემდეგ, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა განაგრძობდა ზრდას და 1992 წლისათვის მან მაიღწია 5,5 მლნ. ეს არის საქართველოს ისტორიაში სტატისტიკურად დაფიქსირებული ყველაზე მრავალრიცხოვანი მოსახლეობა.საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში გამეფებულმა საყოველთაო კრიზისმა გამოიწვია საქართველოდან მოსახლეობის ინტენსიური გადინება, რამაც მოსახლეობის რიცხოვნობა კატასტროფულად შეამცირა. 1992-1994 წლებში საქართველოს მოსახლეობა 5,5 მლნ-დან შემცირდა 4,9 მლნ-მდე, ე. ი. 600 ათასით. აქ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ ამ წლების მოსახლეობაში აღარ შედის აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობა.

1994 წლიდან საქსტატი აქვეყნებს მონაცემებს საქართველოს მოსახლეობის შესახებ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით, საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. საქართველოს დღეს არსებული ადმინისტრაციულ-ტერი-

[132] 1994 წლიდან გვაქვს ყოველწლიური რეგიონული დემოგრაფიული სტატისტიკის მონაცემები. ანალიზს ვიწყებთ 1995 წლიდან, ტრადიციულად მიღებული 0 და 5-ზე დამთავრებული წლების მიხედვით. 1994 წლამდე ანალოგიური მონაცემები გვაქვს მხოლოდ მოსახლეობის აღწერებით.

ტორიული დაყოფა არსებითად ემთხვევა ისტორიულ მხარეებად დაყოფას იმ განსხვავებით, რომ ცალკე არ არის გამოყოფილი სვანეთი და ფშავ-ხევსურეთი. ისინი გაერთიანებულია მეზობელ ადმინისტრაციულ ერთეულებში და მათი ცალკე გამოყოფით მარტივად მივიღებთ საქართველოს ისტორიული კუთხეების მოსახლეობას. მაგრამ მოცემულ თავში მოსახლეობას განვიხილავთ არა ისტორიული, არამედ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების (მხარეების) მიხედვით, რადგან ინფორმაციას როგორც დემოგრაფიული, ისე სოციალური მოვლენების შესახებ, საქსტატი აქვეყნებს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების და არა ისტორიული კუთხეების მიხედვით.

ცხრილი 61

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით 1995-2020 წლებში (ათასი კაცი)[133]

	1995	2000	2005	2010	2015	2020	პროცენტულად			1995-2020,%
							1995	2005	2020	
საქართველო, სულ	4742,3	4116,8	3917,0	3799,8	3721,9	3716,9	100,0	100,0	100,0	78,4
თბილისი	1205,7	1072,8	1067,2	1100,0	1115,7	1184,8	25,4	27,2	31,9	98,3
აფხაზეთის ა. რ.	2,0	2,0	1,6	-	-	-	-	-	-	-
აჭარის ა. რ.	411,0	353,0	337,6	332,5	336,6	351,9	8,8	8,6	9,5	85,6
გურია	160,0	132,3	121,1	117,0	113,3	108,1	3,4	3,1	2,9	67,6
იმერეთი	764,1	658,7	605,7	568,6	531,0	487,0	16,1	15,5	13,1	63,7
კახეთი	432,7	369,8	341,6	329,2	318,8	310,1	9,1	8,7	8,3	71,7
მცხეთა-მთიანეთი	124,9	113,7	108,9	92,5	94,1	93,3	2,6	2,8	2,5	74,7
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	59,0	47,0	40,8	36,3	32,2	29,1	1,2	1,0	0,8	49,3
სამეგრელო-ზემო სვანეთი	432,0	413,0	397,7	364,9	331,8	311,1	9,1	10,2	8,4	72,0
სამცხე-ჯავახეთი	233,3	191,7	178,3	169,7	160,3	152,1	4,9	4,6	4,1	65,2
ქვემო ქართლი	592,4	472,0	440,8	422,8	452,2	434,2	12,5	11,3	11,6	73,3
შიდა ქართლი	325,8	290,0	274,7	266,0	262,9	255,1	6,9	7,0	6,9	8,3

[133] შედგენილია საქსტატის მონაცემების საფუძველზე. შეფარდებითი მაჩვენებლები გაანგარიშებულია ჩვენს მიერ.

გრაფიკი 32. საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით 2020 წელს (პროცენტებში)



ერთი წლის განმავლობაში, 1994-1995 წლებში, საქართველოს მოსახლეობა შემცირდა 160, ხოლო 1995-2020 წლებში - 1 025,4 ათასით, ე. ი. 1994-2020 წლებში სულ 1 185 ათასით.

საინტერესოა დავადგინოთ მოსახლეობის აღნიშნულ კლებაში ბუნებრივი და მიგრაციული მოძრაობის წვლილი. მოცემული ამოცანის გადაწყვეტა ხდება საბალანსო გაანგარიშებით, რომლის შემთხვევაშიც მოსახლეობის საერთო მატება (კლება) მოსახლოების ბუნებრივი და მიგრაციული მატების ჯამის ტოლია. 1994-2020 წლებში საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ შეადგინა 94,1 ათასი კაცი. რამდენადაც 185,0 ათასი არის მოსახლეობის საერთო კლება, მაშინ, მიგრაციული კლება გამოდის მათი ჯამი 1279,1 ათასი კაცი. შესაბამისად, რომ არა მოსახლეობის ის მცირე ბუნებრივი მატება, ანუ 94,1 ათასი კაცი, 1994-2000 წლებში მოსახლეობა შემცირდებოდა არა 1185 ათასით, არამედ 1 279,1 ათასით.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ბუნებრივი მატება (94,1 ათასი) მოდის ძირითადად ქალაქის მოსახლეობის ხარჯზე, რამდენადაც, 1998 წლიდან დაწყებული, სოფლის მოსახლეობა (2014-2017 წლების გარდა) უარყოფითი ბუნებრივი მატებით ხასიათდებოდა. თუმცა, ისტორიულად სოფლის მოსახლეობის ბუნებრივი მატება ყოველთვის აღემატებოდა ქალაქისას. აქვე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ საქართველოს მოსახლე-

ობა მისი მაქსიმალური ნიშნულიდან 1992 წელს, ანუ 5,5 მლნ-დან, 2020 წლისათვის შემცირდა 3,7 მლნ-მდე, ე. ი. 1,8 მლნ-ით. აღნიშნულ შემცირებაზე იმოქმედა აგრეთვე რუსეთის მიერ ანექსირებული აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის გამოკლებამაც. საქართველოს დანაკარგი 1994-2020 წლებში 1,8 მლნ. მცხოვრებია. 1,8 მლნ. მცხოვრები მსოფლიოში დღეს ჰყავს ზოგიერთ ქვეყანას. **3,7 მლნ. მცხოვრები ყავდა საქართველოს მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, ე. ი. 80 წლის წინათ.**

მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკით საქართველოს რეგიონები რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს თბილისი, რომლის მოსახლეობაც 1995-2000 წლებში 20,9 ათასით, ე. ი. მხოლოდ 1,7%-ით შემცირდა. რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მოსახლეობა განახევრდა. დაახლოებით 32-36%-ით შემცირდა გურიის, იმერეთის და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა, 28,0%-ით კახეთის და სამეგრელო ზემო-სვანეთის მოსახლეობა, 25,0%-ით ქართლის და მცხეთა-მთიანეთის მოსახლეობა, ყველაზე ნაკლებად, 14,4%-ით შემცირდა აჭარის მოსახლეობა. მთლიანად საქართველოს მოსახლეობა შემცირდა 21,6%-ით.

რაც შეეხება რეგიონების მოსახლოების სტრუქტურაში მომხდარ ცვლილებებს, ყველა რეგიონის მოსახლეობის ხვედრიწილი მეტ-ნაკლებად შემცირდა აჭარის და თბილისის გარდა. აჭარის მოსახლეობის ხვედრიწილი გაიზარდა 0,7%-ით და მიაღწია 9,5%, ხოლო თბილისის ხვედრიწილი გაიზარდა 6,5%-ით და მიაღწია საქართველოს მოსახლეობის 31,9%. იმავდროულად, 2020 წელს თბილისში ცხოვრობდა საქართველოს ქალაქის მოსახლეობის ნახევარზე მეტი, 54,0%. ქვეყნის დადაქალაქის ასე „გაბერვა“ და „თავკომბალად“ ქცევა არანაირად არ არის მიზანშეწონილი.

საქართველოს მოსახლეობა არათანაბრადაა განაწილებული ასევე ბუნებრივი ზონების მიხედვით. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ცხოვრობს ჩრდილოეთ და სამხრეთ მთიანეთს შორის, მთათაშორის ბარში. მეტად არათანაბრადაა განაწილებული რეგიონები ქალაქის და სოფლის მოსახლეობის, აგრეთვე მოსახლეობის სიმჭიდროვის მიხედვით (მცხოვრები 1 კვ.კმ-ზე).

ცხრილი 62

საქართველოს რეგიონების დანაწილება ქალაქის და სოფლის მოსახლეობის ხვედრიწილის მიხედვით (პროცენტებში) და მოსახლეობის სიმჭიდროვე 2020 წელს.[134]

	სულ	მათ შორის		ტერიტორიის ფართობი, კვ. კმ	სიმჭიდროვე (კაცი 1კვ. კმ-ზე)
		ქალაქი	სოფელი		
საქართველო, სულ	100,0	59,0	41,0	69700,0	53,3
თბილისი	100,0	97,4	2,6	504,2	2350,0
აჭარა	100,0	57,0	43,0	2900,0	121,3
გურია	100,0	28,9	71,1	2033,2	53,2
იმერეთი	100,0	49,4	50,6	6414,7	75,9
კახეთი	100,0	22,8	77,2	11375,0	27,3
მცხეთა-მთიანეთი	100,0	23,9	76,1	5606,0	16,6
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	100,0	23,4	76,6	4600,0	6,3
სამეგრელო ზემო სვანეთი	100,0	39,7	60,3	7468,2	41,7
სამცხე-ჯავახეთი	100,0	35,6	64,4	6412,8	23,7
ქვემო ქართლი	100,0	43,7	56,3	6436,2	67,2
შიდა ქართლი	100,0	39,6	60,4	3428,3	74,4

ჩვენს მიერ განხილულ 1995-2020 წლებში საქართველოს ქალაქის მოსახლეობის ხვედრიწილი 5,0%-ით გაიზარდა და მიაღწია 59,0%-ს. ურბანიზებულობის ყველაზე დაბალი დონით (23,0%) გამოირჩევა კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი. ქალაქის მოსახლეობის შედარებით მაღალი ხვედრიწილით (39,7-42,2%) გამოირჩევა სამეგრელო ზემო-სვანეთი და ქართლი. მათთან შედარებით ქალაქის მოსახლეობის უფრო მაღალი ხვედრიწილით ხასიათდება იმერეთი (49,4%), ხოლო აჭარას ყველაზე მეტი ქალაქის მცხოვრები ყავს 57,0%. აღნიშნული რეგიონების ქალაქის მოსახლეობის მაღალ ხვედრიწილს განაპირობებს ძირითადად მათში არსებული საქართველოს დიდი ქალაქები, აჭარაში ქ. ბათუმი 151, 3 ათასი მცხოვრებით (1/1 2020 წ.), იმერეთში ქ. ქუთაისი 135,2 ათასი მცხოვრებით, სამეგრელო ზემო-სვანეთში ქ.ზუგდიდი 41,5 ათასი მცხოვრებით და ქ.ფოთი 40 ათასი მცხოვრებით, ქვემო ქართლში ქ. რუსთავი 128,3 ათასი მცხოვრებით და შიდა ქართლში ქ. გორი 45,6 ათასი მცხოვრებით.

[134] ცხრილი გაანგარიშებულია ჩვენს მიერ, საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობთ.

ტერიტორიის ფართობით ყველაზე დიდია კახეთი, მოსახლეობით იმერეთი, მოსახლეობის სიმჭიდროვით (თბილისის გარდა) აჭარა.

აღმოსავლეთ საქართველოში ცხოვრობს საქართველოს მოსახლეობის 65,4%, მათ შორის ქალაქის მოსახლეობის72,5% და სოფლის მოსახლეობის55,0% (იხ. დანართი, ცხრილი 19-21).

4.6. ნასოფლარები, გაუკაცრიელებული, პატარა და დიდი სოფლები საქართველოს რეგიონების მიხედვით

4.6.1. ნასოფლარები

სიტყვა „ნასოფლარი“ ქართულ ენაში გაჩნდა საქართველოში არაბი სარდლის, მურვან ყრუს შემოსევის შემდეგ (ასევე ნაქალაქარი, ნავენახარი, ნასახლარი და სხვ.). ესენია სოფლები, რომლებიც აღარ არსებობს, შემორჩენილია მხოლოდ სახელები, ან მათ ადგილზე დარჩენილია მხოლოდ სოფლის ნაშთები. ისტორიულად სულ რამდენი ნასოფლარია საქართველოში, ძნელად დასადგენია, მაგრამ 1970, 2002 და 2014 წლების მოსახლეობის აღწერები ამის დადგენის საშუალებას იძლევა. მოვიტანოთ მონაცემები:

1970 წელს საქართველოში აღირიცხა 4 645 სოფელი, 2002 წელს - 3 668, 2014 წელს - 3 633. აქედან ჩანს, რომ 1970-2002 წლებში არსებობა შეწყვიტა და აღარ აღირიცხა 977 სოფელი (4 645-3 668), 2002-2014 წლებში აღირიცხა (აღიწერა) 35 -ით ნაკლები სოფელი(3668-3633) სოფელი. და ეს იმიტომ, რომ 2002-2014 წლებში გაჩნდა 121 ნასოფლარი, მაგრამ შეიქმნა 86 ახალი სოფელი(121-86=35). შესაბამისად, შეიძლება ვთქვათ, რომ დღეისათვის საქართველოში გვაქვს 1098 დაფიქსირებული ნასოფლარი (977+121=1098), რომელიც გაჩნდა 1970-2014 წლებში, ე.ი. წელიწადშისაშუალოდ 25.

2002-2014 წლებში აღრიცხული ნასოფლარებდან: აჭარაზე მოდის 11, გურიაზე - 0, იმერეთზე - 8, მცხეთა-მთიანეთზე - 87, ქართლზე - 15, სულ 121 სოფელი. იმავდროულად, კახეთს მოემატა 53 სოფელი, რაჭა--ლეჩხუმს - 1, სამეგრელო ზემო-სვანეთს - 33, სამცხე-ჯავახეთს - 1, თბილისის მუნიციპალიტეტს - 21[135], სულ ჯამში მოემატა 109 ნასოფლარი. თუ გავითვალისწინებთ, რომ 2002 წლის აღწერით აფხაზეთის ავტონო-

[135] 2002 წლის აღწერით, თბილისის მუნიციპალიტეტის ფარგლებში შედიოდა 1 სოფელი 147 მცხოვრებით, ხოლო 2014 წლის აღწერით – 22 სოფელი 30 420 მცხოვრებით.

მიურ რესპუბლიკაში აღიწერა 23 სოფელი, რომელიც 2014 წლის აღწერაში აღარ გვხვდება (როგორც ჩანს, ესაა 2008 წელს რუსეთის მიერ ოკუპირებული კოდორის ხეობის სოფლები), მაშინ გამოდის, რომ 2002-2014 წლების აღწერით მომატებულ 109 სოფელს უნდა გამოვაკლოთ კოდორის ხეობის 23 სოფელი და მივიღებთ, რომ 2002-2014 წლებში საქართველოს მოემატა 86 ახალი სოფელი.

შესაბამისად, 2002-2014 წლებში საქართველოში გაჩნდა 121 ნასოფლარი, შეიქმნა ახალი 86 სოფელი (როგორც ჩანს, დევნილი მოსახლეობის და ეკომიგრანტების სხვადასხვა ადგილას ჩასახლების შედეგად), რის შედეგადაც მივიღეთ, რომ 2002-2014 წლებში სოფლების რიცხვი საქართველოში შემცირებულია 35-ით. მაგრამ აღნიშნული რიცხვი არის 121 ნასოფლარად ქცეული და 86 ახალი სოფლების რიცხვის ბალანსი: 121-86=35.

აღნიშნული ბალანსი არ ცვლის ნასოფლარების სურათს. 121 ნასოფლარი ისევ ნასოფლარად რჩება, რაც ნიშნავს, რომ 1970-2014 წლებში საქართველოში გაჩნდა არა 1012 ნასოფლარი (977+35), არამედ - 1098 (977+121) ნასოფლარი. შესაძლებელი რომ იყოს 1970-2002 წლებში (რის შესაძლებლობასაც 1970 წლის აღწერა არ გვაძლევს) 2002-2014 წლების შესაბამისი ანალიზის ჩატარება, 1970-2002 წლებში ნასოფლარების რიცხვი აღმოჩნდებოდა არა 977, არამედ საკმაოდ მეტი. 977 სოფელიც სოფლების რიცხოვნობის ზემოთ მოტანილის მსგავსი ბალანსით არის მიღებული.

შესაბამისად, დღეისათვის საქართველოში აღრიცხული გვაქვს 3633 სოფელი და 1098 ნასოფლარი.

4.6.2. გაუკაცრიელებული სოფლები

მეშინია !

ეს სოფლები: ეს ლიქოკი, ეს არხოტი,
ცარიელა ეს პარტახი საიგავო,
მეშინია, ეს სამოთხე, ეს წალკოტი
სხვა არავინ მოვიდეს და დაიკავოს!

შქმერს სათიბზე არ დავობენ მეზობლები,
ძაღლი არ ჰყეფს, ძაღლი არ ჰყეფს ბარისახოს!
ვაითუ ვინმეს მოეწონოს ეს სოფლები,
ვაითუ ვინმე მოვიდეს და დაესახლოს!

მურმან ლებანიძე, 1971 წელი.

გაუკაცრიელებული სოფლები არის სოფლები, რომლებშიც აღარავინ არ ცხოვრობს (იხ. ცხრილი 65 და 66). ასეთი სოფლების რიცხვი საქართველოში 2002-2014 წლებში 162-დან 223-მდე, ე. ი. 140,0%-ით გაიზარდა. ყველაზე დიდი რაოდენობით გაუკაცრიელებული სოფლები გვხვდება მცხეთა-მთიანეთში. აქ ასეთი სოფლები 2002 წელს იყო 63, ხოლო 2014 წელს მათი რიცხვი გაიზარდა 75-მდე. აღნიშნული სოფლები მუნიციპალიტეტების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა: დუშეთი - 40, თიანეთი - 10, ყაზბეგი - 25.

ცხრილი 63

გაუკაცრიელებული(0 მცხოვრებით) და პატარა სოფლები საქართველოში მოსახლეობის 2002 წლის აღწერით, რეგიონების მიხედვით[136]

	სულ სოფლები	მათგან მცხოვრებთა რიცხვით			
		0	1-5	6-10	11-25
საქართველო, სულ სოფლები	3668	162	74	78	169
მოსახლეობა	2 086739	-	203	623	2863
აჭარა	333	2	-	1	-
მოსახლეობა	209 618	-	-	8	-
გურია	186	-	-	2	-
მოსახლეობა	105 826	-	-	18	-
იმერეთი	544	3	2	1	7
მოსახლეობა	375 874	-	6	7	131
კახეთი	280	6	3	4	14
მოსახლეობა	322 355	-	5	32	244
მცხეთა-მთიანეთი	567	63	54	43	82
მოსახლეობა	93 299	-	144	355	1310
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	250	-	7	5	17
მოსახლეობა	41382	-	23	41	322
სამეგრელო ზემო სვანეთი	488	22	1	7	14
მოსახლეობა	282 967	-	3	55	233
სამცხე-ჯავახეთი	258	10	0	1	2
მოსახლეობა	142 063	-	-	6	33
ქვემო ქართლი	348	15	-	3	16
მოსახლეობა	311 025	-	-	29	263
შიდა ქართლი	390	41	7	8	16
მოსახლეობა	200 727	-	22	67	318

[136] ცხრილი შედგენილია: საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები. ტომი I, თბილისი, 2003, გვ.87-91.

გაუკაცრიელებული სოფლებით მეორე ადგილზეა შიდა ქართლი, სადაც ეს სოფლები 2014 წელს შეადგენდა44-ს, (2002 წ - 41). მუნიციპალიტეტების მიხედვით სოფლები შემდეგნაირად ნაწილდება: თეთრიწყარო 13, გორი 21, ქართლი 8, კასპი 3, ხაშური 12.

ცხრილი 64

გაუკაცრიელებული(0 მცხოვრებით) და პატარა სოფლები საქართველოშიმოსახლეობის 2014 წლის აღწერითრეგიონების მიხედვით.

	სულ სოფლები	მათგან მცხოვრებთა რიცხვი			
		0	1-5	6-10	11-25
საქართველო, სულ	3633	223	157	98	221
სოფლები	1 591 181	0	412	776	3915
მოსახლეობა	322	3	4	2	4
აჭარა	149 179	0	11	14	76
მოსახლეობა	186	-	1	-	1
გურია	81 446	-	1	-	85
მოსახლეობა	536	8	5	3	17
იმერეთი	275 396	0	13	24	296
მოსახლეობა	333	53	6	3	6
კახეთი	247 057	0	12	23	94
მოსახლეობა	480	75	72	39	75
მცხეთა-მთიანეთი	73 314	0	178	320	1368
მოსახლეობა					
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	251	10	16	11	27
მოსახლეობა	25 119	0	48	88	493
სამეგრელო ზემო სვანეთი	521	7	20	17	40
მოსახლეობა	201 370	0	68	131	673
სამცხე-ჯავახეთი	259	10	3	-	2
მოსახლეობა	105 841	0	5	-	34
ქვემო ქართლი	351	13	10	9	17
მოსახლეობა	243 868	0	29	67	293
შიდა ქართლი	373	44	18	11	22
მოსახლეობა	158 171	0	40	82	372

გაუკაცრიელებული სოფლები დიდი რაოდენობითაა კახეთში. ამასთან სხვა რეგიონებისაგან განსხვავებითკახეთში ამ სოფლების რიცხოვნობის მეტად სწრაფი ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 6-დან 2002 წელს 53-მდე 2014 წელს. 53-დან 51 მოდის ახმეტის მუნიციპალიტეტზე.

გაუკაცრიელებული სოფლები მცხეთა-მთიანეთში შეადგენს სოფლების 15,6%-ს, ქვემო და შიდა ქართლში - 7,9%-ს, კახეთში - 15,9%-ს.

შედარებით მცირე რაოდენობით გაუკაცრიელებული სოფლები გვხვდებააჭარაში 3, იმერეთში 8, რაჭა-ლეჩხუმში 10, სამეგრელო ზემოსვანეთში 7, სამცხე ჯავახეთში 10.

4.6.3. პატარა სოფლები

პატარა სოფლებს მივაკუთვნეთ სოფლები 25 კაცამდე მცხოვრებით. თუ განვიხილავთ პატარა სოფლებს მათში მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით, აღმოჩნდება შემდეგი: 2002 წელს 1-5 კაციან სოფელში საშუალოდ ცხოვრობდა 2,7 კაცი, 2014 წელს - 2,6; 6-10 მცხოვრებით სოფლებში საშუალოდ ცხოვრობდა 2002 წელს 8 კაცი, 2014 წელსაც - 8 კაცი; 11-25 კაციან სოფელში 2002 წელს ცხოვრობდა საშუალოდ 16,9 კაცი, ხოლო 2014 წელს - 17,7 მცხოვრები.

მთლიანად 2002 წელს საქართველოში აღირიცხა 321 პატარა სოფელი, რომელშიც ცხოვრობდა 3 689 კაცი, ე. ი. საშუალოდ სოფელში - 11,5 კაცი. 2014 წელს აღირიცხა 476 პატარა სოფელი 5 103 მცხოვრებით, ე. ი. საშუალოდ 10,7 მცხოვრებით ერთ სოფელში. თუ გავითვალისწინებთ, რომ 2014 წელს შინამეურნეობის საშუალო სიდიდე ტოლი იყო 3,4-ის, მაშინ აღმოჩნდება, რომ ყველაზე „დიდ“ 25-კაციან სოფელში საშუალოდ არსებობდა 7,4 შინამეურნეობა, ხოლო საშუალოდ პატარა სოფელში - 3 შინამეურნეობა. ცხადია, რომ ასეთ სოფლებს პერსპექტივა არა აქვთ, რადგან ბუნებრივი გამრავლების გზით ისინი არსებობას ვერ შეინარჩუნებენ და მომავალში გაუკაცრიელებული სოფლების სიაში აღმოჩნდებიან.

რეგიონების და პატარა სოფლების საშუალო ხალხმრავლობა 2002-2014 წლებში მნიშვნელოვნად მცირდება (იხ. ცხრილი 65):

ცხრილი 65

სოფლების საშუალო ხალხმრავლობა საქართველოში 2002-2014 წლები (მცხოვრები)[137]

	საქართველო		პატარა სოფლები	
	2002	2014	2002	2014
საქართველო, სულ	569	438	11,5	10,7
აჭარა	629	463	-	10,1
გურია	569	437	-	17,2
იმერეთი	691	514	14,4	13,3
კახეთი	1151	742	13,4	8,6
მცხეთა-მთიანეთი	165	153	10,0	10,0
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	166	100	13,3	11,6
სამეგრელო-ზემო სვანეთი	580	383	13,2	11,3
სამცხე-ჯავახეთი	551	409	13,0	7,8
ქვემო ქართლი	893	695	15,4	10,8
შიდა ქართლი	513	424	13,1	9,7
სულ ქართლი	693	556	14,0	10,1

ორ აღწერას შორის პერიოდშიშემცირდა სოფლების საშუალო ხალხმრავლობა როგორც საქართველოში, ისე მის ყველა რეგიონში. ყველაზე ხალხმრავალი სოფლებია კახეთში, ყველაზე მცირერიცხოვანი რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში. იმავდროულად, 2002-2014 წლებში პატარა სოფლების რიცხვი საქართველოში 321-დან გაიზარდა 476-მდე. ყველაზე მეტი პატარა სოფელი 2014 წელს აღირიცხა მცხეთა-მთიანეთში - 186, ყველაზე ნაკლები - 5, გურიასა და სამცხე-ჯავახეთში. საყურადღებოა ის გარემოება, რომ აჭარაში 2002 წელს იყო 1 პატარა სოფელი, 2014 წელს - უკვე 10, ხოლო გურიაში შესაბამისად - 2 და 5. პატარა სოფლების რიცხვის ზრდის პარალელურად როგორც საქართველოში, ისე რეგიონებში, მცირდება პატარა სოფლების საშუალო ხალხმრავლობა.

საქართველოს მოსახლეობის აღწერებში, პატარა სოფლების შემდეგ, სოფლები ჯგუფდება მოსახლეობის შემდეგი რიცხოვნობის მიხედვით: 26-50; 51-100; 101-200; 201-500; 501- 1000; 1001-2000; 2001-3000; 3001-5000; 5000 და მეტი მცხოვრები.

[137] ცხრილი გაანგარიშებულია ცხრილ 63და ცხრილ 64-ზე დაყრდნობით.

4.6.4. დიდი სოფლები

საქართველოში დიდ სოფლებად ითვლება ის სოფლები, რომლებშიც 5 000-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. 1926 წლის აღწერით, საქართველოში იყო 2 დიდი სოფელი, 1959 წელს - 12, 1989 წელს - 21, 1970 წელს - 15. 2002 წელს- 28 და 2014 წელს 12.

რეგიონების მიხედვით დიდი სოფლები შემდეგნაირად განაწილდა:

2002 წ. 2014 წ.

საქართველო 2812
თბილისი - 1
იმერეთი - 3 2
კახეთი - 8
მცხეთა-მთიანეთი - 2 2
სამეგრელო ზემო სვანეთი - 3
ქვემო ქართლი - 115
შიდა ქართლი - 15

მუნიციპალიტეტების მიხედვით, დიდი სოფლების რიცხვი შემდეგნაირად ნაწილდება:

2002 წ. 2014 წ.

საქართველო 2812
თბილისი - 1
იმერეთი 3 2
წყალტუბოს მ-ტი 3 2
კახეთი 8 -
ახმეტის მ-ტი 1-
გურჯაანის -ტი 3 -
თელავის მ-ტი1 -
საგარეჯოს მ-ტი1 -
ყვარელის მ-ტი 2 -
მცხეთა-მთიანეთი 2 2
მცხეთის მ-ტი 22
სამეგრელო ზემო-სვანეთი 3 -
ზუგდიდის მ-ტი 3 -
ქვემო ქართლი 115
ბოლნისის მ-ტი 21

გარდაბნის მ-ტი 6 2
მარნეულის მ-ტი 3 2
შიდა ქართლი 12 -
გორის მ-ტი - 1
ქარელის მ-ტი 1 1

უნდა აღვნიშნოთ, რომ 2002-2014 წლების აღწერებს შორის პერიოდში, თბილისის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მოექცა სოფ. დიღომი 7,5 ათასი მცხოვრებით (მოსახლეობის 2014 წლის აღწერით).

დასასრულს, ინტერესმოკლებული არ იქნება მოვიტანოთ მე-19-ე საუკუნის მონაცემები თბილისის გუბერნიის სოფლების რიცხოვნობის და მათი ხალხმრავლობის შესახებ. ეს მონაცემები უნიკალურია, რამდენადაც შედგენილია 141 წლის წინ და ეკუთვნის 1880 წელს.[138]

ამ წყაროს თანახმად თბილისის გუბერნიაში აღირიცხა 600-მდე სოფელი, რომელთაგანაც მხოლოდ ორში ცხოვრობდა 100-ზე ნაკლები მცხოვრები. ესენია თბილისის მაზრაში ყარაიაზი 54 მცხოვრებით და ანთოკი 19 მცხოვრებით. მხოლოდ სამი სოფელია ისეთი, რომელშიც ცხოვრობდა 200-ზე ნაკლები მცხოვრები: ტურისციხე159, ალავერდი 121 და მარნეული 175 მცხოვრები.

რამდენადაც 600 სოფლის დაჯგუფება სიდიდის და მოსახლეობის მიხედვით ხელით პრაქტიკულად შეუძლებელია ამიტომ დავთვალეთ ჩვენი აზრით, მხოლოდ დიდი სოფლები, რომლებსაც მივაკუთვნეთ სოფლები 2 000 და მეტი მცხოვრებით. ასეთი სოფელი აღმოჩნდა 50 (სოფლების 8,3 %). ამ 50 სოფლიდან სიღნაღის მაზრაში მდებარეობდა 12 სოფელი. სიღნაღის 12 სოფლიდან 3-ში ცხოვრობდა 2-დან 3 ათასამდე მცხოვრები, 7-ში 3-დან 4 ათასამდე, ხოლო 2-ში 4 ათასი და მეტი მცხოვრები. თბილისის გუბერნიაში, სიღნაღის მაზრის, გარდა სხვა მაზრებში იყო 3 სოფელი 4 ათასი და მეტი მცხოვრებით. ერთ-ერთ მაზრაში აღრიცხულ ორ სოფელში, ფარხალში და კელიარში, ცხოვრობდა 7 ათასი მცხოვრები.

მოტანილი მონაცემების შემდეგ ძნელი არ უნდა იყოს მაშინდელი და დღევანდელი სოფლების ხალხმრავლობის შედარება მათი დროში დაშორების გათვალისწინებით და შესაბამისი დასკვნების გაკეთება.

---

[138] Сборник сведений о кавказе. Т. IX, тифлис, 1885, с. 413-437.

თავი 5. თბილისის დემოგრაფია

5.1. შობადობის დონე და დინამიკა

თბილისის მოსახლეობის შობადობის შესახებ მეტნაკლებად სანდო მონაცემები მოიპოვება „ცნობების კრებულში კავკასიის შესახებ“. მასში მოტანილი სტატისტიკა იმიტომაცაა სანდო, რომ მასში ასახულია ხუთი, 1875-1879 წლების ინფორმაცია, ხოლო შობადობის საშუალო, ხუთწლიანი კოეფიციენტები გარკვეულად დაზღვეულია შემთხვევითი მოვლენებისგან. აღნიშნული ინფორმაცია იმ მხრივაც არის ღირებული, რომ მასში ასახულია შობადობის დონეები თბილისში მცხოვრები ძირითადი ეროვნებების მიხედვით.

ცხრილი 66

შობადობის ზოგადი კოეფიციენტები თბილისში ეროვნებების მიხედვით 1875-1879 წლებში (1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით)[139]

	სულ	მათ შორის:				
		რუსები	ქართველები	სომხები	თათრები	დანარჩენი ეროვნებები
1875	33	37	40	29	9	35
1876	34	38	40	31	12	44
1877	34	38	39	29	11	44
1878	33	37	38	31	7	42
1879	36	40	40	32	14	41
1875-1879	34	38	39	30	10	41

პირველ რიგშითვალშისაცემი და საეჭვოა შობადობის 3-4-ჯერ დაბალი დონე თათრებში სხვა ეროვნებებთან შედარებით. საეჭვოა იმდენად, რამდენადაც არაბუნებრივი. აქ საქმე გვაქვს მუსულმან მოსახლეობაში შობადობის, დაბადების შემთხვევების არასრულ აღრიცხვასთან, რითაც სცოდავდა მაშინდელი საეკლესიო სტატისტიკა დაგანსაკუთრებითმუსულმანური სამღვდელოება. იმავე ცნობების კრებულის შესავალში, რომელიც ეკუთვნის კავკასიის სტატისტიკური კომიტეტის მთავარ რედაქტორს ნ.ზეიდლიცს, აღნიშნულია, რომ ნაკლებად ზუსტი

[139] Сборник сведений о Кавказе. Том IX Тифлис, 1885, с. 24.

ცნობები მიღებულია სომხურ და შემდეგ მუსულმანური სამღვდელოებიდან, იმისმიუხედავად, რომ ამ უკანასკნელთ აღნიშნული მოვალეობა დაკისრებული ჰქონდათ ამიერკავკასიის მუსულმანური სამღვდელოების სამმმართველოს 1873 წლის 5 აპრილის დებულებით.

სომეხი სამღვდელოების მიმართ გამოთქმული საყვედური გვაფიქრებინებს, რომ შობადობის დონე სომეხ მოსახლეობაშიც დაბადების შემთხვევების აღურიცხაობის გამო ხელოვნურადაა შემცირებული. რაც შეეხება შობადობის მაღალ დონეს დანარჩენ ეროვნებებში, 41,0‰, ის, როგორც „ცნობების კრებულშია“ აღნიშნული, ეკუთვნის ძირითადად უცხოელებს და ამიტომ აღნიშნული ციფრი შეიძლება იყოს შემთხვევითი, რამდენადაც დანარჩენი ეროვნებები შეადგენდა მხოლოდ 2521 კაცს. როგორც ჩანს, კრებულის ავტორს, ნ.ნადეჟდინს, კარგად ესმოდა დიდ რიცხვთა კანონის შინაარსი მასობრივ მოვლენებში კანონზომიერებების გამოვლენის შესახებ.

არსებული ინფორმაციით, შობადობის დონე ყველაზე მაღალი იყო ქართველ და შემდეგ რუს ეროვნებებში. თუ გავითვალისწინებთ თბილისის მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას 1880 წლის 1 იანვრისათვის, აღმოჩნდება, რომ თბილისის 86 455 მცხოვრებიდან 22,9% იყო რუსი, 25,8% ქართველი, 44,5% სომეხი, 3,9% თათარი და 2,9% დანარჩენი, მაშინ ცხადია, რომ შობადობის დონეს თბილისში 1875-1879 წლებში განსაზღვრავდა სომეხი მოსახლეობის რიცხოვნობა.

ცნობების კრებულში მოტანილია შობადობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საინტერესო ფაქტი. კერძოდ ის, რომ სქესთა მეორეული თანაფარდობა დაბადებისას ნორმალურზე დაბალი იყო და 100 დაბადებულ გოგოზე მოდიოდა არა 105 დაბადებული ბიჭი, არამედ 102 რომ ყველაზე მეტი ბავშვი იბადებოდა ზამთარში 29,3%, მაშინ, როდესაც გაზაფხულზე 22,5%,ზაფხულში 22,1%, შემოდგომაზე 26,1%. უკანონო შობადობა თბილისში საშუალოდ წლიურად 1875-1879 წლებში შეადგენდა დაბადებულების 3,9%, რომელიც გაცილებით დაბალი იყო რუსეთის გუბერნიის ქალაქებთან შედარებით. მაგალითად რუსეთის გუბერნიის ქალაქებში ის 37,5% აღწევდა.[140]

კაპიტალიზმის განვითარებამ საქართველოში სრულიად კანონზომიერად გამოიწვია შობადობის შემდგომი შემცირება და მე-19 საუკუნის დასასრულს, 1894-1899 წლებში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი თბილისში 26,3‰-მდე დაეცა. უკვე მაშინ გამოიკვეთა შობადობის დაბალი დონე ქალაქის მოსახლეობაში. კერძოდ ამავე წლებში შობადო-

[140] Сборник сведений о Кавказе. Том IX, с. 27.

ბა თბილისის გუბერნიაში 34,5 პრომილეს აღწევდა და 131,2%-ით აღემატებოდა თბილისის შესაბამის მაჩვენებელს (26,3‰).[141]

ცხადია, პირველი მსოფლიო ომი, რევოლუცია და მისი თანმდევი მოვლენები იმოქმედებდა შობადობისდონის შემცირებაზე, თუმცამეორე მსოფლიო ომის დასაწყისისთვის, 1939 წელს, შობადობის დონე თბილისში შეიძლება ჩავთვალოთ დამაკმაყოფილებლად 22,1‰[142], რომელიც 4,2‰-ით, ანუ 16,0% - ით ნაკლებია 1894-1899 წლების დონეზე. შობადობის დონე შემდგომწლებში მოცემულია ცხრილ 67-ში.

ცხრილი 67

შობადობის ზოგადი კოეფიციენტები საქართველოსა და თბილისში 1950-2020 წლებში (დაბადებული 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით)[143]

	საქარ-თველო სულ	მათ შორის:			%% თბილისთან		
		ქალაქი	სოფელი	თბილისი	საქარ-თველო	ქალაქი	სოფელი
1950	23,5	20,0	25,4	19,1	123,0	104,7	133,0
1960	24,7	22,2	26,6	19,7	125,4	112,7	135,0
1970	19,2	18,9	19,3	18,0	106,7	105,0	107,0
1980	17,7	17,2	18,2	15,8	112,0	108,9	115,2
1990	17,1	-	-	-	-	-	-
1995	12,1	13,1	11,0	10,0	121,0	131,1	110,0
2000	11,8	14,3	8,8	12,2	96,7	117,2	72,1
2005	11,8	14,3	8,5	13,4	88,1	106,7	63,4
2010	14,6	14,9	14,1	15,8	92,4	94,3	89,2
2015	15,9	16,8	16,0	15,6	101,9	101,3	102,6
2020	12,5	12,7	12,3	12,9	96,9	98,4	95,3

შობადობის დონე და დინამიკა არსებითად განსხვავდება საბჭოთა და პოსტსაბჭოთა საქართველოში. საბჭოთა საქართველოში: 1) შობადობის დონე უზრუნველყოფს მოსახლეობის გაფართოებულაღწარმოებას, 2) შობადობის დონე სოფელში აღემატება ქალაქის შობადობის დონეს, 3) შობადობის დონე ქალაქში მაღალია თბილისთან შედარებით, 4) შობადობის შემცირება საქართველოში იწყება 1960-იანი წლების შემდეგ.

---

141 გაანგარიშებულია: Кавказский календарь на 1901 год. Тифлис, 1900, с. 52-72

142 Численность, состав и движение населения Грузинской ССР. ТБ., 1981, с. 54.

143 ცხრილი შედგენილია: численность, состав и движение населения Грузинской ССР. ТБ., 1981, с. 50-55. საქართველოსსტატისტიკური წელიწდეული 2006. გვ. 26. ანზორ თოთაძე. თბილისის მოსახლეობა. თბ., 2017, გვ. 33.www.geostat.ge. დემოგრაფიული ვითარება საქართველოში. 2020, გვ. 30.

პოსტსაბჭოთა საქართველოში: 1) შობადობის დონე ვეღარ უზრუნველყოფს არა თუ მოსახლეობის გაფართოებულ (2010, 2015 წლების გარდა), არამედ მარტივ აღწარმოებასაც და შეესაბამება აღწარმოების შეკვეცილ რეჟიმს, რომლის პირობებშიც შვილების თაობა რიცხობრივად მშობლების თაობაზე ნაკლები იბადება და ერთი დემოგრაფიული თაობის განმავლობაში მისი შენარჩუნების შემთხვევაში, (დღეისათვის საშუალოდ 26-27 წელი) საქართველოს მოსახლეობა დეპოპულაციას, ბუნებრივი მატების შემცირების შედეგად დაიწყებს. მოკვდაობის დონე გადააჭარბებს შობადობას; 2) შეიცვალა იერარქია შობადობის დონეებს შორის. საბჭოთა საქართველოში შობადობის დონე კლებადობის მიხედვით რანჟირდებოდა შემდეგნაირად: სოფლის მოსახლეობა, სულ მოსახლეობა, ქალაქის მოსახლეობა, თბილისი. შობადობის საშუალო დონე 1950-1980 წლებში შეადგენდაშესაბამისად 22,4, 21,3, 19,6 და 18,2 პრომილეს. პოსტსაბჭოთა საქართველოში მივიღეთ რანჟირების სრულიად განსხვავებული სურათი: ქალაქის მოსახლეობა, თბილისი, სულ მოსახლეობა, სოფლის მოსახლეობა. შობადობის საშუალო დონე 1995-2020 წლებში შესაბამისად შეადგენდა: 14,4, 13,3, 13,1 და 11,8 პრომილეს. მოტანილი სტატისტიკა უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ძირითადი ძვრები, რომელიც მოხდა შობადობის დონეშიისაა, რომ პოსტსაბჭოთა საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების შედეგად ყველაზე დიდი დემოგრაფიული დარტყმა მიიღო სოფლის მოსახლეობამ და შობადობის დონით მან პირველი ადგილიდან ბოლო ადგილზე გადაინაცვლა, ხოლო ქალაქმა საერთოდ და თბილისმა დაიკავეს პირველი და მეორე ადგილი. აღნიშნული ცვლილებების შედეგად თბილისმა, რომელიც წამყვან სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ როლს თამაშობდა ქვეყანაში, დაიკავა ასევე დემოგრაფიულად დომინანტის ადგილი.

5.2. თბილისის მოსახლეობა საბჭოთამდელ და საბჭოთა პერიოდში

ისტორიული თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ არის რიგი არაპირდაპირი, ისტორიულ წყაროებზე დაფუძნებული მონაცემები, როგორიცაა მაგალითად ის, რომ 853 წელს, ბუღა-თურქის ლაშქრობის დროს თბილისში ამოწყვიტეს 50 ათასი, ხოლო ჯალალედინის ლაშქრობის დროს 100 ათასი მცხოვრები (1226 წ) და ა. შ.

მეცნიერული მიდგომა მოითხოვს და უმჯობესია დავეყრდნოთ არა ისტორიულ, არამედ სტატისტიკურ წყაროებს, თუნდაც გარკვეულად არასრულს. ეს უკანასკნელი შეეხება XIX საუკუნემდელ სტატისტიკურ ინფორმაციას.

პირველი სტატისტიკური მონაცემი თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ ეყრდნობა ქართლ-კახეთის მოსახლეობის რიცხოვნობის 1770 წლის 5 აპრილს შედგენილ ნუსხას. მოცემული წყაროს მიხედვით, ქართლ-კახეთის მოსახლეობა შეადგენდა 761,0 ათასს, მათ შორის ქალაქის 37,4, ხოლო სოფლის 723,6 ათასს. თბილისის მოსახლეობა განისაზღვრა 20,9 ათასით, რაც ქართლ-კახეთის მოსახლეობის 2,7 და ქალაქის მოსახლეობის 56,0%-ს შეადგენს.[144]

1800 წლისთვის ვ.ჯაოშვილი თბილისის მოსახლეობას ვარაუდობს 15,4 ათასს, ხოლო ა.თოთაძე 1803 წელს 15,6 ათასს. უკანასკნელი მონაცემები დაფიქსირებულია 1803 წლის თბილისის მოსახლეობის აღწერით.[145]ვ. ჯაოშვილის მიხედვით, 1820-იან წლებში თბილისის მოსახლეობა გაიზარდა 20 ათას მცხოვრებამდე, ხოლო 1832 წელს მიაღწია 25,9 ათასს.[146] 1832 წლის თბილისის მოსახლეობის შესახებ განსხვავებულ მონაცემებს იძლევა კ.ანთაძე, რომლის მიხედვითაც, 1832 წელს თბილისის მოსახლეობა 30,0 ათასით განისაზღვრებოდა.[147]

ამგვარად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თბილისის მოსახლეობა 1800-იან წლებში მერყეობდა 15-16 ათასის ფარგლებში, ხოლო 1832 წლისთვის 26-30 ათასის ფარგლებში. შესაბამისად, XIX საუკუნის პირველ მესამედში თბილისის მოსახლეობა გაიზარდა 11-14 ათასით. თუ გავასაშუალებთ მონაცემებს, აღმოჩნდება, რომ თბილისის მოსახლეობა 1800-1803 წლებში უნდა ყოფილიყო დაახლოებით 15,5 ათასი, 1832 წელს 28 ათასი, ხოლო მოსახლეობის აბსოლუტური მატება 1800-1832 წლებში 12,5 ათასი.

შემდგომი მონაცემები ქ.თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ გაგვაჩნია1864 და 1865 წლებისთვის. 1864 წლის ზამთარში (იანვარში) და 1865 წლის ზაფხულში თბილისში ჩატარდა მოსახლეობის ერთდღიანი აღწერა, რომელთა მიხედვითაც თბილისის მოსახლეობამ 60,1 და 71,1 ათასი შეადგინა.[148] როგორც წესი, თბილისის მოსახლეობა ზაფხულში სამუშაოდ ჩამოსულების შედეგად მეტი იყო, ვიდრე ზამთარ-

---

[144] ვ. ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა. თბ. 1996 წ, გვ. 31;
[145] ა. თოთაძე. თბილისის მოსახლეობა. თბ.2017 წ, გვ. 27;
[146] ვ. ჯაოშვილი. იქვე, გვ.73;
[147] კ. ანთაძე. საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში. თბ., 1973, გვ.173.
[148] კ. ანთაძე, საქართველოს მოსახლეობა XIXსაუკუნეში, თბ., 1973, გვ. 39. ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა, თბ., 1996, გვ.112;

ში, რითაც უნდა ავხსნათ ერთ წელიწადში (1864-1965) თბილისის მოსახლეობის საკმაოდ მაღალი (11 ათასი მცხოვრები) მატება. ამავე, 1864 წლის აღწერის მასალებზე დაყრდნობითთბილისის მოსახლეობის რიცხოვნობას ცნობილი ქართველი დემოგრაფი, ა.თოთაძე განსაზღვრავს 66.9 ათასით.[149] 1873 წლისთვის კ. ანთაძე თბილისის მოსახლეობას აფასებს 71,3 ათასით.[150]

თბილისში 1876 წლის 25 მარტს ჩატარდა მოსახლეობის ერთდღიანი აღწერა, რომელიც ა. თოთაძის აზრით, გამოირჩეოდა აღწერის მონაცემების დიდი საიმედოობით და ჩატარდა განსაკუთრებით სრულყოფილად და ორგანიზებულად. 1876 წლის აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით ა.თოთაძე თბილისის მოსახლეობას განსაზღვრავს 104 ათასით, რომელთაგან ქართველი იყო 21,3%, სომეხი 36,2%, რუსი 29,6%, დანარჩენი 12,9%.[151]

ქართველები საქართველოს დედაქალაქში მცხოვრებ ეროვნებებს შორის უმცირესობას წარმოადგენდნენ. თვით 1959 წლის აღწერითქართველი იყო თბილისის მოსახლეობის 48,4%, ხოლო 1970 წელს მიაღწია 57,5%. თუ გავითვალისწინებთ, რომ 1959 წელს თბილისში ცხოვრობდა 336,3 ათასი, ხოლო 1970 წელს 511,4 ათასი ქართველი, ქართველების საშუალოწლიური მატება 1959-1970 წლებში ტოლი იქნება 17,5 ათასისხოლო ქართველების რიცხოვნობა წლების მიხედვით ტოლი იქნება 1960 წელს 353,8 ათასის, 1961 წელს 371,3 ათასის. ამავე, 1961 წელსთბილისის მოსახლეობამ 732,3 ათასი შეადგინა. შესაბამისად მივიღეთ, რომ 1961 წელს ქართველები შეადგენდნენ თბილისის მოსახლეობის 50,7%. **1961 წელი არის ის წყალგამყოფი თბილისის დემოგრაფიულ ისტორიაში, როდესაც ქართველები გახდნენ თბილისის მოსახლეობის ნახევარზე მეტი.**

დავუბრუნდეთ თბილისის დემოგრაფიულ ისტორიას 1876 წელის შემდეგ. თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობის დადგენის შედარებით სანდო წყაროა საქართველოს მოსახლეობის 1886 წლის აღწერა, რომელიც ცნობილია ,,საოჯახო სიებისნ სახელწოდებით. საოჯახო სიების შედგენას თავისი ისტორია აქვს. რუსეთის იმპერიის გადაწყვეტილებით, ოსმალეთის იმპერიასთან გამწვავებული ურთიერთობის გამო, მისი მოსაზღვრე ამიერკავკასიის ტერიტორიები განთავისუფლებულნი იყვნენ სავალდებულო სამხედრო სამსახურისაგან (რეკრუტისგან), რათა ამ უკანასკნელს ადგილობრივ მოსახლეობასთან არ გაემწვავებინა

---

[149] ა.თოთაძე, თბილისის მოსახლეობა, თბ., 2017, გვ. 27;
[150] კ. ანთაძე, გვ.173;
[151] ა. თოთაძე, გვ.29.

ურთიერთობა. 1877-1878 წლებში მიმდინარეობდა რუსეთ-თურქეთის ომი, რომლის შედეგადაც საქართველოს (იმავდროულად რუსეთის იმპერიას) დაუბრუნდა ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ისტორიული მიწები: აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, იმერხევი, კოლაარტაანი (ბოლშევიკურმა რუსეთმა XX საუკუნის 20-იან წლებში „კეთილშობილური საქციელით“ ამ მიწების უდიდესი ნაწილი უკან დაუბრუნა თურქეთს და ახლაც თურქეთის ტერიტორიაზე იმყოფება).

რუსეთის იმპერიის 1886 წლის 26 მაისის კანონითსავალდებულო სამხედრო სამსახური გავრცელდა ამიერკავკასიის ადგილობრივ მოსახლეობაზეც, რასაც პროტესტის ნიშნად ადგილობრივი მოსახლეობის გამოსვლები მოჰყვა. 1886 წლის 26 მაისის კანონის გამოქვეყნებამდე სამი თვით ადრე, 1886 წლის 24 თებერვალს, რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭომ დაადგინა ამიერკავკასიის მოსახლეობის საოჯახო სიების შედგენა, რათა ეს სიები გამოქვეყნებულიყო სამხედრო ვალდებულებების კანონის განსახორციელებლად და გადასახადების გაწერის მოსაწესრიგებლად. 1886 წლის აპრილში შემუშავებული ფორმის მიხედვითიმავე წლის მაისიდან დეკემბრის მიწურულამდე შედგა ამიერკავკასიის და ნაწილობრივ ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობის საოჯახო სიები. თბილისის მოსახლეობა 1886 წელს განისაზღვრა 180,2 ათასით.[152]ამავე წელს თბილისის მოსახლეობა ვ. ჯაოშვილის მიერ განისაზღვრა 144,8 ათასით.[153] საინტერესოა,რომ ეს ორი განსხვავებული შეფასება ეყრდნობა ერთი და იგივე წყაროს.[154]

სრულიად რუსეთის 1897 წლის აღწერის შემდეგ, თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობა გვაქვს შესაბამისი აღწერებით, კერძოდ:

1897 წ. – 159,6 ათასი;
1922 წ. – 234,0 ათასი;
1926 წ. – 294,0 ათასი;
1939 წ. – 519,2 ათასი;
1959 წ. – 703,0 ათასი;
1970 წ. – 889,0 ათასი;
1979 წ. – 1066,0 ათასი;
1989 წ. – 1246,9 ათასი.

---

[152] კ. ანთაძე, საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში. თბ. 1973 წ, გვ. 35;
[153] ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა. თბ, 1996 წ, გვ. 112;
[154] Свод статистических данных о населении закавказского края, извлечённых списков 1886 г. Тифлис, 1893;სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის 1922 წლის 30 ნოემბრის აღწერის ჯამები. ნაწილი **I**, დემოგრაფია. ნაკვეთი 2. თბ., 1923 წ., გვ.4.

თბილისის მოსახლეობამ მილიონს გადააჭარბა 1975 წელს, როდესაც მისი მოსახლეობა გახდა 1003,8 ათასი. უნდა აღვნიშნოთ, რომ 1950 წლიდან მონაცემები თბილისის მოსახლეობის შესახებ გვაქვს ყოველწლიურად. ასევეგვაქვს მონაცემები მისი მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შესახებ, რაც საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ თბილისის მოსახლეობის ზრდაში ბუნებრივი და მიგრაციული მოძრაობის როლი. პოსტსაბჭოთა საქართველოში ჩამოყალიბდა სრულიად განსხვავებული, ახალი რეალობა, რომელიც აისახა თბილისის მოსახლეობაზე და საჭიროებს ცალკე განხილვას.

5.3. თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობა პოსტსაბჭოთა საქართველოში

ფაქტობრივად პოსტსაბჭოთა საქართველოს ისტორია იწყება საბჭოთა (რუსეთის) იმპერიის მიერ თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომიტინგეთა დარბევისას გამართული ხოცვა-ჟლეტის შემდეგ, რასაც მალევე მოჰყვა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. პოსტსაბჭოთა საქართველოს დემოგრაფიული ტრანსფორმაცია აისახება, როგორც მთლიანად საქართველოს, ასევე თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობის კლებაში.

თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა განსხვავდება საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკისაგან. საქართველოს მოსახლეობა შემცირებას იწყებს 1993 წლიდან, თბილისის 1995 წლიდან. უფრო მეტი, 1989 – 1994 წლებში თბილისის მოსახლეობა 1246,9 ათასიდან გაიზარდა1250,7 ათასამდე ხოლო 1995 წლისათვის შემცირდა 1205,2 ათასამდე, ე.ი. 45,5 ათასით. 1995 წლიდან 2005 წლამდე პერიოდში თბილისის მოსახლეობა კლებას განიცდის, ხოლო 2005 წლიდან მატებას. თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობა და მისი დინამიკა 5 წლიანი ინტერვალებით, მოსახლეობის მატების კომპონენტებით მოტანილია ქვემოთ ცხრილში.

ცხრილი 68

თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობა და აბსოლუტური მატება 1995 – 2020 წლებში[155] (ათასი)

	მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი)	მატება პერიოდში + -	მათ შორის	
			ბუნებრივი + - მატება	მიგრაციული + - მატება
1995	1205,3	-	-	-
2000	1072,8	-132,5	-1,44	-131,06
2005	1067,2	-5,6	7,08	-12,68
2010	1100,0	32,8	12,21	20,59
2015	1115,7	15,7	21,16	-5,46
2020	1184,8	69,1	19,63	49,47
1995-2020	-	-20,5	58,64	-79,14

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ 1995 – 2020 წლებში საქართველოს ქალაქის მოსახლეობა შემცირდა 14,3%-ით, მაშინ, როდესაც ქვეყნის მთელი მოსახლეობა - 21,6%-ით. მოცემულ პერიოდში ქვეყნის მოსახლეობის შემცირების უდიდესი ნაწილი მოდის სოფლის მოსახლეობაზე, რომელიც მოცემულ პერიოდში შემცირდა 30,2%-ით. თუ მოტანილ შეფარდებით სტატისტიკურ მაჩვენებლებს გადავიტანთ აბსოლუტურში, მივიღებთ, რომ უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე, საქართველოს მოსახლეობა შემცირდა 1026,3 ათასით, მათ შორის: ქალაქის მოსახლეობის შემცირებაზე მოდის 367,3 ათასი, ე. ი. 35,8%, ხოლო სოფლის მოსახლეობაზე 658,0 ათასი, ე. ი. 64,2%.

თბილისი თავისი პრივილეგირებული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის შედეგად ყველაზე ნაკლებად დაზარალდა. მართალია, თბილისის მოსახლეობის საკმაო ნაწილმა საზღვარგარეთს მიაშურა ლუკმა-პურის საძიებლად, მაგრამ თბილისი გარკვეულად შეივსო აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან რუსეთის მიერ მოწყობილი ეთნოკონფლიქტების შედეგად დევნილი მოსახლეობით, ასევე საქართველოს სოფლებიდან და ქალაქებიდან თბილისში ჩამოსულებით, რომლებიც დედაქალაქში ეძებდნენ საარსებო საშუალებას. შედეგად, თბილისის მოსახლეობა 1995-2020 წლებში 1205,2 ათასიდან შემცირდა 1184,8 ათასამდე, ე.ი.მხოლოდ 20,4 ათასით (1,7%-ით). თუ გავითვალის-

[155] ცხრილი გაანგარიშებულია საქსტატის მონაცემების საფუძველზე.

წინებთ იმასაც, რომ 2020 წლისთვის თბილისის მუნიციპალიტეტში შემავალი სასოფლო დასახლებები ითვლიდა 30,5 ათას მცხოვრებს, მაშინ საკუთრივ თბილისის მოსახლეობა ტოლი იქნება 1154,3 ათასის და არა 1184,8 ათასის (1184,8-30,5). მაშინ მივიღებთ, რომ 1995 – 2020 წლებში საკუთრივ თბილისის მოსახლეობა შემცირებულა 50,9 ათასით (1205,2 – 1154,3) და არა 20,4 ათასით (1205,2 – 1184,8). შესაბამისად, შემცირება პროცენტულადაც იქნება 4,2% და არა 1,7%. ნებისმიერ შემთხვევაში, თბილისის მოსახლეობა ყველაზე ნაკლებადაა შემცირებული.

განხილულ პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა ისეთი ქალაქების მოსახლეობა, როგორიცაა ქუთაისი, რუსთავი და ბათუმი, განსაკუთრებით ქუთაისი. ქუთაისის მოსახლეობა 1995 – 2020 წლებში შემცირდა 227,9-დან 169,1 ათასამდე, ე.ი. 25,8%-ით, მაშინ, როდესაც რუსთავის მოსახლეობა 155,5-დან 135,2 ათასამდე, ე.ი. 13,0%-ით, ხოლო ბათუმის მოსახლეობა 144,8 ათასიდან 128,7 ათასამდე, ე.ი. 11.0%-ით.

ჩვენ მიმოვიხილეთ საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა და მისი რეგიონალური დიფერენციაცია 220 წლის განმავლობაში, 1800-დან 2020 წლის ჩათვლით. განხილული პერიოდი, რომელიც ორ საუკუნეზე მეტს მოიცავს, სხვადასხვა ეპოქებისგან შედგება, რომელიც განაპირობებს განსხვავებულ რეგიონალიზაციას და შესაბამის სტატისტიკურ ინფორმაციას, რომელიც განსხვავდება ეპოქების მიხედვითპირველ რიგშიმათი საიმედოობის თვალსაზრისით.

დ ა ს კ ვ ნ ა

საბჭოთამდელი და საბჭოთა საქართველო

შობადობის შიგაოჯახური რეგულირების გავრცელება საქართველოში იწყება XIX საუკუნის დასაწყისიდან. შობადობის შესახებ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების პუბლიკაციები, რომელიც ეყრდნობა საეკლესიო აღრიცხვას, საქართველოში იწყება XIX საუკუნის შუა პერიოდიდან, რომელიცმართალიადაზღვეული არ იყო ხარვეზებისგან (აღურიცხაობისგან) მაგრამ ობიექტის საკმაოდ სრული დახასიათების საშუალებას იძლევა. გამოქვეყნებული მასალების ნაკლი ასახავდა მაშინდელი საეკლესიო სტატისტიკის ნაკლს.

ჩვენიკვლევის თანახმად, შობადობის დონე საქართველოში XIX საუკუნის დასაწყისიდან 80-იან წლებამდე 40,0‰-ზე ნაკლები არ იყო. შობადობის დონე ამის შემდეგაც არ ამჟღავნებს შემცირების ტენდენციას და 1860-იანი წლების დასაწყისისთვისაც დაახლოებით იმავე 40,0‰ დონის ფარგლებში იმყოფება. ამასთან დადგინდა, რომ თბილისის გუბერნიის მაზრების მიხედვით ადგილი აქვს შობადობის დონეების დიფერენციაციას.

საქართველო XIX საუკუნეში შობადობის დაბალი დონით ხასიათდებოდა მეზობელ სომხეთთან, აზერბაიჯანთან და რუსეთთან შედარებით, რისი ერთ-ერთი მთავარი მიზეზია საქართველოს მცირემიწიანობა და აგრარულ ურთიერთობათა ხასიათი, კერძოდ, საქართველოში გავრცელებული მიწათსარგებლობის საეზოვე სისტემა, მეზობლებისგან განსხვავებით, სადაც გავრცელებული იყო სათემო მიწათსარგებლობა(მიწების პერიოდული გადანაწილებით).

შობადობის შემცირება საქართველოში იწყება 1861-1865 წლიდან. კერძოდშობადობის ზოგადი კოეფიციენტი 1861-1865 წლებში 40,2‰-დან 1876-1880 წლებში შემცირდა 37,3‰-მდე. შობადობის დაცემის ტემპი საუკუნის ბოლოს მეტად დაჩქარდა. 1880-1900 წლებში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი 37,3‰-დან შემცირდა 30,9‰-მდე, ე.ი. 16,2%-ით. 1900-1913 წლებში შობადობის დონე შემცირდა 28,1‰-მდე. შობადობის ასეთი შემცირება, რა თქმა უნდა, საქართველოში რეფორმის (საგლეხო) შემდგომ პერიოდში კაპიტალიზმის განვითარების შედეგი იყო.

პირველი მსოფლიო ომის, რევოლუციისა და იმ წლების ყველა მოვლენის შედეგად შობადობის დონე საქართველოში შემცირდა. საკომპენსაციო პერიოდი 1922-1923 წლიდან იწყება, ხოლო 1926 წელს შობადობის დონემ (33,2‰) მნიშვნელოვნად გადააჭარბა ომამდელ დონეს. XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში როგორც შობადობა, ისე მოკვდაობა დასავლეთ საქართველოში დაბალი იყო აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით, ხოლო ბუნებრივი მატება მაღალი, რასაც დასავლეთ საქართველოში არსებული მცირემიწიანობითა და კაპიტალიზმის განვითარებით ხსნიან. საკომპენსაციო პერიოდის ამაღლების შემდეგ შობადობის დონე საქართველოში მცირდება 1940 წელს 27,4‰-მდე, 1950 წელს 23,5‰-მდე ხოლო 1950-1960 წლებში ისევ იზრდება23,5 – 25,0‰-მდე.

შობადობის დონის ყველაზე მნიშვნელოვანი შემცირება საქართველოში იწყება 1960 წლიდან და გრძელდება დღემდე. ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ 1959-1989 წლებში შობადობის დონის შემცირების 96% მოდის ოჯახში ბავშვთაშობის ინტენსივობის შემცირებაზე და მხოლოდ 4,0% რეპროდუქციული (15-49 წლის) ასაკის ქალების ასაკობრივი სტრუქტურის გაუარესებაზე. აბსოლუტურ სიდიდეებში, დაბადებულთა რიცხვი 1959-1989 წლებში 7,7 ათასით შემცირდა, რომელთაგან 7,4 ათასი მოდის შობადობის ინტენსივობის შემცირებაზე და მხოლოდ 0,3 ათასი ასაკობრივი სტრუქტურის გაუარესების ხარჯზე. მართალია, ასაკობრივი სტრუქტურა 1959-1989 წლებში უმნიშვნელოდ გაუარესდა, მაგრამ 1970-1989 წლებში დადებითი ტენდენციებით ხასიათდება. კერძოდ, რომ არა ასაკობრივი სტრუქტურის გაუმჯობესება, საქართველოში 1979 წელს 89,8 ათასი ბავშვის ნაცვლად დაიბადებოდა 84,4 ათასი, ხოლო 1989 წელს 91,1 ათასის ნაცვლად 71,6 ათასი.

ფართო ხასიათს იღებს შობადობის შეზღუდვის გავრცელება. თუ 1959 წელს საქართველოში რეალიზდებოდა შობადობის ჰიპოთეზური(-ბუნებრივი) დონის 47,9%, 1989 წელს მხოლოდ 36,2%. შობადობის შეზღუდვის პარალელურად ადგილი აქვს შობადობის ზრდას 15-24 წლის ასაკის ქალებში. დაბადებულებში იზრდება 1-2-ე ბავშვების და მცირდება მესამე და მეტი რიგითობის ბავშვების ხვედრიწილი. მშობლების საშუალო ასაკი 28 წლიდან შემცირდა 25,1 წლამდე.

საქართველოში არსებობს შობადობის დონის მნიშვნელოვანი დიფერენციაცია

ეროვნებების მიხედვით. ამასთან, 1959-1989 წლებში მიმდინარეობს სხვადასხვა ეროვნების შობადობის დონეებს შორის არსებული

განსხვავებების გამოთანაბრება. ვარიაციის კოეფიციენტი განხილული პერიოდის მანძილზე 2,6-ჯერ შემცირდა.

ეროვნული ფაქტორი საქართველოში ზრდის შობადობის დონეს. შობადობის სპეციალური კოეფიციენტი ქართველებში 1989 წელს 64,1‰, ხოლო დანარჩენ მოსახლეობაში 83,7% ტოლია. რაც შეეხება შერეულ ქორწინებას, ჩვენი გამოკვლევით დადგინდა, რომ იგი უარყოფითად მოქმედებს შობადობის დონეზე.

დაბადებულთა განაწილებამ კაცებისა და ქალების მიხედვით აჩვენა, რომ დაბადებულთა რიცხვი 15-19 წლის ყოველ 1000 ქალზე გაანგარიშებით 9,5-ჯერ, ხოლო 20-24 წლის ასაკში - 1,9-ჯერ აღემატება შესაბამის მაჩვენებლებს კაცებში. 25 წლის ასაკის შემდეგ კი, პირიქით, დაბადებულთა რიცხვი 1000 კაცზე გაანგარიშებით აღემატება დაბადებულთა რიცხვს 1000 ქალზე გაანგარიშებით.

ანალიზით დადგინდა, რომ განათლების ფაქტორი, ქალებთან შედარებით უფრო ძლიერად მოქმედებს კაცების რეპროდუქციულ ქცევაზე. „შობადობის“ ჯამური კოეფიციენტების ვარიაციამ კაცებში 1989 წელს განათლების მიხედვით 2,6%, ხოლო ქალებში 6,3% შეადგინა. შობადობის დონე განსხვავდება დასაქმებისა და შრომის ხასიათის მიხედვით. კერძოდ, შობადობა დაუსაქმებელ ქალებში 1,14-ჯერ ჭარბობს შობადობას დასაქმებულ ქალებში, კაცებში კი, პირიქით. შრომის ხასიათი გავლენას ახდენს შობადობის დონეზე. კერძოდ, შობადობის ჯამური კოეფიციენტი ფიზიკური შრომით დასაქმებულ ქალებში 11,7%-ით მეტია გონებრივი შრომით დასაქმებული ქალების ანალოგიურ მაჩვენებელზე, რასაც კაცებში ადგილი არა აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ შრომის ხასიათი კაცების რეპროდუქციული ქცევის დიფერენციაციაზე გავლენას ვერ ახდენს.

პოსტსაბჭოთა საქართველო

პოსტსაბჭოთა საქართველოში დაწყებულმა საყოველთაო კრიზისმა მკვეთრად გაამწვავა დემოგრაფიული ვითარება, რასაც მოჰყვა დემოგრაფიული კრიზისი. ამის შესახებ ჩვენ ვწერდით კიდევაც 1990-იანი წლების დასაწყისში, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას აუცილებლად მოჰყვებოდა ნეგატიური მოვლენები, რომელსაც ადგილი არ ექნებოდა, ის რომ მომხდარიყო არა კრიზისულ, არამედ ნორმალურ პირობებში, თანდათანობით, ახლის მშენებლობის და იმავდროულად ძველის ნგრევის პირობებში.

დემოგრაფიული კრიზისი საქართველოში დაიწყო მყისიერად1992 წლის შემდეგ, რაც გამოიხატა შობადობის შემცირებაში და გარეემიგრაციის მანამდე არნახული მასშტაბების შედეგად მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირებაში. 1992 წლის შემდეგ (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) შობადობის დონე ვერ უზრუნველყოფდა მოსახლეობის მარტივ აღწარმოებასაც კი. შობადობის დონემ საქართველოში ყველაზე დაბალ ნიშნულს, 11,3%0მიაღწია 2000-2002 წელს და დაახლოებით ასეთ დონეზე დარჩა 2007 წლამდე. ამ წლებში ბუნებრივი მატების კოეფიციენტი ფაქტობრივად ნულის ტოლი გახდა. ეს წლებია საქართველოსთვის „დემოგრაფიულად უნაყოფო წლები“. 2009-2017 წლებში შობადობამ მოიმატა და აკმაყოფილებდა მოსახლეობის მარტივი აღწარმოების მოთხოვნებს. შობადობაზე უარყოფითი გავლენა იქონია კოვიდ-პიდემიამ. 2019-2020 წლებში დაბადებულთა რიცხვი 1,8 ათასით შემცირდა.

პოსტსაბჭოთა საქართველოში, 1990-იანი წლების შემდეგ სახეზე გვაქვს შობადობასთან დაკავშირებული საქართველოს დემოგრაფიულ ისტორიაში არსებული უპრეცედენტო მდგომარეობა. კერძოდ, 1995 წლიდან დაწყებული (ერთი ორი გამონაკლისის გარდა), **შობადობის ზოგადი კოეფიციენტი** ქალაქად აღემატება ანალოგიურ მაჩვენებელს სოფლად, რომელიც ჩვენი აზრით სოფლის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის გაუარესებით უნდა აიხსნას. იმავდროულად, არაორდინარული მდგომარეობა ჩამოყალიბდა ასაკობრივი შობადობის დინამიკაში. საბჭოთამდელ პერიოდში შობადობის საერთო დონის შემცირება მიმდინარეობდა ახალგაზრდა, 15-24 წლის ქალებში შობადობის ზრდის და 25 წლის შემდგომ ასაკებში შობადობის შემცირების ფონზე. პოსტსაბჭოთა პერიოდში შობადობის საერთო დონის შემცირება მიმდინარეობს პირიქით: 15-24 წლის ასაკებში შობადობის შემცირების და 25-49 წლის ასაკებში შობადობის ზრდის ფონზე. კერძოდ, 1989-2020 წლებში შობადობის დონე ასაკის ზრდასთან ერთად პარალელურად იზრდება და შეადგენს:

25 – 29 წელი - 111,0%;

30 – 34 წელი - 142,7%;

35 – 39 წელი - 196,5%;

40 - 44 წელი - 233,3%;

45 – 49 წელი - 425,0%.

შობადობის დონის ასეთი დინამიკა საქართველოს დემოგრაფიულ სტატისტიკას არ დაუფიქსირებია და მისი ახსნა სტატისტიკურად შეუძლებელია. ასევე, შეუძლებელია აიხსნას, 2000 წლიდან დაწყებული, თუ

რატომ აღემატება შობადობა 30-34 წლის ასაკში შობადობას 15-19 წლის ასაკში, რასაც მანამდე ადგილი არ ჰქონია. მოცემულმა მეტობამ 2020 წელს შეადგინა 300,0%, ე. ი. სამჯერადი სხვაობა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ: **საბჭოთა პერიოდთან შედარებით შეიცვალა ცხოვრების სტანდარტი. საბჭოთა პერიოდში ბავშვების სასურველი რიცხვი ჩნდებოდა ახალგაზრდა ასაკში, რის შემდეგაც დრო ეთმობოდა დასაქმებას და კარიერას. პოსტსაბჭოთა პერიოდში დასქმებას და კარიერულ წინსვლას ეთმობა ახალგაზრდა წლები, ხოლო შვილიანობას - უფროსი ასაკი.**

პოსტსაბჭოთა პერიოდში შობადობაზე მოქმედი ისეთი ფაქტორი, როგორიცაა რეპროდუქციული ასაკის ქალების ასაკობრივი სტრუქტურა, შობადობის დონეზე დადებით გავლენას ახდენს. კერძოდ, ჩვენს მიერ ჩატარებული საინდექსო ანალიზით დადგინდა, რომ 1989-2020 წლებში რომ არა ასაკობრივი სტრუქტურის გაუმჯობესება, დაიბადებოდა არა 44,6 ათასით, არამედ 67,4 ათასით ნაკლები ბავშვი, ხოლო 2020 წელს მივიღებდით არა დადებით, არამედ 26,8 ათას უარყოფით ბუნებრივ მატებას.

სტუდენტთა რეპროდუქციული და ქორწინებითი განწყობა

სტუდენტთა რეპროდუქციული განწყობის შესწავლამ აჩვენა, რომ ბავშვთა საშუალო სასურველმა რიცხვმა შეადგინა 2.97, ხოლო მოსალოდნელმა 2,83. ორივე აკმაყოფილებს მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების მოთხოვნებს.

სტუდენტების რეპროდუქციულ განწყობაზე მოქმედი ფაქტორებიდან ჩვენს მიერ

შესწავლილი იქნა: სქესი, ასაკი, დაბადების ადგილი, ქორწინების სტატუსი, ეროვნება, შემოსავალი და რელიგიურეობა.

სქესის მიხედვით რეპროდუქციული განწყობა საკმაოდ უახლოვდება ერთმანეთს. კერძოდ, ბავშვების საშუალო სასურველი რიცხვი ქალებისა და კაცებისთვის იდენტურია და შეადგენს 2,97. ბავშვების საშუალო მოსალოდნელი რიცხვი ქალებში ოდნავ მაღალია და ტოლია 2,83-ის, ხოლო კაცებში 2,81-ის.

დემოგრაფიული მოვლენები იცვლება ასაკის ზრდასთან ერთად. ასაკი წარმოადგენს დემოგრაფიული მოვლენების მთავარ კოორდინატორს. ჩვენი კვლევით აღმოჩნდა, რომ ბავშვების სასურველი რიცხვი აღემატება მოსალოდნელს ყველა ასაკში. ასევე, ყველა ასაკში სტუ-

დენტთა ორიენტაციები მიმართულია მეორე და მესამე შვილის ყოლისკენ. მეორე და მესამე შვილების ხვედრიწილი ბავშვების სასურველ რიცხვში შეადგენს 69,2%, ხოლო მოსალოდნელში 74,0%, მაშინ როდესაც ბავშვების სასურველ რიცხვში პირველი ბავშვების წილი ტოლია 4,4%-ის, ხოლო მოსალოდნელში 5,4%-ის. დემოგრაფიული რეალობა აღნიშნული სიტუაციის საპირისპიროა. კერძოდ, საქსტატის მონაცემებით, 2020 წელს დაბადებულებში მეორე და მესამე ბავშვების წილი შეადგენდა 56,5%-ს, ხოლო პირველების - 37,9%-ს.

რამდენადაც ჯერ კიდევ არსებობს განსხვავებები ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ და ყოფიერებით სფეროში, ამდენად ის არ შეიძლება არ აისახოს როგორც შობადობის დონეზე, ასევე რეპროდუქციულ განწყობაზე. ქალაქთან შედარებით მაღალია სოფლად ბავშვთა როგორც საშუალო სასურველი რიცხვი (3,03/2,87), ისე მოსალოდნელი - (2,95/2,81). საპირისპირო კანონზომიერებებია პირველ ბავშვთა წილის შემთხვევაში, ქალაქში დაბადებულებისთვის სასურველ ბავშვებში პირველი შვილი შეადგენს 5,7%, ხოლო სოფლად დაბადებულებისთვის - 0,8%. ბავშვების მოსალოდნელ რიცხვში პროპორციაა როგორც 6,5-2,5 პროცენტთან.

სტუდენტთა რეპროდუქციული განწყობა განსხვავდება ქორწინების სტატუსის მიხედვითაც. ბავშვების საშუალო სასურველი რიცხვი დაქორწინებულებში ტოლია 2,89-ის, მოსალოდნელი - 2,68-ის. დაუქორწინებლებში შესაბამისად - 2,98 და 2,84. ბავშვების როგორც სასურველი, ასევე მოსალოდნელი რიცხვი დაუქორწინებლებში მაღალია დაქორწინებულებთან შედარებით.

რეპროდუქციულ განწყობაზე მატერიალური მდგომარეობის გავლენა დავახასიათეთ ოჯახის შემოსავლით. საყოველთაოდ დადგენილია, რომ ცხოვრების დონის ზრდის პარალელურად მცირდება შობადობის დონე, რაც უცვლელია ყველა დროში და ყველა ქვეყანაში. ჩვენი კვლევის შედეგებმა კი აჩვენა ამ კანონზომიერებიდან გადახრა. შემოსავლების ზრდის კვალობაზე პარალელურად არ მცირდება ბავშვების არც სასურველი, არც მოსალოდნელი რიცხვი. ამ ასპექტით ერთადერთი კანონზომიერება ისაა, რომ შვილიანობის მაჩვენებლები ყველაზე დაბალია მაღალშემოსავლიან რესპონდენტებში, დაბალშემოსავლიან და საშუალოშემოსავლიან რესპოდენტებთან შედარებით. შვილიანობის მაჩვენებლები საშუალოშემოსავლიან რესპოდენტებში უტოლდება დაბალშემოსავლიანების ანალოგიურ მაჩვენებლებს ბავშვების სასურველი რიცხვის შემთხვევაში.

რეპროდუქციულ განწყობასა და შობადობაზე მოქმედი ერთ-ერთი გამოკვეთილი ფაქტორია რელიგიური ფაქტორი, რაც დაადასტურა ჩვენი კვლევის შედეგებმაც. კვლევამ დაადგინა მნიშვნელოვანი განსხვავებები რეპროდუქციულ განწყობაში რელიგიურ და არარელიგიურ რესპონდენტებს შორის. ბავშვების საშუალო სასურველი რიცხვი რელიგიურ სტუდენტებს შორის შეადგენს 3,01, არარელიგიურებში 2,77. ბავშვების საშუალო მოსალოდნელი რიცხვი შესაბამისად შეადგენს2,87 და 2,61, ე.ი. განსხვავებები რეპროდუქციულ განწყობაში რელიგიური ნიშნით თვალშისაცემია.

რელიგიური ფაქტორი შობადობის დონეზე მოქმედებს.კონკრეტულად მხედველობაში გვაქვს მუსულმანური რელიგია, რომლის მიმდევრებიც მსოფლიოში ყოველთვის გამოირჩეოდნენ და გამოირჩევიან შობადობის მაღალი დონით. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ შობადობის ყველაზე მაღალი დონით საქართველოში ხასიათდება აჭარა და ქვემო ქართლი, სადაც მუსულმანური მოსახლეობა მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, მათ შორის აჭარაში 38,9%, ხოლო ქვემო ქართლში 43,0%.

რეპროდუქციული განწყობის და შობადობის ეთნიკურ-რელიგიურ ასპექტში განხილვის შემდეგ, გარკვეული სიფრთხილით შეიძლება დავასკვნათ, რომ

საქართველოში შობადობის დონეზეეთნიკურთან შედარებით, გაცილებით ძლიერ გავლენას ახდენს რელიგიური ფაქტორი.

ბავშვთა რიცხვი ოჯახებში თაობიდან თაობამდე მცირდება. კერძოდ, რესპონდენტების პაპა-ბებიების ყოველ 100 ოჯახს საშუალოდ ჰყავდა 383 ბავშვი, მშობლებს - 330 (53-ით ნაკლები), ხოლო თვით რესპონდენტების მოსალოდნელი (დაგეგმილი) ბავშვთა რიცხვი არის 300.

სტუდენტები ორიენტირებული არიან სამ-შვილიან ოჯახზე. შვილიანობის დაგეგმვისას გათვალისწინებული ფაქტორებიდან ყველაზე მაღალი შეფასება - 5 ქულა, დაახლოებით 40,0%-მა მისცა 3 ბავშვს, 2 ბავშვს დაახლოებით 30,0%-მა. მეტად არასასურველია ის ფაქტი, რომ სტუდენტების 5,0%-ს არ სურს არცერთი შვილის ყოლა.

კვლევის შედეგად დადგინდა საოცრად შემაშფოთებელი ფაქტი: გამოკითხულთა მხოლოდ 60,0% აღნიშნა, რომ ნარკოტიკების მოხმარება ამცირებს შვილიანობას, ხოლო 40,0% აზრით, ნარკოტიკების მოხმარება შვილიანობაზე ზეგავლენას არ ახდენს. აქედან გამომდინარე შეიძლება ვიფიქროთ რომ სამწუხაროდ, ახალგაზრდების საკმაოდ დიდი ნაწილი ვერ აცნობიერებს ნარკოტიკების მავნებლობას.

რეპროდუქციული განწყობის ფორმირებაზე ოჯახის წევრების გავლენა დააფიქსირა გამოკითხულთა 98,0%-მა, მედიის გავლენა 69,1%, მოძღვარი 68,6%, დემოგრაფიული პოლიტიკა 68,6%, მეგობრის აზრი 68,8%. ყველაზე მეტი ბავშვი სურთ საშუალოშემოსავლიან სტუდენტებს (70-78%).

რესპონდენტების 66,0%-მა მხარი დაუჭირა ბავშვის გაჩენას რეგისტრირებული ქორწინებით შექმნილ ოჯახში. ჯვარდაწერილი ან სხვა რელიგიური წესით დაკავშირებული წყვილების ოჯახში ბავშვის დაბადებას მხარი დაუჭირა 27,0%-მა, ხოლო ქორწინების გარეშე დაბადებას 7,0%-მა.

ქორწინების საუკეთესო საშუალო ასაკად სტუდენტებმა დაასახელეს 26 წელი.

შობადობა რეგიონების მიხედვით

რეგიონული დემოგრაფიული პროცესების საფუძვლიანი კვლევა დაიწყო პოსტსაბჭოთა პერიოდში. შობადობის დონის დინამიკა წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. შობადობის კოეფიციენტი 1995-2005 წლებში ყველგან მცირდება სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის გარდა, სადაც მაჩვენებლის უმნიშვნელო ზრდასაც კი აქვს ადგილი. შიდა ქართლში მაჩვენებელი პრაქტიკულად უცვლელია. შობადობა 1995-2005 წლებში ყველაზე მეტად, 41,5%-ით მცირდება რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში. უფრო ნაკლებად, 25-26,0%-ით, მცირდება მაჩვენებელი გურიაში, იმერეთში და სამეგრელო ზემო სვანეთში. ყველაზე ნაკლებად, 10-16,0%-ით შემცირდა შობადობა აჭარაში, კახეთში და მცხეთა მთიანეთში. შობადობის დონე უცვლელი დარჩა შიდა ქართლში, ხოლო მის ზრდას ადგილი აქვს სამცხე-ჯავახეთში108,1%-ით და ქვემო ქართლში - 121,4%-ით.

1995-2005 წლებში შობადობის შემცირებას მოჰყვა მისი საკომპენსაციო ზრდა 2005-2015 წლებში ყველა რეგიონში, ხოლო შემდგომ, 2015-2020 წლებზემოდის შემდგომი შემცირების ტალღა, რომელიც განსაკუთრებით გამოიკვეთა 2019-2020 წლებში კოვიდეპიდემიის გავლენით.

საქართველოს რეგიონებიდან შობადობის მაღალი დონით ყოველთვის გამოირჩეოდა აჭარა, რომელიცროგორც ჩანს, მისი მოსახლეობის კონფესიური შემადგენლობით უნდა აიხსნას.

ყველა საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ საქართველოს დემოგრაფიულ ვითარებას გაცილებით მძიმე და დიდი დარტყმა მიაყენა 1990-იანი წლების კრიზისმა, ვიდრე მეორე მსოფლიო ომმა.

შობადობის დონეები აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში თანაბარია.

მოსახლეობის რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით

მე-19 საუკუნეში საქართველოს და მისი რეგიონების მოსახლეობა, სამეგრელო-ზემო სვანეთის და აფხაზეთის გარდა, ორჯერ გაიზარდა. მე-20 საუკუნეში საქართველოში მოსახლეობის ზრდა ორჯერ შეფერხდა I და II მსოფლიო ომების შედეგად. 1913 წლის მოსახლეობის რიცხოვნობა საქართველომ აღიდგინა 1924-1925 წლებში, ხოლო 1940 წლის რიცხოვნობა - 1951-1952 წლებში. მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში მოსახლეობა შემცირდა მხოლოდ მესხეთსა და რაჭა-ლეჩხუმში, მესხეთიდან მეორე მსოფლიო ომის დროს მუსულმანი მოსახლეობის გასახლების შედეგად, რომლებსაც ბრალად ედებოდათ გერმანიის მოკავშირის - თურქეთისადმი სიმპათიები, ხოლო რაჭა-ლეჩხუმი - მიგრაციის შედეგად. მე-20 საუკუნეში საქართველოს და მისი რეგიონების მოსახლეობა იზრდებოდა, რომელიც პოსტსაბჭოთა საქართველოში შეიცვალა მოსახლეობის საყოველთაო კლებით, ნასოფლარების, გაუკაცრიელებული და პატარა სოფლების რაოდენობის ზრდით და დიდი სოფლების რაოდენობის შემცირებით.

განსაკუთრებით გამოირჩევა ქ. თბილისი, რომელმაც პოსტსაბჭოთა პერიოდში სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ გავლენებთან ერთად, შობადობის დონის მიხედვით საქართველოში დაიკავა დემოგრაფიული დომინანტის როლიც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანთაძე კ. საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში. თბ., 1973.
2. ბაკურაძე ა. იმერეთის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის, შემადგენლობის და ბუნებრივი მოძრაობის დინამიკა მე-19 და მე-20 საუკუნეებში (ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი). საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი. თბ., 2004.
3. გუგუშვილი პ. საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების საკითხები. თბ., 1973.
4. დემოგრაფიული ვითარება საქართველოში. 2019, თბ., 2020.
5. დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 2020, თბ., 2021.
6. თოთაძე ა. საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი. თბ., 1993.
7. თოთაძე ა. საქართველოს მოსახლეობა მეორე და მესამე ათასწლეულების მიჯნაზე. თბ., 1999.
8. თოთაძე ა. აჭარის მოსახლეობა. თბ., 2012.
9. თოთაძე ა. გურიის მოსახლეობა. თბ., 2014.
10. თოთაძე ა. კახეთის მოსახლეობა. თბ., 2014.
11. თოთაძე ა. თბილისის მოსახლეობა. თბ., 2017.
12. ირემაშვილი ი. სოფლის ეკონომიური მიმოხილვა. ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი“, 20 დეკემბერი, 1918, №6.
13. კარბელაშვილი ლ. ჩვენი მოსახლეობის ზრდის პრობლემა. ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი“. 1928, №11-12.
14. ლორთქიფანიძე ვ. სამცხე-ჯავახეთი XIX-XX სს. დემოგრაფიული განვითარების პრობლემები. თბ., 1998.
15. ლორთქიფანიძე ვ. ისტორიული მესხეთი. დემოგრაფიული განვითარების პრობლემები. თბ., 1998.
16. მენაბდიშვილი ნ. სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული ორიენტაციები (თბილისის მაგალითზე). საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი. თბ., 2004.
17. სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის 1922 წლის 30 ნოემბრის აღწერის ჯამები. ნაწილი 1, დემოგრაფია. თბ., 1923.
18. საქართველოს სახალხო მეურნეობა 1924-1925 წლებში. თბილისი.,1926.
19. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II, თბ., 1973.
20. საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობა. თბ., 1991.
21. საქართველოს მოსახლეობის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები. თბ., 2003.
22. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2006, თბ., 2007.
23. სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული ქცევა. თბ., 2005 (ხელნაწერის უფლებით).
24. საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული განწყობა. თბ., 2020.
25. ტუხაშვილი მ. ქვემო ქართლის მოსახლეობა: პოლიეთნიკურობიდან მონოეთნიკურობისკენ. მიგრაცია 8. თბ., 2018.

26. ჯავახიშვილი ივ. საქართელოს ეკონომიური ისტორია. წიგნი პირველი, ტფილისი, 1930.
27. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგნი მეორე. ტფილისი, 1934.
28. ჯაოშვილი ვ. საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში. თბ., 1984.
29. ჯაოშვილი ვ. საქართველოს მოსახლეობა. თბ., 1996.
30. ხმალაძე მ. დემოგრაფია. თბ., 2009.
31. წულაძე გ. შობადობის სოციოლოგიის საკითხები. თბ., 1984.
32. ფირცხალავა გ. საქართველოში დემოგრაფიული გადასვლისა და მისი თავისებურების შესახებ. ჟურნ. ეკონომიკა. 1993 წ., №8-9.
33. ყოჩიაშვილი მ. საქართველოს მოსახლეობის ზრდა უკანასკნელ წლებში, ჟურნ. საქართველოს ეკონომისტი. 1927 წ. №1-2.
34. ყოჩიაშვილი მ. 1926 წ. მოსახლეობის აღწერა. ჟურნ. საქართველოს ეკონომისტი, 1926 წ., №3.
35. ხაჩიძე ა. მოსახლეობის 1959 წლის სრულიად საკავშირო აღწერა. ჟურნ. საქართველოს ეკონომისტი. 1958 წ., №6.
36. Адеишвили Н. Эволюция рождаемости в Грузии. Материалы Международной конференции. Актуальные проблемы развития демографических процессов в Грузии.Тб.,1990.
37. Антонов А . И. Социология рождаемости. М.,1980.
38. Бедный М. С. Продолжительность жизни. М., 1967.
39. Бекая М. Связь некоторых проблем рождаемости и герентосоциологии. В кн.: Планирование семьи и национальные традиции, Тб., 1988.
40. Боярский А. Я. Население и методы его изучения. М., 1975.
41. Борисов В. А. Перспективы рождаемости. М., 1973.
42. Бродель Ф. Материальная цивилизация, Экономика и капитализм XV-XVIII вв. Пер. с французского. Т. I., М., 1986.
43. Вишневский А. Г. Демографическая революция. М., 1976.
44. Виргинскии В. Очерки истории науки и техники XVI-XIX веков. М., 1984.
45. Вопросы марксистско-ленинской теории народонаселения. М., МГУ, 1969.
46. Гозулов А. И, Григорянц М. Г. Население СССР. М., 1969.
47. Демографический энциклопедический словарь. М., 1985.
48. Джаошвили В. Ш. Урбанизация в Грузии. Тб., 1978.
49. Джаошвили В. Ш. Население Грузии. Тб., 1968, с. 16.
50. Итоги Всесоюзной переписи населения 1959 г. М., 1963.
51. Кавказский календарь на 1846 г. Тифлис, 1845.
52. Кавказский календарь на 1847 г. Тифлис, 1846.
53. Кавказский календарь на 1848 г. Тифлис, 1847
54. Кавказский календарь на 1849 г. Тифлис, 1848
55. Кавказский календарь на 1850 г. Тифлис, 1849.
56. Кавказский календарь на 1851 г. Тифлис, 1850.
57. Кавказский календарь на 1852 г. Тифлис, 1851.
58. Кавказский календарь на 1853 г. Тифлис, 1852.
59. Кавказский календарь на 1854 г. Тифлис, 1853.
60. Кавказский календарь на 1855 г. Тифлис,1854.

61. Кавказский календарь на 1856 г. Тифлис, 1855.
62. Кавказский календарь на 1857 г. Тифлис, 1856.
63. Кавказский календарь на 1865 г. Тифлис, 1864.
64. Кавказский календарь на 1915 г. Тифлис, 1914.
65. Кавказский календарь на 1916 г. Тифлис, 1915.
66. Кваша А. Я. Популярная Демография. М., 1977.
67. Котрикадзе Б. В, Синельников А. Б. Рождаемость в Грузинской ССР: Тенденции и пути регулирования. Тб., 1990.
68. Курс демографии. М., 1985.
69. Народное хозяйство Грузинской ССР. Тб., 1957.
70. Народное хозяйство Грузинской ССР за 60 лет. Тб., 1980.
71. Народное хозяйство СССР в 1958 году. М., 1959.
72. Народное хозяйство СССР в 1987 году. М., 1988.
73. Население СССР. 1973. М., 1975.
74. Приселков В. Приращение населения и смертность в Тифлисской губернии. Сборник: Кавказский календарь на 1865. Тифлис, 1864
75. Пресса Р. Народонаселение и его изучение (демографический анализ). М., 1966.
76. Промышленность СССР. М., 1964.
77. Птуха М. В. Очерки истории статистики XVII-XVIII веков. М., 1945.
78. Сборник сведений о Кавказе. Т. IV. Тифлис, 1878.
79. Сборник сведений о Кавказе. Т. VII. Тифлис, 1880.
80. Сборник сведений о Кавказе. Т. IX. Тифлис, 1885.
81. Сифман Р. И. Рождаемость в селах Закавказья с начала XX века до великой отечественной войны. В кн.: Проблемы демографической статистики. М., 1966.
82. Урланис Б. Ц. Динамика рождаемости в СССР. В кн.: „Изучение воспроизводства
83. населения и трудовых ресурсов“. М., „Наука “, 1976.
84. Хмаладзе М. Н. Воспроизводство населения Грузии во второй половине XIX века. Тезисы Всесоюзной конференции – Историческая демография и современность. Донецк, 14-16 мая 1991 г. Ч. П. М. Д., 1991.
85. Цуладзе Г.Социолого-психологическое изучение рождаемости. Тб., 1982.

დანართი

დანართში მოტანილი ცხრილები, მე-12 ცხრილის გარდა, გაანგარიშებულია ჩვენს მიერ საქსტატის მასალებზე დაყრდნობით

ცხრილი 1

შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები ქართველებში 1959-1989 წლებში

ასაკი	1959	1970	1979	1989
15-49 წლის მათ შორის:	84,3	72,8	66,5	64,1
15-19	19,0	31,7	47,9	52,1
20-24	134,5	179,3	169,3	156,9
25-29	160,7	149,3	120,9	107,8
30-34	114,5	95,2	73,6	56,8
35-39	56,6	42,7	24,1	22,9
40-44	17,4	11,0	8,4	6,0
45-49	5,0	2,3	2,4	0,4

ცხრილი 2

შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები ქართველებში 1959-1989 წლებში (ქალქის და სოფლის მოსახლეობა)

ასაკი	ქალაქის მოსახლეობა				სოფლის მოსახლეობა			
	1959	1970	1979	1989	1959	1970	1979	1989
15-49 წლის მათ შორის:	66,0	67,1	57,8	60,3	96,3	77,9	76,2	69,6
15-19	19,0	32,3	40,2	46,4	19,4	31,2	55,7	59,1
20-24	110,0	154,8	143,3	138,5	151,0	206,7	203,0	181,9
25-29	125,7	132,2	98,3	103,9	183,0	166,3	143,0	113,3
30-34	86,0	86,8	61,5	59,1	134,0	103,4	92,3	53,5
35-39	39,4	33,4	20,1	24,2	68,4	50,6	29,3	20,9
40-44	7,6	8,0	6,8	6,3	24,6	13,6	10,0	5,2
45-49	1,2	1,3	1,8	0,3	6,3	3,2	3,0	0,4

ცხრილი 3

შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები სომხეებში 1959-1989 წლებში

ასაკი	1959	1970	1979	1989
15-49 წლის მათ შორის:	111,8	73,9	70,1	78,9
15-19	26,8	37,3	42,5	76,5
20-24	180,0	210,2	186,7	206,3
25-29	174,7	145,1	137,9	110,8
30-34	97,4	100,7	74,5	59,2
35-39	48,1	46,6	19,8	20,8
40-44	13,9	14,1	7,7	5,0
45-49	6,0	2,3	1,2	0,4

ცხრილი 4

შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები სომხეებში 1959-1989 წლებში (ქალქი-სოფელი)

ასაკი	ქალაქის მოსახლეობა			სოფლის მოსახლეობა		
	1959	1970	1989	1959	1970	1989
15-49 წლის მათ შორის:	90,0	65,6	69,0	140,2	85,9	94,2
15-19	31,3	39,0	61,9	22,3	34,9	94,8
20-24	165,4	187,3	180,4	185,4	246,5	241,7
25-29	162,4	131,6	101,8	243,3	163,6	124,9
30-34	104,6	87,5	59,1	211,0	119,0	58,5
35-39	54,7	38,1	20,4	122,0	57,8	21,3
40-44	10,3	11,1	6,3	44,6	19,0	2,5
45-49	1,5	1,3	0,2	21,2	3,8	0,6

ცხრილი 5

შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები რუსებში 1959-1989 წლებში

ასაკი	1959	1970	1979	1989
15-49 წლის მათ შორის:	56,5	44,9	48,7	43,0
15-19	30,7	36,1	51,0	48,4
20-24	129,4	137,7	143,2	128,6
25-29	95,8	88,4	82,3	75,8
30-34	66,2	58,8	45,0	44,2
35-39	38,0	25,3	14,8	18,8
40-44	7,9	8,8	4,2	4,8
45-49	1,2	0,8	0,7	0,1

ცხრილი 6

შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები რუსებში 1959-1989 წლებში (ქალაქი-სოფელი)

ასაკი	ქალაქის მოსახლეობა			სოფლის მოსახლეობა		
	1959	1970	1989	1959	1970	1989
15-49 წლის მათ შორის:	53,8	43,9	42,1	67,9	49,9	48,4
15-19	29,3	34,3	44,2	36,3	45,0	75,0
20-24	126,0	135,9	128,1	143,5	145,1	131,2
25-29	93,6	90,5	76,5	104,2	79,2	72,5
30-34	62,5	60,1	45,1	81,7	52,6	39,5
35-39	35,4	23,7	18,5	49,8	33,3	20,8
40-44	6,1	8,1	4,2	16,1	12,5	8,6
45-49	0,5	0,4	0,1	4,2	2,9	-

ცხრილი 7

შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები აზერბაიჯანელებში 1959-1989 წლებში

ასაკი	1959	1970	1979	1989
15-49 წლის მათ შორის:	209,0	144,4	110,4	114,3
15-19	37,2	46,6	78,4	104,1
20-24	219,4	285,0	216,0	242,6
25-29	321,0	225,3	191,6	155,4
30-34	343,3	206,8	138,1	68,7
35-39	221,0	122,7	52,5	21,4
40-44	180,4	55,8	18,7	4,9
45-49	105,5	16,9	8,6	0,1

ცხრილი 8

შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები აზერბაიჯანელებში 1959-1989 წლებში (ქალაქი-სოფელი)

ასაკი	ქალაქის მოსახლეობა			სოფლის მოსახლეობა		
	1959	1970	1989	1959	1970	1989
15-49 წლის მათ შორის:	174,8	137,1	102,1	216,0	146,1	118,2
15-19	48,0	58,0	96,5	35,0	44,1	105,2
20-24	218,2	275,6	229,1	219,6	287,1	248,6
25-29	268,1	231,4	137,0	331,8	224,0	162,1
30-34	237,4	179,1	64,5	367,5	213,5	71,1
35-39	162,1	105,8	23,4	233,4	136,6	20,6
40-44	89,1	38,6	2,8	197,2	59,3	5,6
45-49	70,0	23,0	-	158,5	25,0	0,2

ცხრილი 9

შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები ოსებში 1959-1979 წლებში

ასაკი	1959	1970	1979
15-49 წლის მათ შორის:	101,9	93,6	75,5
15-19	10,0	23,7	37,1
20-24	102,2	196,4	214,7
25-29	188,6	186,6	168,9
30-34	182,8	135,9	97,7
35-39	103,3	70,1	35,7
40-44	44,9	21,4	12,3
45-49	28,6	6,6	2,7

ცხრილი 10

შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები ოსებში 1959-1970 წლებში. (ქალაქის და სოფლის მოსახლეობა)

ასაკი	ქალაქის მოსახლეობა		სოფლის მოსახლეობა	
	1959	1970	1959	1970
15-49 წლის მათ შორის:	108,8	91,1	98,2	96,2
15-19	21,6	31,7	5,9	16,8
20-24	33,2	188,9	84,0	205,8
25-29	190,3	174,1	187,5	198,9
30-34	148,0	120,9	206,4	152,3
35-39	80,0	64,6	117,2	75,6
40-44	20,3	17,9	58,9	25,0
45-49	5,5	3,8	33,3	9,1

ცხრილი 11

შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები აფხაზებში 1959-1979 წლებში

ასაკი	1959	1970	1979
15-49 წლის მათ შორის:	94,1	83,7	65,2
15-19	12,3	28,0	26,9
20-24	101,8	174,2	167,0
25-29	164,5	151,0	118,2
30-34	157,7	124,6	85,0
35-39	89,7	63,6	34,2
40-44	38,3	22,2	13,2
45-49	30,5	8,9	1,5

ცხრილი 12

საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა ეროვნულ ჭრილში[156]

	1959			1970			1979			1989		
	შობადობა	მოკვდაობა	ბუნებრივი მატება	შობადობა	მოკვდაობა	ბუნებრივი მატება	შობადობა	მოკვდაობა	ბუნებრივი მატება	შობადობა	მოკვდაობა	ბუნებრივი მატება
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
სულ საქართველოში მათ შორის:	24,5	7,0	17,5	19,2	7,3	11,9	17,8	8,3	9,5	16,7	8,6	8,1
ქართველებში	22,6	7,0	15,6	19,1	7,2	11,9	17,6	8,2	9,4	16,1	8,5	7,6
რუსებში	20,4	6,9	13,5	14,4	8,8	5,6	13,8	11,3	2,5	11,3	13,3	-2,0
სომხებში	28,8	8,0	20,8	17,9	8,2	9,7	18,1	9,1	9,0	18,5	10,1	8,4
აზერბაიჯანელებში	45,1	6,2	38,9	29,4	5,5	23,9	27,9	5,7	22,2	28,7	5,8	22,9
ოსებში	26,4	5,7	20,7	22,0	6,7	15,3	19,1	7,3	11,8			
აფხაზებში	23,5	3,7	19,8	22,8	5,1	17,7	16,2	5,5	10,7			
სხვა ეროვნებებში	29,8	7,5	22,3				25,6	9,5	16,1	17,8	7,9	9,9

[156] გამოთვლილია ა. სახვაძის მიერ.

ცხრილი 13

დაბადებულთა განაწილება კაცების განათლების დონის მიხედვით 1989 წელს (‰)

ასაკი	მთელი მოსახ-ლეობა	მათ შორის განათლებით:			
		უმაღლესი	დაუმთავრებელი უმაღლესი	საშუალო სპეციალური	საშუალო ზოგადი
15-59 მათ შორის:	58,9	65,2	71,6	54,7	79,1
15-19	5,2	-	18,7	16,8	9,0
20-24	91,0	74,4	70,4	80,2	107,5
25-29	156,1	129,5	109,9	118,7	209,6
30-34	106,7	122,6	96,1	75,1	130,8
35-39	56,4	73,6	47,9	39,1	64,9
40-44	26,0	35,7	14,8	18,6	29,9
45-49	7,7	9,6	6,7	6,6	10,2
50-54	2,8	4,3	0,9	2,1	4,0
55-59	0,8	1,4	2,8	0,4	1,3
ჯამური კოეფიციენტი	2,263	2,255	1,841	1,788	2,836

ცხრილი 14

შობადობის დონე ქალების განათლების დონის მიხედვით 1989 წელს (‰)

ასაკი	სულ	მათ შორის აქვთ განათლება:			
		უმაღლესი	დაუმთავრებელი უმაღლესი	საშუალო სპეციალური	საშუალო ზოგადი
15-59 მათ შორის:	67,6	56,3	76,9	60,6	95,7
15-19	58,8	0,0	58,9	82,9	105,6
20-24	171,4	115,5	88,3	136,6	226,1
25-29	109,7	115,3	90,4	85,7	134,4
30-34	57,2	69,5	50,1	43,5	68,2
35-39	22,6	27,7	29,1	17,9	17,4
40-44	5,7	7,7	2,7	4,6	7,0
45-49	0,4	0,3	0,0	0,5	0,5
ჯამური კოეფიციენტი	2,136	1,680	1,598	1,859	2,796

ცხრილი 15

შობადობის დონე ქალის განათლების მიხედვით 1989 წელს ქალაქის და სოფლის მოსახლეობაში (‰)

სულ	ქალაქის მოსახლეობა-განათლებით:				სოფლის მოსახლეობა-განათლებით:			
	უმაღლესი	დაუმთავრებელი უმაღლესი	საშუალო სპეციალური	საშუალო ზოგადი	უმაღლესი	დაუმთავრებელი უმაღლესი	საშუალო სპეციალური	საშუალო ზოგადი
15-59 მათ შორის:	53,7	69,9	58,9	81,7	71,0	117,7	66,8	111,2
15-19	0,0	47,6	119,2	88,6	0,0	144,2	130,7	126,7
20-24	108,0	81,1	138,3	200,5	144,7	136,4	134,2	250,2
25-29	111,3	80,6	85,2	120,0	131,7	141,2	86,6	148,6
30-34	68,8	45,3	44,7	65,7	72,3	73,2	41,3	71,1
35-39	27,5	27,7	18,2	26,7	28,7	25,0	17,3	27,9
40-44	8,1	3,4	4,1	6,6	5,0	0,0	5,7	7,6
45-49	0,4	0,0	0,4	0,4	0,2	0,0	0,6	0,8
ჯამური კოეფი-ციენტი	1,621	1,429	2,051	2,543	1,913	2,600	2,082	3,165

ცხრილი16

შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები საქართველოში
კაცის შრომის ხასიათის მიხედვით 1989 წელს (‰)

ასაკი	სულ	დასაქმებულნი	მათ შორის:		დაუსაქმებლები
			დასაქმებულნი უპირატესად გონებრივი შრომით	დასაქმებულნი უპირატესად ფიზიკური შრომით	
15-59 მათ შორის:	58.9	69.4	65.2	71.0	3.4
15-19	5.2	16.8	49.1	14.8	0.6
20-24	91.0	120.0	110.1	121.9	8.0
25-29	156.1	168.3	139.8	179.1	12.2
30-34	106.7	111.1	111.8	110.7	9.7
35-39	56.4	58.5	64.1	55.1	5.6
40-44	26.0	27.2	31.6	24.3	2.2
45-49	7.7	8.2	9.2	7.7	0.7
50-54	2.8	3.0	3.8	2.7	0.3
55-59	0.8	0.9	1.3	0.8	0.0
ჯამური კოეფიცი-ენტი	2.263	2.570	2.604	2.586	0,196

ცხრილი 17

შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები საქართველოში ქალის შრომის ხასიათის მიხედვით 1989 წელს (‰)

ასაკი	სულ	დასაქმებულნი	მათ შორის		დაუსაქმე-ბლები
			დასაქმებულნი უპირატესად გონებრივი შრომით	დასაქმებულნი უპირატესად ფიზიკური შრომით	
15-49 მათ შორის:	67,6	59,7	55,9	63,0	91,1
15-19	58,8	87,7	74,1	90,9	65,7
20-24	171,4	153,7	127,8	170,8	187,4
25-29	109,7	102,8	102,0	103,5	125,2
30-34	57,2	54,0	58,6	49,1	67,8
35-39	22,6	21,0	23,4	18,7	29,8
40-44	5,7	5,3	5,8	4,7	8,8
45-49	0,4	0,4	0,5	0,3	0,5
ჯამური კოეფიციენტი	2,13	2,13	1,96	2,19	2,42

ცხრილი 18

შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები კმაყოფაზე მყოფ ქალებში 1989 წელს (‰)

ასაკი	სულ	მათ შორის:		თანაფარდობა სოფელი ქალაქთან
		ქალაქი	სოფელი	
15-49 მათ შორის:	87,8	62,7	134,6	2,15
15-19	33,0	27,7	39,3	1,42
20-24	287,1	189,6	483,8	2,55
25-29	165,2	105,6	330,4	3,13
30-34	90,2	60,9	194,1	3,19
35-39	41,1	27,6	102,1	3,70
40-44	13,5	9,5	33,4	3,52
45-49	1,0	0,7	2,7	3,86
ჯამური კოეფი-ციენტი	3,16	2,11	5,93	2,81

ცხრილი 19

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა ქალაქ-სოფლის მიხედვით 1995-2020 წლებში (ათასი კაცი)

წელი	საქართველო			აღმოსავლეთ საქართველო			დასავლეთ საქართველო		
	სულ	ქალაქად	სოფლად	სულ	ქალაქად	სოფლად	სულ	ქალაქად	სოფლად
1995	4742,3	2561,8	2180,5	2914,1	1776,8	1137,3	1828,2	785,0	1043,2
2000	4116,8	2260,1	1856,7	2510,8	1547,1	963,7	1606,0	713,0	893,0
2005	3917,0	2213,2	1703,8	2411,8	1532,7	879,1	1505,2	680,5	824,7
2010	3799,8	2145,3	1654,5	2380,3	1513,2	867,1	1419,5	632,1	787,4
2015	3721,9	2135,6	1586,3	2377,1	1520,6	856,5	1344,8	615,0	729,8
2020	3716,9	2194,5	1522,4	2429,6	1592,0	837,6	1287,3	602,4	684,9

ცხრილი 20

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის განაწილება ქალაქ-სოფლის მიხედვით 1995-2020 წლებში (პროცენტებში)

წელი	საქართველო			აღმოსავლეთ საქართველო			დასავლეთ საქართველო		
	სულ	ქალაქად	სოფლად	სულ	ქალაქად	სოფლად	სულ	ქალაქად	სოფლად
1995	100,0	54,0	46,0	100,0	61,0	39,0	100,0	42,9	57,1
2000	100,0	54,9	45,1	100,0	61,6	38,4	100,0	44,4	55,6
2005	100,0	56,5	43,5	100,0	63,6	36,4	100,0	45,2	54,8
2010	100,0	56,5	43,5	100,0	63,6	36,4	100,0	44,5	55,5
2015	100,0	57,4	42,6	100,0	64,0	36,0	100,0	45,7	54,3
2020	100,0	59,0	41,0	100,0	65,5	34,5	100,0	46,8	53,2

ცხრილი 21

საქართველოს მოსახლეობის განაწილება აღმოსავლეთის და დასავლეთის მიხედვით 1995-2020 წლებში (პროცენტებში)

წელი	საქართველო			ქალაქის მოსახლეობა			სოფლის მოსახლეობა		
	სულ	აღმოსავლეთი	დასავლეთი	სულ	აღმოსავლეთი	დასავლეთი	სულ	აღმოსავლეთი	დასავლეთი
1995	100,0	61,4	35,6	100,0	69,4	30,6	100,0	52,2	47,8
2000	100,0	61,0	39,0	100,0	68,5	31,5	100,0	51,9	48,1
2005	100,0	61,6	38,4	100,0	69,3	30,7	100,0	51,5	48,4
2010	100,0	62,6	37,4	100,0	70,5	29,5	100,0	52,4	47,6
2015	100,0	63,9	36,1	100,0	71,2	28,8	100,0	54,0	46,0
2020	100,0	65,4	34,6	100,0	72,5	27,5	100,0	55,0	45,0

გამოცემაზე მუშაობდნენ:

ქეთევან ქურდოვანიძე, მაია ეჯიბია (გამომცემლობის რედაქტორები),
ნინო ებრალიძე და ლელა წიკლაური

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი, 2025

0128 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 1
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0128
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279
https://www.tsu.ge/ka/publishing-house